13 ดวงดาวสหรัฐ

ამერიკის 13 მეგობარი

სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“
თბილისი 2011

წინასიტყვაობა

ლეგენდის თანახმად, რიჩარდ ნიქსონმა ერთხელ განაცხადა: „სომოსა, რა თქმა უნდა, ძაღლიშვილია, მაგრამ ვისი? — ჩვენი ძაღლიშვილი!“. ზოგი ირწმუნება, რომ „ჩვენი ძაღლიშვილი“ პირველმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰალმა უწოდა დომინიკის რესპუბლიკის დიქტატორს — რაფაელ ტრუხილიოს, ანდა სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა — კომუნისტური იუგოსლავიის ბელადს იოსებ ბროზ ტიტოს. თუმცა გაბატონებულია ვერსია, რომლის მიხედვითაც ეს ფრაზა პირველად ფრანკლინ დელანო რუზველტმა წარმოთქვა და ის ნიკარაგუის პრეზიდენტს — ანასტასიო სომოსა-უფროსს ეხებოდა.

მაგრამ თავად „ძაღლიშვილებზე“ დაყრდნობის პრინციპი ჯერ კიდევ აშშ-ის გარიჟრაჟზე იშვა. მის წარმოშობას აბრაამ ლინკოლნის ერთ-ერთ უახლოეს თანამოაზრეს — თადეუს სტივენსს უკავშირებენ. ერთხელ, თანამდებობის კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთებისას, სტივენსმა თავის ამხანაგებს რესპუბლიკური პარტიიდან ჰკითხა, ორ მაძიებელთაგან რომელი იყო უკეთესი. „ორივე მათგანი დიდი არამზადაა“, — მიიღო პასუხად. „დიახ, მაგრამ რომელია ჩვენი არამზადა?“ — დააზუსტა კითხვა სტივენსმა.

რა თქმა უნდა, აშშ-ის პოლიტიკური ელიტის აზროვნებას, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისას, ცინიზმის ელემენტები ახლავს. მაგრამ მხოლოდ ეს როდი ამოძრავებს მათ, ვინც დიქტატორ-მარიონეტებს ძაფით ექაჩება და ამავე დროს სძაგს ისინი. ამერიკული მსოფლმხედველობის უმთავრესი თავისებურება საკუთარი აღმატებულობის რწმენაა. სწორედ ასე აღიქვამენ ამერიკის გარემომცველ სამყაროს მდიდრებიცა და ღარიბებიც, ახალმოსახლეთა შთამომავლები და უწინდელი ემიგრანტები, ჰარვარდის კურსდამთავრებულები და „ლურჯსაყელოიანები“, ლიბერალები და კონსერვატორები, ასევე ისინიც, ვისაც პოლიტიკა საერთოდ ფეხზე ჰკიდია. აღმატებულობის იდეას ეფუძნება ამერიკული პატრიოტიზმის ტიტანური ნაგებობა, რომლის არსიც არცთუ ისე დახვეწილია: ამე-

რიკაში ბევრი რამ გამოსასწორებელია, მაგრამ ეს მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაა. გარკვეული თვალსაზრისით, ამერიკელები იგივე „რუსები უკუღმა“ არიან — მათში საკუთარი აღმატებულობის რწმენა ისევე ამოუძირკვავია, როგორც ზოგიერთი რუსის თვითგვემისაკენ მიდრეკილება და დაკომპლექსებულობა სმერდიაკოვშჩინამდე.

ამერიკული პატრიოტიზმის მედლის მეორე მხარეა საკუთარი ქვეყნის დანიშნულების გულითადი რწმენა. შეერთებული შტატები საუკეთესო მაგალითია არა მარტო მთელი მსოფლიოსთვის, არამედ — ხელმარჯვე დამხმარეც სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების გარდაქმნის საქმეში, სიკეთესა და ბოროტებაზე ამერიკული შეხედულებების შესატყვისად.

ამერიკელებს სწამთ, რომ დემოკრატია სწორედ ისაა, რაც მათ შექმნეს. დასავლეთ ევროპაშიც კი მხოლოდ საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებია, ხოლო დემოკრატია მარტოდენ აშშ-ში არსებობს. ეს გულწრფელი რწმენა ეხმარება ამერიკელებს დაიჯერონ, რომ სერბეთის დაბომბვით მათ გონივრულობა, სიკეთე, მარადიული ღირებულებები მოაქვთ. სამართლიანად შენიშნა თვალსაჩინო რუსმა პოლიტოლოგმა ა. დ. ბოგატიროვმა, „ყველაფერი, რაც რუსეთიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან და ჩინეთიდან ამერიკულ ექსპანსიად, აშშ-ის კონტროლის სფეროს გაფართოებად მოჩანს (1990-იან წლებში — ბოსნია, კოსოვო; 2000-იან წლებში — ერაყი, ავღანეთი), ამერიკაში სხვაგვარად მიაჩნიათ. ამერიკელებს ჰგონიათ, რომ წესრიგს ამყარებენ „ამერიკულ სახლში“ და მეპატრონეს უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს, ვის დაიხმარს სახლის დალაგებაში.

სამწუხაროდ, აშშ-ის ისტორია პრაქტიკულად არ შეიცავს თანაბარუფლებიანი პარტნიორობის გამოცდილებას. ამის ორადორი პრეცედენტი არსებობს — კავშირი რუსეთთან ეკატერინე მეორეს „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის“ პერიოდში და საბჭოთა-ამერიკული თანამშრომლობა მეორე მსოფლიო ომის წლებში. ამერიკელები პარტნიორობას აღიქვამენ, როგორც წინამძღოლისა და დაქვემდებარებულის ალიანსს. ამ უკანასკნელისადმი დამოკიდებულება შეიძლება განსხვავდებოდეს და ისიც მხოლოდ „სახლის მეპატრონის“ არჩევანის შესატყვისად.

ბევრი ამერიკელი აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ჯურის „ძაღლიშვილი“ მათ ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. „კუდმოქიცინე ძაღლის“ თემა, დიდი ხანია, შეერთებულ შტატებში ანალიტიკურ ბანალობად იქცა. თუმცა აშშ-ის მმართველი ელიტა შესაშური სიჯიუტით განაგრძობს ძალისხმევის „დაბანდებას“ „ძაღლიშვილებშიც“ და „დემოკრატიულ მესიანობაშიც“. „მანამ, სანამ, ერთის მხრივ, ამერიკელები ირჩევენ ლიდერებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების როლი მსოფლიოს გაუმჯობესებასა და მისთვის „უმაღლესი კეთილდღეობის“ ბოძებაშია; მეორე მხრივ კი, ამერიკის ზეგავლენა, მისი ყველანაირი გამოვლინებით, საკმაოდ დიდია სხვა ქვეყნების მოქმედებათა განსასაზღვრად, საეჭვოა, ამერიკის საგარეო პოლიტიკის საერთო მიმართულება შეიცვალოს, თუკი, რასაკვირველია, მომავალში ამერიკის ადმინისტრაცია უცებ არათუ რადიკალურ, არამედ ჭეშმარიტად რევოლუციურ შემობრუნებას არ განახორციელებს პოლიტიკაში”, — წერდა ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ კეიგანი.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკელები, პრაქტიკულად, არ ინტერესდებიან საერთაშორისო საქმეებით. მათთვის, ისევე, როგორც სხვა უმრავლესი ერებისთვის, მთავარი საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაა. საგარეოპოლიტიკური სიუჟეტები აქტუალიზდება მხოლოდ მაშინ, როცა ამერიკის ინტერესები მათთან უშუალო კავშირშია. იგივე ომი ერაყში ამერიკელისთვის უფრო საშინაო საკითხია — რამდენ ცხედარს ჩამოასვენებენ „ჰერკულესები“ და რამდენად გაძვირდება ბენზინი?

ასეა თუ ისე, „ძაღლიშვილები“ „კუდის ქიცინის“ ანდა თუნდაც ამაზე ფანტაზიორობის ცდუნების წინაშე აღმოჩნდებიან.

ზოგჯერ ამგვარი გავლენა მშვიდობას მთელ მსოფლიოში საფრთხის ქვეშ აყენებს. ასე მოხდა, როცა რუსეთის ფედერაციამ სააკაშვილის რეჟიმის მიმართ მშვიდობის იძულების ოპერაცია განახორციელა. ყველა ეტაპზე — ესკალაციიდან გონს მოყვანამდე — საქართველოს ხელისუფლება იმის დემონსტრირებას ახდენდა, რომ მისი მოქმედებები ვაშინგტონის მხარდაჭერას ემყარებოდა. აშშ-ის მაშინდელმა ადმინისტრაციამ თითიც არ გაანძრია საპირისპიროს დასამტკიცებლად. არავინ მალავდა, რომ თეთრი სახლი საქმის კურსში იყო. აშშ-ის

ხელმძღვანელობამ მოსკოვთან პირდაპირი დიალოგიც აირიდა, რაც არაორაზროვნად მოწმობდა სააკაშვილის ავანტიურის სტრატეგიულ მნიშვნელობას. 2008 წლის აგვისტოს სიტუაცია ვაშინგტონისა და მოსკოვის ყველაზე მწვავე არაპირდაპირი სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია აღმოჩნდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, კორეის ომის შემდეგ.

ისღა დაგვრჩენია, ვივარაუდოთ, რომ ამერიკელი პოლიტიკოსებისთვის ხანგრძლივი ურთიერთობა მათ „ძუკნიშვილებთან“ უშედეგოდ არ ჩაივლის. ის გადამდებია და, თუმცა ვაშინგტონის უნარი, კარგად განჭვრიტოს უახლოესი ინტერესები, ეჭვს არ იწვევს, ხანგრძლივვადიან დაგეგმვაში ამერიკელები მარცხს მარცხზე განიცდიან (მარტო სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა რად ღირს!).

თანამედროვე აშშ კვლავაც არ იშურებს ძალისხმევას საერთაშორისო არენაზე თავისი პირველობის გასამყარებლად. ამისთვის ისინი ყველანაირ ინსტრუმენტს იყენებენ ავანტიურისტებისა და დამნაშავეების ჩათვლით, რომლებიც „წყნარ ამერიკელებს“ პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ხელისუფლების სათავეში მოჰყავთ, მხარს უჭერენ, მაგრამ, როცა საათი ჩამოკრავს, სუფთა სამსახურით უზრუნველყოფენ რომელიმე უნივერსიტეტში ან ფონდში, თუმცა იქამდე ყველა „ძუკნიშვილი“ როდი მიაღწევს.

ეს წიგნი მათზეა, ვისზეც სხვადასხვა წლებსა და სხვადასხვა ქვეყანაში ვაშინგტონი ფსონს ჩამოდიოდა. მათი ბედი შესაშური როდია. ზოგიერთებმა ერთობ ცუდად დაასრულეს.

შესაძლოა, ეს ბიოგრაფიული ჩანახატები ვინმეს მაგალითად გამოადგეს.

რაფაელ ტრუხილიო – მოწოდებით ჯალათი

პირველი, რასაც სანტო-დომინგოს „ლას ამერიკასის“ აეროპორტში ჩასული მგზავრები დაინახავენ, უზარმაზარი ბანერია, რომელიც ტურისტებს მოუწოდებს, „სასიამოვნოდ და ხალისიანად დაისვენონ, დატკბნენ საუცხოო მზითა და ქვეყნის მცხოვრებთა გულთბილი მიღებით“.

დომინიკის რესპუბლიკა, რომელიც მდებარეობს ვესტინდოეთში, ჰაიტის კუნძულზე, მართლაც განთქმულია ეკზოტიკურობითა და სტუმართმოყვარეობით, სადაც ყველა პირობაა შექმნილი შესანიშნავი და უზრუნველი დასვენებისთვის, ოღონდ ფული გქონდეთ. სტუმრებსა და ტურისტებს მოსწონთ არა მხოლოდ არაჩვეულებრივად რბილი ჰავა და მასპინძლების სტუმართმოყვარეობა, მშვიდი ვითარება ქვეყანაში, მისი კულტურა, ისტორიული ღირსშესანიშნაობანი.

მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ დომინიკის რესპუბლიკა ყოველთვის ასეთი არ იყო. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ იგი ასოცირდებოდა რაფაელ ლეონიდას ტრუხილიოს სახელთან, რომელიც ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ატერორებდა თავის ქვეყანას. სისასტიკითა და სისხლისმსმელობით ამ დიქტატორს ბა-

დალი არ ჰყავდა არა მხოლოდ XX საუკუნეში, რომელიც უჩვეულოდ მდიდარი იყო მტარვალებით, არამედ მთელ უახლეს ისტორიაში. მას ზოგჯერ კალიგულას ადარებდნენ. მაგრამ ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ წამების მეთოდების დახვეწილობითა და გამომგონებლობით მან გადააჭარბა რომის იმპერატორს.

რაფაელ ლეონიდას ტრუხილიო მოლინა (ასეთია მისი სრული სახელი) დაიბადა 1891 წლის 24 დეკემბერს. თითქოს არაფერი მოასწავებდა, რომ მისი სახით ქვეყანას მოევლინა სასტიკი, ახლობლების მიმართაც დაუნდობელი პოლიტიკოსი. მომავალი დიქტატორი ათ წლამდე ღარიბ ოჯახში იზრდებოდა, შიმშილობდა, უაღრეს სიღატაკესა და დამცირებას განიცდიდა. ასეთ მდგომარეობაში იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების თითქმის ყველა მცხოვრები. რაფაელ ლეონიდასი ბავშვობის წლებიდან მათხოვრობდა, ქურდობდა, იპარავდა ცხენებს, მისდევდა კონტრაბანდას. იგი იცნობდა საზოგადოების უმდაბლესი ფენების ცხოვრებას და ყველანაირად ცდილობდა, ამომძვრალიყო ამ ჭაობიდან. პატივს სცემდა მხოლოდ ძალას და ძალაუფლებას.

ბუნებით მინიჭებული და აღზრდით მიღებული პირადი თვისებები და მიდრეკილებები განუვითარდა და ჩამოუყალიბდა გახრწნილი და კორუმპირებული პოლიციის გარემოში, სადაც მან დაიწყო მუშაობა, შეიძინა და შეითვისა ცინიკური დამოკიდებულება და ზიზღი ადამიანების მიმართ. მისი ცხოვრების შემდგომი ეტაპი ყოვლისშემძლე ეროვნული გვარდიის შექმნასთან არის დაკავშირებული.

პოლიციაში სამსახური არა მარტო მის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფდა, არამედ აგრძნობინებდა საკუთარ მნიშვნელობას, უპირატესობას სხვებზე, საკუთარი ძალის მოსინჯვას თანამოქალაქეებზე, რაც განსაკუთრებით ვლინდებოდა დემონსტრაციების დარბევის, რევოლუციურად განწყობილი მშრომელების გაფიცვების ჩახშობის დროს, როცა პოლიციის მთავარი არგუმენტი იყო რეზინის ხელკეტი და ტყვია.

უპრინციპო და დაუნდობელი ტრუხილიო, რომელიც კარგად იყენებდა ერთსაც და მეორესაც, უფროსობამ მალევე შეამჩნია. მან დაიწყო სწრაფი აღმასვლა სამსახურებრივ კიბეზე და რამდენიმე წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა პოლიციას. ამით მას საშუალება მიეცა, სრულად დაეკმაყოფილებინა საკუთარი ვნებანი და მანკიერებანი.

რაფაელ ტრუხილიო და მისი კილერების ოლდსმობილი

ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა: 1916 წელს დომინიკის რესპუბლიკაში, რომელიც ათი წლის მანძილზე პრაქტიკულად ვაშინგტონის სრული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, შეიყვანეს აშშ-ის საზღვაო ქვეითთა დანაყოფები. პირველივე დღეებიდან თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ეროვნული პოლიცია, რომლის მეშვეობითაც სასურველ წესრიგს ამყარებდნენ ამ ქვეყანაში, აწესრიგებდნენ ძალაუფლებისთვის მებრძოლი დაჯგუფებებისა და კლანების ბრძოლას. სწორედ მაშინ მოექცა ტრუხილიო ამერიკელთა თვალსაწიერში, რომლებმაც შესაბამისად დააფასეს მისი მონდომება და ხელი შეუწყვეს მის კარიერას: იგი გააგზავნეს აშშ-ში ექვსთვიან კურსებზე ერთ-ერთ სამხედრო სკოლაში. ამ კურსების დამთავრების შემდეგ იგი პოლიციის უფროსი გახდა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ჟურნალისტის გამონათქვამი: **„ჩვეულებრივ დროებაში ტრუხილიო თავის ცხოვრებას, უთუოდ, სახრჩობელაზე დაასრულებდა ან დაიღუპებოდა როგორც უსახელო სოფლის ბანდიტი, მაგრამ ამერიკის ინტერვენციამ ფართო შესაძლებლობები მისცა სწორედ ასეთი ყაიდის ადამიანებს“.**

ამ თვალსაზრისით, ტრუხილიო ერთადერთი არ იყო. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში თავიანთი პოლიტიკის განსახორციელებლად ამერიკელები ეყრდნობოდნენ სწორედ ისეთ ადა-

მიანებს, როგორიც ჩვენი „გმირი“ იყო. საკმარისია თუნდაც ანასტასიო სომოსას, ნიკარაგუის დიქტატორის, გახსენება.

1924 წელს აშშ-მა გამოიყვანა თავისი ჯარები დომინიკის რესპუბლიკიდან. მაგრამ არა იმიტომ, რომ იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო, არამედ იმიტომ, რომ მათი დარჩენა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან ყველა მნიშვნელოვანი პოსტი „ამერიკელების ხალხს“ ეკავა, რომლებიც სრულად აკონტროლებდნენ სიტუაციას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით ენიჭებოდა ეროვნულ გვარდიას, რომელიც ამერიკელების მიერ დათხოვნილი ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნაცვლად შეიქმნა. იგივე ამერიკელები უშუალოდ მონაწილეობდნენ ახალი ფორმირების ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანი თანამდებობები გვარდიაში ამერიკელებმა დაიკავეს.

ეროვნული გვარდია ასრულებდა იმავე სადამსჯელო ფუნქციებს, რასაც პოლიცია, მაგრამ — უფრო მეტი უფლებამოსილებით აღჭურვილი. მისი მთავარი ამოცანა იყო დომინიკელების გამოსვლების ჩახშობა, რომლებიც ხან ერთ, ხან მეორე რაიონში გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის გამო.

1927 წელს ეროვნულ გვარდიას ბრიგადის გენერლის წოდებით სათავეში ჩაუდგა ტრუხილიო. დარბევის ოპერაციების ჩატარების პირადი გამოცდილება, რომელიც მან პოლიციაში მიიღო, წარმატებით გამოიყენა ახალ თანამდებობაზე დანიშნულმა, მაგრამ უფრო მეტი მონდომებითა და სისასტიკით. იგი, რა თქმა უნდა, მოქმედებდა ამერიკელების კონტროლით, რომლებიც არათუ არ ცდილობდნენ მის შეჩერებას, არამედ აქეზებდნენ კიდეც.

ეროვნული გვარდიის უფროსი იმ წლებში ისეთ ქვეყნებში, როგორიც დომინიკის რესპუბლიკა, ნიკარაგუა ან სალვადორია, უდიდესი ძალაუფლებით იყო მოსილი. მაგრამ მათ ზემოთ მაინც სახელმწიფოს მეთაური იდგა, რომელსაც გარკვეულ ვითარებაში შეიძლება კიდეც მოეხსნა თავისი ხელქვეითი. ტრუხილიო, რომელსაც გაგებული ჰქონდა სრულუფლებიანობის გემო, აღარ კმაყოფილდება იმით, რასაც მიაღწია. იგი უსაზღვრო ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, რომელსაც „ხალხი მიანიჭებდა“, ანუ მიიღებდა არჩევნების გზით. ამის საშუალება გამოჩნ-

ნიქსონი და ტრუხილიო

და კიდეც 1930 წელს. მან პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა. დემაგოგიის მაქსიმუმი, უდიდესი მასშტაბით ფალსიფიცირება, ჭკვიანურად წარმართული წინასაარჩევნო კამპანია ეროვნული გვარდიის დახმარებით, რომელიც არ იშურებდა მუქარას მეტოქეთა მიმართ და — დომინიკის რესპუბლიკამ მიიღო „კანონიერად არჩეული პრეზიდენტი“ რაფაელ ლეონიდას ტრუხილიოს სახით.

„ლეგიტიმურად არჩეული“ ტრუხილიო ოთხჯერ აირჩიეს პრეზიდენტად, „ამომრჩეველთა ერთსულოვანი მხარდაჭერით“ და ყოველთვის იგი იყენებდა პირველი არჩევნების დროს გამოყენებული ტერორის ტექნოლოგიას, რასაც ყოველთვის სასურველი შედეგი მოჰქონდა. ამიტომ იყო, რომ 1930-1938 და 1942-1952 წლებში მას ოფიციალურად ეკავა ქვეყნის მეთაურის თანამდებობა. 1952 წელს ეს პოსტი საკუთარ ძმას — ეკტორს დაუთმო, თვითონ კი შეიარაღებული ძალების მინისტრი გახდა, რომლებიც იმ დროისთვის აღადგინეს დომინიკის რესპუბლი-

კაში. ამასთან, შეინარჩუნა ძალაუფლების ყველა ბერკეტი და თავის კონტროლს დაუქვემდებარა ძმა-პრეზიდენტი.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში არსებული ნებისმიერი დიქტატორული რეჟიმისთვის დამახასიათებელია სამი ძირითადი ნიშანი. პირველი: დესპოტიზმი, რომელსაც თან სდევს მისი მოწინააღმდეგეებისა და ყველა განსხვავებულად მოაზროვნის რეპრესიები; გამდიდრების თავაწყვეტილი სურვილი, სხვაგვარად — ქვეყნის ძარცვა; პიროვნების კულტი და უსაზღვრო თვითგანდიდება. დიქტატორს ეცოტავება, როცა მისი მხოლოდ ეშინიათ. იგი გვარწმუნებს, რომ უცოდველია და ებადება სურვილი, ხალხს უყვარდეს და პატივს მიაგებდეს.

ეს ყველაფერი ტრუხილიოს ტირანიასაც ახასიათებდა.

მიაჩნიათ, რომ ძალაუფლება რყვნის ადამიანს. **პრეზიდენტი რომ გახდა, ტრუხილიო უკვე გარყვნილი იყო ძალაუფლებით. როცა განუსაზღვრელი უფლება და შესაძლებლობა მიეცა, ამ გარყვნილებამ აბსოლუტური, განუსაზღვრელი ფორმა მიიღო. სახელმწიფოს მეთაურის „გმირობანი“, რომლებიც მან თავისი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაიდინა, ამ დროს გამოყენებული საშუალებანი და მეთოდები ცალკე ანალიზის საგანია. მით უფრო, რომ იგი ამ ბრძოლას მეთოდურად ეწეოდა 30 წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში — 1930-დან 1961 წლამდე, თანაც მთავარი მარტო რაოდენობა არ არის.**

საქმე ისაა, რომ მის ხელში დომინიკის რესპუბლიკა ნამდვილ საკონცენტრაციო ბანაკად იქცა, სადაც პოლიტიკური ტერორის რეჟიმი იყო დამყარებული. იგი სასტიკად სდევნიდა ოპოზიციურ ძალებს, მხოლოდ მის მიერ დაარსებულ დომინიკურ პარტიას ჰქონდა მოღვაწეობის უფლება მოცემული. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც სახელმწიფო სამსახურში მიიღებდნენ, ავტომატურად ხდებოდა ამ პარტიის წევრი და ვალდებული იყო, თავისი ხელფასის 10 პროცენტი პარტიული საწევროს სახით გადაეხადა. რეპრესიები განხორციელდა პროფკავშირების წინააღმდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ მას არც რაიმე ძალა, არც რეალური გავლენა არ ჰქონდა.

ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, ნებისმიერ წუთში შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ უმცირესი ეჭვის საბაბით. როგორც ამერიკული „ტაიმსი“ წერდა, „დომინიკელებს ციხეში სვამენ ცუდ ამინდზე დაჩივლების გამოც“.

ტრუხილიო თავისი ქვეყნით არ იფარგლებოდა და ცდილობდა, გავლენის ქვეშ მოექცია მეზობელი ჰაიტი, რისთვისაც დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებდა ჰაიტელი იმიგრანტების წინააღმდეგ. დომინიკისა და ჰაიტის საზღვარზე 1937 წელს მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შედეგად 10 ათასზე მეტი ჰაიტელი ზანგი დაიხოცა.

დიქტატორს მიაჩნდა, რომ პირადი ძალაუფლების დასამყარებლად და მოსახლეობის დასაშინებლად ნებისმიერი საშუალება გამოდგება — მკვლელობა, პროვოკაციები, ადამიანთა გატაცება, ჯურღმულებში გამოკეტვა. **„ის, ვინც ჩემი მეგობარი არ არის, ჩემი მტერია და, მაშასადამე, ძვირადაც დაუჯდება“,** — უყვარდა ამის გამეორება ტრუხილიოს.

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ცნობილი პროფესორის — გალინდერის მაგალითი. 1956 წლის დასაწყისში მან აშშ-ში გამოსცა წიგნი, რომელშიც ავად მოიხსენია ტირანი. მალე პროფესორი გაქრა. გაირკვა, რომ იგი ტრუხილიოს აგენტებმა გაიტაცეს და მხეცურად გაუსწორდნენ. არანაკლებ სასტიკად მოექცნენ ოპოზიციონერ პოლიტიკოს ფრედი ვალდესს. იგი მთის მწვერვალზე აათრიეს, კისერზე თოკი შემოახვიეს და უფსკრულში გადააგდეს.

ტრუხილიო თვითონაც მონაწილეობდა წამების აქტებში და თავისი დახვეწილი პათოლოგიური სისასტიკით თავზარს სცემდა მრავლისმნახველ ჯალათებსა და სადისტებს.

ოცდაათწლიანი ტირანიის პერიოდში ტრუხილიო დომინიკის რესპუბლიკის უმსხვილეს და უძლიერეს ბიზნესმენად იქცა. მის პირად კონტროლს ემორჩილებოდა მრეწველობის, პრაქტიკულად, ყველა დარგი — მარილის, თამბაქოს რეალიზაცია, შაქრის წარმოება. მას გააჩნდა უძრავი ქონება საზღვარგარეთ, შეისყიდა საკუთარი ქვეყნის საუკეთესო მიწები. თუ რომელიმე ფერმერი უარს იტყოდა დიქტატორისთვის თავისი მიწის მიყიდვაზე, რამდენიმე დღის შემდეგ ამას მისი ქვრივი აკეთებდა. ქვეყანაში ნათლიმამობა ყვაოდა. ძმები, შვილები, ბიძიები, ძმის შვილები და სხვა ნათესავები იკავებდნენ მინისტრების, ელჩების თანამდებობებს, ხდებოდნენ დეპუტატები და ა.შ.

ტრუხილიოს მმართველობის მთელი პერიოდი გამსჭვალული იყო მისი პიროვნების მასშტაბური კულტით. კონგრესმა მას მიანიჭა გენერალისიმუსობა, ფლოტის ადმირალობა, ტიტულები

— „ერის მოამაგე“, „დამოუკიდებლობის აღმდგენი“, „ერის გამათავისუფლებელი“, „ხელოვნებისა და ლიტერატურის მფარველი“, „პირველი სტუდენტი“, „პირველი ექიმი“, „პირველი მეცნიერებათა დოქტორი“. მას დაუდგეს ურიცხვი ძეგლი. 1936 წელს ქვეყნის დედაქალაქს — ამერიკის უძველეს ქალაქ სანტო-დომინგოს, რომელიც ბართოლომეო კოლუმბმა დააარსა, დაარქვეს სტიუდად-ტრუხილიო („ტრუხილიოს ქალაქი“). კარიბის კუნძულების უმაღლეს მწვერვალ მონტე-ტინას კი ტრუხილიოს მთა უწოდეს.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში დომინიკელები უდრტვინველად იტანდნენ ტრუხილიოს ტირანიას. მისი დაუფარავი სისასტიკე ქვეყანაში პროტესტების მიზეზი ხდებოდა. 1946 წელს „ლა-რომანიას“ პლანტაციის მუშებმა გაბედეს გაფიცვა. რვა წლის შემდეგ გაიფიცა შაქრის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს 20-ათასიანი კოლექტივი. 1956 წელს იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ, 1958 წელს კი სამხედროების მონაწილეობით სამთავრობო შეთქმულებაც მოეწყო. 1959 წლის 14 ივნისს კონსტანში ემიგრანტი პატრიოტების ჯგუფის გადმოსხდომა განხორციელდა.

მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო: სიტუაციას ქვეყანაში აკონტროლებდა არმია და პოლიცია, რომელთა შენახვაზე ეროვნული ბიუჯეტის ნახევარზე მეტი იხარჯებოდა, და ტრუხილიოს გააჩნდა საკმარისი ძალა საიმისოდ, რომ მისთვის დამახასიათებელი სისასტიკით ჩაექრო დროდადრო წარმოქმნილი წინააღმდეგობის ეს კერები.

მაგრამ **ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ დანაშაულობებს ტრუხილიო აშშ-ის მფარველობით სჩადიოდა — ამერიკას ამ ქვეყანაში თავისი ინტერესები ჰქონდა. სწორედ ამერიკელებმა გამოზარდეს ტირანი და თავადვე დასვეს პრეზიდენტის სავარძელში. ვაშინგტონი დომინიკის რესპუბლიკაში (და არა მხოლოდ იქ) მოქმედებდა კარგად ნაცნობი სქემით, როცა ციხის საკანში უფროსად ინიშნება ხელიდან წასული სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც წესრიგის დასამყარებლად სპეციფიკურ მეთოდებს იყენებდა.** მერე რა, რომ ამ მეთოდებს ცივილიზებულობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ხოლო საკანში მყოფნი (იგულისხმეთ — ქვეყანაში) იძულებული იყვნენ,

აეტანათ ძალადობა?! სამაგიეროდ, საკნებში უფროსობისთვის სასურველი სიმშვიდე იყო დამყარებული.

როცა გაირკვა, რომ ტრუხილიოს რეჟიმმა საბოლოოდ ამოწურა თავისი თავი, აივსო ხალხის მოთმინების ფიალაც და ხელისუფლების სათავეში ასეთი დიქტატორის ყოლა სახელს უტეხს აშშ-ს, ვაშინგტონმა მისი მოცილება გადაწყვიტა. მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს. მით უფრო, რომ ლათინურ ამერიკაში, **1959 წლის კუბის რევოლუციის გავლენით, კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია და თეთრ სახლს ამის გაუთვალისწინებლობა აღარ შეეძლო. სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიმუშავა დომინიკის რესპუბლიკაში მდგომარეობის „გასაუმჯობესებელი“ ოპერაცია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტროლით.**

1960 წელს სანტო-დომინგოში ჩამოვიდნენ ამერიკელი მრჩევლები. მათი რეკომენდაციით ეკტორ ტრუხილიომ, ტირანის ძმამ, რომელიც იმ დროს სახელმწიფოს ნომინალური მეთაური იყო, დატოვა პრეზიდენტის პოსტი „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“. იგი შეცვალა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ბალაგერმა. ოპერაციის შემდეგი ეტაპი იყო შეთქმულება თვით რაფაელ ლეონიდას ტრუხილიოს წინააღმდეგ. 1961 წლის 30 მაისს იგი ავტომანქანით გაემგზავრა ერთ-ერთ თავის ახლომდებარე მამულში. გზად შეიარაღებული რაზმი ჩაუსაფრდა. ორმხრივ სროლაში ტრუხილიო მოკლეს.

ხოსე მიხოელსი

ანასტასიო სომოსა — თეთრი სახლის «ძაღლიშვილი»

ამბობენ, რომ ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი დასანახად ვერ იტანდა ანასტასიო გარსია სომოსას, რომელიც 1936-1947 და 1950-1956 წლებში ნიკარაგუის პრეზიდენტი იყო, მაგრამ მიაჩნდა, რომ იგი აშშ-ის ერთგული „ჩვენი ძაღლიშვილი“ იყო. XX საუკუნეში თეთრ სახლში მომხდარ ამბებზე უამრავი ლეგენდა დადის. ერთ-ერთის მიხედვით, ეს იარლიყი რუზველტმა სომოსას პირადი შეხვედრის შემდეგ მიაკერა. საუბრის დროს თეთრი სახლის მაშინდელმა პატრონმა სტუმარს მიანიშნა, რომ იგი (სომოსა) თავის პოლიტიკაში არადემოკრატიულ მეთოდებს იყენებს. სომოსამ უპასუხა: „დემოკრატია ჩემს ქვეყანაში ჩვილი ბალღია, განა შეიძლება პატარას მივცეთ ყველაფერი, რასაც მოითხოვს?! მე ვაძლევ თავისუფლებას, მაგრამ — გამოზომილად. მიეცით ჩვილს ცხელი, ხორციანი და პილპილით შეზავებული საკვები და თქვენ მოკლავთ მას“. რუზველტს სხვა არაფერი დარჩენოდა, გაოცების გარდა.

მართალია, ისტორიკოსი დევიდ შმიტცი ამტკიცებს, რომ ვერც მკვლევარებმა, ვერც ფრანკლინ რუზველტის ბიბლიოთეკის არქივის თანამშრომლებმა ვერსად მიაკვლიეს ვერავითარ მტკიცებულებას, რომ სწორედ რუზველტია ამ გამოთქმის ავტორი, მაგრამ არც სხვისი ავტორობის რაიმე საბუთი არსებობს ბუნებაში.

ამ ფრთიანი გამოთქმის ფასეულობა ისაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმ პოლიტიკის არსს გამოხატავს, რომელსაც ამერიკა ახორციელებდა თავისი სატელიტი ქვეყნების მიმართ, მათ მმართველებს კი „მეგობრებად“ მოიხსენიებდნენ. მანამდე, სანამ ამ ქვეყნების პოლიტიკა აშშ-ს ხელს აძლევდა, იგი თვალს ხუჭავდა ასეთი რეჟიმების ანტიდემოკრატიულობაზე. როცა მოწონების ფაზა გავიდოდა, ასეთ რეჟიმებს ამხობდნენ, ზოგიერთ „მეგობარს“ კი ამ ცხოვრებიდან წასვლაში ეხმარებოდნენ.

დავუბრუნდეთ ანასტასიო სომოსას, უფრო ზუსტად, სომოსას კლანს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნიკარაგუაში ისე პარპაშობდა, როგორც საკუთარ მამულში. კლანის მამამთავარი იყო ანასტასიო ბერნაბე სომოსა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავე, ქურდი, რომელსაც არად მიაჩნდა კაცის კვლა, თუკი ეს მისთვის სახეირო იქნებოდა. სიცოცხლე მან სახრჩობელაზე დაამთავრა: 1949 წელს, ჩვენი მოთხრობის „გმირის“ დიდი ბაბუა მორიგი ძარცვის დროს დააკავეს და ქალაქ რივასში საფარნე ბოძზე ჩამოახრჩეს. აქ მისი გვამი რამდენიმე დღეღამეს იყო ჩამოკიდებული.

ამ ქურდბაცაცის კვალს გაჰყვა მისი ორი ვაჟი, ანუ ანასტასიო სომოსას ბაბუები: ისევ ძარცვა, ისევ სისხლი. მხოლოდ დასასრული იყო განსხვავებული: სამართლისთვის თავის არიდება კი შესძლეს, მაგრამ რაღაც ვერ გაიყვეს, სიმთვრალეში ერთმანეთს დაერივნენ და... დახოცეს ერთმანეთი.

ანასტასიო გარსია სომოსა კარასოს დეპარლამენტში დაიბადა. მისი ცხოვრების გზა უმთავრესად კრიმინალურმა გენებმა განსაზღვრა, რომლებიც წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიიღო. თუმცა, მათგან განსხვავებით, ტაჩო, ასე ეძახდნენ ანასტასიოს (ესპანურად — „დეფექტური“, ცენტრალურ ამერიკაში დამატებით გინებაცაა, რაც დაახლოებით „ნაძირალას“, „გარე-

წარს“ ნიშნავს) უფრო ქუდბედიანი აღმოჩნდა, უფრო ეშმაკი და გაიძვერა.

დაიწყო ბანქოს თამაშიდან. თანაც ბედს შეერთებულ ამერიკის შტატებში სცდიდა. ნახმარი ავტომობილების გაყიდვით იყო დაკავებული. არც კონტრაბანდისტობას თაკილობდა, არც — დოლარების გაყალბებას და არც — შულერობას. ხან — იგებდა, ხან — აგებდა. მაგრამ მაინც მოახერხა რაღაც ქონების დაგროვება და, სამშობლოში რომ დაბრუნდა, ტრაქტორი იყიდა.

ბედმა მაშინ გაუღიმა, როცა ცოლად შეირთო ექიმ ლუის ხუან დებაილესა და კასიმრა საკასას ქალიშვილი. მისი სიდედრი ნიკარაგუის მომავალი პრეზიდენტის — ხუან ბატისტა საკასას და იყო. სწორედ მან — ბატისტამ შეუწყო ხელი, სომოსას ხელისუფლების მწვერვალზე ასულიყო.

მაგრამ ასე იქნება შემდეგ. ახლა კი ტაჩოს ცხოვრების გზა ეგზოტიკითაა სავსე. ასე, მაგალითად, გარკვეული ხნის განმავლობაში იგი დაკავებული იყო საპირფარეშოების მოდერნიზაციით მანაგუაში, რის გამოც მიიღო წოდება „კლოაკების მარშალი“. თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ძველი პროფესია — ყალბი ფულის მჭრელის ხელობა გაიხსენა. მაგრამ ხელი მოეცარა: 1921 წელს დააპატიმრეს და მხოლოდ მეუღლის გავლენიანი ნათესავების ჩარევის შედეგად დააღწია ციხეს თავი. ხუთი წლის შემდეგ სიმამრმა ლუის ხუან დებაილემ სიძეს ისე „წაჰკრა ხელი“, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დასვა.

და ამ პოსტის მნიშვნელობის მიუხედავად, საეჭვოა, რომ სომოსას მიეღწია იმ თანამდებობისთვის, რომელზეც ათი წლის შემდეგ აღწევდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ იგი, ამასთან ერთად, ნიკარაგუაში აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარის საექსპედიციო კორპუსში თარჯიმნად მუშაობდა. ეს კორპუსი ამ ქვეყანაში 1912 წლიდან იმყოფებოდა. ეშმაკმა და გაქნილმა ანასტასიომ შეძლო, მეგობრული თუ არა, სავსებით მიმნდობი ურთიერთობა დაემყარებინა ამ საოკუპაციო ჯარების სარდლობასთან. მაგრამ არა მარტო ეს...

მან შეაღწია სხვა კაბინეტებში, რომელთა პატრონები ასევე ამერიკელები იყვნენ; მაგალითად, — ეროვნულ გვარდიაში. შესაძლებელია, რომ **ამერიკელებმა უკვე მაშინ შეამჩნიეს, რომ ანასტასიო „ძუკნის შვილი“ იყო და იზრუნეს მის კარიერაზე.**

სომოსა რუზველტთან ერთად

მაგალითად, გენერალმა კალვინ ბ. მეტიუსმა, ნიკარაგუის ეროვნული გვარდიის უკანასკნელმა ამერიკელმა შეფ-დირექტორმა, ამერიკაში დაბრუნების წინ თავის ადგილზე დასანიშნად ნიკარაგუის პრეზიდენტს — ხუან ბაუტისტე საკასს სწორედ სომოსას კანდიდატურა წარუდგინა. იმანაც, სხვა რა გზა ჰქონდა, შეასრულა კალვინ ბ. მეტიუსის რეკომენდაცია. 1932 წლის ნოემბერში ტაჩო სათავეში ჩაუდგა ეროვნულ გვარდიას და ამით სახელმწიფოს საკვანძო მნიშვნელობის ფიგურა გახდა.

1933 წლის იანვარში ამერიკის საექსპედიციო კორპუსმა დატოვა ნიკარაგუა. ეს არ იყო კეთილი ნების ჟესტი ამერიკის მხრიდან. პირიქით, საზღვაო ქვეითთა გამოყვანა ქვეყნიდან, სადაც ისინი 20 წელიწადზე მეტხანს იმყოფებოდნენ, იყო შედეგი შვიდწლიანი პარტიზანული ომისა, რომელსაც აუგუსტო სესარ სანდინოს მეთაურობით ნიკარაგუელი პატრიოტები ეწეოდნენ. გასაკვირი არ არის, რომ ვაშინგტონმა შეიძულა „თავისუფალი

ადამიანების გენერალი“, როგორც სანდინოს უწოდებდნენ, და რომელიც უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში, და გადაწყვიტა, ნებისმიერ ფასად მოეცილებინა იგი. კერძოდ, ამერიკის ელჩმა მანაგუაში თავის წრეში პირდაპირ განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობას სურს სანდინოს მოცილება. ეს დელიკატური მისია სომოსას დაავალეს. ისიც დაუფიქრებლად დათანხმდა, მით უფრო, რომ სანდინო სომოსას მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგე კი არ იყო, არამედ პირადი მტერი.

1934 წლის 21 თებერვალს ეროვნულმა გვარდიელებმა ის სომოსას მითითებით ხაფანგში შეიტყუეს და სასტიკად გაუსწორდნენ. „თავისუფალი ადამიანების გენერლის“ სიკვდილმა შეძრა ნიკარაგუა. იგი სახალხო გმირად იქცა, რომელიც დღემდე ახსოვთ და პატივს მიაგებენ. სომოსამ კი თავის „დაფნის გვირგვინს“ მკვლელის „ტიტული“ მიუმატა. ნიშანდობლივია, რომ მრავალი წლის შემდეგ ნიკარაგუაში შეიქმნა ამბოხებულთა ბრიგადები, რომლებიც სომოსას კლანის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ისინი გაერთიანებული იყვნენ ეროვნული თავისუფლების სანდინისტურ ფრონტში, ამბოხებულები თავიანთ თავს სანდინისტებს უწოდებდნენ. 1979 წელს სანდინისტები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ. სომოსისტების რეჟიმი დასამარდა.

1936 წლის სექტემბერში ანასტასიო სომოსა პრეზიდენტი გახდა, ფორმალურად — საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად. მაგრამ ამ არჩევნებს წინ უსწრებდა მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებმაც წინასწარ განსაზღვრა შედეგი. უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება, რომ ეროვნული გვარდია, რომელსაც ტაჩო ხელმძღვანელობდა და რომელიც ქვეყნიდან ამერიკელების წასვლის შემდეგ ერთადერთ მაკონტროლებელ ძალად იქცა, განახორციელებდა ნამდვილი ტერორის პოლიტიკას. ორას ათასზე მეტი ნიკარაგუელი, უმთავრესად, სომოსას პოლიტიკური მოწინააღმდეგე, შეეწირა ამ პოლიტიკას. ქვეყნიდან გააძევეს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ანასტასიოს შესაძლო მეტოქეები.

როგორც კი იგდო ძალაუფლება ხელთ, ანასტასიო გარსია სომოსა დაუყოვნებლივ იქცა ერთპიროვნულ დიქტატორად. სასწრაფოდ მოირგო ქვეყნის კონსტიტუცია და შემდგომაც არაერთხელ გადაწერა საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ახალი ენერგიით განაგრძო ანგარიშის გასწორება თავის ოპონენტებ-

თან და მისი მოქმედებით უკმაყოფილო ადამიანებთან: მათ ან ანადგურებდნენ სასამართლოს გვერდის ავლით, ან გამოკეტავდნენ სპეციალურად აგებულ მიწისქვეშა ციხეში. მანაგუაში ვრცელდებოდა ხმები, რომ **სომოსა პირადად აწამებდა და კლავდა პატიმრებს. უფრო მეტიც, მოიწყო პირადი სამხეცე, რომლის ბინადართ დახოცილი პატიმრების ხორცით კვებავდა.**

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქვეყანაში აიკრძალა პოლიტიკური პარტიები. გამონაკლისი ლიბერალური პარტია იყო, რომელსაც მთლიანად აკონტროლებდა სომოსა და მისი უახლოესი მომხრენი, რომლებიც ბრმად უჭერდნენ მხარს და ამართლებდნენ მის პოლიტიკას. სომოსამ დაშალა ყველა პროფკავშირი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. უმკაცრესმა ცენზურამ საბოლოოდ დაახრჩო ისედაც სუსტი პრესა. კულტურის მდგომარეობაზე ნათლად მიგვანიშნებდა წარმოუდგენელი ფაქტი ლათინოამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის რუბენ დარიოს აკრძალვის შესახებ.

სომოსა არა მარტო არ მალავდა სიმპათიას ფაშიზმისა და პირადად ჰიტლერის მიმართ, არამედ ამაყობდა კიდეც ამით. ჯერ კიდევ 1935 წელს მან შექმნა ფაშისტური ორგანიზაცია „ცისფერი პერანგები“. სომოსა მუსოლინის იდეასაც იზიარებდა „კორპორაციული სახელმწიფოს შესახებ. დიქტატორს თავის ბინაში ეკიდა დიდი პორტრეტი, რომელზეც ფოტომონტაჟის წყალობით ის და ჰიტლერი ხელგადახვეულები იყვნენ აღბეჭდილი. როცა აშშ მეორე მსოფლიო ომში ჩაება, ამერიკელმა დიპლომატებმა მიანიშნეს სომოსას, უმჯობესი იქნებოდა ამ პორტრეტის ჩამოხსნა. სომოსა დამორჩილდა, ჩამოხსნა პორტრეტი სასტუმრო ოთახის კედლიდან და საძინებელ ოთახში დაიკიდა!

თუმცა, როცა აშკარა გახდა, რომ ჰიტლერი მარცხდება, ნიკარაგუამ გერმანიას ფორმალურად ომი გამოუცხადა. მაგრამ ეს დემარში დასჭირდა მხოლოდ იმისთვის, ხელთ რომ ეგდო ქვეყანაში მოქმედი გერმანული ფირმები და კომპანიები.

სომოსას, როგორც დიქტატორთა უმრავლესობას, ახასიათებდა სისასტიკე და ვერაგობა, დემაგოგობა, ინტრიგანობა, პოპულიზმი, მზად იყო, ყველა ხერხი და საშუალება გამოეყენებინა მიზნის მისაღწევად.

პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბდებოდა, საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა, ხალხს ამა

თუ იმ რეფორმის განხორციელებას ჰპირდებოდა, მაგრამ დანაპირებს არასოდეს უსრულებდა. არადა, ისე იქცეოდა, თითქოს მზად იყო, გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები რეჟიმის დემოკრატიზაციისთვის. ეს ნაბიჯები მისი მმართველობის არსს ოდნავადაც არ ცვლიდა, მაგრამ ზოგჯერ ხალხი ტყუვდებოდა, რაც დიქტატორს უხანგრძლივებდა ქვეყნის სათავეში ყოფნის ვადას.

ასე, მაგალითად: **1940-იანი წლების შუაში სოციალისტურ პარტიას მოღვაწეობის ნება დართეს, გამოიცა რამდენიმე ოპოზიციური გაზეთი. პირწავარდნილმა ანტიკომუნისტმა სომოსამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან, თუმცა ელჩების გაცვლამდე მაშინ საქმე არ მივიდა.**

1947 წელს სომოსამ მოაწყო პრეზიდენტის არჩევნების სპექტაკლი და სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა თავის ძველისძველ ოპონენტს — ლეონარდო არგუელიოს დაუთმო. სომოსა ვარაუდობდა, რომ ეს უკანასკნელი, ხანდაზმულობის გამო, პოლიტიკაში აქტიურად არ იმოღვაწებდა. ერთი თვის შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ ეს იმედი არ მართლდებოდა, აურელიო გიჟად შერაცხეს. პრეზიდენტი გახდა სომოსას სიძე ბენხამინ ლაკაიო საკასა. მაგრამ იგი უეცრად გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა ვიქტორ რომანო-ი-რეიესმა, ტაჩოს ბიძამ. 1950 წელს გაიმართა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და სომოსამ გადაწყვიტა, რომ საკმარისი იყო დემოკრატობანას თამაში. იყარა კენჭი და გაიმარჯვა.

ვაშინგტონის „ძუკნისშვილმა“ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა ნიკარაგუის საზღვრებით არ შემოფარგლა. 1948 წელს მან თავისი ჯარები გაგზავნა კოსტა-რიკის პროგრესულ ძალებთან საბრძოლველად. შედეგად ამ ქვეყნის მმართველად მოგვევლინა კიდევ ერთი „ამერიკის კაცი“. ექვსი წლის შემდეგ ნიკარაგუა ამერიკელებთან ერთად მონაწილეობდა გვატემალაში შეიარაღებულ ინტერვენციაში. იმავე 1954 წელს სომოსამ ხელშეკრულება გააფორმა აშშ-თან, რომლის ძალით ნიკარაგუის სამხედრო ფორმირებები სრულად დაექვემდებარა ამერიკელი სამხედრო მრჩევლების კონტროლს.

სიცოცხლის დასალიერს ანასტასიო სომოსა, რომელმაც შულერობითა და ყალბისმქნელობით დაიწყო, პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას „დაუღალავი შრომით“ უზარმაზარი ქონება და-

აგროვა და თანამემამულეთა შორის უმდიდრეს ადამიანად იქცა. ნიშანდობლივია, რომ **სომოსას ოჯახი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ერთ მესამედს ფლობდა. მის ხელში იყო მთელი საავაჭრო ფლოტი, ერთადერთი ავიაკომპანია, უდიდესი გაზეთი, მსხვილი რქოსანი პირუტყვის თითქმის მთელი სულადობა, საავარგულების 10 პროცენტი, ნიკარაგუაში მოქმედი თითქმის ყველა კომპანიის საკონტროლო პაკეტები.**

სომოსას ჰქონდა ყველაფერი: სიმდიდრე, ძალაუფლება, რაც გვარდიის ხიშტებსა და მეგობარ მრჩევლებს ეყრდნობოდა. მას უკმევდნენ გუნდრუკს და აღმართავდნენ მის ძეგლებს. მის სახელს უწოდებდნენ მოედნებს, სტადიონებს, ქუჩებს, პარკებს, დაწესებულებებს. მაგრამ მას არ ჰქონდა მთავარი — სიმშვიდე და დარწმუნებულობა. მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა იგი, უნდა ვაღიაროთ, რომ სულელი არ იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მან იცოდა ნიკარაგუელთა მისდამი ჭეშმარიტი დამოკიდებულება, აშკარად გრძნობდა, რომ ხალხს იგი სძულდა.

ტერორის მიუხედავად, ნიკარაგუაში მაინც იყვნენ მამაცი ადამიანები, რომლებიც ებრძოდნენ სომოსას. 1937 წელს სანდონის არმიის ყოფილმა გენერალმა პედრო ალტამირანომ დაიწყო პარტიზანული ომი ჩონტალესის მთებში. 1948 წელს ახალი პარტიზანული კერა დააარსა მეორე გენერალმა-სანდინისტმა ხუან გრეგორიო კოლინდრესმა. 1954 წელს იფეთქა ბოიაკოს გლეხების აჯანყებამ. ყველა ეს გამოსვლა სასტიკად ჩაახშო სომოსამ.

და მაინც ტაჩო ვერ დაემალა ბედს, რომელიც, ადრე თუ გვიან, უწევს ხოლმე ყველა დიქტატორს.

1956 წელს ახალგაზრდა პოეტებმა მოაწყვეს შეთქმულება სომოსას მოსაკლავად და შეიარაღებული აჯანყების დასაწყებად. გეგმის პირველი ნაწილი განხორციელდა: 21 სექტემბერს, მეჯლისის დროს, რომელიც ლეონში სომოსას პატივსაცემად გაიმართა, ახალგაზრდა „ბოევიკმა“ რიგობერტო ლოპეს პერესმა, სანამ დაცვა დაცხრილავდა, მოასწრო და რამდენიმე ტყვიით დაჭრა ანასტასიო გარსია. სასიკვდილოდ დაჭრილი დიქტატორი ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვერტმფრენით სასწრაფოდ გადაიყვანეს პანამის არხის ზონაში, სადაც ჩაფრინდნენ აშშ-ის საუკეთესო ქირურგები. მაგრამ ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ: შვიდი დღის შემდეგ ტაჩო გარდაიცვალა.

ასე დაასრულა თავისი დღენი სამოცი წლის სომოსამ. ერთხელ მან აღნიშნა: „ხელისუფლების სათავეში ყოფნას 40 წლის განმავლობაში ვაპირებ, მაგრამ, თუ აშშ-მა სხვაგვარად განსაჯა, მზად ვარ, ხვალვე დავტოვო პრეზიდენტის სასახლე“.

მაგრამ მისმა დინასტიამ განაგრძო არსებობა. ტაჩო მისმა უფროსმა ვაჟმა ლუის სომოსა ანასტასიო დებაილმა, რომელიც ეროვნულ გვარდიას ედგა სათავეში, შეცვალა. იგი მყარად დამკვიდრდა პრეზიდენტის სასახლეში, რომელსაც ხალხმა ბუნკერი შეარქვა, რომელიც ნამდვილ ციხესიმაგრეს ჰგავდა და თავდაცვითი ნაგებობებით იყო გამაგრებული... ვაშინგტონმა „ვერ შენიშნა“ ხელისუფლების აშკარა უზურპაცია. ლუის სომოსამ დაუყოვნებლივ დანიშნა თავისი ძმა ანასტასიო ეროვნული გვარდიის სარდლად. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები: ციხეებში გამოამწყვდიეს არა მარტო ისინი, ვინც, ხელისუფალთა აზრით, მკვლელობასთან იყო დაკავშირებული, არამედ ის ნიკარაგუელებიც, ვინც ამა თუ იმ ფორმით გამოხატავდა უკმაყოფილებას ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო.

ერთი სიტყვით, თუ კი იყო რაიმე იმედი, რომ ანასტასიო-უფროსის სიკვდილის შემდეგ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლებოდა, ისიც იმთავითვე გაქრა. უფრო მეტიც, ძმების ტანდემი მამასავით სასტიკად იქცეოდა. **სომოსას კლანი ეყრდნობოდა არა მარტო აშშ-ის მორალურ თანადგომას, არამედ მის ფინანსურ მხარდაჭერას. ქვეყნის ძარცვა უწინდებურად გრძელდებოდა, მოსახლეობა უფრო და უფრო ღატაკდებოდა.** მხოლოდ ერთი მაგალითი: 1972 წელს ნიკარაგუაში საშინელი მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი მანაგუაში იყო. პრაქტიკულად, მთელი დედაქალაქი დაინგრა, ათი ათასობით ადამიანი დაიღუპა, ასი ათასობით — უსახლკაროდ დარჩა. საერთაშორისო დახმარება უწყვეტ ნაკადად დაიძრა ნიკარაგუისკენ. 85 მილიონი დოლარის ღირებულების მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე, საქონელი, ფული და ა.შ. შევიდა ქვეყანაში. მაგრამ იმდროინდელმა პრეზიდენტმა ანასტასიო სომოსა-უმცროსმა მოიპარა ყველაფერი!

1957 წელს ლუის სომოსამ საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარა და „დამაჯერებლად გაიმარჯვა“. მას შემდეგ უკანონობას სრულიად „ლეგიტიმურად“ სჩადიოდა.

და მაინც, დროება თანდათან იცვლებოდა და ქვეყანაში მატულობდა უკმაყოფილება სომოსას დიქტატორული რეჟიმის წინა-

სომოსა რუზველტთან ერთად

აღმდეგ. 1957 წელს გაიხსნა ეროვნული გვარდიის ოფიცერთა შეთქმულება. 1958 წელს ახალი ძალით განახლდა პარტიზანული მოძრაობა, რომელიც კიდევ უფრო გააქტიურდა კუბაში ფიდელ კასტროსა და მისი თანამებრძოლების გამარჯვების შემდეგ.

1963 წელს ძმები: ლუისი და ანასტასიო იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ ვერ მოილაპარაკეს, მათგან რომელი უნდა გამხდარიყო ქვეყნის პრეზიდენტი. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ და მიაღწიეს დროებით კომპრომისს, გადაწყვიტეს ამ პოსტზე მარიონეტ რენე შიკის დანიშვნა. ეს საწყალი რენე შიკი, რომელიც იძულებული იყო, დამორჩილებოდა ორივე სომოსას, თავისი „მმართველობის“ სამ წელიწადში ოცი წლით დაბერდა და ჩამოყალიბებულ ნევრასტენიკად იქცა. 1966 წლის აგვისტოში, როცა ნიკარაგუაში გავრცელდა პანიკური ხმები ქვეყნის ჩრდილოეთით, მთებში, პარტიზანების გამოჩენის შესახებ, რომლებსაც თვით ჩე გევარა და გვატემალელ გერილეროსთა ლეგენდარული ლიდერი ტურხიოსო ლიმი მეთაურობდნენ, რენე შიკმა ძმები სომოსებისგან ერთდროულად ორი, დიამეტრალურად განსხვავებული, მითითება მიიღო. ანასტასიომ

უბრძანა, გამოეცხადებინა ომი კასტროსთვის და გაეგზავნა თვითმფრინავები კუბის დასაბომბად. ლუისი კი უბრძანებდა, მთელი ავიაცია ნიკარაგუისა და გვატემალის პარტიზანული რაიონების დასაბომბად გაეგზავნა. დაბნეულ და შეშინებულ პრეზიდენტს დამბლა დაეცა და გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

1967 წლის იანვარში მოულოდნელად გარდაიცვალა ლუის სომოსაც. ანასტასიო სომოსა დებაილე სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური გახდა.

გასული საუკუნის სამოციანი წლები მთელს ლათინოამერიკულ ქვეყნებში, კუბის რევოლუციის გავლენით, პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებით ხასიათდებოდა. კონტინენტს „ვულკანურს“ ან „ცეცხლისმფრქვეველს“ უწოდებდნენ. ბობოქარმა ტალღამ ნიკარაგუასაც გადაუარა. 1959 წლის მაისში კუბელებმა ამ ქვეყანაში ამბოხებულთა რაზმი გადასხეს, მაგრამ იმჯერად რევოლუციის ცეცხლის დანთება ნიკარაგუაში ვერ მოხერხდა. **ლუის სომოსამ, ამერიკელთა აქტიური მხარდაჭერით, არა მარტო მოახერხა ქვეყანაში პარტიზანული დაჯგუფებების ლიკვიდაცია, არამედ, თავისებური კონტრნაბიჯის სახით, ნიკარაგუაში შექმნა ამერიკელთა საწვრთნელი ბაზა კუბელი „კონტრასებისთვის“, რათა გამოეყენებინა იგი როგორც პლაცდარმი კუბაში შესაჭრელად.** 1961 წლის 17 აპრილს კიდეც სცადა კონჩინოს ყურეში შეჭრა, მაგრამ წარუმატებლად.

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, 1961 წელს ნიკარაგუაში დაფუძნდა ეროვნული გათავისუფლების სანდინისტური ფრონტი და დაიწყო შეირაღებული გამოსვლები მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ. ეს გამოსვლები თავიდან სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ თანდათან გაძლიერდა, ფართომასშტაბიანი გახდა და ბოლოს და ბოლოს სანდინისტების დამაჯერებელი გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1979 წლის 19 ივლისს მანაგუაში პარტიზანების კოლონები შევიდა, რომელთაც დანიელ ორტეგა სარდლობდა. ნიკარაგუაში რევოლუციამ გიმარჯვა, დანაშაულებრივი კლანის მმართველობა დასრულდა.

ორი დღით ადრე კი, 1979 წლის 17 ივლისს, სომოსა-უმცროსმა გასცა ბრძანება, მიწიდან ამოეთხარათ კუბოები მამისა და ძმის, ასევე, ოჯახის ყველა გარდაცვლილის ცხედრებით, რომლებიც 42 წლის განმავლობაში განაგებდნენ ნიკარაგუას. ეს კუ-

ბოები, აგრეთვე, ნაღდი ფულითა და ძვირფასეულობით გატენილი ტომრები (დიქტატორის პირადი ქონება იმ დროს 400 მილიონ აშშ დოლარად იყო შეფასებული) სომოსას პირადი „ბოინგის“ სატვირთო მონაკვეთში მოათავსეს, თვითმფრინავის სალონში მოთავსდნენ ნათესავები, უახლესი თანამებრძოლები და ეროვნული გვარდიის უმაღლესი ოფიცრები. სომოსამ პოლკოვნიკ მახიას დააკისრა ქვეყნის მმართველის ფუნქციები და სამარცხვინოდ გაიქცა აშშ-ში.

პოლკოვნიკი მახია თვითმფრინავის გაცილებისთანავე გაუჩინარდა, მას კვალდაკვალ მიჰყვნენ შტაბის ოფიცრებიც.

რევოლუციურმა ხელისუფლებამ გაქცეულ დიქტატორს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რომელიც განხორციელდა კიდეც 1980 წლის 17 სექტემბერს ასუნსიონში. ვაშინგტონის კიდევ ერთმა ერთგულმა მეგობარმა, დიქტატორული მიდრეკილების მქონე პარაგვაის პრეზიდენტმა სტრესნერმა შეიფარა სომოსა. აქ ჰპოვა მან სულიერი სიმშვიდე, რომელსაც დაღად აჩნდა ამერიკის უარი, მიეღო იგი თავის ტერიტორიაზე („ეთიკური მოსაზრებების მიზეზით“) და უზრუნველეყო თავისი ერთგული მონის უსაფრთხოება. სომოსას დაჯავშნული „მერსედესი“, რომელიც ქალაქის ცენტრში წითელ შუქნიშანზე შეჩერდა, ჯერ ყუმბარმტყორცნმა გაგლიჯა, შემდეგ თავდამსხმელებმა ავტომატების ჯერით ჩაცხრილეს ექსდიქტატორი.

პრესამ ამ მკვლელობის სტილში ამერიკული სპეცსამსახურების ხელწერა შეიცნო. მხოლოდ 2001 წელს გაირკვა, რომ სინდინისტური ფრონტის სასიკვდილო განაჩენი აღასრულა რევოლუციური სახალხო არმიის არგენტინელი ამბოხებულების ჯგუფმა, რომელსაც ენრიკე გორიანა მერლო ხელმძღვანელობდა.

პედრო რომერო

ანვარ სადათი — ეგვიპტის «ფარაონი»

1981 წლის 6 ოქტომბერს, სამხედრო აღლუმის დროს, მოკლეს ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი. ეს დღე მას დიდი ხანი ჩვეულებრივ დღედ მიაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ 1973 წლის სწორედ ამ დღეს, არაბულ-ისრაელის მეოთხე ომის დროს, ეგვიპტელებმა შეძლეს გადაელახათ სუეცის არხი და დაეძლიათ „ბარლევის ზოლი“. ეგვიპტისთვის ეს დღე გამარჯვების დღედ იქცა. მას შემდეგ ყოველწლიურად მადინათ ნასრის რაიონის მოედანზე, რომელიც კაიროს გარეუბანშია, საზეიმო მარშით ჩაივლიან ჯარები ეგვიპტის არმიის ძლიერების დემონსტრაციის მიზნით.

ამ ომის შემდეგ სადათს ეგვიპტეში „ომის გმირად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო 1977 წლის ნოემბერში იერუსალიმში გამგზავრებისა და იქ კემპ-დევიდის შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ „ომისა და მშვიდობის გმირი“ უწოდეს.

სადათმა ორი წიგნი დაგვიტოვა, რომლებშიც თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა. პირველი — „ეგვიპტის რევოლუცია“ ჯერ კიდევ ნასერის სიცოცხლეში გამოქვეყნდა, რომელმაც წინასიტყვაობა დაწერა; მეორე — „საკუთარი თავის ძიებაში. ჩემი ცხოვრების ისტორია“ — 1978 წელს, ეგვიპტეში მისი ვიზიტის შემდეგ. მოქმედი პირები და აღწერილი მოვლენები ამ წიგნებში ერთი და იგივეა, მათი შეფასება კი — განსხვავებული. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თავის მოგონებებში სა-

დათი ისწრაფვოდა, დაემტკიცებინა, რომ 1952 წლის ივლისის რევოლუციის მოხდენა სწორედ მისი დამსახურებაა, რომ სწორედ იგი იდგა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრების“ სათავეში.

მუჰამედ ანვარ სადათი დაიბადა 1918 წელს სოფელ მით აბუ ელ-ყუმში, რომელიც ნილოსის ნაპირზე მდებარეობს.

სადათის მამა ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში მსახურობდა, ცხოვრობდა სახლიდან შორს და ბავშვების აღზრდით ბებია იყო დაკავებული. იგი ოცნებობდა, რომ ანვარი — ეფენდის შვილი — კაიროს უნივერსიტეტ ალ-აზჰარში მოწყობილიყო, რომლის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთი მეჩეთის შეიხად შეიძლება გაემწესებინათ.

წერა-კითხვა სადათმა ადგილობრივ სკოლაში ისწავლა, დაიზეპირა ყურანის სურები. შემდეგ იგი კოპტების (ქრისტიანთა) სკოლაში მიიყვანეს, რომელიც მოტანსტრის ვადი ან-ნატრუნის მახლობლად მდებარეობდა.

მალე მამა კაიროში გადაიყვანეს. ოჯახიც იქ გადასახლდა.

სკოლაში სადათი ამხანაგებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ განსაკუთრებით აინტერესებდა პოლიტიკა, მაგრამ საბოლოოდ მაინც სამხედრო კარიერა აირჩია.

თავდაპირველად სადათი ვერ მოხვდა აკადემიაში: ექვსი ადგილი სამხედრო მინისტრის ნათესავებისთვის იყო დატოვებული. მაგრამ იმის გამო, ნათესავთაგან ყველა არ ილტვოდა სამხედრო კარიერისკენ, აკადემიაში სწავლის დაწყების 26-ე დღეს სადათი ჩარიცხეს პირველ კურსზე. 1938 წელს იგი ოფიცერი გახდა და მანკაბადში აღმოჩნდა.

იმ დროს მანკაბადში ახალი ბატალიონი გადაიყვანეს, რომლის ოფიცერთა შორის იყო გამალ აბდელ ნასენი. მან იმთავითვე მოიპოვა ოფიცერთა შორის ავტორიტეტი და აღიარება. შეიძლება იმიტომაც, რომ ლაპარაკობდა ცოტას, მაგრამ მის სიტყვებს ყოველთვის ჰქონდა წონა და მას ყურს უგდებდნენ.

სწორედ მაშინ დაიბადა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“...

ნასერი დაუმეგობრდა მანკაბადის ახალგაზრდა ოფიცრებს, მათ შორის, სადათსაც. როცა მანკაბადის დატოვების საშუალება გამოჩნდა, ორივემ მიმართა სარდლობას პატაკით მაადის მეკავშირეთა სკოლაში ჩარიცხვის შესახებ. ათი კვირა მათ ამ კურ-

სებზე ერთად გაატარეს. იქ გაიცნეს ზოგიერთი სხვა თანამოსამსახურე, რომლებიც შეუერთდნენ „თავისუფალ ოფიცრებს". მათი სახელები ქვეყანამ 1952 წლის შემდეგ შეიტყო.

მეკავშირეთა სკოლის დამთავრების შემდეგ ნასერი და სადათი იძულებული გახდნენ, დაშორებოდნენ ერთმანეთს. ნასერი სუდანში მიავლინეს, რომელიც მაშინ ბრიტანეთ-ეგვიპტის კონდომინიმუმში შედიოდა, სადაც 1942 წლამდე დარჩა. სადათი, რომელმაც პროვინციული გარნიზონი დატოვა, დედაქალაქის ცხოვრების მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მანკაბადში ყოფნის პერიოდში ნასერსა და სადათს შორის სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა. პირველს სურდა დამოუკიდებლობის მოპოვების და, ამასთან, ქვეყნის სოციალურ გარდაქმნათა განხორციელების სტრატეგიული გეგმის შემუშავება. მეორე პოლიტიკური ტერორის გამოყენებით ელვისებური მოქმედება სწყუროდა. მათი გეგმები მეორე მსოფლიო ომმა ჩაშალა, რომელიც დაუყოვნებლივ მოედო ჩრდილოეთ აფრიკასაც. რომლის ჯარები სწრაფად უახლოვდებოდნენ ეგვიპტეს. შეიქმნა გაორებული სიტუაცია. ერთის მხრივ, ეგვიპტე ნეიტრალიტეტის მომხრე იყო; მეორეს მხრივ, ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის ჯარი იმყოფებოდა, რომლის ერთ-ერთი ამოცანა გერმანულ-იტალიური სამხედრო ძალების განადგურება იყო, რომელიც აფრიკის კონტინენტზე იყო განლაგებული. ეგვიპტელ მხედართმთავარ და პოლიტიკოსთა უმრავლესობას არ სურდა შეტაკებაში მონაწილეობის მიღება. ბევრს სჯეროდა, რომ ინგლისელები დამარცხდებოდნენ.

სადათმა, რომელიც სწრაფი ცვლილებების მომხრე იყო, გადაწყვიტა ინგლისელთა მძიმე მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. იგი მიიჩნევდა, რომ ინგლისურ კოლონიალიზმზე დამოკიდებულ ეგვიპტელებს ყოველმხრივ მხარი უნდა დაეჭირათ ფაშისტური არმიისთვის და მისალმებოდნენ მის გამარჯვებას. „თავისუფალ ოფიცრებს" ინგლისელები გულზე არ ეხატებოდათ, მაგრამ მათგან არავის ისე ბრმად არ სჯეროდა ფაშისტური გერმანიის დახმარების, როგორც სადათს.

იმ დროს ფრონტზე დრამატული სიტუაცია ჩამოყალიბდა. გერმანელები ელ-ალამეინს მიადგნენ, რომელიც ასიოდ კილომეტრითაა დაცილებული ალექსანდრიას. იმ დროისთვის გერმანიის დაზვერვამ უკვე მოასწრო სადათთან კონტაქტის დამ-

ყარება. მაგრამ მისი აგენტი ჰანს ეპლერი ამხილეს და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად მან გასცა თავისი თანაშემწეები და თანამზრახველები, მათ შორის, ეგვიპტის არმიის კაპიტანი ანვარ სადათი. სადათი დააპატიმრეს. ციხეში იგი გაცხარებით იგონებდა თავის გასასამართლებელ დამაჯერებელ ვერსიებს. დაპირისპირებისას მან არ უარყო ეპლერთან ნაცნობობა, მაგრამ იმასაც ამბობდა, რომ მას იცნობდა, როგორც ბრიტანეთის ჯარების მაიორს — აბრაჰამს. გერმანელი ჯაშუში ამ სახელითაც მოქმედებდა.

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით, იგი ინტერნირებული იქნა ბანაკში, რომელიც 160 კილომეტრით იყო დაშორებული კაიროდან. 1944 წელს, როცა ზედამხედველობა შესუსტებული იყო, იგი ექვს სხვა პატიმართან ერთად გაიქცა. დიდხანს დამალვა არ მოუწია: 1945 წელს გამოიცა ბრძანება დევნის შეწყვეტის შესახებ. იმდროინდელ ეგვიპტეში სამხედრო დანაშაულს მალე ივიწყებდნენ.

არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს სადათმა დაამყარა კავშირი ნასერთან და „თავისუფალ ოფიცრებთან“, რომელთა რიგები უკვე ათას კაცამდე გაიზარდა.

დიდი ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა. რამდენიმე ოფიცერმა ორგანიზაცია „ძმები-მუსლიმების“ აქტივისტებთან ერთად მოაწყვეს ამბოხება ყოფილი ფინანსთა მინისტრის — ამინ ოსმანის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც მან წამოიწყო პარტია „აღორძინების ლიგის“ შექმნა, რომელიც პროინგლისური მიმართულების უნდა ყოფილიყო. თავდასხმიდან ოთხი დღის შემდეგ, 1946 წლის 10 იანვარს, პოლიციას უკვე ხელთ ჰქონდა შეთქმულთა სია, სადაც მეშვიდე ნომრად სადათი ფიგურირებდა.

ორწლინახევრის შემდეგ, მას შემდეგ, რაც გამოძიება და სასამართლო პროცესი დამთავრდა, ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი ციხიდან გაათავისუფლეს. მოგვიანებით იგი დაწერს, თუ რა მძიმე პირობებში იყვნენ პატიმრები ციხეში, სადაც ჰიგიენის ელემენტარული პირობებიც კი არ იყო დაცული (როცა იგი ქვეყნის მეთაური გახდა, გასცა ბრძანება — აეშენებინათ ახალი ციხეები და ეზრუნათ იმისთვის, რომ შეევსოთ პატიმრებით).

იმავე წლებში სადათი იღებს გადაწყვეტილებას, დასცილდეს თავის ცოლს. ქორწინება სოფლელ ნათესავთან ნაადრევი გა-

მოდგა. ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დროს სადათმა დაასკვნა, რომ მას არაფერი აკავშირებს უბრალო, პოლიტიკასთან და ქალაქურ ცხოვრებასთან დაშორებულ ქალთან. უარი თქვა ცოლზე, სამი შვილის დედაზე, რომელიც მისი უტყუარი და ერთგული დასაყრდენი იყო სადათის პატიმრობის წლებში, მაგრამ სულიერად უცხო იყო მისთვის.

სადათმა დაიქირავა პატარა ოთახი კაიროს მახლობლად ჰელუანის პანსიონში. ცხოვრობდა მარტო, დღეებს კითხვაში ატარებდა, ბუნდოვნად წარმოიდგენდა საკუთარ მომავალს.

ერთხელ მოულოდნელმა სტუმარმა დაარღვია მისი მოუწყობელი საცხოვრებლის მყუდროება. ეს იყო ძველი ნაცნობი ჰასან იზათი.

— მოემზადე, — უთხრა მან, — ჩემთან წავიდეთ, სუეცში.

ჰასანმა, რომელიც ვაჭრობდა სუეცში, გადაწყვიტა, ეროვნული გმირის აფიშად გამოეყენებინა სადათი, რომელიც ამინ ოსმანის მკვლელობაში მონაწილეობდა. სადათი აქტიურად ჩაება მეგობრის სავაჭრო ოპერაციებში. მაგრამ აქედან მიღებული მოგების ლომის წილი ჰასანის ჯიბეში მიდიოდა. ბიზნესი აშკარად არ იყო ჯენტლმენური და სადათმა გადაწყვიტა, თავი დაენებებინა მისთვის.

მაგრამ ბედმა ყოფილ ოფიცერს სუეცში სასიამოვნო შეხვედრა აჩუქა. მან გაიცნო ჰასანის ნათესავი, 19 წლის ჯიჰან რაუფი — ნახევრად მალტელი, ნახევრად ეგვიპტელი ქალიშვილი. იმ დროისთვის იგი უკვე ოფიციალურად იყო გაყრილი პირველ ცოლთან და ახალ ქორწინებას არაფერი წინ გადაეღობებოდა. 1949 წლის მაისში ისინი დაქორწინდნენ. ახალგაზრდა ცოლმა სადათს ოთხი შვილი აჩუქა.

მალე სადათმა ჟურნალ „ალ-ჰილიალში“ დაიწყო თანამშრომლობა. მან რედაქციას შესთავაზა თავისი დღიური, რომელსაც ციხეში ყოფნის დროს წერდა. ხელნაწერი გამოაქვეყნეს. რამდენიმე თვის შემდეგ სადათს საჟურნალო საქმიანობა მობეზრდა. იგი კვლავ ეძებს ახალ ასპარეზს და კვლავ ჰასან იზატი გამოუჩნდება დამხმარება. ამჯერად მან ივალდებულა შარკიიას საგუბერნატოროს 52 სოფელში წყალსადენის გაყვანა. ამ დავალების შესრულება დაევალა სადათს, რომელიც ამ ბიზნესპროექტის სარეალიზაციოდ პროვინციაში გადასახლდა. მაგრამ კომპანიონ-

სადათი აღლუმზე

მა ამჯერადაც მოატყუა იგი. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ახსნა ეს მოვლენები სადათმა თავის ბიოგრაფიაში.

სადათს აშკარად სჭირდებოდა მფარველი... და ისიც გამოჩნდა დოქტორ იუსუფ რაშადის სახით. მათ სამხედრო სამსახური და ძველი მეგობრობა აკავშირებდა. ამ წლების მანძილზე რაშადმა მნიშვნელოვნად წაიწია სამსახურებრივ კიბეზე: მეფე ფარუკის პირადი ექიმი გახდა და, როგორც ამბობდნენ, მონარქის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა.

1950 წლის იანვარში, როცა სასამართლომ არ მიიღო პროკურორის ბრალდება სადათის საქმეზე, მან მიმართა რაშადს თხოვნით, დახმარებოდა სამხედრო სამსახურში დასაბრუნებლად. რამდენიმე დღეში ექიმმა თავისი მეგობარი ეგვიპტის სამხედრო ძალების მინისტრთან გააგზავნა. როგორც კი შევიდა სადათი კაბინეტში, მინისტრმა ლანძღვა-გინება დაატეხა თავს: „შე მეამბოხევ! არა გრცხვენია? როგორ იქცევი?“ მასპინძლის მრისხანება რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდეგ მთავარსარდალი დაწყნარდა, გამოიძახა მდივანი და უკარნახა ბრძანება 1950 წლის 15 იანვრიდან კაპიტან ანვარ სადათის სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის შესახებ. ანუ — აუდიენციის დღიდან.

საბრძოლო საძმოში დაბრუნება პირველმა ნასერმა მიულოცა. მან მოკლედ მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა ვითარება იყო

ორგანიზაციაში და სთხოვა, ჯერჯერობით მონაწილეობა არ მიეღო „თავისუფალი ოფიცრების“ საქმიანობაში, რადგან ეშინოდა, რომ მის მეგობარს, შესაძლოა, ფარულად უთვალთვალებდნენ. ოფიცრებმა, ვისთან ერთადაც სადათმა სამსახური დაიწყო, დიდი ხნის წინათ მიიღეს მაიორისა და ვიცეპოლკოვნიკის წოდებები. ორგანიზაციის წევრები დაეხმარნენ სადათს მორიგი წოდების მისაღებად გამოცდების ჩაბარებაში. ამ საქმეში თავისი წვლილი ექიმ რაშიდსაც მიუძღვის. მალე სადათი ვიცეპოლკოვნიკი გახდა.

იგი გულით ემადლიერება ექიმს დახმარებისთვის. უფრო მეტიც, ამყარებს მასთან ახლო ურთიერთობას. თუმცა ამის შესახებ იცის მხოლოდ ნასერმა, რომელიც იწონებს მათ მეგობრობას, რადგან ამ ურთიერთობას აღიქვამს, როგორც ინფორმაციის მიღებითა და შეთქმულთათვის საჭირო დეზინფორმაციის გავრცელების შესაძლო არხს.

სამეფო ეგვიპტე გარდუვალ ფინალს უახლოვდებოდა. ქვეყანაში ჯერ კიდევ იმყოფებოდა 80 ათასი ინგლისელი ჯარისკაცი, რაც განუწყვეტლივ ასხამდა წყალს ნაციონალურ განწყობილებათა წისქვილზე. დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა ბრიტანელთა ჯარების გაყვანისა და სუეცის არხის ეგვიპტელებისთვის გადაცემის საკითხი.

ღრმავდებოდა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. „თავისუფალი ოფიცრები“ ფიქრობდნენ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაზე დასახული მიზნების მისაღწევად. მაგრამ ნასერი არ ჩქარობდა. იგი მოითხოვდა ოპერაციის გულდასმით მომზადებას. გადატრიალება 1952 წლის ნოემბრისთვის იგეგმებოდა. მაგრამ მოვლენები, როგორც ეს ისტორიაში ხდება, არაჩვეულებრივი სისწრაფით განვითარდა.

1952 წლის ივლისისათვის „თავისუფალი ოფიცრები“ უკვე მზად იყვნენ გადამწყვეტი მოქმედებისთვის. მაგრამ მათი გამოსვლა საშემოდგომოდ იყო დაგეგმილი. ამ დროს ექიმი რაშადი ატყობინებს სადათს, რომ მეფე ფარუკს აქვს საუძვლიანი ეჭვი, რომ ქვეყანაში მზადდება გადატრიალება და კონტრზომებსაც იღებს.

16 ივლისს ორგანიზაციის კომიტეტი შვიდი კაცის შემადგენლობით, რომლის სათავეში ნასერი დგას, გადაწყვეტს, დაასწროს მეფეს და განახორციელოს დაგეგმილი გადატრიალება. 20

ივლისს ორგანიზაციის წევრმა ოფიცრებმა მიიღეს ბრძანება: სადილის შემდგომ და ღამის საათებში თავი მოიყარონ დათქმულ ადგილებში.

იმ დღეებში სადათი სინას ნახევარკუნძულზე იმყოფებოდა, ელ-არიშის აეროდრომზე. მან მიიღო ბრძანება კაიროში დაბრუნების შესახებ, რადგან გადატრიალება უნდა მომხდარიყო 22 ივლისისა და 5 აგვისტოს შუა პერიოდში.

ჩავიდა კიდეც კაიროს რკინიგზის სადგურში მაგრამ იქ მას არავინ დახვდა და იძულებული იყო, შინ წასულიყო. საღამოს 5 საათზე იგი ოჯახთან ერთად უახლოეს კინოთეატრში მიდის. დაბრუნებისთანავე შეიტყობს, რომ ორჯერ მიაკითხეს.

გადატრიალება დანიშნულია 23-ში, გამთენიისას. სადამს ევალებოდა, 23:00 საათზე ყოფილიყო აბდელ ჰაკიმ ამურის ბინაში, რომელიც რევოლუციის შემდგომ მარშალი და ეგვიპტის სამხედრო მინისტრი გახდება.

სადათმა ამერისკენ გასწია, მაგრამ იგი შინ არ დახვდა. გადატრიალება დაიწყო. სადათი შეეცადა, ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში შეეღწია, სადაც იცოდა, რომ შეთქმულთა ერთ-ერთი საიდუმლო პუნქტი იყო. მაგრამ პატრულს გადაეყარა. სამხედრო აკადემიის მხრიდან ომის გრუხუნი მოესმა და მანქანა იქით მიმართა, მაგრამ იქაც პატრულმა გააჩერა. სადათი ამხანაგებს მხოლოდ მაშინ შეუერთდა, როცა გამარჯვება აშკარა იყო.

ნასერის ეპოქა ეგვიპტეში დადებითი პროგრესული მოვლენებით გამოირჩეოდა. მაგრამ მას შიდა წინააღმდეგობები, დრამები, პირადი კონფლიქტები, უკან დახევა, ღალატიც ახასიათებდა. თხუთმეტი წელიწადი ორი სამხედრო მარცხით, ასევე, არაბული ერთიანობის ვერმიღწევით იყო დამძიმებული. ამ პერიოდში მემარცხენე განწყობილების მოღვაწენი ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს.

სადათი ნასერის პერიოდში ყველაზე უფრო შეუმჩნეველი ადამიანი იყო ეგვიპტის ხელმძღვანელობაში. მის ავტობიოგრაფიას თვითგანდიდების ნადები რომ მოვაცილოთ, ძნელი დასადგენი გახდება, როდის გადაწყვიტა „ცხედრების გადავლით“ ქვეყნის სათავეში მოქცევა. თანამზრახველები ვერ აფასებდნენ მომავალი პრეზიდენტის ეშმაკობასა და ტაქტიკურ ნიჭს, მის უნარს, საჭირო დროს გამოეხატა წყენა ან გულგრილი დარჩენილიყო.

1953 წლის დასაწყისში „თავისუფალი ოფიცრების“ ძველმა, ნაცადმა ხელმძღვანელებმა სახელმწიფოს წამყვანი თანამდებობები დაიკავეს. მხოლოდ სადათი დარჩა მინისტრის პოსტის გარეშე. პასუხად მან მოითხოვა უცხოური პასპორტი, რათა ოჯახთან ერთად ლიბანში გადასახლებულიყო. ჯერ ამერმა, შემდეგ თვით ნასერმა ურჩიეს, არ გადაედგა ასეთი ნაბიჯი. ბოლოს და ბოლოს იგი დაჰყვა მეგობრების დაჟინებულ მოთხოვნას. მისი დათანხმება, ალბათ, არც იყო ძნელი.

სადათი წინა პლანზე დარჩა, მაგრამ — მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლად. 1953 წელს მან დაიწყო გაზეთ „ალ-გუმჰურიას“ („რესპუბლიკა“) გამოცემა. ეს გაზეთი კაიროში „მეორე ვიოლინოდ“ იყო მიჩნეული, რადგან ნასერის ხელმძღვანელობის ოფიციალურ ორგანოდ „ალ-აჰრამი“ ითვლებოდა. სადათი ზოგჯერ მოწინავე წერილებს წერდა, ფერებს არ იშურებდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ ფოსტერ დალესის გასაკრიტიკებლად, რომელიც „ცივი ომის“ მამად იყო აღქმული, ან მისი ძმის — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ალენ დალესის გამათრახებისას.

1954 წლის სექტემბერში სადათს მინისტრის სავარძელი შესთავაზეს, მაგრამ მხოლოდ „უპორტფელო მინისტრისა“. 1955 წლის დასაწყისში კი იგი დანიშნეს ისლამური სამყაროს ლიგის გენერალურ მდივნად. ამ პოსტზე მუშაობისას იგი ხშირად მიემგზავრებოდა სხვა ქვეყნებში, უმთავრესად, ერაყსა და იორდანიაში, რათა ხელი შეეშალა ბაღდადის პაქტის ჩამოყალიბებისთვის.

1956 წლის სუეცის ომის შემდეგ ნასერმა სახალხო კრების არჩევნები ჩაატარა. პრეზიდენტმა პარლამენტის თავმჯდომარედ თავიდან სადათი წამოაყენა, მაგრამ მეორე დღეს ამ პოსტზე აბდელ ლატიფ ალ-ბაღდადი დაამტკიცეს, სადაც თავმჯდომარის მოადგილეობა შესთავაზეს.

1959 წელი სადათისთვის პოლიტიკური წარმატების წელიწადი იყო: იგი აირჩიეს მასობრივი ნასერული ორგანიზაციის — ეროვნული კავშირის გენერალურ მდივნად. შემთხვევითი იყო თუ არა, მაგრამ ეს დანიშვნა დაემთხვა ნასერის გამოსვლას კაიროს მოედან აბდინზე, როცა პრეზიდენტმა მტრული გამოხდომის უფლება მისცა თავის თავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცოტა ხნით ადრე მოსკოვმა გააკრიტიკა ეგვიპტის ხელმ-

ანვარ სადათი და აშშ-ის პრეზიდენტი გერალდ ფორდი

ძღვანელობა ქვეყნის პროგრესულ მოღვაწეთა დაპატიმრების გამო. მალე ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დალაგდა, მაგრამ სწორედ ამ მომენტიდან დაცილდა ერთმანეთს ნასერისა და სადათის გზები.

მომავალმა პრეზიდენტმა დატოვა გენერალური მდივნის პოსტი და გაემგზავრა გვინეის დედაქალაქ კონარკიში აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციაზე ეგვიპტის დელეგაციის ხელმძღვანელად. კამათთან და გადადგომასთან დაკავშირებულმა მღელვარებამ, აგრეთვე, უჩვეულო კლიმატმა მისი ჯანმრთელობა შეარყია — 42 წლის სადათს ინფარქტი დაემართა.

იგი კაიროში ჩამოიყვანეს. ნასერი ხშირად მოინახულებდა ავადმყოფს, წუხდა, მის გამო ხომ არ დაემართა ინფარქტი სადათს. ჩანს, რომ ამ დროს მათი ურთიერთობა გაუმჯობესდა, თანაც იმდენად, რომ 1960 წელს ნასერმა წინადადება დააყენა, აერჩიათ სადათი გაერთიანებული არაბეთის რესპუბლიკის, ანუ ეგვიპტისა და სირიის საერთო პარლამენტის თავმჯდომარედ.

60-იან წლებში ეგვიპტეში განხორციელდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური რეფორმები, ქვეყანა არაკაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა. წიგნში „საკუთარი თა-

ვის ძიებაში“ სადათი შეეცადა, სინათლე მოეფინა იმ პერიოდის კულისებსმიღმა მიმდინარე მოვლენებისთვის. მისი აზრით, ნასერი სუსტი ხელმძღვანელი გამოდგა, რომელიც პარტიის ხან მემარცხენე, ხან მემარჯვენე მიმართულებებს აწყდებოდა, ხშირად ცუდი მრჩევლების გავლენის ქვეშ ექცეოდა.

კარგადაა ცნობილი, რა როლი ითამაშა ნასერმა ეგვიპტის ბედში. ამის შესახებ ბევრია ნათქვამიც და დაწერილიც. მაგრამ, აი, სადათი იღებს კალამს ხელში და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებიდან აღარაფერი რჩება. თურმე ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრების“ შემქმნელი და ფეხზე დამყენებელი ყოფილა არა ნასერი, არამედ... მემუარების ავტორი. ეგვიპტის რევოლუციას სხვა ვინმე კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ — იგივე სადათი.

თუ ერთხელ გაუტევ, შემდეგ შეჩერება ძნელია. **ეგვიპტის რევოლუციის თავის თარგზე გადაწერით სადათმა საკუთარი როლი წარმოაჩინა და, ამასთან ერთად, შარავანდედი მოაცილა ნასერის მოღვაწეობას, ჩრდილი მიაყენა ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. და სრულიად დამახინჯებულად წარმოადგინა იმ პერიოდის სსრკ-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორია.**

1969 წლის 19 დეკემბერი სადათისთვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღირსშესანეიშნავ თარიღად იქცა. ნასერი მაროკოში, არაბეთის ქვეყნების მეთაურთა თათბირზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. მან მიიწვია სადათი და განუცხადა:

— არ მინდა ჩემ შემდეგ ვაკუუმის დატოვება... ზეგ მივემგზავრები. გადავწყვიტე, ვიცეპრეზიდენტად დაგნიშნო.

— არ მინდა ვიცეპრეზიდენტობა. ჩემთვის საკმარისია შენს გვერდით მუშაობა. მაგრამ, თუ გინდა, რომ პოსტი მქონდეს, პრეზიდენტის მრჩევლად დამნიშნე.

ინსტიქტური თავმდაბლობით ხელმძღვანელობდა სადათი თუ თვალთმაქცობდა, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ამ უარმა იმოქმედა ნასერზე: სადათი ვიცეპრეზიდენტად დაინიშნა და ოფიციალური ფიცი დადო.

1970 წლის 28 სექტემბერს სადათს სადილისშემდგომი ძილი დაურღვიეს. გააღვიძეს და ნასერთან დაუყოვნებლივ გამგზავრება სთხოვეს. ექიმებმა აცნობეს, რომ მათ ყველაფერი, რაც შეეძლოთ, გააკეთეს, მაგრამ ნასერს ვერ უშველეს...

იმ დროისთვის კაიროსა და ვაშინგტონს შორის ჯერ კიდევ არ

იყო აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა. მაგრამ აშშ-ის ადმინისტრაციამ ნასერის დაკრძალვაზე დასასწრებად მიავლინა ვაჭრობის ყოფილი მინისტრი ე. რიჩარდსონი. ვაშინგტონში რომ დაბრუნდა, მან აშშ პრეზიდენტს მაგიდაზე დაუდო საინფორმაციო-ანალიტიკური წერილი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ქვეყნის მეთაურის პოსტს დაიკავებდა სადათი, მაგრამ არა უმეტეს ექვსი-რვა თვისა.

ამავე აზრისა იყო აშშ პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი ჰენრი კისინჯერიც. შემდგომში თავისი შეცდომების რიგში იგი სადათის შეუფასებლობასაც მოიხსენიებს. მაშინ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეგვიპტის ახალი ლიდერი მას „ჰენრი საყვარელოს“ დაუძახებს.

ეგვიპტეს ახალი პრეზიდენტი სჭირდებოდა. სამხედრო ხელმძღვანელობასა და არმიას ამ მძიმე დღეებში — ახალი მთავარსარდალი. მეგობარ არაბულ ქვეყნებშიც არ მალავდნენ, რომ მათ სურდათ, რაც შეიძლება მალე ეხილათ ეგვიპტის სათავეში ახალი პრეზიდენტი.

სადათის პირადი პრესტიჟი იმ დროს დაბალი იყო. კაიროში ლაპარაკობდნენ, რომ შავი ხალი მის შუბლზე სულაც არ არის ისლამის ერთგულების ნიშანი, როგორც თვითონ ამბობდა, არამედ იმის დასტურია, რომ მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე იგი პირველი და გადამეტებული მონდომებით ხრიდა თავს, თანხმობას ნიშნავს. ამერიკულმა ჟურნალმა „ნიუსუიკმა“ სადათს „ნასერის ოთახის გოშია“ უწოდა. თვითონ კი ავტობიოგრაფიაში წერდა, რომ იყო „ის ადამიანი, რომელიც არ ეკამათებოდა და ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტს“.

ბევრი გავლენიანი და მსხვილი პოლიტიკური მოღვაწე სადათს კომპრომისულ გადაწყვეტილებად მიიჩნევდა: **იგი იყო ის ადამიანი, რომელსაც გარკვეული დროით ვაკუუმის შევსება შეეძლო. ვარაუდობდნენ, რომ შეძლებდნენ ჩრდილში დარჩენას და ახალი პრეზიდენტის მართვას.** ზოგიერთს ყურადღებიდან არ რჩებოდა მისი სუსტი ჯანმრთელობაც, გადატანილი ინფარქტი, ყველასთვის ცნობილი მუშაობის ზანტი ტემპი, გულის წასვლა ნასერის დამარხვის დროს. ფიქრობდნენ, რომ მისი პოლიტიკური და ფიზიკური სიცოცხლე მოწინააღმდეგისაზე მოკლე იქნებოდა.

საინტერესოა, რომ სადათი უარობდა პრეზიდენტობას. მას

არა მარტო სთხოვდნენ, — ევედრებოდნენ! ბოლოს და ბოლოს დათანხმდა. მოიწვიეს არაბეთის უმაღლესი სოციალისტური კავშირის ორგანო, რომელსაც ოფიციალურად უნდა წამოეყენებინა ქვეყნის მეთაურის კანდიდატურა. დებატების მსვლელობისას, აზრი ორად გაიყო: უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სადათს, მაგრამ ბევრმა თავი შეიკავა ან გამოთქვა სურვილი, შეენარჩუნებინათ შექმნილი ვითარება, ანუ ვიცეპრეზიდენტი, რომელიც დროებით შეასრულებდა სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას.

— თუ ჩვენ შენს კანდიდატურას წამოვაყენებთ, ხალხი კი მხარს არ დაგიჭერს, — ეუბნებოდნენ სადათს, — შენს თავმოყვარეობას ლახვარი ჩაეცემა. ხალხი კი თავისი ამ ნაბიჯით 23 ივლისის იდეებს გაემიჯნება.

სწორედ ამ მომენტში უკუაგდო სადათმა თავმდაბლობის ნარჩენები:

— თუ ხალხი მხარს არ დამიჭერს, წარვუდგინოთ მეორე, მესამე კანდიდატურა, მაგრამ შევინარჩუნოთ 23 ივლისის იდეების ერთგულება.

ძნელია გარდაცვლილის (თუნდაც ცოცხალი) ადამიანის ფარულ განზრახულობათა გაშიფვრა, მაგრამ უეჭველია ერთი რამ: პრეზიდენტობისთვის რომ ემზადებოდა, სადათმა განსჭვრიტა ყველაფერი უკანასკნელ ნაბიჯამდე.

1970 წლის 15 ოქტომბერს მუჰამედ ანვარ სადათი, ნასერის გარდაცვალებიდან 17 დღის შემდეგ, ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა.

ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობაში მალე პირველი კამათი დაიწყო. სადათი, ახლა უკვე პრეზიდენტის რანგში, ცდილობდა ახალი შეფერილობა მიეცა თავისი კურსისთვის. საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში იგი შთამბეჭდავი შედეგებით ვერ დაიტრაბახებდა: იმ დროს ახლო აღმოსავლეთში „ჩუმი დიპლომატიის“ ხანა დადგა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ასევე შეუსრულებელ მიზნებად რჩებოდა.

მალე ახალი პრეზიდენტი მიხვდა, რომ შექმნილ პირობებში ერთი, ყველასთვის შესამჩნევი, ასპარეზი რჩებოდა, სადაც იგი თავის გამოჩენას შეძლებდა: არაბული ერთიანობა. სადათმა მოლაპარაკებები დაიწყო სირიისა და ლიბიის კოლეგებთან. მათ

სხვადასხვაგვარად აღიქვეს ეგვიპტის ლიდერის ინიციატივა, მაგრამ ერთიანობისკენ მოწოდება არაბულ სამყაროში არასოდეს ეცემოდა უნაყოფო ნიადაგზე.

ერთდროულად პრეზიდენტს საზოგადოებრიობის ყურადღება სხვა რამეზე გადააქვს. იგი განაცხადებს, რომ „ომისა და მშვიდობის თვალსაზრისით, 1971 წელი გადამწყვეტი იქნება“. ეგვიპტეშიც და სხვა ქვეყნებშიც ბევრმა დაიჯერა, რომ სადათს ხელში ეჭირა საიდუმლო კოზირი. მის სახელს ყველა იმეორებდა. „გადამწყვეტ წელიწადში“ იგი მიმართავს არაბეთის სოციალისტური საბჭოს აღმასკომს და მიიღებს ნდობის ვოტუმს.

მაგრამ კომპრომისების პერიოდი მალე მთავრდება. ეგვიპტის ხელმძღვანელობაში იწყება ბრძოლა ძალაუფლებისთვის. **სადათმა ეშმაკობით აჯობა მოწინააღმდეგეებს. შედეგად საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა 91 ადამიანი, მათ შორის, ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, რვა მინისტრი, სახალხო კრების ყოფილი თავმჯდომარე, ნასერის თანამებრძოლთა უმრავლესობა.**

„გადამწყვეტ წელთან“ დაკავშირებით რა მოხდა? არაფერი. პრეზიდენტის განცხადებები ბლეფი აღმოჩნდა. იგი „გადამწყვეტი წლის“ ნაცვლად „გადაწყვეტილებების წელზე“ იწყებს ლაპარაკს.

რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი სადათი აშშ-თან დასაახლოებელი ნაბიჯების გადადგმას იწყებს. **თეთრი სახლის მოკავშირედ სურვილის დემონსტრაციის მიზნით, 1972 წელს იგი ქვეყნიდან გაასახლებს საბჭოთა სპეციალისტებსა და სამხედრო მრჩევლებს იმ მოტივით, რომ მათ უკვე მოიხადეს თავიანთი „ინტერნაციონალური ვალი“. ეს გადაწყვეტილება ამერიკის ადმინისტრაციამ აღიქვა, როგორც „კიდევ ერთი მოწოდება ამერიკელებისადმი დახმარების აღმოსაჩენად“, პრეზიდენტმა ნიქსონმა კი სადათისადმი გაგზავნილ კონფიდენციურ მიმართვაში შეაფასა, როგორც „მნიშვნელოვანი ნაბიჯი“ ორმხრივი დიალოგის დასაწყებად.** ეს ფაქტორი დაემთხვა 70-იან წლებში აშშ-ის გააქტიურებას ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ეგვიპტიდან საბჭოთა კავშირის გამოძევებასაც გულისხმობდა, კაიროს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის გზით. აქ იგულისხმებოდა აგრეთვე, ეკონომიკის „გახსნისა“ და „ლიბერალიზაციის“ წახალისება კერძო და უცხოური კაპიტალის წინაშე, შიდა სტრუქტურის ორგანიზება დასავლური წე-

სის მიხედვით, ეგვიპტეში ამერიკული ბიზნესისთვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, უმსხვილესი არაბული ქვეყნის ისრაელთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისკენ წარმართვა, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამერიკას ჰქონდა ნაკისრი, ეგვიპტის ტერიტორიის სამხედრო პლაცდარმად გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ მეზობელ ქვეყნებსა და ახლომდებარე რაიონებში გამწვავდებოდა მდგომარეობა.

თავის მხრივ, **სადათი იმედოვნებდა, რომ, პირველი, ვაშინგტონიდან მიიღებდა ეკონომიკურ „ინიექციებს“ ქვეყნის ეკონომიკაში უძრაობის აღმოსაფხვრელად; მეორე, ვარაუდობდა ამერიკელების ისრაელზე გავლენის გამოყენებას, აღთქმული ქვეყნის მიერ 1967 წლის ივნისში ოკუპირებული სინას ნახევარკუნძულის დასაბრუნებლად.**

ამ პერიოდში ეგვიპტის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული თითოეული განცხადების ანალიზით, ვაშინგტონში ასკვნიდნენ, რომ „სადათს აშშ-თან გარიგება სურს“. პირისპირ პირველივე საუბრის დროს, რომელიც კაიროში სადათსა და აშშ სახელმწიფო მდივან ჰენრი კისინჯერს შორის გაიმართა, მხარეებმა დაასკვნეს, რომ „მეგობრები“ უნდა გახდნენ და ახლო აღმოსავლეთში „საერთო სტრატეგია“ განახორციელონ. ამერიკელებმა დაასკვნეს, რომ სადათთან ლაპარაკი შეიძლება.

უეჭველია, რომ **ვაშინგტონისა და კაიროს დაახლოება ამერიკული პირობების საფუძველზე განხორციელდა. ამიტომ იყო, რომ სადათს პოლიტიკური მხარდაჭერა და ეკონომიკური დახმარება აღუთქვეს, რომლის მეტ-ნაკლებობას განსაზღვრავდა აშშ-ის სამხერო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ მისწრაფებათა რეალიზაციის საქმეში სადათის მონდომება და თავის გამოდება.**

რა თქმა უნდა, აშშ-მა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სადათმა დაიწყო თავისი ქვეყნის ეკონომიკის „ლიბერალიზაცია“ და ორიენტაციის შეცვლა დასავლეთის მიმართულებით. პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც ნასერის დროს დაიწყო, შეჩერდა და დავიწყებას მიეცა. ადგილობრივ კერძო და უცხოურ კაპიტალს ეკონომიკის ყველა სფეროში თავისუფლად მოქმედების სრული შესაძლებლობა მიეცა. გამოიკვეთა სადათის მისწრაფება სსრკ-ეგვიპტის ურთიერთობათა და ორმხრივი თანამშრომლობის ჩაშლის შესახებ.

ახლოვდებოდა 1973 წელი — არაბეთ-ისრაელის მორიგი ომის დაწყების წელიწადი. ეს ომი 6 ოქტომბრის 13 საათსა და 30 წუთზე (კაიროს დროით) სუეცის არხის ნაპირზე 1.650 საარტილერიო დანადგარის ზალპით დაიწყო.

სადათმა ისრაელისგან მორიგი დამარცხება იწვნია. თუმცა ეგვიპტეში მას „ომის გმირი“ უწოდეს. საინტერესოა, რომ მის დროს ამ ომის ისტორია არაერთგზის გადაწერეს, რა თქმა უნდა, სადათის სასარგებლოდ.

„ოქტომბრის ომის“ შემდეგ აშშ იწყებს ახლოაღმოსავლეთის რეგიონში თავისი სტრატეგიის ახალი ეტაპის განხორციელებას. აქცენტი კეთდება არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე. შედეგად 1974 წლის იანვარში ხელი მოაწერეს პირველ შეთანხმებას ეგვიპტის, სირიისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების შესახებ. 1975 წლის სექტემბერში კი ხელი მოაწერეს მეორე შეთანხმებას, რომელმაც დიდი ნაპრალი გააჩინა არაბულ სამყაროში, რადგან ამჯერად ამ შეთანხმებაში არ მონაწილეობდა სირია. სეპარატისტული შეთანხმებებისთვის გზა გაიხსნა.

1975 წელს ეგვიპტისთვის ამერიკის ეკონომიკური დახმარების მოცულობამ 370 მილიონ დოლარს მიაღწია. დოკუმენტში, რომელიც ამასთან დაკავშირებით 1975 წლის სექტემბერში მიიღო აშშ-მა, ვაშინგტონმა პირველად ოფიციალურად დაადასტურა, რომ პოლიტიკურ დახმარებას გაუწევს ეგვიპტეს „ეკონომიკური განვითარების საქმეში“. ეს გადაწყვეტილება უშუალოდ იყო დაკავშირებული აშშ-ის ზემოქმედებით სინას ნახევარკუნძულზე ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერასთან.

სადათი ბევრ პოლიტიკურ დათმობაზე მიდიოდა, მალე იგი დაეთანხმა შეერბილებინა ისრაელის ბოიკოტი და შეეწყვიტა ანტიისრაული პროპაგანდა. შემდეგ ამერიკელებს პირობა მისცა, რომ, თუ ისრაელსა და სირიას შორის ომი დაიწყებოდა, ეგვიპტე ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა. ეს ერთობლივი თავდაცვის არაბთაშორის პაქტის უხეში დარღვევა იყო. ცოტა ხნის შემდეგ მან ამერიკელი მეგობრები დაარწმუნა, რომ ისრაელთან შემდეგი შეთანხმება უნდა იყოს „საბოლოო და სამშვიდობო“. 1976 წელს სადათმა მიიჩნია, რომ საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდა, რომ აშკარად გაეწყვიტა ურთიერთობა

საბჭოთა კავშირთან. თებერვალში მოახდინა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის 27 მაისის ხელშეკრულების დენონსირება. ასეთი მოქმედება, აგრეთვე, ეგვიპტის სეპარატისტული შეთანხმებანი ისრაელთან სათანადოდ დააფასა ამერიკის ადმინისტრაციამ. სადათმა აშშ-ის დახმარების ახალი სოლიდური წილი — 900 მილიონი დოლარი მიიღო, აქედან 222 მილიონის ღირებულების სურსათი იყო.

ასეთი ფინანსური თანადგომის შემდეგ სადათის ლექსიკონში გაჩნდა გამოთქმა: **„ახლოაღმოსავლეთის მოწესრიგების ყველა კოზირი აშშ-ის ხელთაა“.** მალე იგი თეთრ სახლს ეახლა. ამერიკელები მიესალმნენ ასეთ შემობრუნებას, რადგან ეგვიპტის პრეზიდენტის ამგვარი პოზიცია სრულად ესადაგებოდა ვაშინგტონის მიერ დასახული „სეპარატისტული დარეგულირების“ კურსს.

მაგრამ სადათი შეცდა. ეს ყველაფერი უკვე იყო მრავალჭირგადანახადი ეგვიპტელი ხალხის ისტორიაში: უცხოური კაპიტალისთვის ფართოდ გაღებული კარები, ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან. სადათისეულმა „ღია კარის“ პოლიტიკამ და „ეკონომიკის ლიბერალიზაციამ“ ეგვიპტე დასავლეთის მუდმივ მოვალედ აქცია.

70-იანი წლების მეორე ნახევარში ეკონომიკურმა დეგრადაციამ ნილოსზე ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ საზოგადოების ყველა ფენა მიხვდა: ასე გაგრძელება შეუძლებელია. შეშფოთებული იყვნენ სადათის ამერიკელი მფარველებიც.

1977 წლის იანვარი. სახელმწიფოდოტაციების შემცირებამ, რომლებიც ეგვიპტელებს საშუალებას აძლევდა რამდენიმე პიასტრით დღედღეზე გაეტანათ, გამოიწვია მრავალათასიანი დემონსტრაციები კაიროში, ალექსანდრიაში, სუეცში, ასუანში, ჰელუანსა და სხვა ქალაქებში. სამი დღე განუწყვეტლივ გრძელდებოდა სახალხო პროტესტი. 600-ზე მეტი დაჭრილი და მოკლული, 3.000 დაპატიმრებული და — დოტაციები შეინარჩუნეს.

კორესპონდენტები, რომლებიც 70-იანი წლების მეორე ნახევარში ეგვიპტეში მუშაობდნენ, ხუმრობდნენ: ახლოაღმოსავლეთის კრიზისიდან გამოსვლის ორი გზა არსებობს: ერთი უფრო რთულია, რადგან სჭირდება კონფლიქტის მოგვარებაში დაინტერესებული ყველა ქვეყნის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილება, აგრეთვე, ისეთი კომპრომისის მიღწევა, რომელიც ყველას-

თვის იქნება მისაღები. მაგრამ არის მეორე, უფრო იოლი ვარიანტი — სასწაული.

ეგვიპტის პრეზიდენტს სწორედ სასწაულის იმედი ჰქონდა.

1977 წლის 9 ნოემბერს სადათი სახალხო კრების ტრიბუნასთან დადგა. დეპუტატმა და სტუმრებმა, რომელთა შორის პალესტინის ლიდერი იასირ არაფატიც იყო, მოთმინებით მოისმინეს პრეზიდენტის პანეგირიკი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციისა და ამ რეგიონში მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობის შესახებ:

— მე მზად ვარ, გავიარო ნებისმიერი გზა, — თქვა სადათმა, — რათა თითოეულ ეგვიპტელ ჯარისკაცს ავაცილო სისხლისღვრა. მე მზად ვარ, მშვიდობის მოსაპოვებლად წავიდე თუნდაც ქვეყნის დასალიერში.

ამ სიტყვების შემდეგ მან გადადო მომზადებული ტექსტი და დაამატა:

— მე მზად ვარ, იერუსალიმშიც კი წავიდე, რათა იქ კნესეტის დეპუტატებს ვუამბო ფაქტები და ვაცნობო ჩვენი თვალთახედვა.

19 ნოემბერს ეგვიპტის პრეზიდენტი სამდღიანი ვიზიტით ისრაელში ჩავიდა.

ოფიციალური ბიულეტენები სავსე იყო ცნობებით იმის შესახებ, თუ რამდენჯერ მოიწმინდა შუბლიდან ოფლი სადათმა მეჩეთში ლოცვისას. დაიანი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც იგი სახელით მიმართავდა — მოშე. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა გოლდა მეიერს, რომელმაც ამერიკაში ვიზიტი შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა ეგვიპტის პრეზიდენტთან შესახვედრად. სადათი ყოფილ პრემიერ-მინისტრს ჯერ „ქალბატონს“ ეძახდა, მაგრამ მეორე დღესვე გაუშინაურდა და „ბებია“ დაუძახა: სადათმა შეიტყო, რომ გოლდას ქალიშვილმა შვილიშვილი გაუჩინა ქალბატონ მეიერს.

ისრაელში სადათის ვიზიტის უმნიშვნელოვანეს მომენტად იქცა მისი გამოსვლა კნესეტში. მისი სიტყვა მშვიდობის მოთხოვნით იყო სავსე. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, თუ სად და როგორ წარმოთქვა თავისი ეს სიტყვა ეგვიპტის პრეზიდენტმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრ ჟურნალისტს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იერუსალიმში სადათი იულიუს კეისრის მაგალითით მოქმედებდა — მივედი, ვნახე, გავიმარჯვე... მაგრამ ის-

რაელის მაშინდელი პრემიერ მინისტრი მენაჰემ ბეგინი კეისარზე კი არ ფიქრობდა, არამედ ისრაელის ინტერესებზე. ამიტომ იყო, რომ თავის საპასუხო სიტყვაში, რბილად რომ ვთქვათ, ეგვიპტის პრეზიდენტი თავის ადგილზე მოსვა.

მეორე შეხვედრის დროს, რომელიც 1977 წლის დეკემბერში ქალაქ ისმაილიაში გაიმართა, სადათის დაბადების დღეს, მან სიტყვა შეაწყვეტინა ბეგინს:

— საკმარისია! რამდენ ხანს უნდა ვუძახოთ ერთმანეთს „ბატონო პრეზიდენტო", „ბატონო პრემიერ-მინისტრო". ამ წუთიდან მე შენთვის ანვარი ვარ, შენ კი, თუ ნებას დამრთავ, მენაჰემი.

ჯერ კიდევ იერუსალიმში ვიზიტისას ბეგინმა სადათს საჩუქრად მიართვა ჰალსტუხი. მომდევნო შეხვედრის დროს ისრაელის მთავრობის თავმჯდომარემ კიდევ ერთი გადასცა. მაგრამ ეგვიპტის პრეზიდენტს ბეგინთან შეხვედრისას ყოველთვის ის პირველი „იერუსალიმური" ეკეთა.

სადათი იერუსალიმში კი ჩავიდა, მაგრამ სასწაული არ მომხდარა... შეხვედრას ათთვიანი „ადგილზე მიწის დინამიური ტკეპნა" მოჰყვა — ახალი მოლაპარაკებები სხვადასხვა დონეებზე და არავითარი შედეგი...

1978 წლის ივლის-აგვისტოში აშკარა გახდა, რომ სასწაული არ მოხდებოდა. კვლავ დაიწყო ურთიერთსაყვედურები, შეურაცხყოფაც კი. ორივე მხარემ განაცხადა, რომ აზრი არ აქვს ეგვიპტე-ისრაელის დიალოგის გაგრძელებას.

შუა აგვისტოში (თითქოს არაფერი მომხდარაო) სადათმა და ბეგინმა პრეზიდენტ კარტერის მიმართვა მიიღეს. აშშ-ის პრეზიდენტი მათ კემპ-დევიდში სამი სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრაზე მიიწვიეს. შეხვედრა 5 სექტემბრისთვის დანიშნეს, მოლაპარაკების დაწყება კი — მომდევნო დღეს.

შეხვედრის დაწყებიდან 300 საათის შემდეგ კარტერმა, სადათმა და ბეგინმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლების თანდასწრებით, თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს.

რა მოხდა კემპ-დევიდში? რა შენიშვნები, საყვედურები, დაპირებები და მუქარა გაჟღერდა პრეზიდენტების ველოსიპედებით სეირნობის თუ რეზიდენციის სავარძლებში მოკალათების დროს? ფრანს-პრესის კორესპონდენტი იტყობინებოდა: „დას-

კვნითი შეხვედრის დროს ამერიკის პრეზიდენტმა, როგორც ბულდოზერმა, ქვეშ მოიქცია სადათი, რათა შეთანხმებისთვის მიეღწია“.

კემპ-დევიდში ხელმოწერილ დოკუმენტებში ისეთი მშვიდობის კონტურები იყო მოხაზული, რომელიც ხელს აძლევდა აშშ-სა და ისრაელს. ვაშინგტონში იმედოვნებდნენ, რომ ამ სამშვიდობო ხელშეკრულებას მხარს დაუჭერდნენ მოკავშირეებიც — ირანიდან საუდის არაბეთამდე. ასეთი მხარდაჭერა სადათის პოზიციას გაამყარებდა. მაგრამ არაბულმა სამყარომ უარყო კემპ-დევიდის ხელშეკრულება.

1979 წლის მარტში სამშვიდობო ხელშეკრულებას ეგვიპტესა და ისრაელს შორის ხელი მოაწერეს. მაგრამ კაირომ მშვიდობისთვის ძალიან ძვირი ფასი გადაიხადა — იგი გამოვიდა არაბულ სახელმწიფოთა ბრძოლის ფრონტიდან, რომელთა უმრავლესობამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ნილოსზე მდებარე ქვეყანასთან.

სადათმა ეგვიპტე თანდათან გადააქცია ამერიკის ჯარების პლაცდარმად, დიპლომატიურ ფრონტზე აშშ-ის პოლიტიკის აქტიურ მხარდამჭერად იქცა. ამ ყველაფერმა კი არათუ არ გაამყარა, არამედ სერიოზულად დაასუსტა სადათის საშინაო პოლიტიკა, პრეზიდენტის ძალაუფლება.

სადათი დაიბნა, რაც მას არაერთხელ დამართნია. კემპ-დევიდი არ გახდა კომპასის ისარი, რომელიც მშვიდობის გზისკენ იქნებოდა მიმართული. იგი არაბთა მიმართ სადათის მოღალატური პოლიტიკის ლოგიკურ დასასრულად და ამერიკის ბანაკში სადათის საბოლოოდ გადაბარგების დასტურად იქცა.

ზუსტად ორი თვის შემდეგ ეგვიპტემ, უკვე როგორც აშშ-ის მოკავშირემ ახლო აღმოსავლეთში, მიიღო ამერიკული სამხედრო დახმარება, რომელიც კონგრესის მიერ იყო სანქცირებული. ჯიმი კარტერის დაჟინებული თხოვნით, 1979 წლის მაისში აშშ-ის კონგრესმა მოიწონა კანონპროექტი საპავეტო საფუძველზე სამი წლის ვადით ეგვიპტისთვის და ისრაელისთვის მიეცა კრედიტი 4,8 მილიარდი დოლარის ოდენობით სამხედრო ტექნიკის შესაძენად. ეგვიპტეს გამოეყო 1,8 მილიარდი დოლარი, ისრაელს — სამი მილიარდი.

სამხედრო საჭიროებისთვის სუფსიდიების მიღებასთან ერთად გაიზარდა სადათის ვალდებულებათა ოდენობაც და ხარის-

ხიც აშშ-ის მიმართ. ხელფეხშეკრულმა ეგვიპტის პრეზიდენტმა ვაშინგტონის ადმინისტრაციას განუცხადა, რომ იგი უზრუნველყოფდა (და უზრუნველყო კიდეც) აშშ-ის ადმინისტრაციას ნებისმიერი „სამხედრო შეღავათებით“ ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში „საბჭოთა საშიშროებასთან“ საბრძოლველად და სპარსეთის ყურის რაიონში — პროდასავლური რეჟიმების დასაცავად.

ამრიგად 1970-1980-იან წლებში ეგვიპტესა და აშშ-ს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობის ფართო კომპლექსი პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში. ეგვიპტის წონადი როლის გათვალისწინებით, ვაშინგტონი მიისწრაფვოდა, ეგვიპტე ექცია ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მისი ინტერესების განმახორციელებელ სახელმწიფოდ.

აშშ-მა მიაღწია ეგვიპტის სხვა არაბული სახელმწიფოებისგან იზოლაციას, რისთვისაც კარგად გამოიყენა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის დადებული სეპარატისტული ხელშეკრულება. თეთრმა სახლმა ისინი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ფორმით გააერთიანა, რომელსაც ამერიკის ინტერესები უნდა დაეცვა ახლო აღმოსავლეთში. შედარებით მოკლე დროში ეგვიპტე აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის აგრესიული გეგმების აქტიური გამტარებელი გახდა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

სადათს იმედი გაუცრუეს არაბული ქვეყნების იმ ხელმძღვანელებმა, რომლებმაც მას მხარი არ დაუჭირეს. ეგვიპტელები მალე მიხვდნენ, რომ მშვიდობამ, რომელსაც პრეზიდენტი ჰპირდებოდა, მათი მდგომარეობა არ გააუმჯობესა, არათუ არ შეარბილა, არამედ კიდევ უფრო დაძაბა დაძაბულობა რეგიონში. „ღია კარის“ პოლიტიკამ მკვეთრად გაამწვავა ეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში.

სადათის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლები სულ ახალი და ახალი ფორმებით ვლინდებოდა. ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საპასუხოდ ეგვიპტელებმა პალესტინის დროშები გამოფინეს. მუსლიმთა სხვადასხვა დაჯგუფებებმა მეჩეთები საპროტესტო ტრიბუნებად აქციეს.

ექსპერტების აზრით, ეგვიპტის პრეზიდენტს რაღაცნაირი „შიდაპოლიტიკური გაორება“ დაემართა. ერთის მხრივ, სადათს აშშ-ისთვის და დასავლეთის სხვა ქვეყნებისთვის უნდოდა ეჩ-

ვენებინა ისეთი ეგვიპტე, სადაც უზრუნველყოფილია ყველა ბურჟუაზიული თავისუფლება, სადაც დაუბრკლებლად მოქმედებს ოპოზიცია. მეორეს მხრივ, ისეთი ოპოზიციის ყოფნა სურდა, რომელიც მოიწონებდა მის კურსს, ანუ ერთსა და იმავე დროს არსებობდა და თან — არც არსებობდა.

არაბეთის ქვეყნები სულ უფრო რწმუნდებოდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში ეგვიპტე აშშ-ისა და ისრაელის თანამზრახველია არაბული სამყაროს წინააღმდეგ მათ ლაშქრობაში.

სახალხო მღელვარების ექო პრეზიდენტის სასახლემდეც აღწევდა და ასეთ მომენტში სადათი თავ-გზას კარგავდა. ასე, მაგალითად, 1981 წლის სექტემბერში მან განაცხადა 1 536 ადამიანის დაპატიმრების შესახებ, რასაც შედეგად 6 ოქტომბრის გასროლა მოჰყვა...

სადათი 10 ოქტომბერს დაკრძალეს, შაბათ დღეს...

კაიროს ყოველდღიური ყოფა არ შეცვლილა. მხოლოდ დაშვებული დროშები თუ მიუთითებდა, რომ ქვეყანაში 40-დღიანი გლოვა იყო გამოცხადებული.

პრეზიდენტმა თვითონვე შეირჩია წარწერა საფლავის ქვაზე. სიკვდილამდე სამი წლით ადრე მან მოისურვა, რომ გრანიტის ფილაზე ამოეკვეთათ: „მუჰამედ ანვარ სადათი — ომისა და მშვიდობის გმირი“.

სადათი არასოდეს უგულებელყოფდა პირადი დაცვის აუცილებლობას. უკანასკნელ წლებში მისი დაცვა გადაიქცა განსაკუთრებულ, ეგვიპტის მასშტაბისათვის არნახულად დიდ ქვედანაყოფად, რომლის შენახვა ათობით მილიონი დოლარი ღირდა. იმ, სადათისთვის უკანასკნელ, დღეს მის უსაფრთხოებას რვა ქვედანაყოფი იცავდა: სახელმწიფო უშიშროების სამსახური, პრეზიდენტთან არსებული პოლიცია, პრეზიდენტის სპეციალური დაცვა, რესპუბლიკური გვარდია, სამხედრო დაზვერვა, სამხედრო პოლიცია, კონტრდაზვერვა, დემონსტრაციების დაშლის სპეციალური ქვედანაყოფები.

ტრიბუნასთან მიახლოებისას სადათი დაცვის რვა თანამშრომლის რკალში იყო მოქცეული — სამ-სამი გვერდებიდან და ორი — ზურგსუკან. მაგრამ როცა სავარძელში ჩაჯდა, ტრიბუნასა და ჩავლილ ჯარებს შორის არც ერთი მცველი არ აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, არავის ეგონა, რომ სწორედ ჯარის კოლონებიდან ესროდნენ პრეზიდენტს. მით უფრო, რომ აღლუმში მო-

ნაწილე სამხედრო ნაწილების მეთაურები უმკაცრესად გააფრთხილეს, რომ 10 ათასი ჯარისკაციდან და ოფიცრიდან არც ერთს არ ჰქონოდა საბრძოლო იარაღი.

საინტერესო განცხადება გააკეთა ისრაელის აწ გარდაცვლილმა პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა სადათის მკვლელობასთან დაკავშირებით:

— ირანის შაჰის დამხობაში კარტერის ადმინისტრაცია მონაწილეობდა. სადათის დამხობაში — რეიგანის ადმინისტრაცია.

იდგა თუ არა აშშ ამ ოპერაციის უკან?

— შესაძლებელია, რადგან **სადათმა ამერიკელებისთვის გააკეთა ის, რაც ამერიკისთვის არც ერთ სხვა არაბ ლიდერს არ გაუკეთებია. მან ნასერის მიერ ქვეყნიდან გაყრილი ამერიკელები ეგვიპტეში დააბრუნა. მან ხელახლა შეაიარაღა ეგვიპტის არმია ამერიკელების დახმარებით. მან შეცვალა ეგვიპტის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა „ღია კარის“ პოლიტიკის გამოცხადებით. იგი მიიჩნევდა, რომ აშშ იყო ისრაელთან მშვიდობის მოწესრიგების პროცესის ძირითადი მონაწილე.**

ამერიკელების მიერ სადათის მკვლელობის ვერსიის მონაწილენი ამტკიცებენ:

— არჩევნებში რეიგანის გამარჯვების შემდეგ ამერიკელებმა იგრძნეს, რომ სადათს შემოეხარჯა მთელი მისი „პოლიტიკური არსენალი“. იგი იზოლაციაში აღმოჩნდა, როგორც ეგვიპტის შიგნით, ასევე არაბულ სამყაროში. გარდუვალი გახდა მისგან გათავისუფლება.

საინტერესო დეტალია: აშშ პრეზიდენტმა რეიგანმა და ვიცეპრეზიდენტმა ბუშმა სადათის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია მიიღეს გაცილებთი ადრე, ვიდრე ამის შესახებ კაიროში ოფიციალურად გამოაცხადებდნენ. რომელი წყაროდან შეიტყვეს? უთუოდ, — პირველწყაროდან. უფრო მეტიც, **რეიგანი და ბუში არ ჩავიდნენ კაიროში სადათის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად...**

ასე უსახელოდ დაამთავრა თავისი ცხოვრებისა და პოლიტიკის გზა, ეგვიპტელმა „ეფენდიმ“, რომელიც ცდილობდა, ვაშინგტონელ პატრონებს თავისიანად ეცნოთ, რის გამოც თავისიანებისთვის გაუცხოვდა მრავალი ათწლეულის პერსპექტივაში.

რუსტამ კასიმოვი

პინოჩეტი — მოღალატე თუ ნაცის მხსნელი?

ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ცოტას თუ გაუგონია თავისი მისამართით იმდენი წყევლა-კრულვა, ხოლო ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში ერთეულები თუ დაქვემდებარებიან ისეთ ოსტრაკიზმს, როგორსაც პინოჩეტი; ამასთან, არა მარტო სამშობლოში. ლათინურ ამერიკასა და პლანეტის სხვა კუთხეებშიც პოლიტიკური მოღვაწეები დემონსტრატიულად უკეთებდნენ იგნორირებას ჩილელ გენერალს და მასთან არავითარი საქმის დაჭერა არ სურდათ.

სახელმწიფოს მეთაურობისას გენერალი, პრაქტიკულად, არ გასცილებია ჩილეს საზღვრებს. მხოლოდ 1975 წლის ნოემბერში ეწვია მადრიდს, სადაც ფრანსისკო ფრანკოს დაკრძალვას დაესწრო.

პინოჩეტის თანამემამულენი და საერთაშორისო საზოგადოებრიობა სიკვდილის შემდეგაც ვერ პატიობენ მას კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და „დემოკრატიის გათელვას“.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ვინც მას იცნობდა ან მის შესახებ ბევრი იცოდა, სავსებით განსხვავებულად ახასიათებდნენ. ზოგისთვის იგი „ერუდიტი, ინტელექტუალი, მოწოდებით ჯარისკაცია“, ზოგისთვისაც — პატივმოყვარე და არაშორსმჭვრეტელი ადამიანი. „პინოჩეტი გასაოცარი ინტელექტის მქონე ადამიანია, თუმცა ღალატის გენია“ – ასე შეაფასა გენერალი ალიენდეს მთავრობის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრმა ორლანდო ლეტელიერმა. ეს შეფასება 1973 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გააკეთა. სხვათა შორის, ორლანდო ლეტელიერი სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთ მსხვერპლად იქცა. თავის მხრივ, ჩილელი „მერკურიო“ ირწმუნება, რომ „პინოჩეტი ყველაზე წინააღმდეგობრივი ფიგურაა. მხოლოდ დრო განსაზღვრავს, რა როლი შეასრულა მან ქვეყნის ისტორიაში“.

მაშ, ვინაა პინოჩეტი სინამდვილეში — მოღალატე თუ ნაციის მამა? მკვლელი თუ ჩილეს მხსნელი? ინტელექტუალი თუ პატივმოყვარე და უბირი კაცი?

გენერალ პინოჩეტის ცხოვრებაში 1973 წლამდე არ მოიპოვებოდა ნათელი ფურცლები. შარლ დე გოლივით არც სამშობლო უხსნია ოკუპანტებისგან, პერონივით არც ხალხის რჩეული და მანერჰეიმივით არც საზოგადოებაში გამორჩეული მდგომარეობის მოსურნე ყოფილა. მაშინ პინოჩეტი თითქმის 60 წლის სამხედრო მოსამსახურე და 5 შვილის მამა გახლდათ, პატიოსნად რომ გაიარა სამხედრო კარიერის ყველა საფეხური.

მის ხასიათზე მსჯელობა ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ ცუდადაა გამოკვლეული. გენერლის შესახებ ინტერნეტში არსებული დოკუმენტები სულ სხვა რამეს ეძღვნება. „პინოჩეტი უნდა გასამართლდეს“, „სიმართლე პინოჩეტის დანაშაულებათა შესახებ“, „სისხლიანი კარიერის გენერალი“, „პინოჩეტი – მოღალატე და მკვლელი“ და ა. შ. ეს ყველაფერი მასზეა და ამავე დროს, არც არის. **პოლიტიკურ თამაშში პინოჩეტი გაცვლით მონეტად იქცა. ერთის მხრივ, აღნიშნული ფაქტი XX საუკუნისთვის მის მნიშვნელობაზე მეტყველებს; მეორეს მხრივ კი – საბურველში ხვევს რეალურ პიროვნებას, რომელსაც აბსტრაქტული სქემით ანაცვლებს.**

თავად გენერალი კი საიდუმლოს წარმოადგენს. ფოტოსურათიდან, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ერთობ მოწესრიგებული კაცი იმზირება: ვიწრო ჭრილიანი თვალები, ცი-

ვი და გამჭოლი მზერა, მკაცრი თხელი ტუჩები, გადასლექილი თმა. ზოგჯერ თვალებს მუქი სათვალე უფარავს, ხოლო ვეება სამხედრო ქუდი შუბლზე ჩამოფხატვია, რის გამოც პინოჩეტის სახე საზარელ ნიღაბს წააგავს. ასეთები არ უყვართ. ჰოლივუდს რომ პირსისხლიანი ჯალათის, პინოჩეტის როლის შემსრულებელი დასჭირვებოდა, თავად პინოჩეტზე უკეთესს ვერავის გამოძებნიდა.

და მაინც, ვინ არის პინოჩეტი?

აუგუსტო პინოჩეტ უგარტე 1915 წლის 25 ნოემბერს დაიბადა ვალპარაისოში. პორტის საბაჟოს უბრალო მუშის ოჯახში ექვსი შვილიდან უფროსი იყო, მამის მხრიდან – ბრეტონელი იმიგრანტების შთამომავალი, ჩილეში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში რომ ჩამოსახლდნენ; ხოლო დედის მხრიდან - ესპანეთის ბასკონიიდან გახლდათ. მშობლები თავდადებული კათოლიკები ჰყავდა და შვილმაც მემკვიდრეობით მიიღო ეს ოჯახური ფანატიზმი. ჩილეს არმიაში პინოჩეტი ერთ-ერთ ყველაზე რელიგიურ გენერლად მიიჩნეოდა. ამბობენ, რომ გადატრიალების წინა დღეს ალიენდეს მასთან გასაუბრება სურდა, მაგრამ ადიუტანტმა მიუგო: „გენერალი დაკავებულია, ეკლესიაში ლოცულობს“. პრეზიდენტი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

მამამისს სურდა, მისი პირმშო ექიმი გამხდარიყო, მაგრამ ჭაბუკმა პინოჩეტმა სამხედროს კარიერა არჩია, თუმცა ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა, მაგრამ, გამუდმებული ვარჯიშის შედეგად, ეს ნაკლიც დაძლია. ბავშვობაში აუგუსტო გამბედაობითაც არ გამოირჩეოდა. ერთხელ დედამისმა კინოში წაიყვანა. ფილმის მიმდინარეობისას, სროლის ხმის გამოსაცემად, მუსიკოსმა უცებ კლავიშებს დასცხო ხელი... მომავალი დიქტატორი, რომელიც ხედავდა, სცენარის მიხედვით როგორ ეცემოდნენ ძირს მსახიობები (ეს დახვრეტის სცენა იყო), ისე დაფრთხა, რომ სავარძლის ქვეშ შეძვრა და აყვირდა. მაშინ ძლიერი სტრესი მიიღო, ნელ-ნელა კი შიშსაც გაუმკლავდა, თუმცა კარგა ხანს დარჩა იმ სცენის გავლენის ქვეშ.

როგორც ვთქვით, მშობლები არმიაში ვაჟის სამსახურის წინააღმდეგი იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ლათინურ ამერიკაში საშუალო კლასის წარმომადგენლისა და ხელმოკლე ოჯახიშვილისთვის წარმატებული კარიერა არმიას უკავშირდებოდა. ახალგაზრდა აუგუსტომ მშობლების წინააღმდეგობა დაძ-

ლია და სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა. შესაძლოა, სწორედ მაშინ გაიღვიძა მასში ისეთმა თვისებებმა, როგორიცაა სიჯიუტე, მიზანსწრაფულობა.

თანაკურსელთა მოგონებებით, აუგუსტო მათგან არაფრით გამოირჩეოდა, შეუმჩნეველი იყო სასწავლებლის დასრულების შემდეგაც. ჰყვებიან, რომ მას არ ახასიათებდა კარიერიზმი, რომლითაც ბევრი სამხედრო იყო დასნებოვნებული. სხვათა შორის, არმიაში სამსახურს მომავალი გენერალი ასე ახასიათებდა: „ეს ჯარისკაცის კარიერაა. სამხედრო იერარქიის კიბეზე წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი, ყოველგვარი პატივმოყვარეობის გარეშე, რადგან მხოლოდ ჩემი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება მსურდა“. მისგან ასეთ სენტენციასაც გაიგონებდით: „ნელა, თანდათან, რომ ვერ შეგამჩნიონ, ვერ გამოგარჩიონ“.

მართლაცდა, **პინოჩეტი პატიოსნად ეზიდებოდა არმიის ოფიცრის უღელს, შორეულ გარნიზონებში მსახურობდა. შემდეგ საშტაბო საქმიანობაზე გადავიდა, სადაც მისივე აღიარებით, ბევრად უფრო თავდაჯერებული გახდა და თავიც გამოიჩინა. 1949-1951 წლებში სამხედრო აკადემიაში სწავლობდა. ვაშინგტონში სამხედრო ატაშეც იყო, ლექციებს კითხულობდა ეკვადორის საშტაბო კოლეჯში და თავის ალმა-მატერში გეოგრაფიასაც ასწავლიდა. ამასთან, სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელის მოადგილეც იყო. თუმცა სამხედრო ოლიმპის მწვერვალებისკენ პინოჩეტის აღმასვლა მოულოდნელად შეწყდა.** 1940-იანი წლების შუა ხანებში ოჯახის გამოკვების აუცილებლობამ და მცირე ჯამაგირმა სამხედრო მუნდირთან გამოთხოვება აიძულა. საბაჟოზე სამსახური გამონახა და, ალბათ, იქვე დარჩებოდა, ორი წლის შემდეგ ცოლს, ლუსიას რომ არ დაეჟინებინა მისი არმიაში დაბრუნება.

შემდეგ კი ყველაფერი თვითდინებას მიჰყვა, სანამ 1972 წლის დასაწყისში პინოჩეტი სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი არ გახდა, 1973 წლის 24 აგვისტოს სალვადორე ალიენდემ კი იგი არმიის მეთაურად დანიშნა.

სამხედრო გადატრიალებამდე მისი სახელი მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, პრესა ყურადღებით არ ანებივრებდა და თვითონაც გაურბოდა მედიას. საერთოდ, ჩილელი გენერლები ძალზე თავშეკავებული ხალხია და, სამსახურებრივი გარემოებებით გამოწვეული განსაკუთრებული საჭიროების გარეშე, ჟურნალისტებთან არ ურთიერთობენ.

გენერალი აუგუსტო პინოჩეტი

პინოჩეტის ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტებიც, რომლებიც მას კოლეგებისგან მაინც გამოარჩევდა. ჩილელ გენერალთაგან ცოტას თუ ჰქონია სამეცნიერო გამოკვლევები, პინოჩეტი კი ავტორია მონოგრაფიებისა: „გეოპოლიტიკა“ და „ომი წყნარ ოკეანეში. 1879 წელი“.

ამ ნაშრომთა შეფასებები ისევე წინააღმდეგობრივია, როგორც მოსაზრებები მათი ავტორის შესახებ. ზოგი, მაგალითად, „გეოპოლიტიკას“ „კლასიკურ ნაშრომად“, „გეოპოლიტიკური თეორიების განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილად“ მიიჩნევს („ფაინენშელ თაიმსის“ შეფასებით, ეს „საკმაოდ კარგი ნაშრომია“), თუმცა იყო სხვა შეფასებებიც — „პრუსიელი და ნაცისტი ავტორების ციტატებით გაჯერებული თხელყდიანი წიგნი“. მაგრამ ეს ყველაფერი სამხედრო გადატრიალების შემდეგ ითქვა. მანამდე პინოჩეტის ნაშრომებზე, პრაქტიკულად, არავინ არაფერი იცოდა.

თავის დროზე პინოჩეტმა საკუთარი ინიციატივით დაამთავრა ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული ბიზნესსკოლა და არც ისეთი მკვეთრი ანტიკომუნიზმით გამოირჩეოდა, როგორიც გადატრიალების შემდეგ გამოუვლინდა. „აპოლიტიკური, შეუმჩ-

ნეველი, შრომისმოყვარე პინოჩეტის დიქტატორად გარდაქმნა, რომლისთვისაც სავსებით უცხოა სამთავრობო პრინციპები, პატიოსანი თამაშის წესები, მეგობრობა, გასაოცარია," – წერდა თავის წიგნში „პინოჩეტი, წამების პოლიტიკა" ინგლისური „ფაინენშელ თაიმსისა" და „გარდიანის" კორესპონდენტი ჰიუ ო'შონესი. გენერლის ბიოგრაფებმა ასეთი ფაქტიც გამოჩიჩქნეს: 1948 წელს პისაგუაში (ჩრდილოეთ ჩილეში),სადაც პინოჩეტი გარნიზონს ხელმძღვანელობდა, მას კომპარტიის აქტივისტების ჯგუფის დაკავება მოუხდა, იმხანად ახალმიღებული „დემოკრატიის დაცვის შესახებ" კანონის შესატყვისად, რომლის საფუძველზეც ჩილეს კომუნისტური პარტია კანონგარეშე გამოცხადდა. ახალგაზრდა პინოჩეტი მათ სავსებით კორექტულად ექცეოდა. მათთან ხშირად მსჯელობდა პოლიტიკურ პრობლემებზე და შინ სადილადაც იწვევდა. ეს ლოიალობა შეუმჩნეველი არ დარჩა: მისმა ერთმა თანამოსამსახურემ გენერალურ შტაბში დაასმინა: „პინოჩეტს კომუნისტებთან მეგობრული ურთიერთობა აქვს". იმ წლებში, როცა კომპარტია იძულებული იყო იატაკქვეშეთს შეფარებოდა, ხოლო ქვეყანა ანტიკომუნისტურ ისტერიას მოეცვა, ეს სერიოზული კრიმინალი იყო, რაზეც, სხვათა შორის, არაერთხელ უსაყვედურეს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს მაინც ჩვეულებრივი ბიოგრაფია იყო, გადატრიალებამდე იმ წლების გამოკლებით, როცა პინოჩეტმა მართლაც ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა.

ეს შეუმჩნეველი გენერალი ქვეყნის ისტორიაში თითქმის პირველ სახელმწიფო გადატრიალებას ჩაუდგა სათავეში. იმ ქვეყნისა, რომლის არმიაც, კონტინენტის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ტრადიციულად მუდამ პოლიტიკის მიღმა არსებობდა.

ერთი შეხედვით ამ გასაოცარ ფაქტს წინ ფაქტორთა ერთობლიობა უძღვოდა. სალვადორე ალიენდეს არათანმიმდევრულ პოლიტიკას შიდაპოლიტიკური ვითარების მკვეთრი გამწვავება მოჰყვა. ხელისუფლების სათავეში სახალხო ერთიანობის მოსვლის შემდეგ შექმნილმა ფეთქებადსაშიშმა სიტუაციამ ვაშინგტონს, სხვადასხვა საერთაშორისო ცენტრსა და დიდ მონოპოლიას ხელსაყრელი მომენტის გამოყენებისკენ უბიძგა.

საგულისხმოა, რომ პირველ ხანებში აშშ თავს იკატუნებდა, თითქოს მზად იყო ალიენდესთან სათანამშრომლოდ. „ჩვენი ორმხრივი პოლიტიკა (იგულისხმება ამერიკა-ჩილეს ურთიერთო-

გენერალი პინოჩეტი სანტიაგოს ქუჩებში

ბა) მიმართულია იქითკენ, რომ კავშირის არხები ღია იყოს. ჩვენ არ დავარღვევთ ტრადიციულ ურთიერთობებს. ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ საერთაშორისო უფლებები და მოვალეობები შესრულდება და დაცული იქნება. ასევე, ვაღიარებთ, რომ ჩილეს ხელისუფლების ქმედებები, პირველ რიგში, მისი საკუთარი მიზნებით განისაზღვრება". ასე ამბობდა 1971 წლის 25 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი.

სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. **ზემომოყვანილი სიტყვების წარმოთქმამდე დიდი ხნით ადრე თეთრ სახლში ნიქსონის თავმჯდომარეობით ნაციონალური უშიშროების საბჭოს სხდომაზე მისმა მონაწილეებმა ჩილეს მიმართ ამერიკის ნამდვილი პოლიტიკა განსაზღვრეს, რომლის რეალიზაციაშიც განსაკუთრებული როლი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ეკისრებოდა.**

სხვათა შორის, 2002 წლის აგვისტოში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობისას განაცხადა, რომ ცსს-ზე ზეწოლას მოახდენს, რათა მან ალიენდეს მთავრობის დამხობასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები მრავლად გამოაქვეყნოს. მაგრამ, ანალიტიკოსების თქმით, საეჭვოა, ამერიკელმა მზვერავებმა ეს მასალები გამოამზეურონ, რადგან ამ შემთხვევაში გამოაშკარავდება მეთოდე-

ბი, რომლებსაც აშშ-ის სადაზვერვო სამსახური მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იყენებს. „ცსს-ს არავითარი კავშირი არ აქვს გადატრიალებასთან, — ახდენს იტარ-ტასი იმ პერიოდში ჩილეში მომუშავე აშშ-ის დაზვერვის ყოფილი თანამშრომლის ციტირებას, — თუმცა ეს პუტჩი ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა“.

მიუხედავად იმისა, ცსს-ს არქივები გაიხსნება თუ არა, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ვაშინგტონი იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა სახალხო ერთიანობის მთავრობას.

გასაკვირი არაა, რომ **ჩილეში მომხდარ სამხედრო გადატრიალებაზე ამერიკულ და დასავლურ პრესაში დაბეჭდილ პირველსავე გამოხმაურებებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მასში ამერიკის ხელი ერია.** ასე, მაგალითად, „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა: „იბადება კითხვა — ამერიკის იდეოლოგიის გულგრილობამ და ამერიკული კომპანიების გავლენამ ხომ არ ითამაშა რაიმე როლი ალიენდეს ექსპერიმენტის ჩავარდნაში?“. ამ კითხვამ გაიჟღერა ბევრი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის გამოსვლაშიც. არგენტინის პრემიერ-მინისტრმა ხუან დომინგო პერონმა და ინდოეთის პრეზიდენტმა ინდირა განდიმ არაორაზროვნად დაადანაშაულეს აშშ ჩილეს შიდა საქმეებში ჩარევაში. ხოლო ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა მ. ჰარინგტონმა განაცხადა, რომ სწორედ „აშშ-ის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ჩილეში მთავრობის საწინააღმდეგო ჯანყის წაქეზებაში“. „ალიენდეს მთავრობის მოსაშთობად ჩვენი უზარმაზარი ეკონომიკური ძალა გამოვიყენეთ“, — აღნიშნა მან.

1999 წლის ბოლოს ჩილეში განხორციელებული ოპერაციების თაობაზე აშშ-ის სენატის ცალკეული მოხსენების დეტალებმა ამერიკულ პრესაში გაჟონა. თუ ამ პუბლიკაციებს დავუჯერებთ, ერთიანობაში 13 მლნ დოლარზე მეტი დაიხარჯა იმაზე, რომ ხელისუფლების სათავეში ალიენდეს მოსვლისთვის ხელი შეეშალათ, ხოლო მოსვლის შემდეგ – მისი მთავრობა დაემხოთ.

ალიენდეს კანონიერი კაბინეტის დამხობით, აშშ-ის დაინტერესებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებს არაერთხელ მიუღიათ ცნობები სამხედრო გადატრიალების მზადების შესახებ, თუმცა ამის თაობაზე ჩილეს მთავრობა არც ერთხელ არ გაუფრთხილებიათ. სენატის საგარეო საქმეთა

აუგუსტო პინოჩეტი და
აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი

კომისიის დახურულ სხდომაზე სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ჯეკ კუბიჩის ჩვენებებზე დაყრდნობით, „ნიუ იორკ თაიმსი“ იტყობინებოდა, რომ „აშშ-ის მთავრობის მაღალჩინოსნებმა წინდაწინ მიიღეს გაფრთხილება სამხედრო გადატრიალების შესახებ, იმის თაობაზე, რომ ჩილეში განსაზღვრულ დღეს რაღაც ფორმით სამხედრო ჩარევა მოხდება“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამხედრო გადატრიალების შესახებ ბოლო ცნობები აშშ-ის საელჩომ ჩილეში აჯანყების წინა დღეს მიიღო.

გადატრიალების დასრულების შემდეგ, „ვაშინგტონ პოსტის“ განცხადებით, „აშშ-ის მთავრობამ შეშფოთების ნიღაბის მორგებაც ვერ შეძლო“. შემთხვევითი როდი იყო, რომ 2003 წლის სექტემბერში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ პაუელმა ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა: **„ის, რაც სენიორ ალიენდეს დაემართა 1973 წლის 11 სექტემბერს, შეერთებული შტატების ისტორიის ის ფურცელი არაა, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ“.** ამ დაგვიანებული გამონათქვამის კომენტირებისას კი ჩი-

ლეს მთავრობის გენერალურმა მდივანმა ერალდო მუნიოსმა შენიშნა: „პაუელის მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვას იმ პერიოდში ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში თეთრი სახლის ჩარევის საჯარო აღიარებად ვაფასებთ“.

აქ გასაკვირი არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1970 წლის 4 სექტემბრამდე, საპრეზიდენტო არჩევნების დღემდე, ამერიკის კაპიტალდაბანდებები ჩილეს ეკონომიკაში მილიარდ დოლარს აჭარბებდა. აშშ-ს პირველი ადგილი ეკავა ჩილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის. სამთო მრეწველობაში, რომელიც ნაციონალური ეკონომიკის საფუძველს შეადგენა, საქმიანობდნენ ისეთი გიგანტები, როგორიცაა „ანაცონდა“ და „კენეკოტი“, მეტალურგიაში – „ბეთლიჰემ სთილ კორპორეიშენი“, საავტომობილო მრეწველობაში – „ჯენერალ მოტორსი“ და „ფორდ მოტორ კომპანი“. ამ ქვეყანაში უდიდესი შეღავათებით სარგებლობდნენ „ინტენეიშენალ ტელეფოუნ ენდ ტელეგრაფი“ (სახელგანთქმული ITT), „სერო კორპორეიშენი“, „ლაუტარიო ნითრეიდ კომპანი“, „ესო სტანდარტ ოილ კომპანი“. როგორც იტყვიან, კითხვა განსჯისათვის: აბა, როგორ უნდა მოქცეულიყო აშშ, როცა ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებსა და ბევრ სხვასაც ექსპროპრიაციის საფრთხე დაემუქრა? ვფიქრობ, პასუხი ნათელია.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, „ცივი ომის“ პერიოდი იყო, როცა ორი სისტემის – კაპიტალისტურისა და სოციალისტურის (უფრო კონკრეტულად კი, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის) ურთიერთდაპირისპირება სულ უფრო მწვავდებოდა. მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს დაპირისპირება ლათინურ ამერიკაში, უხეშად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

ამიტომ, ვაშინგტონის თვალსაზრისით, **სავსებით ლოგიკური იყო, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამერიკელები ყველა ღონეს მიმართავდნენ, რათა არ დაეშვათ სახალხო ერთიანობის კოალიციის მემარცხენე ძალების გამარჯვება და მასთან ერთად ალიენდეს ხელისუფლებაში მოსვლა.** როცა აქ მარცხი განიცადეს, მემარცხენე ძალების მოწინააღმდეგეებმა გაბედული ნაბიჯი გადადგეს – 1970 წლის 22 ოქტომბერს მოკლეს არმიის ჯარების მთავარსადალი, გენერალი რენე შნაიდერი იმისთვის, რომ შეიარაღებული ძალების გამოსვლის პროვოცირება მოეწყოთ. მაშინ მათმა მცდელობამ არ გაამართლა.

1973 წელს კი სხვაგვარი სიტუაცია შეიქმნა: ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე იმყოფებოდა და 11 სექტემბრის მოვლენებსაც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მთლად პუტჩსაც ვერ უწოდებდი, როცა პატივმოყვარე გენერლების ანდა ავანტიურისტების ჯგუფი კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდებას ლამობდა. ეს იმ პოლიტიკური პროცესის შედეგსა და კულმინაცია უფრო იყო, რომელიც გადატრიალებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. 1973 წლის აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში ქვეყანა დენთის კასრს ჰგავდა და მის ასაფეთქებლად ერთი ნაპერწკალიც საკმარისი იყო. ასეთ მდგომარეობამდე კი ჩილე, უმთავრესად, სახალხო ერთიანობის ბლოკის იმ ნაწილის უპასუხისმგებლო პოლიტიკამ მიიყვანა, რომელსაც სოციალისტური პარტიის ექსტრემისტული ფრთა ხელმძღვანელობდა.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი არ ამართლებს სამხედროების მიერ გადატრიალების მოწყობას და, უწინარესად, იმას, რომ ამას მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებების დარღვევაზე ქვეყანაში. 1991 წლის მარტში პრეზიდენტ პატრისიო ელვინის განკარგულებით, შექმნილმა „სიმართლისა და შერიგების კომისიამ“ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც 1973-1990 წლებში ადამიანთა უფლებების ყველა შემთხვევას ეხებოდა. მასში ითქვა, რომ **ქვეყანაში იმ პერიოდში დაიღუპა 2279 კაცი, მათგან 164 ძალადობის მსხვერპლი შეიქნა მანიფესტაციების დარბევისა და ჩასაფრებებისას; 2115 კაცი სხვადასხვა გარემოებაში უშიშროების სამსახურის აგენტებისა და სამხედროების ხელით დაიღუპა. მათ შორის, 101 გაქცევის მცდელობის საბაბით მოკლეს, 815 კაცი წამებით დაიღუპა, ხოლო 915 უკვალოდ გაქრა დაპატიმრების შემდეგ** (შემდგომში ეს მონაცემები ყოველ ჯერზე ზუსტდებოდა, როცა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სამარხებს ან ახალ-ახალ მოწმობებს აღმოაჩენდნენ).

მაგრამ ჩილელებს ყველაზე დიდი თავზარი დასცა ულმობელმა სიმართლემ წამებისა და იმ მეთოდების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც სამხედროები თავიანთ მსხვერპლთ უსწორდებოდნენ. ზემოთ მოყვანილი ციფრები, რომლებსაც სამშობლოდან დევნილი ათი ათასობით ჩილელი უნდა დაემატოს, პინოჩეტის რეჟიმის სისასტიკეში არავითარ ეჭვს არ ბადებს. ჩილელი სამხედროები ირწმუნებიან, რომ ეს სისასტიკე რეაქცია იყო

„გადატრიალებამდე არსებულ უკანონობაზე“, რომ ის „11 სექტემბრის შემდგომი მოვლენების ლოგიკაში თავსდება“, რაც, რა თქმა უნდა, არაფრით არ ამართლებს მათ ქმედებას.

ამავე დროს, პუტჩის დაგეგმვისას, გენერლები არ გამორიცხავდნენ სახალხო ერთიანობის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას, რადგან მას მხარს უჭერდა მძლავრი და კარგად ორგანიზებული მშრომელთა ერთიანი პროფესიული ცენტრი, რომელიც 700 ათასზე მეტ კაცს ითვლიდა. პუტჩისტების ვარაუდით, მისი დიდი ნაწილი შეიარაღებული იყო და ამ იარაღს მათ წინააღმდეგ გამოიყენებდა. შემდგომი რეპრესიები კი პინოჩეტმა იმით ახსნა, რომ „ქვეყანა ექსტრემისტულ ელემენტებს ებრძოდა“.

და მაინც სამხედრო გადატრიალება ჩილეში მკვეთრად განსხვავდება ანალოგიური პუტჩებისგან, რომლებიც მრავლად იყო ლათინური ამერიკის ისტორიაში.

ამბოხის თითქმის მეორე დღესვე აუგუსტო პინოჩეტმა გამოაცხადა, რომ შეიარაღებული ძალები თავიანთი პროფესიული მოვალეობის ერთგული დარჩებიან, რომ მარტოდენ პატრიოტიზმის გრძნობამ და, ასევე, „მარქსისტებმა და ქვეყნაში არსებულმა ვითარებამ“ აიძულა ისინი, იარაღი აეღოთ ხელში; და რომ, „სიმშვიდის აღდგენისა და ეკონომიკის კოლაფსიდან გამოყვანის შემდეგ არმია ყაზარმებს დაუბრუნდება“.

რასაკვირველია, ახლა ძნელია იმის მტკიცება, გულწრფელი იყო თუ არა იმ მომენტში პინოჩეტი, თუ ეს ჩილელებისა და, უპირველესად კი, საერთაშორისო თანამეგობრობის დამშვიდების მცდელობა იყო. დრომ აჩვენა, რომ გენერალმა პინოჩეტმა სიტყვა შეასრულა, როცა თქვა — თავისი ამოცანის შესრულების შემდეგ არმია ყაზარმებს დაუბრუნდებაო. საგულისხმოა, რომ კონტინენტის არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ისეთი რამ, რომ სამხედროებს ძალაუფლებაზე უარი ნებაყოფლობით ეთქვათ. ამდენად, **პინოჩეტი ერთადერთი დიქტატორი გახლდათ ლათინურ ამერიკაში, რომელმაც ძალაუფლება იმიტომ კი არ ჩაიგდო ხელთ, რომ ის ჰქონოდა, არამედ მისი მეშვეობით კონკრეტული მიზნის მიღწევა სურდა. ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ მან ძალაუფლება და თანაც, დემოკრატიული გზით, იმ ძალებს დაუთმო, რომლებიც მათ მიერვე გატარებული რეფორმების შედეგად მიღებულ ახალ პოლიტიკურ პირობებში ჩამოყალიბდნენ.**

1988 წლის 5 ოქტომბერს ქვეყანაში საერთო-ნაციონალური რე-

ფერენდუმი ჩატარდა. ვარაუდობდნენ, რომ, თუ პინოჩეტს მის მონაწილეთა ნახევარზე მეტი დაუჭერდა მხარს, მაშინ ქვეყნის მეთაურის პოსტზე კიდევ 8 წელი დარჩებოდა და, თუ არა, მაშინ ერთი წლის შემდეგ ჩატარდებოდა საყოველთაო არჩევნები ჩილეს ნაციონალური კონგრესისა და პრეზიდენტის ასარჩევად. გენერალმა წააგო (მას ხმა მისცა 43 პროცენტმა). დაპირებული არჩევნები 1989 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა და მასში ოპოზიციური ცენტრისტული კოალიციის ლიდერმა, პატრისიო ეილვინმა გაიმარჯვა. შეიარაღებულმა ძალებმა ცნეს კენჭისყრის შედეგები. 1990 წლის 11 მარტს გენერალმა პინოჩეტმა ძალაუფლება ბოლო 17 წლის მანძილზე პირველ სამოქალაქო პრეზიდენტს გადასცა.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი: პინოჩეტი, ასევე, პირველი დიქტატორი იყო, რომლის დროსაც ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ 1990 წლის იანვარში აუგუსტო პინოჩეტმა, „მონედას“ საპრეზიდენტო სასახლეში ახალარჩეულ ქვეყნის მეთაურთან, პატრისიო ეილვინთან შეხვედრისას ვითომდა წაიოხუნჯა, რომ „მონედას“ კარგ მდგომარეობაში გადასცემდა. ეილვინმა გაუღიმა და მიუგო, რომ მას (სასახლეს) ამავე მდგომარეობაში შეინარჩუნებდა.

ეს ორაზროვანი ოხუნჯობა იყო. საქმე ისაა, რომ სიტყვა „მონედა“ ესპანურად „ფინანსებს“ ნიშნავს. ასე რომ, ლაპარაკი იყო არა მარტო სასახლეზე და, შესაძლოა, არა იმდენად მასზე, რამდენადაც ეკონომიკაზე. პინოჩეტს კი ამაზე ოხუნჯობის უფლება ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ეილვინმა საჯაროდ აღიარა ნაციონალური ეკონომიკის სასიკეთო მდგომარეობა. „ჩვენი მთავარი ამოცანაა, — თქვა მან თავის პირველ პრესკონფერენციაზე, — არა მარტო მაღალ დონეზე შევინარჩუნოთ ეკონომიკა, არამედ იმის დემონსტრირება მოვახდინოთ, რომ ეკონომიკური სტაბილურობა შესაძლებელია არა მარტო დიქტატორული რეჟიმის, არამედ დემოკრატიის პირობებშიც...“

ცხადია, სამხედროთა მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმების შეფასება ნაირგვარადაა შესაძლებელი. მიამიტობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პინოჩეტმა ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემა გადაჭრა, რომ ყველა ჩილელი კმაყოფილი იყო თავისი მატერიალური მდგომარეობით, რომ მთლიანად აღმოიფხვრა სიღატაკე და სოციალური უთანასწორობა ან ლიკვიდირებული იქნა უმუშევრობა. რა თქმა უნდა, არა. თუმცა,

აი ფაქტებიც: 1970 წლის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი — 82.2 ყოველ 1000 ახალშობილზე, 1990 წელს 17-მდე ჩამოვიდა, ამჟამად კი მისი მაჩვენებელია 10.3 ყოველ ათას ახალდაბადებულზე, ყველაზე დაბალია ლათინურ ამერიკაში. იმავე 1970 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იყო 63.3 წელი, 20 წლის შემდეგ — 71.8; 2001 წელს კი 75.2 წლამდე გაიზარდა. წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებელმა 95,4 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის წილის ზრდამ ბოლო წლებში 6,7 პროცენტი, ხოლო საშუალო წლიურმა შემოსავალმა 4.492 დოლარი შეადგინა. სამხედრო გადატრიალებამდე საპირფარეშოები და საბაზანოები მხოლოდ საცხოვრებელი სახლების ნახევარს ჰქონდა, 1990 წელს კი ისინი ათიდან 9 სახლში გაჩნდა.

დასასრულ, **ჩილეში კორუფციისა და დანაშაულის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი და საპენსიო უზრუნველყოფის ყველაზე სრულყოფილი სისტემაა მთელს კონტინენტზე. 2004 წლის თებერვლის ბოლოს საპენსიო ფონდში აკუმულირებული იყო 57 მლრდ დოლარი!**

სხვათა შორის, კრიზისის დროს, რომელმაც 2009 წელს მსოფლიო ეკონომიკა მოიცვა, ჩილე იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომლებსაც ეს კრიზისი პრაქტიკულად არ შეხებია. ამის შესახებ, სხვათა შორის, პრეზიდენტმა მიშელ ბაჩელეტმა რუსეთში თავისი ვიზიტისას განაცხადა.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ნაციონალური ეკონომიკის გაჯანსაღება არა სამხედრო დიქტატურისა და ძლიერი ხელის გამო, არამედ ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად მოხდა.

2006 წლის 10 დეკემბერს 91 წლის აუგუსტო პინოჩეტი გარდაიცვალა. მის ცხედარს კრემაცია გაუკეთეს. სახელმწიფო გლოვა არ გამოცხადებულა და არც დაკრძალვა მოუწყვიათ: მხოლოდ სამხედრო პატივი მიაგეს. დიქტატორის გარდაცვალება, ისევე, როგორც მთელი მისი ცხოვრება, ქვეყანაში ერთგვაროვნად არ აღუქვამთ. ბევრი ჩილელი კმაყოფილებას, ან სულაც, სიხარულს არ მალავდა, ბევრიც – გლოვობდა.

ცხოვრების ბოლო წლები ოდესღაც ყოვლისშემძლე გენერალმა სასამართლო დავებში გაატარა. ყველაფერი 1998 წლის ოქტომბერში ლონდონში დაიწყო. კერძო კლინიკაში, სადაც მკურნალობის კურსის ჩატარებას აპირებდა, იგი ესპანელი მოსამარ-

თლის — ბალთასარ გარსონის მოთხოვნით დააკავეს და ესპანეთის რამდენიმე მოქალაქის მკვლელობაში დაადანაშაულეს. გარსონი დაჟინებით მოითხოვდა ესპანეთის მართლმსაჯულებისთვის პინოჩეტის გადაცემას, მაგრამ ხანგრძლივი სასამართლო პროცესი პინოჩეტის სამშობლოში დაბრუნებით დასრულდა. 2000 წელს ჩილეს უმაღლესმა სასამართლომ ყოფილ დიქტატორს სენატორის ხელშეუხებლობა მოუხსნა, რის შემდეგაც მასზე სისხლის სამართლის დევნა დაიწყო მკვლელობებთან, ადამიანების წამებასა და გატაცებასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი ეპიზოდის გამო. თითქმის ერთი წლის შემდეგ კი გენერალი ჭკუასუსტ მოხუცად ცნეს, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან მისი გათავისუფლების მიზეზი შეიქნა.

მაგრამ პინოჩეტის შევიწროება ამით არ დასრულებულა. 2004 წლის აგვისტოში ჩილეს უმაღლესმა სასამართლომ მას სასამართლო დევნისგან ხელშეუხებლობა მოუხსნა, ხოლო 2 დეკემბერს ქვეყნის სააპელაციო სასამართლომ ყოფილი დიქტატორის საქმეზე პროცესის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. პინოჩეტს სახმელეთო ჯარების მეთაურის, გენერალ კარლოს პრატცის მკვლელობის თანამონაწილეობაში ადანაშაულებდნენ. ამას მოჰყვა მთელი რიგი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურებისა და ასევე, კორუფციაში, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში თანამონაწილეობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებები.

P. S. 2010 წლის 17 იანვარს ჩილეში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა. პოსტპინოჩეტურ პერიოდში პირველად, ანუ 1990 წლის შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე კონსერვატორების წარმომადგენელი სებასტიან პინეირო მოვიდა. მას მხარი დაუჭირეს, ფაქტობრივად, იმავე ძალებმა, რომლებიც გენერალ პინოჩეტის უკან იდგნენ, როცა იგი ხელისუფლებას 17 წლის მანძილზე ძალით ინარჩუნებდა. ასე შეწყდა მემარცხენე, მემარცხენე-ცენტრისტული და ცენტრისტული ძალების კოალიციის მმართველობის 20-წლიანი პერიოდი; კოალიციისა, რომელშიც შედიოდნენ დემოკრატები, სოციალისტები, რადიკალები, სოციალ-დემოკრატები. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩილე წარსულისკენ შებრუნდა? გაიხსენა რკინის ხელი, თავისი „ეფექტური მენეჯერი", რომელსაც ოდესღაც ცილი დასწამა და სასამართლოს გადასცა?

აუგუსტო პინოჩეტი რომის პაპთან ერთად

ცნობილი ლათინოამერიკელი ჟურნალისტი და პოლიტოლოგი ალვარო ვარგას ლიოსა ირწმუნება, რომ რაღაც სრულებით საპირისპირო ხდება – ქვეყანა წინ მიემართება. „ესპანეთში, — ამბობს იგი, — დემოკრატიამ ჭეშმარიტად გაიმარჯვა მაშინ, როცა დიქტატორ ფრანკოს მემკვიდრეებმა პირველად მოიგეს პატიოსანი თავისუფალი არჩევნები“.

იმავე ფენომენის მომსწრენი ვხდებით ჩილეშიც.

ჩილეს სასწაული, ალბათ, ისიცაა, რომ ცენტრისტებისგან მემარჯვენეებისთვის ხელისუფლების გადაცემა ქუჩური შეტაკებების, კენჭისყრის მონაცემთა მასშტაბური გაყალბების ბრალდებებისა და ხმათა 3-4 პროცენტის მოპარვის გარეშე მოხდა.

ხოსე მიხოელსი

ფერნანდო მარკოსი – ყველაზე კორუმპირებული ფილიპინელი

ეს კაცი მრავალი წლის განმავლობაში ვაშინგტონის ერთ–ერთი უერთგულესი მეგობარი იყო. ალბათ, ამიტომაც, აზია–წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკის სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფით ისე გაძარცვა საკუთარი ქვეყანა, რომ ბოლო ათწლეულების ყველაზე კორუმპირებული პოლიტიკოსების ნუსხაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მას ფერნანდო მარკოსი ერქვა.

დაიბადა ფილიპინებზე, სარატში, რომელიც იმხანად აშშ–ის მფლობელობაში იყო. ამიტომ, ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, თავისუფლად შეეძლო თეთრ სახლში სავარძლის პრეტენდენტი ყოფილიყო. ამ მიმართულებით ისეთივე ძლიერი სწრაფვა რომ ჰქონოდა, როგორც მომხვეჭელობის სურვილი, დღევანდელი მსოფლიო, ალბათ, სხვაგვარი იქნებოდა, რადგან სამშობლოს ასე გაძარცვა მარტოდენ გამოჩენილ ადამია-

ნებს შეუძლიათ. **მართალია, ამერიკის უმაღლეს ხელისუფალთაგან უშუალო კავშირი არავისთან ჰქონია, მაგრამ ფინანსური დახმარების სახით ამერიკის ბიუჯეტიდან მილიარდობით დოლარის გამოღლეტა და, ამასთან, მრავალი წლის განმავლობაში ვაშინგტონის აღიარებულ მეგობრად დარჩენა შეძლო.**

მარკოსის მამა – დონ მარიანო მარკოსი მასწავლებელი, ადვოკატი და „პულიტიკო“ (პოლიტიკური სარდალი) იყო პროვინციის მთავარ ქალაქ ლაოაგეში, შემდეგ კიდავაოს პროვინციის გუბერნატორად დაინიშნა კუნძულ მინდანაოზე. დედა, დონია ჰოსეფა ედრალინი, მდიდარი მემამულის ქალიშვილია, სკოლის დასრულების შემდეგ დაბალ კლასებში მასწავლებლობდა. მშობლების მიბაძვით, ფერდინანდი რომაულ–კათოლიკური ეკლესიის გულმხურვალე მრევლი გახდა. არ ეწეოდა, არ სვამდა, პატივს სცემდა ფილიპინურ ადათ–წესებს და ჯანსაღი ცხოვრების წესსაც მისდევდა. სამ ენაზე — მშობლიურ ილოკანურზე, ესპანურსა და ინგლისურზე ლაპარაკობდა და აშკარად ნიჭიერი ყმაწვილი იყო.

1939 წელს მარკოსმა ფილიპინების სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული კოლეჯი დაამთავრა, სამართლის ბაკალავრის დიპლომიც აიღო და იმავე წელს მაგისტრის წოდების მაძიებელთა საგამოცდო ნუსხაში მოხვდა. მარკოსმა თავი გამოიჩინა, როგორც სტუდენტთა ლიდერმაც – მშვენივრად გამოდიოდა მიტინგებზე, მართავდა სტუდენტურ დემონსტრაციებს მალაკანიანგუს საპრეზიდენტო სასახლესთან, სადაც მეოთხედი საუკუნის შემდეგ დასახლდა კიდეც. უნივერსიტეტშიც, სკოლის მსგავსად, თითქმის ყველა უმაღლესი ჯილდოს მფლობელი გახდა — მიიღო კესონის ორდენი მჭევრმეტყველებისთვის, ლაურელიას მედალი სასამართლო პრაქტიკაში ოსტატობისთვის, ავანსენიეს თასი პოლემიკის ოსტატობისთვის და ასევე, ოქროს მედალი სამხედრო მეცნიერებათა შესწავლაში მიღწეული წარმატებებისთვის. მამამისის პოლიტიკური ოპონენტის მკვლელობის ბრალდებით, იგი დააკავეს და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს, მაგრამ განმეორებით პროცესზე ისე ოსტატურად დაიცვა თავი, რომ საქმის გადახედვის შემდეგ ბრალდებები მოუხსნეს.

1948 წელს ფილიპინებმა აშშ-ისგან დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ თავისუფალი მარტოდენ ქაღალდზე აღმოჩნდა. კუნ-

ძულზე ამერიკის სამხედრო ბაზები დარჩა. ამერიკულ კომპანიებს იგივე უფლებები მიენიჭათ, რაც ადგილობრივს. ამიტომ აშშ, მისთვის საჭირო მიმართულებით, წარმატებით ახდენდა ზეგავლენას ახალწარმოქმნილი სახელმწიფოს პოლიტიკაზე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც. **აზიის რეგიონში სამხედრო პლაცდარმების შენარჩუნების სურვილი იქცა იმ ერთ-ერთ მიზეზად, რის გამოც ვაშინგტონმა მარკოსზე, როგორც მეტ-ნაკლებად მართვად ფიგურაზე, დაყრდნობა გადაწყვიტა.**

1949 წლის იანვარში ხმათა 70 პროცენტით იგი პირველად აირჩიეს კონგრესის წარმომადგენლობის ადგილობრივ პალატაში ჩრდილოეთ ილოკოსიდან. „ხმა მომეცით, — მოუწოდებდა იგი ამომრჩევლებს წინასაარჩევნო მიტინგებზე, — და 15 წლის შემდეგ თქვენ ილოკონის პრეზიდენტი გეყოლებათ“, და 32 წლის მარკოსი ყველაზე ახალგაზრდა ფილიპინელი კონგრესმენი გახდა.

1953 წელს იგი კვლავ აირჩიეს კონგრესში. მისმა მოღვაწეობამ კომიტეტებსა და კომისიებში (სხვადასხვა დროს მარკოსი ვაჭრობისა და მრეწველობის, სამოქალაქო სამსახურის, ეკონომიკური დაგეგმვისა და ომის ვეტერანთა კომიტეტების თავმჯდომარე იყო) ძალზე მაღალი შეფასება დაიმსახურა — „ათ გამოჩენილ კონგრესმენს“ შორის მოხვდა. გაზეთი „მანილა თაიმსი“ ირწმუნებოდა კიდეც, რომ „მარკოსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვედა პალატაში პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდაში“. 1959 წელს მარკოსი სენატში აირჩიეს: ჩრდილოეთის, უწინარესად კი, ილოკონელების აღიარებული ლიდერი გახდა.

როგორც კონგრესის წევრს, მარკოსს საშუალება ჰქონდა, უშუალო სიახლოვეს ედევნებინა თვალი ქვეყნის სამი პრეზიდენტისთვის – ელპიდიო კირინოს, რამონ მაგსაისაიასა და კარლოს გარსიასთვის. ლიბერალური პარტიის ვიცე-პრეზიდენტის რანგში სათავეშიც კი ჩაუდგა თავისი უშუალო წინამორბედის, 1961 წელს არჩეული დიოსდაო მაკაპაგალუს ოპოზიციას. 1963-1965 წლებში მარკოსს სენატის თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

1965 წელს მან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო მისი წინასაარჩევნო კომპანია ფართომასშტაბიან ოპერაციად იქცა — ის მგზნებარე სიტყვით გამოდიოდა „თავისუფლების ეთიკის არა განმარტოების, არამედ ბრძოლის თავისუფლების“ თაობაზე. წარმომადგენლობით

პალატაში სამი ვადით, სენატში კი ერთხელ არჩევა, ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობა, ღირსეული წარმომავლობა, გმირული ბიოგრაფია, მომხიბლავი მეუღლე და სამი უსაყვარლესი ბავშვი – ყველაფერი ეს მარკოსს საპრეზიდენტო პოსტის ბრწყინვალე პრეტენდენტად წარმოაჩენდა. საბოლოოდ, მან დიდი უპირატესობით დაამარცხა მეტოქე მაკაპალაგა და, „პოლიტიკური მოქნილობის“ გამოვლენით, თვალის დახამხამებაში უგანა მის წარმომდგენ ორგანიზაციას და ნაციონალისტური პარტიის ბირთვში გადავიდა.

1965 წლის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც მისივე თქმით, „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა გადაიბარა“, მარკოსმა კონგრესში გზავნილი აფრინა: „ვერავის იმედზე ვერ ვიქნებით, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავეყრდნოთ, რათა შრომითა და გარჯით აღვადგინოთ ეკონომიკა, გავუუმჯობესოთ ხალხს საცხოვრებელი პირობები, გავატაროთ დამოუკიდებელი საგარეო, ხოლო ქვეყნის შიგნით ნაციონალური კონსოლიდაციის პოლიტიკა“. 1969 წელს, ხმათა უმრავლესობით, მარკოსი მეორე ვადით აირჩიეს და მან ახალი დაპირებები დააარიგა: უფრო სერიოზული და მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება, სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა, სოფლის მეურნეობაში უძრაობის ლიკვიდირება. დაიწყო აქტიური „პირადი დიპლომატიის“ გატარება, საჯაროდ უარი თქვა „ცივი ომის“ პოლიტიკის მხარდაჭერაზე და მიზნად დაისახა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონის ქვეყნების კონსოლიდაცია. სწორედ იმხანად გამოავლინა სწრაფვა აბსოლუტური ძალაუფლებისაკენ და შეუწყნარებლობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ, ხოლო 1969 წლის წინასაარჩევნო კამპანია უკვე აშკარა დაშინებებით, მოსყიდვითა და ამომრჩეველთა ხმების გაყალბებით წარმართა.

1972 წელს ქვეყნის მეთაური მხოლოდ საკუთარ გულისხმას ენდობოდა, გაუმწვავდა ურთიერთობები კონგრესსა და პოლიტიკურ პარტიებთან. ამ პირობებში, 1972 წლის 21 სექტემბერს პრეზიდენტმა საგანგებო ვითარება გამოაცხადა ქვეყანაში და კონსტიტუცია გააუქმა. 1973 წლისათვის, აშშ-ის დაუხმარებლად, მარკოსმა საშინაო ვაჭრობაში გარკვეული სასიკეთო ბალანსის მიღწევა შეძლო, 60 პროცენტამდე გაზარდა საგადასახადო შემონატანები, შეიმუშავა და წამოიწყო მიწის რეფორმა,

ფერნანდო მარკოსი და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი

საერთო ეკონომიკური უძრაობის დაძლევისა და გარდაქმნისთვის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ბაზა შექმნა.

მსოფლიოში პოპულარული მემარცხენე იდეების გათვალისწინებით, მარკოსმა ეკონომიკისა და განვითარების ნაციონალური სამმართველო შექმნა, რომელსაც ეკონომიკის გეგმაზომიერი ხელმძღვანელობა დაეკისრა. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად „ეკონომიკური ნაციონალიზმი" გამოცხადდა. მიწის რეფორმის, დასაქმებულობის, ხელფასის მომატების მეშვეობით დაბალშემოსავლიანი ოჯახების ცხოვრების გასაუმჯობესებლად მარკოსმა ახალი — „თანასწორი და ახალი სოციალური ორიენტაციის საზოგადოების შექმნის" პროგრამის შესახებ გამოაცხადა. საკუთარი თავი 1896 წლის რევოლუციური ტრადიციების უშუალო გამგრძელებლად შერაცხა და ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ხოსე რისალის, აპოლინარიო მაბინისა და ფილიპინის განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მოღვაწეთა დიდებას ზიარებოდა. გამოაქვეყნა წიგნი „რევოლუცია დღეს — ეს დემოკრატიაა" (1971 წელი). ამ ნაშრომში მარკოსი მარქსისა და ენგელსის, ფილიპინების ანტიესპანური რევოლუციის ლიდერებისა და რო-

მის პაპის — პავლე მეექვსეს ციტირებას ახდენდა. მან გამოაცხადა „დემოკრატიული რევოლუცია ცენტრიდან“, რომლის განმარტებაც ორგვარად შეიძლებოდა: როგორც „თეთრი შაჰის რევოლუციის“ ტიპისა ზემოდან და როგორც რევოლუციისა, ხალხის მასების შუაგულიდან. შემდგომში მარკოსის მთელი „შემოქმედება“ საზეიმოდ ეძღვნებოდა ფილიპინელ ხალხს, ხოლო თავად მას, „1972 წლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ“, როგორც თვითონ უწოდა მის მიერვე მოწყობილ ტოტალიტარულ გადატრიალებას, სულ უფრო ხშირად მოიხსენიებდნენ „ხალხის მამად“ (მის მეუღლე იმელდას, შესაბამისად, — „დედად“) და „ნაციის ბელადად“.

1973 წელს მარკოსმა ახალი კონსტიტუცია შემოიღო. გარეგნულად დემოკრატიულ, მაგრამ პრაქტიკულად არაფრისმომცემ რეფერენდუმებს ატარებდა, რომლებიც არჩევნების მსგავსად, სამხედროთა მკაცრი მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. მთავარ ამოცანად პოლიტიკური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა და ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა სახელდებოდა, ამავე დროს საპყრობილეები ოპოზიციური მოღვაწეებით ივსებოდა. კერძოდ, მარკოსმა ციხეში უკრა თავი ლიბერალური პარტიის გენერალურ მდივანს ბენიგნო აკინო-უმცროსს, გამოჩენილ მეცნიერებს, ჟურნალისტებს, მრეწველებს და არც მათი საკუთრების ექსპროპრიაციას თაკილობდა.

ბევრი საზოგადო მოღვაწე, მარკოსის დიქტატურისგან თავის დასაღწევად, იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. 1974 წელს ფილიპინების კომუნისტური პარტიის ლეგალიზება მოხდა, მათთან ბრძოლა შეწყვეტილად გამოცხადდა და კომუნისტები სატუსაღოებიდან გამოუშვეს. პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ “ფილიპინების კომპარტიის ლიდერებმა შეწყვიტეს ანტისამთავრობო მოღვაწეობა და მთავრობას ჩაბარდნენ”. მაგრამ მინდანაოსა და სულუს კუნძულებზე სეპარატისტული მოძრაობის მთლიანად ლოკალიზება მან მაინც ვერ მოახდინა.

რეჟიმისთვის კომუნისტებსა და მემარცხენე მეამბოხურ მოძრაობაზე გაცილებით “ვერაგ საფრთხედ” მარკოსი “მემარჯვენე დაჯგუფებებს მიიჩნევდა. ის ნელ-ნელა გაუსწორდა მომრავლებულ “კერძო არმიებს”, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღის უზარმაზარი არსენალი ჰქონდათ, და ფილიპინურ საზო-

გადოებაში ძალაუფლებით მოვაჭრე ე. წ. პულიტიკოებს – პოლიტიკურ სარდლებს. სამხედროებზე დაყრდნობით მარკოსმა გარკვეულწილად ორგანიზებული დანაშაულიც დაამარცხა.

1981 წელს, საზოგადოებაში რეჟიმით უკმაყოფილების ზრდის მიუხედავად, მარკოსმა განმეორებით გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. მისი ძველი მეტოქე, რომელსაც მარკოსის რეჟიმის ოპოზიციის ერთადერთ გამაერთიანებლად და ხელმძღვანელად მიიჩნევდნენ – ბენიგნო აკინო 1983 წლის 21 აგვისტოს მოკლეს. ამ სისხლიან დანაშაულში მარკოსის ხელი დაინახეს.

1986 წლის 7 თებერვალს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, რომელიც ბენილიო აკინოს ქვრივის — კორასონ აკინოს მხარდაჭერის ლოზუნგით მიმდინარეობდა. მისი შედეგების გაყალბებაში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი. თავდაპირველად გამარჯვებულად მარკოსი გამოაცხადეს, ხოლო შემდეგ — აკინო, მას მერე, რაც ქვრივმა ხალხს მასობრივი საპროტესტო აქციებისკენ მოუწოდა და კათოლიკური ეკლესიისა და არმიის უდიდესი მხარდაჭერა მიიღო. შედეგად, ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. აკინომ და ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა ფიდელ რამოსმა ფილიპინების არმია მარკოსის მომხრეებისგან გაწმინდეს, ხოლო თავად მარკოსი ჰავაის კუნძულებზე თავის ძველ მფარველებს შეეკედლა და სამშობლოში აღარასოდეს დაბრუნებულა.

ანალიტიკოსები ერთხმად მიიჩნევენ, რომ **ვაშინგტონის მისწრაფება, თავისი სამხედრო ბაზები აზიური რეგიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონში შეენარჩუნებინა, მარკოსის რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა. სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მოტივი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლა მესამე ქვეყნებში არსებული ნებისმიერი მემარცხენე სოციალისტური ძალების წინააღმდეგ. გაეროში აშშ-ის ყოფილი ელჩისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტ რეიგანის მრჩევლის ჯოან კირკპატრიკის მიერ შექმნილი დოქტრინის თანახმად, რომელსაც მისივე სახელი ეწოდა, მესამე ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციები ამერიკელების მიერ აპრიორი არალეგიტიმურად იყო გამოცხადებული და ნებისმიერ ფასად, თუნდაც იქ ოდიოზური დიქტატორული რეჟიმების დამყარებით, ლიკვიდირებას ექვემდებარებოდა.** სწორედ კირკპატრი-

კი არწმუნებდა რეიგანის ადმინისტრაციას, ბოლომდე დაეჭირათ მხარი მარკოსის რეჟიმისათვის.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მარკოსი ფილიპინურ დაზვერვაში მუშაობდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის სპეცასამსახურებთან. ვაშინგტონს უთუოდ ექნებოდა შემონახული მონაცემები, რომელთა გამოყენებაც ფილიპინების პრეზიდენტსა და მის პოლიტიკაზე საჭირო გავლენის მოსახდენად შეიძლებოდა.

მაგრამ 1970-იან წლებში ამერიკის პოზიციები მსოფლიოში შესუსტდა. აშშ-ის, როგორც მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს, ავტორიტეტი ეცემოდა, საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობილებები იმატებდა. ფილიპინელებმა კონტაქტი დაამყარეს სსრკ-სა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ზოგიერთები მარკოსს საბჭოთა კავშირის მეგობარსაც კი უწოდებდნენ. მარკოსის მთავრობამ იმხანად აშშ-თან მოლაპარაკებებიც კი წამოიწყო ზოგიერთ, ქვეყნისთვის მეტ-ნაკლებად არახელსაყრელი, ფილიპინურ-ამერიკული ომის შემდგომი სამხედრო შეთანხმებების გადახედვის თაობაზე.

1972 წელს მარკოსის მიერ საგანგებო ვითარების გამოცხადებასა და უმკაცრესი სამხედრო რეჟიმის დამყარებას ფილიპინებზე აშშ-ის პროტესტი არ გამოუწვევია და ვაშინგტონი თავის ფილიპინელ მოკავშირეს ეკონომიკურსა და სამხედრო დახმარებას უწინდებურად აღმოუჩენდა. დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, **1970-იან წლებში ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, მნიშვნელოვანწილად, სწორედ უცხოური, უპირატესად, აშშ-დან მიღებული დიდი სესხებით აიხსნებოდა. ამავე დროს, საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ დიდ თანხებს პირადად ფერნანდო მარკოსი, მისი ოჯახი და უახლოესი გარემოცვა ითვისებდა. დიქტატორი მოგებას იღებდა ყველა გარიგებიდან, რომლებიც ფილიპინებზე იდებოდა. მისი ნათესავების სახელზე დარეგისტრირებული იყო ათობით საწარმო და კომპანია. ვერც ერთმა გამოძიებამ (ისინი კი არაერთგზის ჩატარებულა) ვერ შეძლო, ზუსტად განესაზღვრა დიქტატორის შემოსავლის ყველა წყარო, რომლებიც 10 მლრდ დოლარად შეფასდა.**

დიდი ხნის განმავლობაში ქვეყანას, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ოპოზიციურ მემარცხენე ძალებთან საბრძოლვე-

ლად, აშშ იარაღსა და მატერიალურ სახსრებს აწვდიდა, რაც მარკოსის კიდევ ერთ პირად შემოსავლის წყაროდ იქცა. **აშშ-ის მხრიდან მუდმივი ფულადი ინექციები, ეკონომიკური დახმარება ფილიპინების დიქტატორს ამერიკაზე დამოკიდებულს ხდიდა. ნებისმიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას მას, უწინარესად, „უფროსი" მეგობრის — მრავალრიცხოვან ამერიკელ მრჩეველთა — სურვილები უნდა გაეთვალისწინებინა.**

1985 წლის შემოდგომაზე რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც მარკოსის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მხარდაჭერას განაგრძობდა, უცებ ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროებაზე ალაპარაკდა. მას შემდეგ, რაც მედიამ ფილიპინების დიქტატორის გიგანტური შემოსავლის წყაროებისა და მოსახლეობის გაღატაკების მიზეზების გარკვევა მოითხოვა, მარკოსმა ძალაუფლების განმტკიცება სცადა და 1986 წლის თებერვლისთვის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა.

როცა არჩევნების მიმდინარეობისას მრავალრიცხოვანი გაყალბების ფაქტები გამოვლინდა, ადგილობრივმა მედიამ (ერთ-ერთი ვერსიით, ამერიკის სპეცსამსახურების კონტროლქვეშ მყოფმა) მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგე კორასონ აკინოს მხარდაჭერა გამოუცხადა. აკინომ ფილიპინელებს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების გამართვისკენ მოუწოდა და ამ ვითარებაში მარკოსმა ვერ გაბედა ძალის გამოყენება თავისი ძალაუფლების აღსადგენად. ამ დროისთვის **აშშ-მა დაასკვნა, რომ მარკოსის შემდგომი მხარდაჭერა რეგიონში სერიოზული პრობლემების შექმნით ემუქრებოდა. ამაში გარკვეული როლი ითამაშა კორასონ აკინოს კონტაქტებმა რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთანაც, რომლებმაც საბოლოო ჯამში ფსონი ამ პოლიტიკურ მოღვაწეზე დადეს.**

არჩევნების წაგების შემდეგ მარკოსი იძულებული გახდა, ჰავაის კუნძულებზე გაქცეულიყო და თავი ძველი მფარველისთვის შეეფარებინა. მმართველობის პერიოდში მიღებული სახსრები უღრუბლო მომავალს ჰპირდებოდა, მაგრამ ბოლო წლებში ყოფილ დიქტატორს მრავალრიცხოვანი სარჩელებისა და სახელმწიფო ხაზინიდან თანხების დატაცების ბრალდებებისგან თავდაცვა უხდებოდა. ოფიციალურად ეს ბრალდებები მას კო-

რასონ აკინოს მთავრობამ წაუყენა, თუმცა ამერიკის ხელისუფლებასაც სურდა, იმ თანხების ნაწილის უკან დაბრუნება მაინც, რაც მან მარკოსის დიქტატურაში ჩადო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფილიპინების მთავრობა სამხედრო ბაზების იჯარის თაობაზე ხელშეკრულებების გადახედვით დაიმუქრა, თუკი ყოფილი დიქტატორის იურიდიული დევნა არ დაიწყებოდა. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ იგი აშშ-ის მეგობარი მანამდე იყო, სანამ ეს თეთრ სახლს ხელს აძლევდა. ხოლო, **როგორც კი მარკოსმა ვაშინგტონის აზრის გათვალისწინება შეწყვიტა, მისი მხდარდაჭერაც უმალ დაკარგა.**

20-წლიანი მმართველობის მანძილზე, ამერიკელების წარმოდგენით, იგი თავდაპირველად „დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკოსი იყო", შემდეგ კი — დესპოტი, რომელმაც ქვეყანაში სამხერო მდგომარეობა დაამყარა. ამ ხნის განმავლობაში ცოლ-ქმარმა მარკოსებმა ნაციონალური ეკონომიკა გამოფიტეს. სიხარბისა და უსაზღვრო ფუფუნებით ცხოვრების მისწრაფებისთვის ფერდინანდ მარკოსმა თანამემამულეების ზიზღითა და დევნილობაში უსახელო სიკვდილით ზღო.

ვაშინგტონის რისხვის მოლოდინში მარკოსმა საიმედოდ გადამალა თავისი ქონების ნაწილი ჟენევისა და ციურიხის ბანკების სარდაფებში. და როცა საზოგადოების ზეწოლით, ექსპრეზიდენტის ოდიოზურად მფლანგველი მეუღლე იმელდა მარკოსი თარლითობაში, ქურდობასა და გამოძალვაში დაადანაშაულეს და 1990 წელს აშშ-ის სასამართლოს წინაშე წარსდგა, იუსტიციის სამინისტრომ 20 მილიონი დახარჯა გამოძიებაზე, აამოქმედა სახელმწიფო დეპარტამენტის ყველა სამსახური, ეფბი-აი და ცე-რე-უ, მაგრამ საქმე მაინც წააგეს. უკანასკნელი ფილიპინელი დიქტატორის ცოლმა ამერიკულ თემიდას პროცესი მოუგო, სავარაუდოდ, იმის გამოც, რომ შეეძლო საიდუმლო მასალებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება, რომლებიც მსოფლიოს თვალში ვაშინგტონის ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას, აზიაში აშშ-ისთვის სასურველი რეჟიმების დასამყარებლად ან დასამხობად ჩატარებულ საიდუმლო ოპერაციებს ერთობ რეპრეზენტაბელურად წარმოაჩენდა.

ᲓᲘᲜ ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲘ

ზია ულ-ჰაქმა თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ წასვლა არ ისურვა



1988 წლის 17 აგვისტოს თვითმფრინავი C-130b („ჰერკულესი“) ბაჰავალპურის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროდრომის ასაფრენ ზოლზე გავიდა, მიწას მოსწყდა და კურსი ისლამაბადისკენ აიღო. აფრენიდან რამდენიმე წუთში ეკიპაჟმა დისპეტჩერის კითხვებზე პასუხის გაცემა შეწყვიტა, ხოლო თვითმფრინავმა უცნაური მანევრების შესრულება დაიწყო — ჯერ „ჩაყვინთავდა“, შემდეგ კი სიმაღლეს იღებდა. მესამე „ჩაყვინთვა“ საბოლოო აღმოჩნდა. პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების №1 ბორტი ჩამოვარდა. დაიღუპა 31 კაცი, მათ შორის, პაკისტანის პრეზიდენტი, გენერალი ზია ულ-ჰაკი, პაკისტანის სამხედრო სარდლობის 9 საკვანძო ფიგურა (პრეზიდენტის უახლოესი თანამოაზრე, გენერალი რაჰმანი, რომელიც 10 წლის განმავლობაში პაკისტანის დაზვერვა ISI-ს ედგა სათავეში და ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ორგანიზებაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ), ასევე, ამერიკელ მრჩეველთა გუნდის მეთაური პაკისტანში, გენერალი უოსომი და აშშ-ის ელჩი არნოლდ რაფელი.

გენერლის ნეშტი პატივით მიაბარეს მიწას. 10-დღიანი გლოვა გამოცხადდა. სამი დღით დაიკეტა ყველა სახელმწიფო დაწესებულება. მილიონობით რიგითი მოქალაქე, ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ელიტა მდიდრულ დაკრძალვაზე მწუხარებას ეძლეოდა. თუმცა დაკვირვებული თვალი შენიშნავდა, რომ ქვეყანაში დაიწყო სამხედრო რეჟიმის სწრაფი დემონტაჟი. ცოცხლად დარჩენილ გენერლებს ძალაუფლებისთვის არ უბრძოლიათ და მართვის სადავეები, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, სენატის თავმჯდომარეს — გულამ იშაკ ჰანს გადაულოცეს. პაკისტანელი პოლიტიკოსები ჯერ კიდევ ზია ულ-ჰაკის მიერ დანიშნული არჩევნებისთვის მზადებას შეუდგნენ.

ქვეყანაში ლონდონიდან დაბრუნდა გარდაცვლილი გენერლის მთავარი ოპონენტი ბენაზირ ბჰუტო, რომელიც წარმატებით გამოვიდა არჩევნებზე და პრემიერ-მინისტრიც გახდა. პაკისტანში განვითარებულ მოვლენებს „სამხედრო დიქტატურიდან დემოკრატიისკენ კონსტიტუციური გადასვლა“ უწოდეს. სულ უფრო ნაკლებ აქტუალური ხდებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ დემოკრატიის მორიგი ეტაპი ტრაგედიით დაიწყო, უფრო სწორად — მკვლელობით. ბენაზირ ბჰუტომ, რომელსაც გენერალი სძულდა და ამას ზია ულ-ჰაკის სიცოცხლეში მის მიმართ ემოციური გამონათქვამებით არც მალავდა, უცებ მკვეთრად შეწყვიტა ამ თემაზე ლაპარაკი და განაცხადა, რომ ზია ულ-ჰაკის აღსასრული „ღვთის სასჯელი“ იყო.

გენერლის დაღუპვის მიმართ ინტერესი სწრაფად გაქრა. ზოგიერთი ამერიკელი კონგრესმენი გარკვეულ ხანს დაინტერესებული იყო უჩვეულო ავიაკატასტროფით — იქ ხომ ორი ამერიკელი პოლიტიკოსი დაიღუპა. თუმცა მომდევნო 1989 წლის მეორე ნახევრიდან ეს საქმე თანდათან მიივიწყეს. ისედაც ძნელი იყო ყურადღების გამახვილება პაკისტანელი სამხედრო დიქტატორის მკვლელობაზე, როცა მთელ მსოფლიოს აზანზარებდა მოვლენები, როგორიც იყო აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების ნგრევა, სტუდენტური ამბოხი პეკინში და მისი სასტიკად ჩახშობა, აიათოლა ჰომეინის სიკვდილი ირანში.

გენერალმა თავისი როლი შეასრულა ისტორიაში და გაუჩინარდა. ზოგისთვის იგი ლეგენდა, წამებული, ჭეშმარიტი მუსლიმანი და პაკისტანის პატრიოტია, ზოგისთვის — დიქტატო-

ზია ულ-ჰაკი ლოცვის დროს

რი და პირსისხლიანი მკვლელი. გარდაცვალებისთანავე იგი მყისვე დაივიწყეს მხოლოდ მათ, ვინც გენერალი თავის გეოპოლიტიკურ კომბინაციებში გამოიყენა.

მუჰამედ ზია ულ-ჰაკი 1924 წელს დაიბადა ბრიტანეთის ინდოეთში, გადამდგარი სამხედროს ოჯახში. დაამთავრა ინდოეთის სამეფო აკადემია. ბირმაში, მალაიზიასა და ინდონეზიაში, ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში, იაპონიის არმიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა.

1947 წელს, პაკისტანის წარმოქმნის შემდეგ, მაიორის წოდებით პაკისტანის არმიის სამსახურში ჩადგა. ახალგაზრდა ოფიცერი პაკისტანის სახელმწიფოს დამაარსებლის — მუჰამედ ალი ჯინის სწავლებით დაინტერესდა. მუსლიმანური ნაციონალიზმის იდეის მისეულმა ურთიერთსაპირისპირო განმარტებებმა არსებითი გავლენა მოახდინა ზია ულ-ჰაკის შეხედულებებზე.

1950-იან წლებში ყოფილი კავალერისტის — ზია ულ-ჰაკის სამხედრო კარიერაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა 1962-1964 წლებში იგი აშშ-ში სწავლობდა — ლივანვორტის ფორტში სამეთაურო შემადგენლობის კოლეჯში (კანზასის შტატი). პაკისტანში იგი ტანკისტად დაბრუნდა და კუვეიტში, სამხედრო კოლეჯში, სამსახურს შეუდგა. ასე რომ, 1965 წელს ინდოეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობა მიიღო, როგორც ტანკის მეთაურმა.

1967-1970 წლებში ზია ულ-ჰაკი იორდანიის არმიაში ინსტრუქტორად მუშაობს და 1973 წელს მონაწილეობს მეფე ჰუსეინის რეჟიმის გადარჩენაში: „შავი სექტემბრის მოვლენებისას“ სამეფო ჯარების მეორე დივიზიას მეთაურობს. პაკისტანში დაბრუნებული სამსახურს განაგრძობს ჯავშანსატანკო ჯარებში და გენერალი ხდება.

1975 წელს ზია ულ-ჰაკი მოულოდნელად პოლიტიკაში შეაბიჯებს. მულთანში მეორე სატანკო კორპუსის მეთაურობისას მას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზულფიკარ ალი ბჰუტო უნდა მიეღო. მთავრობის მეთაურისთვის ახალი მუნდირი შეკერეს, რომელიც პრემიერმა სიამოვნებით ჩაიცვა. შემდეგ გენერლის ხელმძღვანელობით პირადად ისროლა ტანკიდან და წარმატებით მოარტყა მიზანს. ამის შემდეგ ზია ულ-ჰაკმა ყურანზე ხელის დადებით პათოსით წარმოთქვა პრემიერ-მინისტრ ბჰუტოს წინაშე: „თქვენ პაკისტანის მხსნელი ხართ, ჩვენი ვალია, ერთგულად გემსახუროთ“. ეს სიტყვები შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 1976 წლის 1 მარტს ბჰუტომ, პაკისტანის მთავარი სამხედრო პოსტის შვიდზე მეტი გაცილებით უფროსი კანდიდატის გვერდის ავლით, ზია ულ-ჰაკი ქვეითი ჯარების შტაბის მეთაურად დანიშნა.

დროთა განმავლობაში ბჰუტო ოპონენტებსა და უწინდელ თანამოაზრეებთან პოლიტიკურ ინტრიგებში ჩაეფლო. მისი თანამოაზრეების მკვლელობებს ქვეყანაში ცნობილი ოპოზიციონერების ლიკვიდაცია მოჰყვა. ბჰუტო იძულებული გახდა, მანევრირება დაეწყო და აშკარად გაამწვავა პოლიტიკური ბრძოლა. მას ბოლო წუთამდე სწამდა, რომ საიმედო ზურგი — არმია ჰყავდა. მაგრამ 1977 წლის 5 ივლისს, სამხედრო გადატრიალების შედეგად, ბჰუტო და მისი მთავრობის ყველა წევრი, ზია ულ-ჰაკის ბრძანებით, დააპატიმრეს. ბჰუტო სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისი მომხრეები გაანადგურეს ან ქვეყანა დაატოვებინეს.

ზია ულ-ჰაკმა პაკისტანში სამხედრო მდგომარეობა შემოიღო და 1978 წელს პრეზიდენტი გახდა და სამხედრო დიქტატორად დარჩა.

1947 წელს პაკისტანის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ, ქვეყნის ლიდერებმა არჩევანი დიდ ბრიტანეთსა და აშშ-თან სამოკავშირეო ურთიერთობების განვითარების სასარგებლოდ გააკეთეს. პაკისტანი ამერიკის მოკავშირეთა შორის მოხვედრისკენ ისწრაფოდა, მაგრამ პრეზიდენტი ტრუმენი ამას

თავდაპირველად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ისლამაბადი კი ვაშინგტონის იმპერიული კურსისადმი ლოიალობის ყოველმხრივ დემონსტრირებას ახდენდა და სულ უფრო მეტად მიმართავდა მკაცრ ანტიკომუნისტურ რიტორიკას, ინტრიგებს ხლართავდა ინდოსტანის რეგიონში, რაც მოსკოვს ძალიან აღიზიანებდა. პაკისტანის მზადყოფნა, თვინიერი პარტნიორი გამხდარიყო, დააფასა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და პაკისტანი აზიაში ამერიკის მოკავშირეთა სამხედრო ბლოკის – CEATO-სა და ბაღდადის პაქტის ნაწილი გახდა. ამერიკულ-პაკისტანური მოკავშირეობის ფორმულა უბრალო იყო – აშშ პაკისტანის უსაფრთხოებისა და ერთიანობის გარანტიას იძლეოდა, ხოლო პაკისტანი აშშ-ს საჭირო გეოპოლიტიკურ მომსახურებას უწევდა.

1954 წელს აშშ-მა და პაკისტანმა ხელშეკრულება დადეს ერთობლივი თავდაცვის მიზნით დახმარების შესახებ. 1950-იანი წლების ბოლოს ამერიკელი სამხედროები და დაზვერვა ქვეყანას უკვე აქტიურად იყენებდა აღმოსავლეთში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ოპერაციების ჩასატარებლად. პეშავარასთან მდებარე ავიაბაზიდან საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში მზვერავი-თვითმფრინავები (У-2) დაფრინავდა. 1959 წელს აშშ-მა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პენტაგონის უფლებაზე, პეშევარასთან სტრატეგიული ავიაბაზა ჰქონოდა.

თუმცა 1960-იანი წლების დასაწყისში კენედის ადმინისტრაცია აზიაში მზარდ ჩინურ საფრთხეზე დაფიქრდა და მეორე სუბრეგიონალურ სახელმწიფოს – ინდოეთს გაეთამაშა. 1962 წელს, ინდო-პაკისტანური დაპირისპირებისას პაკისტანს რეალური შანსი გამოუჩნდა ქაშმირის სადავო ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად და მან აქტიური სამხედრო მოქმედებები დაიწყო ინდოეთის წინააღმდეგ, რომელიც იმხანად ჩინეთთან სასაზღვრო კონფლიქტს აგებდა. მაგრამ კენედიმ მკაცრად მოითხოვა პაკისტანისგან, თავი შეეკავებინა საბრძოლო მოქმედებებისგან და ისლამაბადიც იძულებული შეიქნა, დამორჩილებოდა. 1964 წელს ჯონსონის ადმინისტრაციამ ინდოეთისთვის ხანგრძლივი სამხედრო დახმარების ახალი პროგრამა მიიღო, ხოლო ინდო-პაკისტანის ომის შემდეგ, 1965 წელს აშშ-მა ემბარგო დააწესა ორივე ქვეყანაში იარაღის მიწოდებაზე.

1960-იან წლებში აშშ-ს აღარ დასჭირდა პაკისტანის გეოპო-

ლიტიკური სამსახური, რადგან აღმოსავლელი მოკავშირეებისგან სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნის იდეაზე უარი თქვა. შუა აღმოსავლეთში სსრკ-ის წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთში სტრატეგიული ინტერესების უზრუნველსაყოფად ამერიკის პოლიტიკის ფორპოსტად შაჰის ირანი იქცა. სამხრეთ აზიაში ვაშინგტონის ძირითად პრიორიტეტად ჩინეთის დაბრკოლება რჩებოდა. ხოლო ამერიკა-ინდოეთის დაახლოებაზე მოწუწუნე ისლამაბადი ვაშინგტონს მარტოდენ აღიზიანებდა.

პაკისტანს აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ თავისი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება მოეხდინა და თავად ეძებნა მოკავშირეები რეგიონში. 1960-იან წლებში განვითარდა პაკისტან-ჩინეთის ურთიერთობები, რასაც საფუძვლად საერთო ანტიინდური პოზიციები და ურთიერთეკონომიკური ინტერესები დაედო. 1960-იანი წლები საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური კავშირებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზაციის პერიოდად იქცა. სსრკ-ში ჩამოდიოდნენ პაკისტანის პრეზიდენტები აიუბ-ხანი და იაჰია-ხანი, პაკისტანს ორჯერ ეწვია სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, დაიწყო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. სსრკ-მა პაკისტანს 12 თვითმფრინავი სმ-8 და 170 ჯავშანტრასპორტიორი მიაწოდა 1968 წელს, ხოლო ისლამაბადმა აშშ-ს პეშევარასთან მდებარე ავიაბაზაზე მისი უფლებების გაგრძელების თაობაზე უარი უთხრა, რამაც ვაშინგტონი გამოაფხიზლა. და უკვე ერთი წლის შემდეგ ოკეანისგაღმა პარტნიორების ზემოქმედებით ისლამაბადის საგარეო პოლიტიკამ მკვეთრი ცვლილება განიცადა.

ნიქსონის ადმინისტრაციაში ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზების იდეა იშვა. 1969 წელს ვაშინგტონმა პრეზიდენტ იაჰია-ხანს წინადადებით მიმართა, პაკისტანისთვის შეიარაღების დიდი პარტია მიეწოდებინათ და, ამასთან, სურვილი გამოთქვა, რომ ისლამაბადს ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების ნორმალიზებაში შუამავლის როლი ეთამაშა. პაკისტანის ხელმძღვანელობამ ამერიკის წინადადება დიდი ენთუზიაზმით მიიღო. ისლამაბადმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ვაშინგტონს კონფიდენციალური კონტაქტების დამყარებასა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის პეკინში საიდუმლო ვიზიტის ორგანიზებაში 1971 წლის ივლისში.

ზია ულ-ჰაკი და აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი

სსრკ-მა და ინდოეთმა ამაზე 1971 წლის აგვისტოში 20-წლიანი თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერით უპასუხეს. ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე აღმოსავლეთ პაკისტანში (ამჟამად დამოუკიდებელი ბანგლადეში) **კულმინაციას მიღწია შეიარაღებულმა კონფლიქტმა. პაკისტანი ინდოეთს ორ ფრონტზე ეომებოდა: აღმოსავლეთში – ბანგლადეშში და დასავლეთში – ქაშმირში.** 16 დეკემბერს პაკისტანის ჯარებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს აღმოსავლეთის ფრონტზე, ხოლო მეორე დღეს სამხედრო მოქმედებები დასავლეთის ფრონტზეც შეწყდა. აღმოსავლეთ პაკისტანმა არსებობა შეწყვიტა, ხოლო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფო – ბანგლადეში წარმოიქმნა.

პაკისტანში ომის შედეგები ნაციონალურ კატასტროფად მიიღეს. ქვეყანამ 1971 წელი მკაცრი პოლიტიკური კრიზისისა და ნაციონალური დამცირების მდგომარეობაში გაასრულა. 20 დეკემბერს იაჰია ხანი გადადგა და უფლებამოსილებანი ქვეყნის მეთაურს — ზულფიკარ ბჰუტოს გადასცა. აშშ — ფორმალური მოკავშირე, რომელმაც ერთი წლის წინათ პაკისტანს თვითონ შესთავაზა მეგობრობა და პარტნიორობა, ორ ფრონტზე ბრძოლაში არაფ-

რით დაეხმარა. დახმარებას არც ჩინეთი ჩქარობდა. ვაშინგტონი და პეკინი გლობალური პოლიტიკით იყვნენ დაკავებული, პეკინში ნიქსონის ვიზიტისთვის ემზადებოდნენ, რომელიც 1972 წლის თებერვალში შედგა და ახალი რაუნდი წამოიწყო „ცივ ომში“.

პაკისტანის ხელმძღვანელობამ, რომელსაც ეგონა, რომ დიდ პოლიტიკაში მონაწილეობდა ისეთ საიმედო მოკავშირეებთან, როგორიც აშშ და ჩინეთი იყვნენ, სირცხვილნაჭამმა დატოვა მსოფლიო არენა. ქვეყნის ახალი ლიდერი აშშ-თან პირადად არ იყო დაკავშირებული რაიმე ვალდებულებებით, მით უფრო, ხელისუფლების სათავეში „ისლამური სოციალიზმის“ ლოზუნგით მოვიდა.

ბჰუტო დაბალანსებული საგრეო პოლიტიკის გატარებას ცდილობდა — ძალ-ღონეს არ იშურებდა პაკისტან-საბჭოთა კავშირის 1960-იანი წლების ეკონომიკური პროექტების რეანიმირებისთვის. მან ჩინეთთან ურთიერთობის განვითარებაც განაგრძო და შეიარაღების მიწოდებაზე ამერიკული ემბარგოს დროებით (მართალია, მცირე ხნით) მოხსნასაც მიაღწია.

1970-იანი წლების პირველ ნახევარში პაკისტანი კვლავ მსოფლიო პოლიტიკის მიღმა რჩებოდა. ნიქსონი, ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირთან კარგ ურთიერთობებს თამაშობდა, ხოლო მეორეს მხრივ, განზრახ ზრუდავდა მათ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების განვითარების დემონსტრირების ხარჯზე.

ირანი უწინდებურად ასრულებდა ამერიკელების ნაცვლად ჟანდარმის როლს შუა აღმოსავლეთში. ჩინეთს პაკისტანი უმცროს პარტნიორად ჰყავდა ანტიინდურ პოლიტიკაში. ხოლო საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ბჰუტოს პოლიტიკას მთლიანობაში პოზიტიურად კი უდგებოდნენ, მაგრამ დიდ სიფრთხილესაც იჩენდნენ, რადგან 1969-1971 წლებში პაკისტანი ამერიკის პოლიტიკის ფარვატერობას დაუბრუნდა. თუმცა 1970-იანი წლების მეორე ნახევარში გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ შეცვლა დაიწყო. ამერიკის მოკავშირეები მუსლიმანურ ქვეყნებში სულ უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ თავდასხმებს მზარდი რადიკალური ისლამური მოძრაობების მხრიდან. ირანში, შაჰის სრული მხარდაჭერის მიუხედავად, ვაშინგტონს ამ რეჟიმის მდგრადობის თაობაზე ეჭვები გაუჩნდა.

ამავე დროს, პაკისტანში მიმდინარე მოვლენებს შედეგად ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა და ზია ულ-ჰაკი სამხედრო დიქტატორი გახდა.

ზია ულ-ჰაკის შიდა რეფორმები, დეკლარირებული დაპირებების საწინააღმდეგოდ, ახალ-ახალ რეპრესიებში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაში, არჩევნების გაუქმებაში გამოიხატებოდა. ისლამურ სამყაროში დამკვიდრებული ტენდენციების შესატყვისად, ზია ულ-ჰაკმა მუსლიმანი რადიკალების მხარეს მკვეთრად შემობრუნდა: საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ტრადიციული ისლამური სამართლის ელემენტები შეიტანა. თავად სამხედრო დიქტატორი მართლმორწმუნე მუსლიმანად წარმოჩინდებოდა — ხაზგასმული იყო, რომ გენერალი არ მიირთმევდა სპირტიან სასმელებს, მისი კაბინეტის კედლებზე კი ყურანის სურების ტექსტები იყო გაკრული. თუმცა ამ ყველაფერმა ვერ იხსნა რეჟიმი მისი შიდაეკონომიკური პოლიტიკით მასობრივი უკმაყოფილების ტალღისგან.

მოულოდნელად შუა აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარება იწყება, რომლებიც პაკისტანს აშშ-ის ძირითად მოკავშირედ გარდაქმნის ამ რეგიონში. 1978 წლის აპრილში ავღანეთში რევოლუცია ხდება, ძლიერდება ბრძოლა მმართველ, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიაში. 1979 წლის თებერვალში სწრაფად ინგრევა მონარქიული რეჟიმი ირანში. იმავე წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირს ჯარები შეჰყავს ავღანეთში. აშშუარს ვერ ამბობს სსრკ-ის წინააღმდეგ ომის სხვისი ხელით გაჩაღების შესაძლებლობაზე. ერთადერთი საზღვარი, რომლის გავლითაც მარაგდებიან საბჭოთა კავშირთან მებრძოლი დაჯგუფებები, ავღანურ-პაკისტანურია. პაკისტანს აქვს პორტები, საზღვრისკენ მიმავალი გზები, ინფრასტრუქტურა ზურგის ბაზების, საწვრთნელი ბანაკების, იარაღის საწყობების გასავითარებლად. ის მძლავრი პლაცდარმი ხდება საბჭოთა კავშირთან ომისათვის, რომელიც ცივი სტადიიდან, პრაქტიკულად, ცხელში გადაიზრდება.

ზია ულ-ჰაკი თავისი ისლამიზაციის პოლიტიკით მომგებიანად განსხვავდება ირანის შაჰისგან. ის კი ყოველთვის უცხო იყო ისლამური სამყაროსთვის, მართლმორწმუნედაც არ მიიჩნევდნენ. ზია ულ-ჰაკი რელიგიურია, თანაც სუნითი. მისი ფიგურა იდეალურად გამოდგება იმისათვის, რომ სსრკ-ის წინააღმდეგ ჯიჰადის ორგანიზებაში გარანტს წარმოადგენდეს.

ამის სანაცვლოდ ზია ულ-ჰაკს შეუძლია, თავისუფლად აწარმოოს შიდა პოლიტიკა და ოპოზიციონერებსაც თავისი შეხედუ-

ლებისამებრ გაუსწორდეს. რეჟიმის სტაბილურობის შესანარჩუნებლად იგი ეკონომიკურ დახმარებასაც იღებს.

აშშ-ს მხოლოდ ერთი საკითხი აღელვებს — პაკისტანის სამხედრო-ბირთვული პროგრამა. ის ჯერ კიდევ ბჰუტომ წამოიწყო, ზია ულ-ჰაკმა კი გააგრძელა, რადგან ამერიკა ამის ფინანსურ საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ვაშინგტონს ესმის, რომ გაცილებით აქტუალური მოკლევადიანი ამოცანებიც არსებობს – ომი ავღანეთში, ბომბის შესაქმნელად ხომ პაკისტანს მაინც მრავალი წელი დასჭირდება.

ზია ულ-ჰაკი აშკარად არ მიიჩნევდა თავს სხვისი პოლიტიკის გამტარებლად. იგი დარწმუნებული იყო, რომ მრავალსვლიან თამაშს აწარმოებდა. საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს კი დამნაშავეებად მიიჩნევდა იმაში, რომ ამ ქვეყნების პოლიტიკამ პაკისტანის დანაწევრება და ბანგლადეშის წარმოშობა გამოიწვია. იგი „ვალებს უბრუნებდა“ საბჭოთა კავშირს ავღანელი მოჯაჰედებისთვის დახმარების აღმოჩენით. „ვალს უბრუნებდა“ ინდოეთსაც სიქჰელი ტერორისტების მხარდაჭერით, რომლებსაც განდის ოჯახის განადგურებისკენ უბიძგებდა. **ზია ულ-ჰაკს თავი პაკისტანის მხსნელად მოჰქონდა, რადგან მიაჩნდა, რომ „პაკისტანი ურწმუნოებს ხელიდან გამოჰგლიჯა“: აქაოდა, ბჰუტო კინაღამ საბჭოთა კავშირის მოკავშირე გახდაო.**

ზია ულ-ჰაკს უფრო გლობალური აზრებიც ჰქონდა – ზოგადმუსლიმანური, ისლამის რენესანსის თაობაზე. ისლამისტი რადიკალები, რწმენისთვის მებრძოლები, რომლებიც მომხრეთა წინაშე თავიანთ გამოსვლებში აშშ-ს სსრკ-ვით ლანძღავდნენ – სულიერად ახლოს იდგნენ ზია ულ-ჰაკთან, რომელსაც პაკისტანის ისტორიასა და მთელ მუსლიმანურ სამყაროში საკუთარი მისიის შესახებ ერთობ მაღალი წარმოდგენა ჰქონდა.

ამერიკელებს სულაც არ ჰქონდათ განსაკუთრებული ილუზიები ზია ულ-ჰაკის მიმართ და პრაგმატულად იყენებდნენ გენერალსა და მის ქვეყანას თავისი ნაციონალური ინტერესების სარეალიზაციოდ. რასაკვირველია, ისლამისტი რადიკალები, რომლებსაც ზია ულ-ჰაკი მფარველობდა, ამერიკელებს სულაც არ ეპიტნავებოდათ, მაგრამ ისინი საჭირო მიმართულებით მუშაობდნენ და ვერ ერკვეოდნენ, საიდან მომდინარეობდა „საბჭოთა აგრესიასთან“ წმინდა ომის წარმოების ბრძანება. 1980-იან წლებში **ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ, რომ**

მკაცრად აკონტროლებდნენ ყველა პროცესს ავღანეთსა და პაკისტანში, რომ ცუდად ჩაცმული და დაუბანელი წვერიანი მებრძოლები „ალაჰის ჯარიდან“ ვერასოდეს მიაღწევდნენ დასავლეთის დედაქალაქებამდე, რადგან მუდამ არსებობდა მთიან გამოქვებულებში მათი ნეიტრალიზების საშუალება.

ზია ულ-ჰაკის მსგავს ფიგურებს, ავღანეთის ომის დასრულების შემდეგ ცოცხლად დარჩენის შანსი იმთავითვე არ ჰქონდათ. თავდაჯერებული, ამბიციური, საკუთარ თავს რომ გმირად და გამარჯვებულად მიიჩნევს, სიმპათიას გამოხატავს ანტიამერიკელი ისლამისტი რადიკალების მიმართ, თანმიმდევრულია ნაციონალური ბირთვული პროგრამის შექმნაში, უკან არ იხევს ინდოეთთან კონფრონტაციაზე... ავღანეთში ომის დასრულების შემდეგ იგი შეიძლება არაპროგნოზირებადი გამხდარიყო და დიდ პოლიტიკურ თამაშში ამერიკული კარტი აერია და ზია ულ-ჰაკი მოიშორეს. 1989 წლის მაისში ძალაში შევიდა ჟენევის შეთანხმება ავღანეთთან მიმართებაში, ხოლო აგვისტოში ზია ულ-ჰაკი ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

ზია ულ-ჰაკი რომ მოკლეს, ამაში ბევრ პაკისტანელ პოლიტიკოსს ეჭვიც არ შეჰპარვია. გამოძიებას გფბ-ს თანამშრომლები და პაკისტანის სპეცსამსახურები აწარმოებდნენ. მომხდარის სურათი მათ საკმაოდ ნათლად წარმოაჩინეს.

ზია ულ-ჰაკი ამერიკული ტანკის — “აბრამსის” გამოცდაზე ჩავიდა. არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ დიქტატორს ამ გამოცდაზე ჩასვლა არ სურდა. 29 მაისის შემდეგ, როცა გენერალმა პრემიერი ჯუნეჯო და მისი მთავრობა გადააყენა, იგი პრაქტიკულად არ გასცილებია დედაქალაქს. მისი ერთგული თანამოაზრე რაჰმანი იმ დღეს საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ყარაჩში, მაგრამ თავის პატრონთან ერთად გაფრინდა. ბაჰავალპურში თვითმფრინავი რამდენიმე საათი სათანადო დაცვის გარეშე იდგა, რადგან იქ მცირე რემონტი მიმდინარეობდა. ისლამაბადში გაფრენა ორი საათით გადაიდო თითქოს იმისთვის, რომ ამ რაიონში მოყვანილი მანგოთი სავსე ყუთები აეტანათ ბორტზე.

სპეციალისტი-ავიატორების მტკიცებით, ჩამოვარდნის წინ თვითმფრინავის მიერ შესრულებული მანევრების ხასიათი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა იმაზე, რომ ის უმართავი აღ-

მოჩნდა. „ყვინთვასა“ და სიმაღლის აღებას C-130 იმ შემთხვევაში იწყებს, თუ პილოტები შტურვალს მიატოვებენ.

რატომ შეწყვიტეს პილოტებმა თვითმფრინავის მართვა? ამ კითხვას უპასუხა გამოძიებამ: თვითმფრინავის ნამსხვრევებზე მომწამლავი ნივთიერების კვალი აღმოჩნდა, მფრინავები გაზით მოიწამლნენ. პილოტების კაბინაში მომწამლავი გაზით სავსე ჭურჭელი იდო, რომლიდანაც გაზმა პატარა აფეთქების შემდეგ გაჟონა. ქიმიური ნივთიერების ანალიზმა უჩვენა, რომ საწამლავი დასავლური წარმოებისა იყო.

თუმცა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ეს დივერსია, მკვლელობა იყო, ძიება ამით დასრულდა. კითხვა, თუ ვინ მოიმოქმედა ეს, ძალიან მალე აღარავის აინტერესებდა.

გაიჟღერა რამდენიმე არაოფიციალურმა ვერსიამ. ეჭვი მიიტანეს ბენაზირ ბჰუტოს უმცროს ძმაზეც. ფიქრობდნენ, იგი სამაგიეროს მიუზღავდა ყველა სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკს, რომელთა ხელიც ზულფიკარ ალი ბჰუტოს სიკვდილში ერია. ერთხელ მისი აგენტები ზია ულ-ჰაკის თვითმფრინავის დაცხრილვასაც შეეცადნენ. ბჰუტომ ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუშიც კი განაცხადა, რომ სამხედრო დიქტატორის მკვლელობაში მისი ხელი ერია. მაგრამ უკვე მეორე დღეს, როცა დაადგინეს, რომ პაკისტანის დიქტატორთან ერთად ორი მაღალჩინოსანი ამერიკელიც დაიღუპა, ბჰუტომ თავისი სიტყვები უკან წაიღო.

ამ დივერსიის ჩადენაში სსრკ-ზეც მიიტანეს ეჭვი. მართალია, ტექნიკური მონაცემები საბჭოთა კვალზე არ მიანიშნებდა, მაგრამ სამაგიეროდ, ამბობდნენ, რომ მოსკოვს საამისო მიზეზი ჰქონდა: იქ ზია ულ-ჰაკით უკმაყოფილო იყვნენ და შეეძლოთ შური ეძიათ. მაგრამ ზია ულ-ჰაკით იმხანად უკმაყოფილო ყველა იყო, ამიტომ საბჭოთა კვალის ვერსიამ განვითარება ვერ პოვა.

ეჭვიც ინდოეთზეც ჰქონდათ. რაჯივ განდი დედამისის სიკვდილში დამნაშავედ ზია ულ-ჰაკს მიიჩნევდა. პაკისტანი მიზანმიმართულად უჭერდა მხარს სიქჰების ტერორისტულ საქმიანობას ინდოელი ჩინოვნიკებისა და ჰანდის ოჯახის წევრების მიმართ. ეს საკმაოდ ძლიერი მოტივი იყო და ამ ვერსიამ განვითარებაც ჰპოვა, ოღონდ უკვე ისრაელთან კავშირში.

ამერიკის ელჩმა დელიში ჯონ დინმა, ავიაკატასტროფიდან მოკლე ხანში, ერთ-ერთი ინდოელი მაღალჩინოსნისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ზია ულ-ჰაკის მკვლელობა მოსადის მიერ

იყო ორგანიზებული და, შესაძლოა, ინდოეთის დაზვერვასთან ერთადაც. ელჩმა ეს ინფორმაცია ვაშინგტონში ჩაიტანა, სადაც სახელმწიფო დეპარტამენტის ექიმები ძალზე შეშფოთდნენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით (უთხრეს, რომ ფსიქიკური აშლილობა აქვს), იგი სამსახურს ჩამოაშორეს და გამოსაჯანმრთელებლად ორი თვით შვეიცარიაში გაგზავნეს. თავად ელჩი შვეიცარიაში ყოფნის პერიოდს შინაპატიმრობად აფასებდა. ორი თვის შემდეგ კი იგი პატივით გაისტუმრეს პოსტიდან.

ეჭვი გამოითქვა უშუალოდ ამერიკის სპეცსამსახურების მიმართაც. მაგრამ მათ თავისებური ალიბი ჰქონდათ – არავინ იტვირთა ცსს-ს დადანაშაულება ორი მაღალჩინოსანი ამერიკელის მკვლელობაში. თუმცა რამდენიმე დამკვირვებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, არსებული მოწმობებით, ორივე ამერიკელი პრეზიდენტის ბორტზე შემთხვევით აღმოჩნდა, რადგან ისლამაბადში ამერიკის სამხედრო ატაშეს თვითმფრინავით უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ზია ულ-ჰაკის შემოთავაზება მიიღეს მასთან ერთად გაფრენის თაობაზე.

ბრალდებები გამოითქვა ზოგიერთი პაკისტანელი სამხედროს მიმართაც. საეჭვოდ გამოიყურება სახმელეთო ძალების შტაბის უფროსის, გენერალ ბეგის საქციელი, რომელიც ზია ულ-ჰაკის გაფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ავიდა მეორე, ისლამაბადისკენ გეზაღებულ მომცრო თვითმფრინავში. მაგრამ მისი მოტივი და ამ მკვლელობიდან მიღებული რეალური გამორჩენა გაუგებარია. შესაძლოა, გენერალი ბეგი შეთქმულების მონაწილე ყოფილიყო, მაგრამ არა — მისი ორგანიზატორი.

ზია ულ-ჰაკი მსოფლიო პოლიტიკის ავანსცენაზე ზუსტად ავღანეთის ომის დაწყების წინ გამოჩნდა. მან კარგად ითამაშა თავისი როლი და სწორედ მაშინ მოიშორეს, როცა მხარეები ომის დასრულებაზე შეთანხმდნენ. რაკი დაადგინეს, რომ პაკისტანის პრეზიდენტი დივერსიის შედეგად დაიღუპა, ამერიკულ თემიდასა და პაკისტანის გამოძიებას შემსრულებლებისა და შემკვეთების ძებნა აღარ დაუწყია. შედეგად, ზია ულ-ჰაკის ფიგურა უბრალოდ მოაცილეს რეგიონული პოლიტიკის საჭადრაკო დაფიდან. პაკისტანი ამერიკის ერთგულ მოკავშირედ დარჩა, მაგრამ ეს სამუშაო ახლა სულ სხვა ადამიანებს უნდა შეესრულებინათ.

ᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲰᲐᲤᲘᲖᲝᲕᲘ

ხორხე რაფაელ ვიდელა და მისი ბინძური ომი

არგენტინის ყოფილ დიქტატორს, ხორხე რაფაელ ვიდელას, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, კიდევ 49 დანაშაულში ედება ბრალი, როგორიცაა მკვლელობების ორგანიზება, ადამიანთა გატაცება და წამება. ხორხე ვიდელას ახალი ბრალდებები მას შემდეგ წაუყენეს, რაც ბუენოს-აირესის შემოგარენში ადამიანთა გვამები აღმოაჩინეს. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მოკლულები ჩააცემენტეს, დანაშაულის დაფარვის ეს სტილი კი სწორედაც რომ დამახასიათებელი იყო დიქტატორის მმართველობის ხანისთვის (1976-1981). 2010 წლის სექტემბერში 84 წლის ექსდიქტატორი თავისი 33 პოლიტიკური ოპონენტის შვილების გატაცებისთვის სასამართლოს წინაშე წარსდგა.

ხორხე რაფაელ ვიდელა 1925 წლის 2 აგვისტოს ქალაქ მერსედესში, სამხედრო პირის ოჯახში დაიბადა. მამამისი, პოლკოვნიკი რაფაელ ეუხენიო საუკუნეების განმავლობაში ხელისუფლებასთან დაახლოებული გვარის შთამომავალი იყო, ამიტომ მათ ოჯახს სან-ლუისის პროვინციაში დიდ პატივს სცემდნენ. ხორხეს დედა, ქმარზე 9 წლით უმცროსი მარია ოლგა რედონდო ოხეა დიასახლისი იყო. ხორხე რაფაელი მესამე ვაჟი იყო ოჯახში, თუმცა მისი უფროსი ტყუპი ძმა საყმაწვილო სენისგან დაიღუპნენ ჯერ კიდევ მის დაბადებამდე. მშობლებმა ხორხეს კარგი განათლება მიაღებინეს; 1944 წელს პოდპორუჩიკის ჩინით მან ნაციონალური სამხედრო კოლეჯი დაამთავრა.

1946 წელს ქვეყნის სათავეში ფაშისტი დიქტატორით — ბენიტო მუსოლინით აღფრთოვანებული ხუან პერონი მოვიდა, რამაც არგენტინის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

1956 წელს ხორხე რაფაელ ვიდელამ აშშ-ში არგენტინის საელჩოს მრჩევლის პრესტიჟული თანამდებობა მიიღო, ხოლო 1958 წელს მაიორის ჩინით არგენტინაში დაბრუნდა და სამსახური თავდაცვის სამინისტროში განაგრძო. მოგვიანებით იგი ელჩად წარგზავნეს ვენეუელასა და ბოლივიაში, ხოლო 1971 წელს გენერლის წოდება მიიღო და სათავეში ჩაუდგა იმ სამხედრო კოლეჯს, სადაც ოდესღაც თვითონ სწავლობდა.

50-იანი წლების შუა ხანებში პერონის პოლიტიკით უკმაყოფილებამ ზენიტს მიაღწია და პრეზიდენტი სამხედრო გადატრიალების გზით ჩამოაგდეს და ესპანეთში გააძევეს. 70-იანი წლების დასაწყისში იგი არგენტინაში დაბრუნდა და 1973 წელს კვლავ პრეზიდენტად აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ კი გარდაიცვალა. ძალაუფლების სადავეები მისი მესამე ცოლის — ისაბელ პერონის ხელში გადავიდა, რადგან იგი ვიცე-პრეზიდენტი იყო. ისაბელ პერონის მთავრობის პოლიტიკის შედეგად არგენტინის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, გახშირდა გაფიცვა-აჯანყებები. ხელისუფლების შესანარჩუნებლად პერონი იძულებული გახდა, სამხედროები გადაებირებინა, რომლებმაც უმალ ნამდვილი ტერორი წამოიწყეს მემარცხენე ოპოზიციონერთა მიმართ. სწორედ ამ დროს, 1975 წელს, ვიდელა არგენტინის არმიის მთავარსარდალი გახდა. მისი დევიზი იყო: „ძალიან ბევრი ხალხი უნდა გაწყდეს არგენტინაში იმისათვის, რომ ქვეყანაში უსაფრთხოებამ დაისადგუროს“. ამასთან, ხორხე ვიდელას ძალიან კარგად ესმოდა, რომ ისაბელ პერონის მთავრობა ძალიან სუსტი იყო, ამიტომ მოკლე ხანში ვიდელამ სამხედრო ხუნტა ჩამოაყალიბა, რომელშიც, მის გარდა, კიდევ ორი კაცი — ადმირალი ემილიო მასერა და გენერალი ორლანდო რამონ აგოსტი — გაერთიანდა. 1976 წლის მარტში ამ სამმა კაცმა სამხედრო გადატრიალება მოაწყო, რის შედეგადაც ისაბელ პერონი დაამხეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ასე გახდა ხორხე რაფაელ ვიდელა არგენტინის 43-ე პრეზიდენტი.

ხელისუფლებაში მისი მოსვლისთანავე ე. წ. ნაციონალური აღორძინება დაიწყო. ხორხე ვიდელას თქმით: „შეიარაღებული ძალები ღრმა ნაციონალური სულისკვეთებით იქნება გამ-

ვიდელა-საბატო-ბორხესის შეხვედრა სავახშმოდ

სჭვალული და ნაციისა და ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე წმინდა ინტერესებით იხელმძღვანელებს". სინამდვილეში ამ ერთი შეხედვით კეთილშობილური ლოზუნგის მიღმა ნამდვილი ტერორი იმალებოდა.

არგენტინა იმ დროს სამოქალაქო ომის მიჯნაზე იმყოფებოდა და რევოლუციის თავიდან ასაცილებლად ვიდელა და ხუნტა არაფერს ერიდებოდნენ. მემარცხენე ოპოზიცია მასობრივად გაანადგურეს, ბევრი სიკვდილის წინ სასტიკად აწამეს. ამისათვის არგენტინაში საგანგებოდ გამოიყო 34 სპეციალური საიდუმლო საპყრობილე. ასე დაიწყო „ბინძური ომი"...

მეამბოხეებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ხუნტამ საგანგებოდ ამისათვის შემოიღო „სიკვდილის ესკადრონები," რომლებშიც სხვადასხვა შეფასებით, 15-დან 25 ათასამდე კაცი შედიოდა. მათი ამოცანა „არასასურველი ელემენტების" განადგურება იყო. იმხანად ბევრი მემარცხენე ოპოზიციონერი იპოვეს მოკლული, ნაწილი კი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა და თანაც, მთელი ოჯახით. დაზარალებულთა უმეტესობას რევოლუციის ორგანიზებასთან არავითარი ხელი არ ჰქონდა, ისინი, უბრალოდ, მემარცხენეთა იდეებს იწონებდნენ. წამების შემდეგ ოპოზიციონერებს კლავდნენ და წვავდნენ ან საერთო სასაფლაოზე მარხავდნენ. იმდორინდელი არგენტინის ყველაზე დახვეწილ წამებად „სასიკვდილო ფრენა" მიიჩნეოდა — ადამიანებს პირდაპირ ატლანტის ოკეანის თავზე, თვითმფრინავებიდან ყრიდნენ.

ხელისუფლების სათავეში მოსვლისას ხუნტამ პარლამენტი დაითხოვა და სამხედრო მდგომარეობა შემოიღო. მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება სამხედრო კომისიის 9 წევრის ხელში გადავიდა. სამოქალაქო სასამართლოები დაიხურა, პოლიტიკური პარტიები კანონგარეშედ გამოცხადდა, პროფკავშირების მუშობა შეწყდა, გაფიცვები აიკრძალა, პროფკავშირთა ხელმძღვანელები და მათი მომხრეები ტერორისტებად გამოცხადდნენ და შესაბამისად მათზე ნადირობა გამართეს „სიკვდილის ესკადრონებმა." „ბინძური ომის" განმავლობაში 30 ათასი კაცი დაიღუპა, ხოლო 500.000 ემიგრაციაში წავიდა. უკვალოდ გაუჩინარდა ბევრი ცნობილი მხატვარი, მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი. სიტყვის თავისუფლებაზე ოცნებაც აღარ შეიძლებოდა. დაწვეს მილიონობით წიგნი, მათ შორის, გაბრიელ გარსია მარკესის, ოსვალდო ბაიერისა და პაბლო ნერუდას ნაწარმოებებიც.

1977 წელს ქვეყნის შიდა პრობლემებს საგარეოც დაერთო. არგენტინა და ჩილე ომის მიჯნაზე აღმოჩნდნენ, რადგან სამი პატარა კუნძული ვერ გაიყვეს. 1977 წლის ბოლოს ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ კუნძულები ჩილეს ეკუთვნოდა, თუმცა მოკლე ხანში ვიდელამ გადაიფიქრა და განაცხადა, რომ შეთანხმება გაუქმებულია. 1978 წლის 22 დეკემბერს ხუნტამ დაიწყო კუნძულების დაპყრობის ოპერაციის მზადება, მაგრამ საქმეში რომის პაპი იოანე პავლე II ჩაერია და ვიდელამ, როგორც ჭეშმარიტმა კათოლიკემ, უკან დაიხია.

1979 წელს „ბინძურმა ომმა" სათანადო შედეგები გამოიღო. ხუნტამ ნელ-ნელა გადაჭრა არგენტინის ეკონომიკური პრობლემები, მაგრამ მისი პოპულარობა მკვეთრად დაეცა, როცა გავრცელდა ხმები ქვეყნის მმართველ ძალებში კორუფციის არსებობის შესახებ. ამავე დროს არგენტინაში თანდათან წარმოებული პროდუქციის დეფიციტი გაჩნდა. მაშინ ხუნტამ საბაჟო შეზღუდვები გააუქმა და ქვეყანაში უცხოურმა პროდუქციამ დაიწყო დენა, რამაც, თავის მხრივ, საგარეო ვალის ზრდა გამოიწვია.

ხუნტისა და ვიდელას პოლიტიკით, უბრალო ხალხთან ერთად, ძალზე შეშფოთებული იყო ინტელიგენციაც. პრეზიდენტს კი ჩინებულად ესმოდა, რომ მეცნიერებსა და მწერლებს დიდი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე. ამიტომ ვიდელამ მათი კეთილგანწყობის მოპოვება გადაწყვიტა და 1976 წლის 19 მარტს ვახ-

სიკვდილის ესკადრონები არგენტინაში

ხორხე ვიდელა და ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი

შამი გაუმართა ყველაზე ცნობილ არგენტინელ ინტელექტუალებს: ხორხე ლუის ბორხესს, არასიო ესტებან რატის, ერნესტო საბატოსა და მამა ლეონარდო კასტელიანის. მათ შეკითხვებს ვიდელა რბილად და დიპლომატიურად პასუხობდა და საბატო და ბორხესი ხუნტის მხარდაჭერაზეც კი დაითანხმა, თუმცა ინტელიგენციის ნაწილობრივი მხარდაჭერა მსოფლიო თანამეგობრობას ველარ გადაარწმუნებდა, რომ არგენტინაში ადამიანთა უფლებები ირღვეოდა. ხუნტას ზურგი აქცია მისმა დიდი ხნის მეგობარმა აშშ-მაც.

კონფლიქტი მთავრობაშიც მწიფდებოდა. ბევრი დაიღალა ვიდელას დიქტატურით. მისი მმართველობის ხანაში ხუნტის წევრები რამდენჯერმე შეიცვალნენ. ამასთან, სამხედრო მთავრობას ესმოდა, რომ „ბინძური ომით“ მუდმივად ვერ დაიმორჩილებდა ხალხს, რომელიც სასოწარკვეთილებამდე იყო მისული დევნით, შეზღუდვებით, არასტაბილური ეკონომიკითა და რთული საგარეო პოლიტიკური ვითარებით. ოპოზიციას ძალა რომ მოეკრიბა, ხუნტისა და სამხედრო მმართველობის ყველა წევრი დაზარალდებოდა. ამიტომ ვიდელას თანამოაზრეებისთვის ხელსაყრელი აღარ იყო დიქტატორის მხარდაჭერა. შედეგად 1981 წლის 29 მარტს ხორხე ვიდელა აიძულეს, არგენტინის პრეზიდენტის პოსტი დაეტოვებინა.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში არგენტინამ ბევრი ლიდერი გამოიცვალა. ვიდელას გადადგომამ ხუნტას მომხიბვლელობა ვერ შეჰმატა და 1983 წლის მარტში ბუენოს-აირესის ქუჩებში

სამხედრო მმართველობის წინააღმდეგ მასობრივი დემონსტრაციები მოეწყო. იმავე წლის ბოლოს ხუნტა დაემხო და ქვეყნის სათავეში ახალი პრეზიდენტი რაულ ალფონსინი მოვიდა.

1985 წელს სასამართლომ ყოფილ დიქტატორს, რომელსაც მკვლელობებში, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში, ხელისუფლების უზურპაციაში, ხალხის წამებასა და უამრავ სხვა დანაშაულში ედებოდა ბრალი, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა მისი პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1990 წელს პრეზიდენტმა კარლოს მენემმა საჯაროდ მიუტევა ხუნტის წევრებს. პროტესტის ნიშნად ქუჩაში 50.000 მოქალაქე გამოვიდა, ხოლო ეპისკოპოსმა ხორხე ნოვაკმა განაცხადა, რომ ამგვარი მიტევება შეურაცხმყოფელია დემოკრატიისათვის. ხორხე რაფაელ ვიდელა და ხუნტის ყველა წევრი საპყრობილიდან მაინც გაათავისუფლეს, მაგრამ შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ყოფილი დიქტატორი 2003 წელს გაიხსენეს, როცა პრეზიდენტმა ნესტორ კირშნერმა განაცხადა, რომ რაფაელ ვიდელა არგენტინის ექსპრეზიდენტი არაა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან მისი პორტრეტების ჩამოხსნა მოითხოვა. 2006 წელს კი გამოცხადდა, რომ გადაწყვეტილება ვიდელას შინაპატიმრობის შესახებ არაკონსტიტუციური იყო და 2008 წლის ოქტომბერში 83 წლის დიქტატორი კვლავ ციხეში გამოამწყვდიეს. ახლახან მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებები გაჩნდა... თავად ხორხე ვიდელას თქმით კი, მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ იგი მთელი ძალ-ღონით ნაციის დაცვას ცდილობდა! ასეა თუ ისე, არგენტინა კიდევ დიდხანს ვერ დაივიწყებს ხორხე რაფაელ ვიდელას სახელს.

მანუელ ერნანდესი

„ფერადი“ გენერალი — პარაგვაის უკანასკნელი ფიურერი

კარგა ხნით ადრე, ვიდრე პარაგვაი იმ ნაცისტების წყნარ ნავსაყუდელად გადაიქცეოდა, რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებოდნენ, ბავარიელი ემიგრანტის — ჰუგო სტრესნერის ოჯახში ვაჟიშვილი ალფრედო დაიბადა. ეს 1921 წლის 3 ნოემბერს მოხდა ქალაქ ენკარნასიონში. ალფრედოს მამა პარაგვაიში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლუდსახარშის მფლობელი იყო, დედა — დიასახლისი. მათ ოჯახში ბიურგერობისა და რელიგიურობის სულისკვეთება სუფევდა. მამა იმედოვნებდა, რომ საქმეს თავის პირმშოს — ქერაკულულებიან ალფრედოს უანდერძებდა, თუმცა თავად ბიჭს სხვა გეგმები ჰქონდა. მიყრუებულ ენკარნასიონში ცხოვრება მას სულაც არ ეპიტნავებოდა და 17 წლისამ მშობლებს გამოუცხადა, რომ სამხედრო სასწავლებელში ჩაბარებას აპირებდა.

იმდროინდელ პარაგვაის, რომელმაც დამოუკიდებლობა მხოლოდ 1811 წელს მოიპოვა და მას შემდეგ არც ერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი არ ჰყოლია, ერთმანეთის მონაცვლე „თეთრი“ („ბლანკო“) და „ფერადი“ („კოლორადო“) პარტიების წარმომადგენლები მართავდნენ, რომლებიც ერთმანეთშიც და მეზობლებთანაც გაუთავებელ ომებს აწარმოებდნენ. ქვეყნის ტერიტორია დღითიდღე მცირდებოდა, ისევე, როგორც პარაგვაელი მამაკაცების რაოდენობა. ასე რომ, იმხანად სამხედრო კარიერის არჩევა ხანმოკლე და არცთუ ბედნიერ ცხოვრებას ნიშნავდა.

თუმცა ალფრედო სტრესნერი სხვებზე იღბლიანი აღმოჩნდა. სწავლის დამთავრებისთანავე (ასუსიონის სამხედრო სასწავლებლის გარდა, მან რიო-დე-ჟანერიოში აკადემიაც დაამთავრა) ლეიტენანტი სტრესნერი წინა ხაზზე აღმოჩნდა. 1932 წელს პარაგვაი სისხლისმღვრელ ომში ჩაება ბოლივიასთან ნავთობით მდიდარი რაიონის გამო (მოგვიანებით გაირკვა, რომ გეოლოგები შეცდნენ!). ომი 1935 წელს დასრულდა პარაგვაისა და სტრესნერის გამარჯვებით — იგი მეთაურებმა შენიშნეს და მისმა კარიერამაც ზრდა დაიწყო.

1940-იანი წლების ბოლოს პარაგვაიში სამოქალაქო ომმა იფეთქა. იმ დროისათვის ალფრედო სტრესნერს უკვე პოდპოლკოვნიკის წოდება ჰქონდა და საარტილერიო პოლკს ხელმძღვანელობდა, რომელიც, არც აცია, არც აცხელა და ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის — „კოლორადოს“ პარტიის განკარგულებაში გადასცა. ეს ომი უმძიმესი იყო პარაგვაის ისტორიაში. იქიდან მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობის მესამედი გაიქცა, ათასი კაცი „ფერადების“ ხელით დაიღუპა.

ალფრედო სტრესნერმა კი გარჯისათვის ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო და მთელს ლათინურ ამერიკაში ყველაზე ახალგაზრდა გენერლად იქცა. 1950 წელს, როცა თავად მმართველი პარტიის შიგნით ძალაუფლებისათვის ბრძოლა გაჩაღდა, სტრესნერი ერთ-ერთ ლიდერს, დოქტორ ფედერიკო ჩავესს მიემხრო, რომელმაც პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ ერთგულ ალფრედოს ახალი წოდება და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანამდებობა უბოძა.

დოქტორი ჩავესი არც პირველი პრეზიდენტი იყო და არც უკანასკნელი, ვინც მწარედ ინანა იმის გამო, რომ უახლოეს თანამოაზრეს სრული ნდობა გამოუცხადა. 1954 წლის 5 მაისს ალფრედო სტრესნერი სათავეში ჩაუდგა გადატრიალებას, დაამხო ჩავესი და რამდენიმე თვის შემდეგ თავი ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადა.

უფრო სწორად, ფორმალურად იგი პრეზიდენტად გამოაცხადა მმართველმა პარტია „კოლორადომ“, თუმცა ამ დროისათვის სტრესნერმა ყველაფრის გაკეთება მოასწრო საიმისოდ, რომ მის მოწინააღმდეგე პარტიულ ბოსებს ან ქვეყანა დაეტოვებინათ, ანდა იმქვეყნად გადასახლებულიყვნენ.

„პარაგვაი, რომლის დედაქალაქში წყალგაყვანილობაც კი არ

ალფრედო სტრესნერი და ხორხე ვიდელა

იყო, სწორედ სტრესნერის მმართველობის ხანაში იქცა მეტ-ნაკლებად სტაბილურ ქვეყნად," — აღნიშნავდა ამერიკელი ისტორიკოსი ბენ საიქსი. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ: **ალფრედო სტრესნერი აშშ-ის ერთგული იყო, რაც არაერთხელ დაამტკიცა, თუმცა განსაკუთრებული სიმპათია მაშინ დაიმსახურა, როცა დომინიკის რესპუბლიკაში ამერიკელების შეჭრისას დასახმარებლად პარაგვაის ჯარები გაუგზავნა.** მოგვიანებით სტრესნერი ლათინური ამერიკის თითქმის ყველა დიქტატორულ რეჟიმს დაუმეგობრდა (პარაგვაის მომიჯნავე ქვეყნების გამოკლებით). მხარდაჭერისთვის აშშ-მა პარაგვაი კმაყოფაზე აიყვანა.

მეორე გარემოება ბრაზილიასთან ერთობლივად ერთადერთი, მაგრამ წარმოუდგენელი მასშტაბების ჰიდროტექნიკური აღჭურვილობის — იტაიპუს ჰესის მშენებლობა იყო პარანის მდინარეზე, რამაც პარაგვაი კონტინენტის უღარიბესი ქვეყნიდან თვალისდახამხამებაში ელექტროენერგიის უდიდეს ექსპორტიორად აქცია. ქვეყანა დღემდე ამით ცხოვრობს.

სტრესნერს ძალიან უყვარდა საკუთარი თავი და ნეტარებდა, როცა სკოლებს, საავადმყოფოებს, გზებს, აეროპორტებ-

სა და ქალაქებს თავის სახელს არქმევდა. პარაგვაის დედაქალაქის — ასუნსიონის ცენტრალურ ქუჩაზე ყოველ საღამოს ინთებოდა უზარმაზარი ნეონის პლაკატი: „სტრესნერი: მშვიდობა, შრომა, კეთილდღეობა.“ დიქტატორის პორტრეტებით მოფენილი იყო მთელი ქვეყანა და, თუ სადმე მის ნაკლებობას შენიშნავდნენ, ეჭვმიტანილს „ინტელექტუალურ ტერორიზმში“ ადანაშაულებდნენ და სასტიკად სჯიდნენ.

სწორედ სტრესნერის მმართველობის ხანაში იქცა პარაგვაი ნაცისტების ნამდვილ ნაკრძალად. **აქ გარკვეულ ხანს ცხოვრობდა ოსვენციმის მთავარი ექიმი, დოქტორი იოზეფ მენგელე,** რომელსაც დიქტატორის უახლოეს მეგობრად მიიჩნევდნენ. აქვე ჰპოვეს კომფორტული თავშესაფარი სხვა გერმანელმა ლტოლვილებმაც, რომელთა რაოდენობამ 200 ათასი კაცი შეადგინა. სტრესნერი მხოლოდ დევნილ ნაცისტებს როდი სწყალობდა, ის თავის ნაკლებად იღბლიან კოლეგებსაც იფარებდა. მაგალითად, **პარაგვაიში აფარებდა თავს სანდინისტებისგან დევნილი ნიკარაგუის დიქტატორი ანასტასიო სომოსაც...**

ფორმალურად სტრესნერი დიქტატორი არ ყოფილა. **5 წელიწადში ერთხელ იგი საპრეზიდენტო არჩევნებს ატარებდა, ყოველ ჯერზე იმარჯვებდა და თავის სახელს ამატებდა ტიტულს, რომელიც მის მეგობარ-დიქტატორებს არ ჰქონდათ — „რესპუბლიკის კონსტიტუციური პრეზიდენტი.“** მოქმედებდა პარლამენტი, სადაც მმართველი პარტია „კოლორადო“ პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილებას ადასტურებდა. **სტრესნერი მისი მინისტრებისთვის, სენატორებისა და სხვა ჩინოვნიკებისთვის ღმერთი იყო,** მაგრამ ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა...

სტრესნერს პრობლემები 1980-იანი წლებში დაეწყო. ქვეყანაზე კონტროლს რომ კარგავდა, ამის პირველი ნიშანი ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობა გახდა. დედაქალაქის ცენტრში დღისით-მზისით, ტერორისტებმა გენერალისიმუსის მეგობარი ანასტასიო სომოსა მოკლეს. დამნაშავეებს ვერ მიაგნეს. პარაგვაის ხელისუფლებამ ბრალი სანდინისტებს დასდო, მსოფლიო პრესამ კი ეს ფაქტი სტრესნერის რეჟიმის დასასრულად მიიჩნია.

გენერალისიმუსის მმართველობის ხანაში პარაგვაი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა იყო, თუმცა კორუფციის ყველა სიკეთით მხოლოდ პრეზიდენტი და მისი მეგობრები სარგებლობდნენ. მმართველ პარტიასა და უკვე მთავ-

ალფრედო სტრესნერი და ფრანკო მადრიდში, 1973 წელი

რობაშიც უკმაყოფილოთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. ქვეყანაში, რომელსაც სტრესნერი ლათინურ ამერიკაში ყველაზე მშვიდ სახელმწიფოს უწოდებდა, საპროტესტო გამოსვლები დაიწყო და მარტო რეპრესიებით მათი შეჩერება ვეღარ მოხერხდა.

ბოლოს და ბოლოს, სტრესნერს ყველა დაუპირისპირდა: ბიზნესმენებმა საქმეთა წარმოების უფრო მკაფიო და გამჭვირვალე წესები მოითხოვეს, სამხედროები აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმ პრივილეგიების გამო, რომლითაც არმიაში მხოლოდ სტრესნერის ნათესავები სარგებლობდნენ, ხოლო ამერიკელებმა 1984 წელს დიქტატორს სიტყვა გადაუკრეს გადადგომის აუცილებლობაზე (რონალდ რეიგანმა ოფიციალურად შეიტანა პარაგვაი დიქტატორული რეჟიმების სიაში), „კოლორადოს“ პარტიის მაღალჩინოსანი წევრები ძალაუფლებისკენ ილტვოდნენ. 1989 წლის 3 თებერვალს სტრესნერის ერთგული თანამოაზრე და ნათესავი, გენერალი ანდრეას როდრიგესი სათავეში ჩაუდგა უსისხლო გადატრიალებას, რომლის დროსაც დიქტატორი დააპატიმრეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სტრესნერი და მისი ოჯახი ბრაზილიაში გაიქცნენ, ხოლო როდრიგესი პარაგვაის ახალი და ხელისუფლების სათავეში არაკონსტიტუციური გზით მოსული უკანასკნელი პრეზიდენტი გახდა.

ასუნსიონში მონაცვლე რეჟიმებმა რამდენჯერმე მოითხოვეს

მათთვის სტრესნერის გადაცემა, რათა იგი კორუმპირებულობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის გაესამართლებინათ, მაგრამ ბრაზილიის ხელისუფლებამ, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი მისცა სტრესნერსა და მის ოჯახს, ეს მოთხოვნები უგულებელყო.

სიცოცხლის ბოლო წლები ყოფილმა დიქტატორმა თითქმის სრულ მარტოობაში გაატარა. მისი ცოლ-შვილი გარდაიცვალა, დარჩა მხოლოდ შვილიშვილი — ალფრედო სტრესნერ-უმცროსი. 2006 წლის 16 აგვისტოს სწორედ მან განაცხადა გენერალისიმუს ალფრედო სტრესნერის გარდაცვალების შესახებ. უმცროსმა სტრესნერმა პარაგვაის ხელისუფლებას ცხედრის სამშობლოში გადასვენების ნებართვა სთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

„მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ბოლოს და ბოლოს გავთავისუფლდით. **სანამ ეს კაცი ცოცხალი იყო, პარაგვაის მზეს ჩრდილავდა, — განაცხადა გენერალისიმუსის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთმა პოლიტპატიმარმა,** რომელმაც ასუნსიონის ციხეში 15 წელზე მეტხანს დაჰყო, — თუმცა მოსვენებას არ მაძლევს ის ფაქტი, რომ იგი დაუსჯელი მოკვდა...“

ᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲔᲠᲜᲐᲜᲓᲔᲡᲘ

ᲡᲢᲠᲔᲡᲜᲔᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲞᲘᲜᲝᲩᲔᲢᲘᲡᲗᲐᲜ

რუბენ ფულხენსიო ბატისტა-ი-სალდივარი

იგი ღატაკ ოჯახში დაიბადა და საკუთარი ხალხის ძარცვით მსოფლიო მილიარდერებზე მეტი ქონება დააგროვა. მისი მმართველობის წლებში კუბა უზარმაზარ ციხედ იქცა, სადაც ყველა მოქალაქეს ყელზე სამართებელი ჰქონდა მიბჯენილი; სადაც ქუჩებში მთავრობის ნებართვით ნაწამები ადამიანების გვამები ეყარა; სადაც რეპრესიები და დახვრეტა მმართველობის ფორმად იქცა.

რუბენ ფულხენსიო ბატისტა-ი-სალდივარი 1901 წლის 16 იანვარს კუბის პროვინცია ორიენტეს ჩრდილოეთით მდებარე ვეგიტასში დაიბადა. **წარმოშობით მულატი (პაპისგან ჩინური სისხლიც ერია) მომავალი დიქტატორი ღატაკი გლეხის ოჯახში იზრდებოდა და ამიტომ ბავშვობიდანვე უწევდა შაქრის ლერწმის პლანტაციებში მუშაობა, 14 წლისამ კი რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა.** 1921 წელს ჰავანის გარეუბანში განლაგებულ ქვეითთა მე-4 პოლკის ყაზარმებში მოხვდა. მალე ბატისტას მონდომება ხელმძღვანელობამ შენიშნა, სტენოგრაფიის ცოდნაც დაუფასდა და 1928 წლიდან ფორტ ლა კაბანიას სამხედრო სასამართლოს სტენოგრაფისტად დააწყებინეს მუშაობა.

სერჟანტ პაბლო როდრიგესთან ერთად ბატისტა სათავეში ედგა კონსპირაციულ ორგანიზაცია „კოლუმბიის სამხედრო კავშირს“, რომლის დამსახურებითაც

1933 წელს კუბა ჰერარდო მაჩადოს დიქტატურისგან გათავისუფლდა.

პუტჩის შემდეგ ქვეყანას სათავეში დროებითი პრეზიდენტი, აშშ-ის პროტეჟე, მანუელ დე სესპედესი ჩაუდგა.

აგვისტოს ბოლოს სესპედესის ახალი რეჟიმი ახალი აფეთქების წინაშე აღმოჩნდა. **„კუბა კუბელებისთვის!“ — ეს იყო იმ გაფიცულთა ლოზუნგი, რომელთათვის სროლაზეც ჯარმა უარი განაცხადა.**

ამ დროს ბატისტა რამდენიმე სერჟანტთან ერთად უკვე ამზადებდა ახალი პრეზიდენტის დამხობის გეგმას. 5 სექტემბერი თენდებოდა, როდესაც მან და რამდენიმე ორატორმა სამხედრო ქალაქის კლუბში ამერიკის მბრძანებლობა და დე სესპედესის მარიონეტული ხელისუფლება დაგმეს. შეთქმულებმა პრეზიდენტის სასახლისა და სამთავრობო შენობების დაცვა შეცვალეს და **რადიომ ქვეყანას ახარა „ნამდვილი, უცხოური გავლენისგან თავისუფალი, პატრიოტიზმის პრინციპებზე დაფუძნებული რევოლუციის“ გამარჯვება.**

ხუნტამ პირველივე დღეს უარყო გავრცელებული ხმები კომუნისტებთან კავშირის შესახებ, სერჟანტი ბატისტა კი გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა.

დროებით პრეზიდენტად ჰავანის უნივერსიტეტის პროფესორი რ. გრაუ სან-მარტინა დაინიშნა. მაგრამ ამით ქვეყანაში მდგომარეობა ოდნავაც არ შეცვლილა, არეულობებსა და მიტინგებს ბოლო არ უჩანდა. **14 იანვარს ბატისტამ გრაუ სან-მარტინა დაპატიმრების მუქარით აიძულა, გადამდგარიყო. ყველა სამთავრობო დაწესებულება, პოლიცია, ელექტრო და რადიოსადგურები ჯარის დაქვემდებარებაში გადავიდა.**

18 იანვარს პარტია „ნაციონალური საბჭოს“ ლიდერი, გაზეთისა და შაქრის ქარხნის მფლობელი, ამერიკულ კაპიტალთან დაკავშირებული კარლოს მენუეტა-ი-მონტეფური დროებით პრეზიდენტად დაინიშნა. აშშ-მა დროებითი მთავრობა 23 იანვარს აღიარა, მაგრამ მუშათა უკმაყოფილება კვლავ არ ცხრებოდა, **1934 წლის მარტში კვლავ იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ, რის შედეგადაც ბატისტამ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა და თავად მთავრობაში მთავარ ფიგურად იქცა. ქვეყნის რეალური მმართველი აშშ-ის ახალი ელჩი, ბატისტას მეგობარი და მბრძანებელი კეფერი გახდა. კუბე-**

1940 წლის 24 ოქტომბერს კონსტიტუციით არჩეული
კუბელი დიქტატორი ფულხენსიო
ბატისტა-ი-სალდივარი თავის ოფისში ფიცს დებს

ლეგი მათ სიამის ტყუპებს უწოდებდნენ. 1935 წლის მარტში კვლავ დაიძაბა მდგომარეობა. ამჯერად გაფიცვაში 700000 ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ ბატისტამ გაფიცულების დახოცვის ნებართვა გასცა.

1936 წლის დასაწყისში კუბაში, როგორც იქნა, ჩატარდა კონგრესისა და პრეზიდენტის არაერთგზის გადადებული არჩევნები, სადაც, ცხადია, ბატისტასა და კეფერის კანდიდატმა გომესმა გაიმარჯვა. **მაგრამ შტაბის უფროსი ბატისტა ამ დროს უკვე თავად უმიზნებდა პრეზიდენტის სავარძელს და მომავალი არჩევნებისთვის ემზადებოდა. ვაშინგტონმა ამ ჩანაფიქრს მხარი დაუჭირა.**

1939 წლის 6 დეკემბერს ბატისტა შტაბის უფროსის თანამდებობიდან გადადგა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. **1940 წლის ივლისში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე მან სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული წინასაარჩევნო კამპანიის წყალობით გაიმარჯვა და 10 ოქტომბერს, როგორც ქვეყნის პრე-**

ზიდენტმა, ფიცი დადო. იმავე დღეს შევიდა ძალაში კუბის ახალი კონსტიტუცია, რომელიც იმ დროისთვის მთელ დასავლეთ ნახევარსფეროში ყველაზე პროგრესულ დოკუმენტად ითვლებოდა.

1941 წელს კუბამ ჯერ იაპონიას, შემდეგ კი გერმანიასა და იტალიასაც ომი გამოუცხადა. ომის წლებში კუნძულის ეკონომიკამ წამოიწია, რადგან აშშ-ში ექსპორტირებად პროდუქციაზე კვოტები გაუქმდა. **ბატისტამ ქვეყანაში მეტ-ნაკლები გასაქანი მისცა დემოკრატიულ საწყისებს. მეორეს მხრივ კი, საკუთარ თავს თავადვე უბოძა გენერლობა.** მომდევნო არჩევნებში კენჭისყრის უფლება ბატისტას კონსტიტუციის მიხედვით არ ჰქონდა, ამიტომ კუბიდან წასვლა და მეუღლესთან ერთად ფლორიდაში ცხოვრება ამჯობინა.

1948 წელს ბატისტა კუბის სენატში ლიბერალური პარტიის სიით შევიდა და კუბაში დაბრუნდა. ამ დროს კუბაში ეკონომიკა ისევ სულს ღაფავდა და მოსახლეობა ისევ შიმშილის პირას იყო. მთავრობა კი რეპრესიებს განაგრძობდა. **ვინაიდან მდგომარეობა ისედაც დაძაბული იყო და მას კი არჩევნებში მოწინააღმდეგეების დამარცხების შანსი ამჯერად აღარ ჰქონდა, გენერალი ახალი გადატრიალებისთვის მზადებას შეუდგა. მოქმედმა ხელისუფლებამ რაღაც ზომების მიღება კი სცადა, მაგრამ უშედეგოდ — 1952 წლის 9 მარტს, ღამით, სამხედრო ქალაქ კოლუმბიაში გაჩერდა მანქანა, რომლიდანაც ბატისტა გადმოვიდა და სამხედროებს „პოლიტიკანებისა და თაღლითებისგან სამშობლოს გათავისუფლებისკენ“ მოუწოდა. ხელისუფლებას წინააღმდეგობა არ გაუწევია. პრეზიდენტი და მთავრობის მაღალჩინოსნები გაიქცნენ**.

გადატრიალებით ხალხიც კმაყოფილი იყო და ვაშინგტონიც. მაგრამ ხალხი შეცდა — მეორე მმართველობისას ბატისტა გაცილებით დაუნდობელი გახდა: 1940 წლის კონსტიტუცია გააუქმა და ქვეყანა, ფაქტობრივად, ამერიკის ბიზნეს-კომპანიად აქცია. **მისი რეჟიმის წლებში ამერიკულმა კომპანიებმა ქვეყნიდან, სადაც მოსახლობა შიმშილობდა, სულ მცირე, 800 მილიონი დოლარის სუფთა მოგება გაიტანეს. აგრალურ ქვეყანას სურსათი ამერიკიდან შემოჰქონდა, სამაგიეროდ ბატისტა და მისი გარემოცვა**

რიჩარდ ნიქსონი და ბატისტა
1954 წელს ნიქსონის კუბაში ვიზიტისას

მდიდრდებოდა გზების, სასტუმროებისა და გასართობი დაწესებულებების მშენებლობით. ყვაოდა კორუფცია, საზოგადოებაში სულ უფრო ღრმავდებოდა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

ბატისტას კი არაფერი ადარდებდა. ვისაც დემაგოგიით ვერ უმკლავდებოდა, რეპრესიებით ამარცხებდა. **ბატისტამ დაითხოვა კონგრესი, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს კი 30 წლით აუკრძალა კუბის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.**

1953 წლის არჩევნები გაურკვეველი ვადით გადაიდო. სამაგიეროდ, გამოქვეყნდა 1940 წლის კონსტიტუციის შემცვლელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ადამიანთა უფლებები ნულამდე იყო დაყვანილი. უკლებლივ ყველა პარტია ბატისტას რეჟიმთან ბრძოლის უაზრობაზე ლაპარაკობდა, როდესაც კუბის მომავალი სოციალისტური სახელმწიფოს ლიდერმა ფიდელ კასტრომ რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო. ორწლიანი პარტიზანობის შემდეგ, 1953 წელს, ახალგაზრდა რევოლუციონერებმა შეიარაღებული აჯანყება გაბედეს, მაგრამ ორსაათი-

ანი ბრძოლის შედეგად მათი უმეტესობა მკვდარი იყო, ცოცხლად გადარჩენილები კი დააპატიმრეს. **ბატისტამ თითო მკვდარი ჯარისკაცის სანაცვლოდ 10 პატიმრის დახვრეტა ბრძანა. რევოლუციონერებს მხრებამდე ცოცხლად მარხავდნენ და სამიზნეებად იყენებდნენ, მაღალი შენობების სახურავებიდან ყრიდნენ, ვენებში ჰაერს უშვებდნენ, ასახიჩრებდნენ, ორგანოებს აჭრიდნენ.**

ქვეყანაში რეპრესიების ახალი, დაუნდობელი, ეტაპი დაიწყო, მაგრამ ბატისტას ესმოდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაემყარებინა მოჩვენებითი კანონიერება მაინც, ამიტომ 1954 წლის 1 ნოემბრისთვის არჩევნები დანიშნა. **ყველა საარჩევნო უბანს სამხედროები აკონტროლებდნენ. ქვეყანა სამთავრობო ტერორის რეჟიმში ცხოვრობდა. საბოლოოდ ბატისტას ერთადერთმა კონკურენტმა არჩევნების წინ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. არჩევნებში მოსახლეობის 30%-მა მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ამერიკამ არჩევნები სამართლიანად გამოაცხადა და ბატისტას გამარჯვება მიულოცა.**

კუბაში პოლიტიკური მკვლელობა ყოველდღიურობად იქცა. ძირითადად, კვლავ კომუნისტები იდევნებოდნენ. ქუჩებში ნაწამები ადამიანების გვამები ეყარა. ყოველდღიურად ათასობით „არაკეთილსაიმედო“ თანამშრომელს სამსახურიდან აგდებდნენ. 1955 წელს შაქრის ქარხნებში გაფიცვა დაიწყო, გაფიცვას თუთუნის საწარმოებისა და რკინიგზის მუშები, სტუდენტები და წვრილი მოვაჭრეებიც შეუერთდნენ. პოლიცია ისევ დაუნდობლად ხოცავდა გაფიცულებს. მიუხედავად ამისა, რეჟიმის მოწინააღმდეგეების რიგები დღითიდღე იზრდებოდა.

ამ დროს ბატისტა, ისევე, როგორც ომის დროს, საკუთარ ჯიბეზე ფიქრობდა. **ყველას, ვისაც რაიმეს გაკეთება სურდა ქვეყანაში, მისთვის აქციების პაკეტი და დამატებით თანხა უნდა მიეცა. ერთ-ერთი სატელეფონო კომპანიისგან ტარიფის მომატებისთვის 3 მილიონი დოლარი და ოქროსგან ჩამოსხმული ტელეფონის აპარატი მიიღო ძღვნად, მეორისგან — ვერცხლის ღამის ქოთანი. ყველა გარიგებიდან პროცენტი მის სეიფებში მდინარეებად მიედინებოდა. დიქტატორი იმდენად მდიდარი იყო, რომ მასთან სტუმრად მყოფი მილიონერებიც კი თავს უხერხულად გრძნობდნენ.** მი-

ბატისტა აშშ-ის კონგრესში გამოსვლისას, 1952 წ.

სი ქონების შესახებ ზუსტი მონაცემები ამ დრომდე უცნობია. სამაგიეროდ, როგორც ერთი გაზეთი წერდა, **მისი ქვეყანა ჰგავდა „უზარმაზარ ციხეს, სადაც ყველა მოქალაქეს დანა ჰქონდა ყელზე მიბჯენილი“.** სასიკვდილოდ ნაწამებთა რაოდენობა 20 000-ს აჭარბებდა.

ამასობაში ფიდელ კასტროს რაზმები ნამდვილ პარტიზანულ არმიად ჩამოყალიბდა. ბატისტას საწინააღმდეგო მოძრაობები უკვე იმდენად მასშტაბური და ინტენსიური გახდა, რომ დოქტატორმა არასასურველი აღსასრულის მოახლოება დაიჯერა და 1958 წლის 3 ნოემბრისათვის „დემოკრატიული“ არჩევნები დანიშნა. ამჯერად კანდიდატი მისი ყურმოჭრილი მონა, პრემიერ-მინისტრი ანდრეას რივერო იყო. მისი გამარჯვების შემთხვევაში რეალურ მმართველად, ცხადია, კვლავ ბატისტა დარჩებოდა, მაგრამ ხალხი არჩევნებზე არ წავიდა. რივერა მაინც გამოცხადდა პრეზიდენტად, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მალე ამბოხებულებმა ყველა ფრონტზე გადამწყვეტი შეტევის გადაწყვეტილება მიიღეს. ამერიკული იარაღის მიუხე-

დავად, ბატისტა ამბოხებულებს ველარ უმკლავდებოდა. ნელ-ნელა ათასობით ჯარისკაცმაც უღალატა გენერალს და „მტრის“ მხარეზე გადავიდა.

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე ბატისტა ცოლთან და რამდენიმე ახლობელთან ერთად კუბიდან გაიქცა, 1959 წლის 2 იანვარს კი ამბოხებულთა მოწინავე რაზმები ჰავანაში შევიდნენ. ახალი წლის დილას ახალ ორლეანსა და ფლორიდაში დაეშვა რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებიც ასეულობით მაღალჩინოსანი კუბელი ლტოლვილით იყო სავსე. თავად ბატისტა დომინიკის რესპუბლიკას აფარებდა თავს; ქვეყნისთვის ნაძარცვი ქონების წყალობით სიცოცხლის ბოლომდე არაფერი გასჭირვებია და 1973 წლის 6 აგვისტოს ესპანეთში გარდაიცვალა.

მანუელ ერნანდესი

სადამ ჰუსეინი — მოთამაშე, რომელსაც ბედი დიდხანს სწყალობდა

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ სადამ ჰუსეინს ყველა უმაღლესი პოსტი ეკავა ერაყში: პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი (მარშლის წოდებით), არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის გენერალური მდივანი, რევოლუციური მეთაურობის საბჭოს თავმჯდომარე, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ.

მან გადაიტანა ირანთან ხანგრძლივი და დამქანცველი ომი, სპარსეთის ყურეში სამარცხვინო დამარცხება, ათობით შეთქმულება და თავდასხმა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ორგანიზება, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ან თავად მან, ანდა მისმა ერთგულმა ადამიანებმა მოახდინეს. სხვათა შორის, იგი ხშირად ერთმანეთს ანაცვლებდა ამ ადამიანებს ან თავიდან იშორებდა.

მკითხველისთვის ამგვარი პოლიტიკური პრაქტიკის არსის განმარტებას აზრი არ აქვს. ბაღდადის მმართველი, უბრალოდ, შეიარაღდა იმ მეთოდებით, რომლებიც 30-იან წლებში „ყველა დროისა და ხალხის დიდმა ბელადმა“ გამოიგონა. ხოლო თუ ბატონი იოსები თავისი სიკვდილით აღესრულა, სადამის ხვედრი გაცილებით ტრაგიკული აღმოჩნდა...

სადამის მმართველობის ბოლო წლებში ერაყი სავალალო სანახაობას წარმოადგენდა. 18 მილიონი მოქალაქე ნელ-ნელა შიმშილით იხოცებოდა. ქვეყანაში, სადაც საშუალო ხელფასი 300 დინარს შეადგენდა, ქათამი ოთხასი დინარი ღირდა. ერაყელებს თავის გადარჩენა სხვადასხვა ხერხებით უწევდათ. ძირითადად კი, სახელმწიფოს მოწოდებული ულუფებით ედგათ სული, რომელიც კვირაში ერთხელ რიგდებოდა და რომელშიც შედიოდა: პური, ცოტა შაქარი, ბრინჯი და მარგარინი. რძესა და ხორცს თვეობით ვერ ხედავდნენ.

ყოველ კუთხეში მათხოვრები მომრავლდნენ. წესიერად ჩაცმული ხალხიც არ თაკილობდა უცხოელებისთვის მოწყალების თხოვნას. ბაღდადის საინფორმაციო სააგენტოების ცნობებს თუ დავეყრდნობით, ზოგიერთი სასოწარკვეთილი ერაყელი საკუთარ ორგანოებსაც ყიდდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო თირკმლებზე, თითო 50 ათასი დინარი ღირდა.

აღსანიშნავია, რომ სადამის მმართველობის ხანაში კერძო კლინიკაში უმარტივესი ოპერაციის ფასიც კი რამდენიმე წლის ხელფასს უტოლდებოდა. ბავშვები უწინდებურად იბადებოდნენ, მაგრამ ერაყელებს რამდენიმე შვილის ყოლის საშუალება არ ჰქონდათ.

როგორც ეს ხშირად ხდება, სიღატაკეს თან სდევდა დანაშაულების არნახული ტალღა. ამასთან, ხელისუფლება თაღლითებს არცთუ ცივილიზებული მეთოდებით უსწორდებოდა.

ბრძოლა სიცოცხლისათვის, შიმშილი, თვითმხილველთა მონათხრობით, ერაყელებს ისლამის ნორმების დარღვევას აიძულებდა. ბაღდადის ვიწრო მოსახვევებსა და ბნელ ეზოებში ქალები საკუთარი სხეულით ვაჭრობდნენ (ექსტრემალური მოვლენა მუსლიმანური საზოგადოებისთვის), ხოლო მამაკაცები ავტომანქანებს იტაცებდნენ და მეზობლების ბინებს ქურდავდნენ.

ხალხის კატასტროფული მდგომარეობა სადამს ხელს არ უშლიდა, სახელმწიფო ფული თავისი ოჯახისა და მთავრობის წევ-

რებისთვის გათვალისწინებული სასახლეებისა და პატარა ქალაქების მშენებლობაში დაეხარჯა. მას ფული არ ჰყოფნიდა სურსათ-სანოვაგესა და მედიკამენტებზე, მაგრამ იარაღის შესაძენად საჭირო თანხები მყისვე გამოუჩნდებოდა.

ერაყელები აღშფოთებულნი იყვნენ, რა თქმა უნდა! მაგრამ არა რეჟიმის, არამედ გაეროს სანქციების გამო. პარადოქსია, მაგრამ სადამმა უმძიმესი ეკონომიკური სიტუაცია საკუთარი ხელისუფლების გასამყარებლად გამოიყენა: მისი მორჩილი პროპაგანდისტული აპარატი ყოველდღე უნერგავდა მოსახლეობას, რომ ყველა უბედურება გაეროს „უსამართლო“ და „არაადამიანური“ სანქციების გამო სჭირდათ. ხოლო 1994 წლის ოქტომბერში, როცა ქუვეითის საზღვრებს 60-ათასიანი კორპუსი და 700 ტანკი მიაყენა, კიდევ უფრო გაიმყარა თავისი შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, რადგან კიდევ ერთხელ უჩვენა ხალხს, რომ მზადაა, „ვითარების გასაუმჯობესებლად“ უკიდურესი საშუალებებით იბრძოლოს.

ამაზე იტყვიან, წყლიდან მშრალი ამოვიდაო...

იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენდნენ, რა უწყობდა ხელს ერაყის სუნიტ დიქტატორს, რომ 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში ყოფილიყო? პასუხი, ალბათ, თავად მასში და ხელისუფლების პირამიდაზე მის აღმასვლაში უნდა ვეძებოთ.

სადამ ჰუსეინი — ნამდვილი სახელი ალ-თიკრიტი – 1937 წლის 27 აპრილს დაიბადა მდინარე ტიგროსის მარჯვენა სანაპიროზე, ბაღდადიდან ჩრდილოეთით 160 კმ-ში მდებარე პატარა ქალაქ თიკრიტში. მამამისი, უბრალო გლეხი, მთელი ცხოვრება მიწას რომ ამუშავებდა, მაშინ გარდაიცვალა, როცა სადამი 9 თვისა იყო. ადგილობრივი ადათით, ბიძამისი, არმიის ოფიცერი ალ-ჰაჯ იბრაჰიმი, ერაყში ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, ძმის ქვრივზე დაქორწინდა. ობოლი თავის ოჯახში შეიკედლა, სადაც ისედაც ბევრი ბავშვი და სიღარიბე იყო.

თუმცა ამ დეტალებს ერაყში სადამის მმართველობის ხანაში არავინ იხსენებდა. ბაღდადის მმართველის ოფიციალური ბიოგრაფები მოწიწებით იუწყებოდნენ, რომ ალ-თიკრიტის კლანი მოციქულ მუჰამედის სიძის, იმამ ალის პირდაპირი შთამომავალი იყოო.

9 წლამდე იგი სკოლაში არ დადიოდა. მოგვიანებით ბაღდადის ელიტარულ სამხედრო აკადემიაში სცადა ჩაბარება, მაგრამ პირველივე გამოცადზე ჩაიჭრა. ეს ძლიერი დარტყმა გამოდგა

სადამ ჰუსეინი სამხედრო სწავლებისას

და მომავალ „არაბი ერის რაინდს“, როგორც მას ერაყის მედია უწოდებდა, ძალაუფლების აკვიატებული იდეა ჩაუნერგა. სხვათა შორის, უკვე ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას იგი გამოცდაზე ქამარში გარჭობილი პისტოლეტითა და ოთხი შეიარაღებული მცველით გამოცხადდა. ცხადია, გამომცდელებმა ზედმეტ ფორმალობებს თავი აარიდეს.

ბიძის დახმარებით, სადამი ბაღდადში გადასახლდა და ალ-ჰარკის კოლეჯში მოეწყო. აქვე 1954 წელს არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის საიდუმლო ბირთვში გაწევრდა, პარტიისა, რომლის იდეები სოციალიზმისა და არაბული ნაციონალიზმის უცნაურ ნაზავს წარმოადგენდა.

თავისი პოლიტიკური კარიერა თიკრიტელმა ობოლმა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, პისტოლეტით ხელში დაიწყო.

1958 წელს ბაღდადში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო გენერალმა აბდულ ქერიმ კასემმა. მომდევნო წელს სადამი გაერთიანდა ჯგუფში, რომლის ამოცანაც პრემიერ-მინისტრ კასემის მოკვლა იყო. ისინი ჩაუსაფრდნენ ავტომანქანას, რომელშიც ერაყის მაშინდელი დიქტატორი იჯდა.

მაგრამ ეს ცუდად დაგეგმილი თავდასხმა გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრის მძღოლი და მისი ადიუტანტი მოკლეს, ავტომანქანის იატაკზე გაწოლილი კესამი გადარჩა. თავდამსხმელთა უმეტესობა დახოცეს, ხოლო სადამი სროლისას დაიჭრა. სწორედ მაშინ იშვა (და მას შემდეგ კიდევ იყო მრავალი!) ლეგენდა ერაყის მომავალ მმართველზე. ლეგენდის მიხედვით, სადამმა თვითონ გაიკეთა ოპერაცია – ფეხში ჩარჩენილი ტყვია დანით ამოიღო, გადაცურა ტიგროსი და ბედუინად გადაცმული, ნაპარავი სახედრით სირიაში გადავიდა.

ეტყობა, თიკრიტელი „რევოლუციონერის“ შესახებ გავრცელებული ხმები ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰამალ აბდულ ნასერის ყურსაც მისწვდა, რომელიც მას ქაიროში გადაბარგებაში დაეხმარა.

მრავალი ნაციონალისტური იდეით შეპყრობილი არაბის მსგავსად, სადამი პრეზიდენტ ნასერისა და არაბული ქვეყნების გაერთიანების შესახებ მისეული ხედვის გავლენის ქვეშ მოექცა. თუმცა, როგორც ფაქტები მეტყველებს, ეგვიპტის ლიდერის იდეები მან მოხერხებულად გადააკეთა და საკუთარ მიზნებს მოარგო.

ბაღდადში მომავალი „მებრძოლი-ბელადი“ (ერაყული გაზეთების ეპითეტი) არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის მიერ 1963 წლის თებერვალში მოწყობილი გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა. სამსახურეობრივი კიბის პირველი საფეხური – ბაასისტური პარტიის წესრიგის დაცვის სამსახურის უფროსობა იყო. ის ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ქვეყანაში სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ სისხლიან რეპრესიებს ჩაუდგა სათავეში და რამდენიმე თვე ციხეში ჯალათებთან ერთად გაატარა.

მაგრამ დიდხანს არ დამტკბარა გამარჯვების ნაყოფით. მალე მისმა პარტიამ ძალაუფლება დაკარგა და ახალმა რეჟიმმა სადამი სახიფათოდ მიიჩნია. ოფიციალურ ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ მთავრობის აგენტებმა, პიდაპირი გაგებით, კუთხეში მიიმწყვდიეს და ატეხილ სროლაში იგი მთელი დღის განმავლობაში მარტო იგერიებდა მომხდურებს, სანამ ტყვიები არ გაუთავდა.

თუ მართლა ასეა, მაშინ სადამი იოლად გადარჩენილა. ორი წელი ციხეში გაატარა, გათავისუფლდა და მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო გადატრიალებაში, რომელიც ბაასისტების პარტიამ მოაწყო 1968 წელს. როგორც ოფიციალური ბიოგრა-

ფი იუწყება, იგი ერთ-ერთი პირველი შევიდა ტანკით საპრეზიდენტო სასახლის ეზოში. ეს პირველი გაკვეთილი იყო, რომელმაც თვალნათლივ აჩვენა, რომ ყოფილ ტუსაღებს ხელისუფლების სათავეში დაბრუნება შეეძლოთ. სადამი კი არასოდეს უშვებდა ამგვარ შეცდომებს – სხვაგვარად აზროვნებაში ყველა ეჭვმიტანილს დაუნდობლად ანადგურებდა.

11 წლის განმავლობაში სადამი „მეორე კაცი“, მაშინდელი პრეზიდენტის აჰმედ ჰასან ალ-ბაქრის მარჯვენა ხელი იყო. უფრო ზუსტად, გენერალი ალ-ბაქრი ერაყს მხოლოდ ნომინალურად ხელმძღვანელობდა, რეალური მმართველი კი მისი ნათესავი, სადამი, იყო.

1979 წლის 16 ივნისს მოხუცმა ალ-ბაქრიმ პრეზიდენტის სავარძელი დატოვა, როგორც ამბობენ, სწორედ ამ ნათესავის დახმარებით...

მაშ ასე, სიმაღლე დაპყრობილია. ერაყის ახალმა პრეზიდენტმა მაშინვე წამოიწყო მორიგი ფართომასშტაბიანი წმენდა. მისი მითითებით დააპატიმრეს არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის 21 ხელმძღვანელი მოღვაწე, თითქმის ყველა მინისტრი და ახლო მეგობარი, რომელთა დახმარებითაც ის ხელისუფლების სათავეში მოექცა.

ყველა მათგანს ბრალად წაუყენეს „ნაციის წინააღმდეგ შეთქმულება და ღალატი“, კონკრეტულად კი — „სირიისთვის საიდუმლო ცნობების გადაცემა“. გუშინდელი თანამოაზრეები ცალ-ცალკე საკნებში გაამწესეს. „მოღალატეთა“ მორალურად გასანადგურებლად და მათგან აღიარების მისაღებად, სადამის ბრძანებით, მეზობელ საკნებში მათი შვილები შეყარეს, რომლებსაც მშობლების თვალწინ აწამებდნენ, გოგონებს აუპატიურებდნენ, ოჯახებს ანადგურებდნენ.

ხანგრძლივი დაკითხვებისა და წამების შემდეგ, რომლებშიც თავად პრეზიდენტიც მონაწილეობდა, ყოფილი თანამოაზრეები სიკვდილით დასაჯეს. სხვათა შორის, სიკვდილით დასჯის ცერემონიასაც თავად სადამი ხელმძღვანელობდა.

სადამისთვის არაფერი წმინდა არ არსებობდა. ადამიანის სიცოცხლეს მისთვის ჩალის ფასი ედო. ერაყის დიქტატორის მორალური ფასეულობები მისი საკუთარი ინტერესების შესაბამისად იცვლებოდა. იგი ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც საკუთარი თავისთვის მომგებიანად მიაჩნდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1973 წელს, ვიცე-პრეზიდენტობისას, იგი კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის შექმნის წინადადებით გამოვიდა. რამდენიმე წლის შემდეგ კომპარტია გაანადგურეს. თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მან ირანთან ახლო აღმოსავლეთში ბოლო 50 წლის მანძილზე ყველაზე სისხლისმღვრელი ომი წამოიწყო. არაბ მეზობლებს კი განუცხადა, რომ ომი რამდენიმე დღე გაგრძელდებოდა და იმამ ჰომეინის რეჟიმისთვის სამაგალითო გაკვეთილი იქნებოდა.

ომი 8 წლის შემდეგ დასრულდა და ერაყს ის 500.00 კაცის სიცოცხლედ დაუჯდა. სადამმა არა მარტო გადაიტანა ეს პოლიტიკური და ეკონომიკური უბედურება, არამედ შეუცბუნებლად გამარჯვების მომტან ომად გამოაცხადა. მისთვის ომი მარტოდენ არაბთა შორის საკუთარი პოზიციების გასამყარებელ შანსსა და მთელი არაბული სამყაროს მმართველად გადაქცევას წარმოადგენდა.

ამ წლების განმავლობაში ბაღდადის მმართველის ტაქტიკა ორ რამეს ემყარებოდა: პირველი – თავისი კლანის გარდა ის არავის ენდობოდა და სწორედ ამიტომ გარშემო ნათესავები შემოიკრიბა; მეორე — ყველა პოტენციურ კონკურენტს ფიზიკურად ანადგურებდა.

მის მსხვერპლთა შორის იყვნენ არა მარტო მისი ერთგული ადამიანები, არამედ ნათესავებიც. სადამი ულმობელი იყო, როცა საქმე მისი ძალაუფლების შენარჩუნებას ეხებოდა.

მმართველობის ბოლო წლებში ერაყის დიქტატორი ერთობ უცნაურად იქცეოდა. ბევრმა მათგანმა, ვისაც ჯერ კიდევ სპარსეთის ყურეში პირველი ომისას (1991 წ.) მოუხდა მასთან საუბარი, შენიშნა, რომ დიქტატორმა „რეალობის შეგრძნება“ და გარემომცველ სამყაროსთან კონტაქტი დაკარგა“. გაეროს გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა, რომელიც სადამს ომამდე ესაუბრა, მონათლა ადამიანად, რომელსაც არსებული რთული ვითარების გაცნობიერების უნარი არ შესწევს; **ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა — „ფსიქოპათი“, ხოლო საუდის არაბეთის მეფე ფაჰდმა „ფსიქიკურად არასრულფასოვანი“ უწოდა.**

ინგლისელმა ფსიქიატრებმა დაასკვნეს, რომ გარე სამყაროს მისეული შეფასება საკუთარ თავსა და გარშემომყოფებზე

მცდარ წარმოდგენას უკავშირდებოდა. ზოგი ექსპერტი საერთოდ მიიჩნევდა, რომ ერაყის ბელადი „ავთვისებიანი ნარცისი“ იყო. მოცემული დიაგნოზის ოთხი კრიტერიუმი კი ასეთია: უმაღლესი ხარისხის განდიდების მანია, სადისტური სისასტიკე, ავადმყოფური ეჭვიანობა, მონანიების უუნარობა.

რაც შეეხება ბოლო სიმპტომს, სადამი ადამიანებს მარტოდენ თავისი მიზნების მისაღწევ იარაღად მიიჩნევდა. მისთვის უცხო იყო თანაგრძნობა. ის სასტიკი და გულცივი პრაგმატიკოსი გახლდათ, რომელსაც ყოველი ნაბიჯი გათვლილი ჰქონდა.

განდიდების მანია სადამს არა მარტო ქედმაღლობაში, არამედ საკუთარი განსაკუთრებულობის რწმენაში გამოუვლინდებოდა.

ერთი ხანობა იგი აიუბიდების დინასტიის დამაარსებელ სალაჰ-ედ-დინს ედრებოდა, რომელიც ჯვაროსნების წინააღმდეგ მუსლიმანების ბრძოლას ედგა სათავეში. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მებრძოლიც თიკრიტში დაიბადა და 43 წლისა ეგვიპტის, სირიისა და მესოპოტამიის მმართველი გახდა. ამავე ასაკში ჰუსეინი ერაყის ხელისუფლების სათავეში მოვიდა.

ისტორიის ოინებიც ასეთი უნდა!

მმართველობის ბოლო წლებში სადამი საკუთარ თავს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორთან აიგივებდა, რომელმაც ჩვენს წელტ აღრიცხვამდე 587 წელს იერუსალიმი მიწასთან გაასწორა და მრავალი წლის განმავლობაში მისი მკვიდრნი ტყვეობაში ჰყავდა. ამასთან, სურდა, ერაყელებს სწორედ ამ მეფის შთამომავალი ჰგონებოდა.

განდიდების მანია ქრონიკულ სახეს იძენს, როცა ემატება რწმენა, რომ მიზანი ნებისმიერ საშუალებას ამართლებს. ეს ერაყის ემირის კრედოა.

დიახ, ემირის და თანაც, — ბრჭყალების გარეშე. საქმე ისაა, რომ ხელისუფლების სათავეში ყოფნისას სადამმა ერაყის მუსლიმანურ სახელმწიფოდ გამოცხადების გეგმა შეიმუშავა. ბაღდადი ხალიფატის დედაქალაქი უნდა ყოფილიყო, ხოლო თვითონ — ყველა მართლმორწმუნის ემირი.

ქვეყნის ისლამიზაციის გზაზე პირველი ნაბიჯი სპარსეთის ყურეში ომის დროს გადაიდგა. მაშინ სადამმა სახელმწიფოს გერბზე ამოტვიფრა სიტყვები: „ალაჰ აკბარ!“ („ალაჰი დიდია!“). მომდევნო ნაბიჯი ერაყში შარიათის რამდენიმე კანონის აღდგენა იყო. ახლა ქურდობისთვის მარცხენა ხელს კვეთდნენ, რე-

ციდივისთვის — მარცხენა ფეხს, დეზერტირობისთვის ყურს აჭრიდნენ და თვალებშუა ასო „ჰ“-ს ამოუდაღავდნენ (არაბულად „ჰარამი“ დამნაშავეს ნიშნავს). დაიხურა ყველა გასართობი დაწესებულება და ქალებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მაკიაჟით გამოჩენა აეკრძალათ.

უფრო მეტიც, **სადამმა საკუთარი თავი „მუსლიმანური სამართლის საკითხებში უმაღლეს რელიგიურ ავტორიტეტად“ შერაცხა.** ერაყის მედია სულ იმაზე ლაპარაკობდა, რომ ქვეყნის მმართველი დღეში ხუთჯერ ლოცულობდა, ისლამის ყველა მცნებას ასრულებდა, ხოლო პარასკეობით მეჩეთში დადიოდა.

ღამ-ღამობით სადამი ყურანის განმარტებებზე მუშაობდა. ამასთან, მან მსოფლიოში ყველაზე მაღალი – 1800 მ სიმაღლის, 700 მ სიგანისა და 75 ათას მლოცველზე გათვლილი მეჩეთის აშენება გადაწყვიტა (ამ საქმეს აშკარად გინესის რეკორდების წიგნის სუნი ასდიოდა).

აღმოსავლეთში პირადი ცხოვრების გამომზეურება მიღებული არ არის. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ერაყის დიქტატორი ორჯერ დაქორწინდა. მისი პირველი ცოლი საჯიდა მასთან ერთად გაიზარდა, რადგან ისინი ბიძაშვილები იყვნენ. საჯიდა ერაყელი ქალების ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ფედერაცია კი ბასის პარტიის ფილიალს წარმოადგენდა.

როცა სადამი მსოფლიო პრესის პირველ ფურცლებზე გამოჭიმეს, მისის ჰუსეინი ჩრდილში მოექცა. მისი მხოლოდ ორი ფოტოა ცნობილი. ერთი ქორწილის დროსაა გადაღებული, მეორე კი — 1978 წელს ჟურნალ „ალ-მაარში“ გამოქვეყნდა, პრეზიდენტისადმი მიძღვნილი სტატიის გვერდით. სტატიის ავტორი სადამი გახლდათ, სადაც იგი ოჯახზე საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამდა. „ქორწინებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მამაკაცმა ქალს თავი დაჩაგრულად არ აგრძნობინოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია, თავად კი — მამაკაცი. როგორც კი ქალი თავს დაჩაგრულად იგრძნობს, ოჯახი დაინგრევა“.

სადამის მეორე ქორწინების ისტორია ერაყის საზღვრებს გარეთაც კი გახმაურდა. 1988 წელს, ავიაკომპანია „ერაყი ეარვეისის“ პრეზიდენტის ცოლის დანახვისას, იგი მიხვდა, რომ ბედმა შანსი აჩუქა. სადამმა ქმარს ცოლთან გაყრა შესთავაზა. ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო სადამის ცოლისძმა ადნან ჰეირალა, რომელსაც მაშინ თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა. მალე ის ავიაკატასტროფაში დაიღუპა...

პორტრეტის სისრულისთვის დავამატებთ: სადამი მებაღეობითა და იახტებით იყო გატაცებული. მის სისუსტეს წარმოადგენდა ძვირადღირებული დასავლური კოსტიუმები, უცხოური ავტომანქანები. მისი პირველი „მერსედესი“ პარტია ბაას-ის მუზეუმშია დაცული. მისი საყვარელი გართობა მანქანით ქროლვა და ჰავანური სიგარები იყო.

ერაყში ამერიკელების შეჭრამდე არ არსებობდა არც ერთი ქალაქი, სადაც „არაბთა ნაციის ბელადის“ მარმარილოს ან ბრინჯაოს ძეგლი არ იდგა. ერაყელები ხუმრობდნენ: „ერაყის მოსახლეობა რომ აღწერო, გამოვა, რომ 36 მილიონი ვართ – 18 ათასი მოქალაქე და ამდენივე — სადამის ქანდაკება“.

ხელისუფლების სათავეში მრავალწლიანი ყოფნისას მას მიაჩნდა, რომ მის ყველა მოქმედებას გამართლება მოეძებნებოდა. ამის დემონსტრირება 1990 წლის 2 აგვისტოსაც მოახდინა, როცა მეზობელ ქუვეითში შეიჭრა და მისგან ნავთობისა და ოქროს მთელი მარაგები მოითხოვა, თუმცა დამარცხდა.

ასეთია კბილებამდე შეიარაღებული დიქტატორული რეჟიმის ლოგიკა...

2003 წლის 14 დეკემბერს ერაყის დიქტატორი ამერიკელებმა მისი მშობლიური თიკრიტიდან 16 კმ-ში მდებარე ქალაქ ედ-დაურში დააკავეს. ექს-პრეზიდენტს 12 პუნქტში წაუყენეს ბრალდებები. თითოეული ამ ეპიზოდთაგანი შეესაბამებოდა მუხლს „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“. გამომძიებლებმა დიქტატორს 500 სავარაუდო სისხლის სამართლის საქმე დაუთვალეს, თუმცა მისთვის უკვე წაყენებული ბრალდებები სიკვდილით დასჯის 12 განაჩენს ეყოფოდა.

სადამი 3.3/3.9 მ ფართის საკანში მოათავსეს, რომელიც აღჭურვილი იყო კონდიციონერით, გასაშლელი საწოლით, პლასტიკატის სკამითა და მლოცველის ხალიჩით. ის ტრადიციული ერაყული პერანგითა და პლასტიკატის სანდლებით შემოსეს. საკვებად ის კერძები ჰქონდა, რაც ამერიკელი სამხედროების რაციონში შედიოდა.

დროის უმეტეს ნაწილს სადამი ისტორიული წიგნებისა და ყურანის კითხვას უთმობდა. ყოველდღე, სამი საათის განმავლობაში საკნის მიმდებარე ეზოში ვარჯიშობდა და იქვე ახარებდა მცენარეებს.

საპყრობილეში ყოფნისას სადამი ხშირად ემუსაიფებოდა ზე-

დამხედველებს. ამასთან, ახალგაზრდა მცველებს რჩევებსაც აძლევდა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იდეალური ცოლი. ერთ-ერთი ჯარისკაცის მონათხრობით, სადამმა მას ურჩია, ისეთი ცოლი მოეძებნა, რომელიც „მაინც და მაინც ლამაზი და ნორჩი არ იქნებოდა“ და თავს მთლიანად ოჯახურ საქმეებს, შინ ფუსფუსსა და კერძების მომზადებას მიუძღვნიდა.

ერთ-ერთ თავის წერილში ერაყის დიქტატორმა ყველაფერში დასავლელი ოკუპანტები დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ერაყისა და პალესტინისთვის სულსა და სიცოცხლესაც არ დაიშურებდა. ის წერდა, რომ „მოწამეობრივი სიკვდილი“ სურდა, არ სჭირდებოდა სიცოცხლე „რწმენის, სიყვარულისა და ჰარმონიის“ გარეშე. მან ასევე მოუწოდა არაბულ სამყაროს, გაეზიარებინათ მისი ფასეულობები: „სამშობლო მოგიწოდებთ, შესწიროთ ყველაფერი, რასაც ფლობთ, გაიღოთ სული თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის, რომელიც ამას იმსახურებს“. სადამის წერილი დასავლეთის მიერ ოკუპირებული არაბული ქვეყნების პოეტური ხოტბით მთავრდებოდა: „ჩემო ძმაო, გიყვარდეს შენი ხალხი, დიადი პალესტინა. გაუმარჯოს პალესტინას!“.

2006 წლის 30 დეკემბერს ამერიკელებმა ერაყის ყოფილი დიქტატორი ჩამოახრჩეს...

საგულისხმოა: ოდესღაც სადამ ჰუსეინი ამერიკის მოკავშირე იყო, თეთრმა სახლმა კი გასწირა. რატომ მოხდა ასე? ალბათ, იმიტომ, რომ ვაშინგტონს თავისი შეცდომების გადაბრალება მასზე უნდოდა...

1980 წლის სექტემბერში ერაყმა ირანის წინააღმდეგ აგრესია განახორციელა და ამ ავანტიურას, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა აშშ-მა. ამერიკელები აღფრთოვანებული იყვნენ იმით, რომ აიათოლათა საძულველი რეჟიმი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ისინი აშკარად იმედოვნებდნენ ისლამის რევოლუციის განადგურებას სადამის ხელით. ერაყი მაშინ აშშ-ის ყველაზე საიმედო პოტენციური მოკავშირე იყო რეგიონში — ირანის დაუძინებელი მტერი, რომელიც არ ცნობდა საუდის სამეფოს სულიერ ავტორიტეტს და ეგვიპტესა და სირიას პანარაბიზმის მთავარი მომხრის დაფნის გვირგვინს ედავებოდა, დამასკოს შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო პალესტინის მოძრაობის რადიკალური ძალების კონტროლის საქმეში.

სადამ ჰუსეინი მიმართავს ერაყელ ხალხს

ამ ფაქტორების ერთობლიობა ეშმაკური კომბინაციის წარმატებით განხორციელების იმედს ბადებდა: ირანთან ხანგრძლივი ომი დაასუსტებდა ირანსაც და ერაყსაც და ამ უკანასკნელს ისრაელი-პალესტინის დაპირისპირებისთვის აღარ ეცლებოდა, რაც არაბულ სამყაროში განხეთქილებას გამოიწვევდა. ბაღდადი იმ ძალების მიზიდულობის ცენტრი იყო ახლო აღმოსავლეთში, რომლებიც მსოფლიოს ისრაელთან ბრძოლის პრიზმაში კი არა, „პრაგმატული თვალსაზრისით“ განიხილავდნენ. ეს „პრაგმატიზმი“ კი იმაში მდგომარეობდა, რომ **ნელ-ნელა აშშ-ის მხრიდან გაცილებით მსუყე ლუკმა მიეღოთ, რათა მომავალში ახალი არაბული ბანაკი შეექმნათ ამერიკასა და დასავლეთთან პოლიტიკურ და ნავთობის სფეროებში მასშტაბური პარტნიორობისთვის. არაბული ფრონტის გახლეჩას ოპეკ-ის ნგრევა უნდა მოჰყოლოდა.**

ამ პირობებში სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა შორის აბსოლუტური ურთიერთუნდობლობის ატმოსფერო შეიქმნებოდა. პლანეტის ნავთობის ამ „საწყობში“ კი უსაფრთხოების გარანტად აშშ გადაიქცეოდა, რასაც ისინი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ცდილობენ.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იმ პერიოდში ერაყს ერ-

თობ რთული ურთიერთობები ჰქონდა სსრკ-თან. ერთის მხრივ, მოსკოვი ერაყს აქტიურ ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევდა, მაგრამ მეორეს მხრივ, სირიასთან მეგობრობდა და მხარს უჭერდა ერაყელ კომუნისტებს, რომლებსაც სადამი დაუნდობლად ანადგურებდა. ამ ფონზე დაიწყო 30 წელზე მეტი ხნის წინათ ერაყისა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბების პროცესი.

1984 წელს (ირანთან ომის მეოთხე წელიწადს) პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ ერაყთან 1967 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა. მაშინ ვაშინგტონს ერჩივნა, ყურადღება არ მიექცია იმისათვის, რომ ერაყის არმია ქიმიურ იარაღს იყენებდა და თანაც — არა მარტო ირანელი ჯარისკაცების წინააღმდეგ.

1989 წლის იანვარში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა ხელი მოაწერა დირექტივას, სადაც ნათქვამი იყო: „ნორმალური ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის ხელს უწყობს ჩვენს გრძელვადიან ინტერესებს და სპარსეთის ყურესა და ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობას ემსახურება. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერაყს მისი რეჟიმის შერბილებაში და გავზარდოთ ჩვენი გავლენა“. ამ პერიოდში აშშ-სა და ერაყის სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა აღმასვლა განიცადა და სწორედ მაშინ **ზოგიერთმა ამერიკულმა კომპანიამ ბაღდადს მიაწოდა აღჭურვილობა, რომლის გამოყენებაც ბაქტერიოლოგიური იარაღის საწარმოებლად შეიძლებოდა. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელებს არც ევროპელები ჩამორჩებოდნენ. კერძოდ, საფრანგეთი და გფრ სულ უფრო მეტად ზრდიდნენ ერაყისთვის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ტვირთების მიწოდების მოცულობას. საგულისხმოა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის ერაყული პროგრამების შემუშავების ისტორიით დაკავებულ არც ერთ საერთაშორისო ინსპექციას ან კომისიას ერთხელაც არ წამოუჭრია დასავლეთის როლის საკითხი ამ საქმეში.**

10-წლიანი ირანულ-ერაყული ომი, როგორც ცნობილია, „ფრედ“ დამთავრდა. თუმცა, თუ ამერიკული ინტერესების ჭრილში განვიხილავთ, ომის შედეგი მათთვის სავსებით ნეგატიური აღმოჩნდა. აიათოლები თეირანში მედგრად იდგნენ. სადამის რეჟიმი არ „შერბილებულა”, რეგიონში ამერიკელების

სადამ ჰუსეინის ჩამოხრჩობა

გავლენა მაინც და მაინც არ გაზრდილა. არაბებმა არ მოისურვეს პალესტინის პრობლემიდან ყურადღების გადატანა. ოპეკმა ერთიანობა შეინარჩუნა და უცებ უცნაური რამ მოხდა: ერაყი თავს დაესხა ქუვეითს და მისი ანექსია გამოაცხადა. რა იყო ეს — სადამის თავდაჯერებულობა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ამერიკელები მისით ზედმიწევნით დაინტერესდნენ, თუ სადამს რაიმეთი უნდა დაეკავებინა ირანთან წარუმატებელი და უმიზნო ომით უკმაყოფილო არმია?

ასე იყო თუ ისე, **ბაღდადში ჩინებულად ესმოდათ, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც ერაყული აგრესიისგან დაცვის თხოვნით მიმართავდნენ, ამერიკა იქნებოდა, ანუ ერაყელებს აშშ-ის გარშემო ფართო კოალიციის წარმოქმნა უნდა განეჭვრიტათ, ეს ზედმიწევნით ცხადი იყო. მაგრამ, იქნებ, სწორედ ეს წარმოადგენდა ამოცანას? ეგებ, სადამის სიჯიუტემ და ურჩობამ, რომელსაც მათზე „მიყიდვა“ არ სურდა, გადააწყვეტინა ამერიკელებს ქუვეითის ავანტიურაზე მისი წამოგება რაიმე მაცდური წინადადების, მაგალითად, საამიროების ანექსიის აღიარებისა (თუნდაც დე ფაქტო) და ჩაურევლობის სანაცვლოდ?**

სადამი ამას დაიჯერებდა... განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ყურეში ხანგრძლივი და მასშტაბური დესტაბილიზაციის

შემთხვევაში ნავთობის ფასების მკვეთრად აწევის გარანტია იარსებებდა. **სადამი,** ეტყობა, **იმედოვნებდა, რომ ახალი სანავთობე შოკის შიში დასავლეთს მისი მოტყუების საშუალებას არ მისცემდა და სწორად ვერ გათვალა. მაშინ იგი მხოლოდ იმ გარემოებამ იხსნა, რომ ვაშინგტონს მისი გამოსწორების იმედი ჰქონდა და, ასევე, საუდის არაბეთისა და, განსაკუთრებით, თურქეთის ზეწოლამ, რომლებიც შიშობდნენ, რომ, სადამის დამხობის შემთხვევაში, ერაყი სამ ნაწილად გაიხლიჩებოდა და ქვეყანაში სამოქალაქო კონფესიათაშორისი და ეთნიკური ომები გაჩაღდებოდა.**

პირველი ანტიერაყული კამპანიიდან მოყოლებული, ამერიკელებმა დიამეტრულად შეცვალეს დამოკიდებულება ერაყის მიმართ. მათ მთავარ ამოცანად, უწინდებურად, ბაღდადში დასავლეთისთვის ლოიალური რეჟიმის დამყარება რჩებოდა. მიზნებიც უცვლელი დარჩა — განხეთქილების ჩამოგდება არაბულ სამყაროსა და ოპეკ—ში, ყველაზე უხვნავთობიან რეგიონში დასავლური გავლენისთვის მყარი საყრდენის შექმნა. მაგრამ აქ დამატებითი ნიუანსიც წარმოიშვა: ამერიკისთვის „ერაყული საკითხის“ გადაწყვეტა პრინციპისა და ღირსების საკითხად იქცა. საუბარი მარტოდენ ირანული რევოლუციის შედეგად დაკარგული სტრატეგიული პოზიციების აღდგენას როდი ეხებოდა, რასაც ბევრი აშშ-ის სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უდიდეს მარცხად მიიჩნევს. მრავალწლიანი ინტრიგები, ეკონომიკური ბლოკადა, საჰაერო სივრცის კონტროლი და ორი სისხლისმღვრელი ომი, ამერიკაში ჩამოსვენებული, ზედ ვარსკვლავიან-ზოლებიან დროშაგადაფარებული ათასობით კუბო — ნუთუ ეს ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა? სადამი ხომ, დიდი ხანია, დაამხეს და სიკვდილითაც დასაჯეს.

საკითხავია, რა ელის ხვალ ერაყს, რომელიც უწინდებურად სისხლის გუბეში იხრჩობა, როგორ განვითარდება მოვლენები მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამამ ქვეყნიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ გამოაცხადა, რა ახალი პრობლემებისა და საფრთხეების წინაშე დადგება ამერიკის შეერთებული შტატები? როგორც ჩანს, ვაშინგტონში ხვდებიან, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ამ კითხვებზე პასუხს ვერ იპოვიან...

რუსტამ კასიმოვი

ვიქტორ იუშჩენკო — ხორუჟივკელი ბიჭი

ვიდრე ჩემს შეხედულებებს გაგიზიარებთ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩაესვენა 2009 წელს უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვარსკვლავი, ალბათ, უმჯობესი იქნება, შეგახსენოთ, ვინ იყო ამჟამად უკვე უკრაინის ექს-პრეზიდენტი ვიქტორ ანდრეის ძე იუშჩენკო.

იგი დაიბადა 1954 წლის 23 თებერვალს პატარა სოფელ ხორუჟივკაში, ნედრიგაილოვის რაიონის სუმის ოლქში. მამამისი — ანდრეი ანდრეის ძე (1919-1954 წწ.) დიდი სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდა, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი სკოლაში უცხო ენას ასწავლიდა. დედა — ვარვარა ტიმოფეის ასული (1918-2005 წწ.) ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი იყო. ვიქტორი დაიბადა თითქმის რუსეთის საზღვარზე. პრაქტიკულად, რუსული წარმომავლობის მიუხედავად, დასავლელებს იგი სამაგალითო უკრაინელად მიაჩნიათ, დონბასელებს — „ბენდერელად“.

დადგა დრო და ვიქტორ იუშჩენკო იქვე, ხორუჟივკის საშუალო სკოლაში შევიდა, 1970 წელს საშუალო განათლების ატესტატი აიღო და ტერნოპოლის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტში ჩააბარა. სპეციალობა — „საბუღალტრო ანგარიში სოფლის მეურნეობაში“ იმ დროისათვის მოთხოვნადი იყო. ინსტი-

ტუტის დამთავრების შემდეგ ორი თვე კოლმეურნეობის — „ოქ-ტომბრის 40 წლისთავი“ — მთავარ ბუღალტრად მუშაობდა სოფელ იაროვოში, ივანოვო-ფრანკოვოს რაიონში. 1975 წლის ნოემბერში საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. მსახურობდა სსრკ „კა-გებეს“ სასაზღვრო ჯარში საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე, ქალაქ ლენინაკანის (სომხეთი) მახლობლად. მოგვიანებით სპეცსამსახურის თანამშრომლის იმიჯიც კი მოიპოვა, რამაც კარგა ხანს ხელი შეუშალა უკრაინელ ულტრამემარჯვენეებთან საერთო ენის გამონახვაში. მათ თვალში „რეაბილიტაციის“ მიზნით, თავის ბლოკში ფაშისტური განწყობის ნაციონალ-სოციალისტები მიიწვია.

მანამდე, 1976 წელს, არმიიდან დემობილიზებული ვიქტორი, მშობლების დაჟინებული თხოვნით, მშობლიურ რაიონში დაბრუნდა. ამ მომენტიდან იწყება მომავალი პრეზიდენტის ფინანსური კარიერა. 1984 წელს იგი ამთავრებს ასპირანტურას — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია - და მას სუმის რაიონის აგრომრეწველობის გაერთიანების ფინანსურ ხელმძღვანელად ნიშნავენ. ერთი წლის შემდეგ მას კიევში აგზავნიან მივლინებით და იგი სსრკ-ის „სახელმწიფო ბანკის“ რესპუბლიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ ინიშნება.

იმ წლებში მოკრძალებულად, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა ცვლილებები ქვეყანაში, მაგრამ ვიქტორ იუშჩენკოს საზოგადოების გამოღვიძება ნაკლებად აღელვებდა. მისი მიზანი კარიერაა, დამახასიათებელი თვისებები — აუღელვებელი და ჩინებული მუშაკი ხელმძღვანელთა თვალში, ხოლო ხელქვეითების მიმართ – სასტიკი.

1989 წელს იუშჩენკოს აგროსამრეწველო ბანკის სამმართველოს უფროსად ნიშნავენ. 1993 წლის იანვრიდან კი იგი უკრაინის ნაციონალური ბანკის სათავეშია. იმავე წლის ნოემბრიდან იგი საკოორდინაციო კომიტეტის წევრი ხდება, რომელიც კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულს ებრძვის. 1994 წელს წარმატებულ ფინანსისტს უკრაინის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული ეკონომიკური რეფორმების საბჭოს წევრად ნიშნავენ.

რაც შეეხება პარტიულ კარიერას, ამ მიმართულებით 1996 წლიდან იწყებს მოღვაწეობას — სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრი ხდება. მისი მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ იგი

ვიქტორ იუშჩენკო და აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში

ბრწყინვალე ეკონომისტია, რომელმაც უკრაინისათვის რეკორდულ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია. მაგრამ მაშინ ცოტამ თუ იცოდა, რომ **90-იანი წლების დასაწყისში „ბრწყინვალე ეკონომისტმა“ მილიარდობით დოლარი გაიტანა ქვეყნიდან. ოპონენტები, პირველ რიგში, უკრაინელი მემარცხენეები და რუსეთთან კავშირის მომხრეები, დღეს ექსპრეზიდენტს „დასავლეთის აგენტს“ ეძახიან. მათი არგუმენტები საკმაოდ თვალსაჩინოა — ამერიკული ადმინისტრაციის აქტიური მხარდაჭერა იუშჩენკოსადმი.**

საქმე ისაა, რომ 90-იან წლებში სოლიდურმა ამერიკულმა ორგანიზაციებმა მიიღეს რა მოქმედების სრული თავისუფლება, უკრაინის ახალი პოლიტიკური ელიტის ფირმირება და აღზრდა დაიწყეს. მათ თვალსაწიერში პერსპექტიული იუშჩენკოც მოხვდა. სწორედ მაშინ გაიცნო თავისი „კურატორი“ და მომავალი მეუღლე კატერინა ჩუმაჩენკო. კატერინა ის ადამიანი გახდა, რომლის გარეშეც იუშჩენკო ნაბიჯსაც არ დგამდა.

კატერინა 1961 წელს დაიბადა ჩიკაგოში (აშშ). ომის დროს მამამისი საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა, მაგრამ გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. როგორც თავად ქალბატონი ჩუმაჩენ-

კო ამბობდა, მამას მძიმე ფორმის ტუბერკულოზი ჰქონდა და ამის გამო მშობლები უკრაინაში ვერ დაბრუნდნენ.

თავიდან ოჯახი დასავლეთ ევროპაში აღმოჩნდა, შემდეგ — აშშ-ში, სადაც კატერინას მამა მთელი თავისი ცხოვრება ელექტრომექანიკოსად მუშაობდა. იუშჩენკოს ამერიკელმა ცოლმა დააარსა უკრაინის საინფორმაციო ცენტრი და პროგრამის — „საბანკო სწავლება“ დირექტორის პოსტი დაიკავა. იგი იყო სახელმწიფო მდივნის ასისტენტის სპეცთანამშრომელი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში და, აგრეთვე, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საზოგადოებრივი კავშირების ოფისში.

კატერინას საქმიანობის წყალობით, იუშჩენკომ ახალგაზრდა რეფორმატორისა და „ამერიკელთა საიმედო სიძის“ სტატუსი დაიმკვიდრა. აშშ კრედიტებს აძლევდა უკრაინას „იუშჩენკოს სახელზე“ და მისდამი სიმპათიას არ მალავდა თვით აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი. კატერინას თავის მეუღლეზე გაცილებით უკეთესი განათლება და საქმიანი გამოცდილება ჰქონდა, ამიტომაც დიდი გავლენა მოახდინა მომავალი პრეზიდენტის პოზიციასა და მისი გუნდის ფორმირებაზე. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამერიკელი უკრაინელების „ბანდერული“ ორიენტაციის აქტივისტი იყო. მონაწილეობდა უკრაინელი ემიგრანტების დემონსტრაციებში სსრკ-ის საელჩოს წინ, ვაშინგტონში. იუშჩენკოსთან ქორწინების შემდეგ, უკვე კიევში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის კადრებს არჩევდა, მათ შორის „უმაღლესი რადას“ წევრებსაც, და მათ სტაჟირებაზე აშშ-ში უშვებდა.

კატერინამ ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ნაციონალურ უშიშროებაში, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა ანალიტიკოსად. იგი საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა პოსტსაბჭოთა სივრცის საკითხებში. რა თქმა უნდა, ისეთი ადამიანების ერთმანეთთან გაცნობა, როგორებიც იყვნენ ჩუმაჩენკო და იუშჩენკო, შემთხვევითობა არ იყო. კატერინამ აბსოლუტური გავლენა იქონია იუშჩენკოს პოზიციაზე და შეარჩია ადამიანები, რომლებიც მისი ქმრის იმიჯზე იმუშავებდნენ.

10 წლის მანძილზე, კატერინას უშუალო ხელმძღვანელობით, იმიჯმეიკერებმა კოლმეურნეობის ბუღალტრისგან ახალი მესია

ჯორჯ ბუში უკრაინაში ვიზიტისას

შექმნეს, ვისზეც ხალხი ლოცულობდა და ვისაც ბრმად მიჰყვებოდა. ამიტომაც უკრაინის ელიტაში იუშჩენკო „პროამერიკულ“ პოლიტიკოსად აღიქვეს. ერთხელ უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა კუჩმამ დაცვის უფროსთან დაიწუწუნა კიდეც, „პრემიერი“ დასავლეთიდან გამომიგზავნესო. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტიც, რომ პირველი ნაბიჯი ამ პოლიტიკურ კომბინაციაში სწორედ პრეზიდენტ კუჩმას ეკუთვნის. საქმე ისაა, რომ **1999 წელს, როდესაც კუჩმა ხელახლა აირჩიეს უკრაინის პრეზიდენტად, მან პარლამენტს პრემიერ-მინისტრის პოსტზე იუშჩენკო შესთავაზა. არსებობს ვერსია, რომ ვიქტორ ანდრეის ძე იუშჩენკოს დანიშვნას პრემიერ-მინისტრის პოსტზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი ლობირებდა.** სამაგიეროდ, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ალბერტ გორი უკრაინას დიდ კრედიტებს შეჰპირდა.

ასე იყო თუ ისე, 1999 წლის 22 დეკემბერს ვიქტორ იუშჩენკო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ დაამტკიცეს და 2001 აპრილამდე უკრაინის მთავრობას ხელმძღვანელობდა. ამ პოსტ-

ზე იგი პირველად იწყებს დერუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებას. კერძოდ, შეიცვალა ორთოგრაფია, რეფორმირება მოხდა გალიცინური და ემიგრანტული ნორმების მიხედვით. რუსულენოვან ყირიმში დასახლებული პუნქტების სახელწოდებები უკრაინულით ჩანაცვლდა, რუსულენოვანი საგზაო ნიშნებიც კი აიკრძალა და ორენოვანი (უკრაინულ-ინგლისური) დაიდგა.

2001 წლის 26 აპრილს ვიქტორ იუშჩენკოს კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადეს და მეორე დღეს პრეზიდენტმა კუჩმამ ხელი მოაწერა ვიქტორ იუშჩენკოს გადადგომის განცხადებას. 2002 წელს ვიქტორ იუშჩენკო ათი პარტიიდან ქმნის საარჩევნო ბლოკს „ნაშა უკრაინა“. საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ერთი მეოთხედის ხმებს აგროვებს და „უმაღლეს რადაში“ ყველაზე დიდ ფრაქციას აყალიბებს. გადის სულ რაღაც ერთი წელი და 2003 წლის ნოემბერში მის კანდიდატურას უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე წარადგენენ. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას იუშჩენკომ თავი გამოიჩინა საოცარი მჭევრმეტყველებითა და დაპირებებით. თავის საარჩევნო პროგრამას მრავლისმთქმელი სახელი — „როგორ უკრაინას ვხედავ მე, ათი ნაბიჯი ხალხთან შესახვედრად“ შეურჩია. ვიქტორ იუშჩენკო ხშირად იმეორებდა: „მე ვხედავ სამართლიან უკრაინას, მდიდარ ევროპულ სახელმწიფოს!“. იუშჩენკოს ყველაზე სანდო კონსულტანტი იმ წლებში მისი მეუღლე, კატერინა (კეტრინ-კლერ) ჩუმაჩენკო იყო.

ფაქტობრივად, უკრაინის 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო სახელმწიფო გადატრიალების ფართომასშტაბიანი მზადება, რომელიც 2004 წელს ამერიკელთა მეგობრის, ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვებით უნდა დაგვირგვინებულიყო. სწორედ ამ წლებში იპოვა იუშჩენკომ დასავლეთში სერიოზული მფარველები, რომლებმაც ბევრი პრობლემა გადაუწყვიტეს. **დღემდე საიდუმლოდ რჩება, თუ როგორ აუქცია გვერდი იუშჩენკომ სამართალდამცავებს, როგორ ვერ მოხერხდა იმ ფინანსური მაქინაციების გახსნა-გამოძიება, რომლებიც უკრაინის ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელად მუშაობის დროს დაატრიალა. როგორც მისი კოლეგები ამბობენ, იუშჩენკო იოლად ადიოდა სამსახურეობრივ კიბეზე, მაგრამ, ამასთანავე, სრული კრახით ენარცხებოდა ძირს.**

და მაინც, 2005 წლის 20 იანვარს ვიქტორ იუშჩენკო ოფიცია-

ჯორჯ ბუში და ვიქტორ იუშჩენკო

ლურად ცნეს უკრაინის მესამე პრეზიდენტად. იმავე დღეს „უმაღლეს რადაში“ საზეიმო სხდომა გაიმართა ქვეყნის ახალი მეთაურის ფიცის მიცემასთან დაკავშირებით.

უკრაინელებს სწამდათ, რომ იუშჩენკო ერის მამა გახდებოდა. იმ წლებში ბევრს ეგონა, რომ ბოლოს და ბოლოს გამოჩნდებოდა ისეთი პრეზიდენტი, რომლისთვისაც კლანური ინტერესები კი არ იქნებოდა მთავარი, არამედ — ქვეყნისა და ყველა მოქალაქის ბედი, განურჩევლად სისხლის ჯგუფისა და ა.შ. მაგრამ იუშჩენკოს მმართველობის წლებში უკრაინის პოლიტიკა მხოლოდ კლანურ დაპირისპირებებზე იგებოდა.

იუშჩენკოს არ აკლდა პატივმოყვარეობა და საზოგადო აღიარებისაკენ ლტოლვა. იგი იყო უკრაინის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკური კიბერნეტიკის აკადემიის აკადემიკოსი, აგრეთვე, ნაციონალური უნივერსიტეტის — „კიევ-მოგილიოვის აკადემიისა“ და ოსტროჟის აკადემიის საპატიო დოქტორი გახლდათ.

ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან იუშჩენკომ და კარლ ბილდთმა (შვედეთის საგარეო პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელი) გადაწყვიტეს, სახელმწიფო დონეზე აღენიშნათ უკრაინისა და შვედეთის კავშირისა და პოლტავის ბრძოლის 300 წლისთავი. იუშჩენკომ სწორედ მაშინ მოაწერა ხელი ბრძანებას

— „საზეიმოდ აღინიშნოს უკრაინის გეტმანის — ივან მაზეპას სამხედრო-პოლიტიკურ გამოსვლისა და უკრაინა-შვედეთის კავშირის ხელშეკრულების 300 წლისთავი“. ამით მას სურდა, კიდევ ერთხელ დაეკნინებინა „მოსკალეი“ (მოსკოველების კნინობითი სახელი უკრაინულად). მაზეპას საპატივცემულოდ, „იანვრის აჯანყების“ ქუჩას კიევში, სადაც მართლმადიდებლური სამყაროს ყველაზე დიდი სიწმინდე — კიევ-პეჩორის ლავრა მდებარეობს, სახელი შეუცვალეს. ზოგიერთი ისტორიული წყაროს თანახმად, სწორედ ამ ლავრაში ეამბორა ჯვარს მაზეპა, როდესაც პეტრე პირველს ერთგულება შეჰფიცა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა იუშჩენკომ ყირიმის მინისტრთა საბჭოსა და სევასტოპოლის ადმინისტრაციას რეკომენდაცია მისცა, მაზეპასა და მისი თანამებრძოლების სახელების უკვდავსაყოფად ცვლილებები შეეტანათ ქალაქების ტოპონიმიკაში. მოინდომა, რომ მაზეპას ძეგლი არა მარტო კიევში, არამედ პოლტავაშიც დაედგათ და სწორედ აქ დაიმსხვრა მისი მიამიტური ოცნებები, კაზაკურ თავისუფლებაზე შვედეთის პროტექტორატის ქვეშ.

იუშჩენკოს დროს სახელმწიფო მანქანა აქტიურად მუშაობდა ყოფილი ნაცისტი ჯალათების „გასათეთრებლად“. „ნარინჯისფერთა“ კონტროლქვეშ მყოფი საინფორმაციო საშუალებები მიზანმიმართულ მუშაობას ეწეოდნენ იმისათვის, რომ უკრაინელთა ცნობიერებაში „ОУН-УПА“ პოზიტიურ სახედ ჩამოყალიბებულიყო. დაიწყო ნაციონალური შუღლის გაღვივება და ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლების შეურაცხყოფა. პრეზიდენტის პარტია „НУ-НС“ ცდილობდა, „უმაღლეს რადაში“ გაეტანა კანონპროექტი, სადაც გათანაბრებული იყო ფაშიზმთან მებრძოლთა, ფაშიზმისაგან დაზარალებულთა და ჰიტლერის მიერ ფორმირებულ ჯგუფებში მყოფი ადამიანების უფლებები, თავისივე ქვეყნის მოსახლეობას რომ ანადგურებდნენ.

ყოფილი პრეზიდენტის კიდევ ერთი ისტორიული მნიშვნელობის მცდელობა იყო „სასიკვდილო შიმშილობის“ დამტკიცება. იგი პირადად ხსნიდა გამოფენებს, რომლებშიც 1932-1933 წლების მოვლენები იყო ასახული. იგი ამ თემას თავისებურად აშუქებდა და „გოლოდომორს“ ადარებდა „ჰოლოკოსტს“. არადა, უკრაინამ, სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიასთან ბრძოლაში. 4,5 მილიონი უკრაინელი იბრძოდა დი-

ვიქტორ იუშჩენკო და მიხეილ სააკაშვილი

დი სამამულო ომის ფრონტებზე, 2,5 მილიონი მებრძოლი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, 2 ათას მებრძოლს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. იუშჩენკომ მათ ხსოვნას უღალატა და „ОУН-УПА“-ს ვეტერანებზე გაცვალა, რომლებიც ჰიტლერის მხარეზე იბრძოდნენ და მათ გულისმოსაგებად „ჰოლოკოსტის“ პოლიტიკას ატარებდნენ.

პრეზიდენტობისას იუშჩენკოს პოლიტიკა მოკლედ რომ დავახასიათოთ, აღმოჩნდება, რომ ყველა მისი ნაბიჯი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისა და ერის ცხოვრების გასაუმჯობესებლად კი არ იყო გადადგმული, არამედ — ახალი იდეოლოგიის დასამკვიდრებლად; უკრაინის ნატოში შესვლა, რუსული ენის სტატუსისა და „УПА“-ს სტატუსის შეცვლა, „შიმშილობა“, ისტორიული წარსულის გადახედვა, მათ შორის, სკოლის სახელმძღვანელოებშიც — აი, რაში იღებდა ხელფასს ქვეყნის ახალი თავკაცი.

რაც ყველაზე საინტერესოა, ყოველი წამოწეული იდეოლოგიური საკითხი, ადრე არასოდეს იდგა ასე მძაფრად. **იუშჩენკოს მოსვლის შემდეგ უკრაინის მოქალაქეებს შორის ურთიერთობები დაიძაბა და ფეთქებადი გახდა, ჩამოვარდა განხეთ-**

ქილება, ქვეყანა პატრიოტებად და ბანდიტებად დაიყო. პრეზიდენტი მიზანმიმართულად ახორციელებდა მათ პროგრამას, ვინც ის ხელისუფლებაში მოიყვანა. მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავდა, რომ ქვეყნის ყველა იდეოლოგიური და ეკონომიკური საკითხი ისე იყო დასმული და ტრასფორმირებული, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის პირდაპირი კონფლიქტი გამოეწვია. სწორედ მაშინ, პრეზიდენტის მეშვეობით, გავრცელდა მითი, თითქოს რუსეთი მუდმივად ცდილობს სუვერენული უკრაინის საქმეებში ჩარევას.

იუშჩენკოს მმართველობისას, საინფორმაციო ველში აქტიურად მუსირებდა თეზა იმის შესახებ, რომ უკრაინას მართავს „მეხუთე კოლონა“, მათი ბრალია ის უბედურებები, რომლებიც ქვეყანაში ხდება და ყველაფერი ეს მხოლოდ რუსეთთან ასოცირდებოდა. დასავლეთი კი უკრაინას მისაბაძ დემოკრატიულ ქვეყანად ასახელებდა. სერიოზული გადაწყვეტილებების წინ იუშჩენკოს ამერიკელი ელჩები სტუმრობდნენ და საოცარი ის არის, რომ ასეთი დემონსტრაციული „საგარეო ხელმძღვანელობა“ შეშფოთებას არ იწვევდა. აბა, რა არის იმაში ცუდი, თუ „უმაღლესი რადისა“ და სამდივნოს დათხოვნის ბრძანების დაწერის წინ პრეზიდეტ იუშჩენკოს აშშ-ის ელჩი უილიამ ტეილორი ეწვია?

2004 წლიდან უკრაინაში მუდმივად იყო ახალ-ახალი კონფლიქტები და სკანდალები, მოქალაქეებს შორის უაზრო კამათიც — რომელი უკეთესია: „ნარინჯისფერები“ თუ „თეთრ-ცისფერები“? როდესაც მოსახლეობა და ხელისუფლება ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევითაა დაკავებული, გარე ძალებს იოლად ეძლევათ საშუალება, ასეთ ქვეყანას ისე მოექცნენ, როგორც მოეპრიანებათ. გასაკვირი როდია, რომ დასავლეთის ქვეყნები და აშშ, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს იუშჩენკოს საპრეზიდენტო არჩევნების დროს, თანდათან „გაცივდნენ“ „ნარინჯისფერი“ რევოლუციონერების მიმართ. ისინი კიევს ადანაშაულებდნენ, რომ აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულა და პოლიტიკური დემაგოგიაც გააჩაღა.

ვიქტორ იუშჩენკო უკრაინული პოლიტიკის „მახინჯი სახე“ გახდა და მას ხშირად „ამერიკის აგენტს“ ეძახდნენ. მასში მკვეთრად გამოხატული ორბუნებოვნება იყო — ინდიფერენტულობა და ინდივიდუალიზმი. ხშირ შემთხვევაში იგი წაყრუების პო-

ვიქტორ იუშჩენკო და მიხეილ სააკაშვილი

ლიტიკას ირჩევდა და ამავე დროს მუდმივად ეძებდა მტრებს, რომლებიც ამცირებდნენ და ანადგურებდნენ. პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ცდილობდა, არ ჩარეულიყო იმ კონფლიქტებში, რომლებიც უკრაინის საშინაო პოლიტიკაში ხდებოდა. ფლეგმატური იუშჩენკო დარწმუნებული იყო, რომ ყველა უბედურება რუსებთან ახლოს მყოფი „შეუგნებელი“ უკრაინელებისაგან მოდის. „მასკალიობა“ (რუსული ორიენტაციის მქონე უკრაინელების ზედმეტსახელი) ისე უნდა ამოძირკვულიყო, როგორც უკრაინული ენიდან რუსული სიტყვები ამოიძირკვა. სპეციალურმა კომისიამ უკრაინულ ენაში რუსული სიტყვები პოლონურითა და გერმანულით ჩაანაცვლა, განსაკუთრებით იმ ნიშანდობლივი მოვლენების აღსაწერად, თუ ლაპარაკი ბოგდან ხმელნიცკის დროებაზე ჩამოვარდებოდა. იუშჩენკო პერეიასლავლის რადის ეპოქის კორექტირებასაც გეგმავდა.

პრეზიდენტობისას იუშჩენკო ისწრაფვოდა, სხვადასხვა ჰიპოსტასში გაესვა ხაზი თავისი ზოგადსაკაცობრიო არსისათვის. სიამოვნებით საუბრობდა თავის ოჯახზე, ცხოვრების სტილზე და იმ ადამიანებზე, რომლებსაც თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ხვდებოდა. საჯარო გამოსვლებისას მან მომგებიანი პოზიცია აირჩია: იყო უშუალო და ამით ფართო აუდიტორიის ნდობას იწვევდა. მჭევრმეტყველებდა, როდესაც მას უსმენდნენ, მაგრამ, როდესაც დასმულ კითხვაში საშიშროებას გრძნობდა, სიტყვაძუნწობდა.

მან უკრაინის აღორძინების ერთპიროვნული უფლება მიითვისა და განაცხადა, რომ სურს, პირადი მაგალითით დაანახოს სა-

ზოგადოებას, თუ როგორ უყრის საფუძველს ჭეშმარიტი პატრიოტიზმის თვისებების განვითარებას თავის თანამოქალაქეებში. მესიის როლი მოირგო და ამ იმიჯმა გამოძახილი ჰპოვა გულუბრყვილო ამომრჩევლებში. 2000 წელს ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე — არ გეშინიათ, წააგოთ, ამ მაღალ პოსტზე რომ აღმოჩნდით? — იუშჩენკომ თავისი როლის შესაფერისი ღირსეული პასუხი გასცა: „არა, არ მეშინია, მე მშვიდად ვარ, რადგან ეს არ იქნება ჩემი მარცხი. მე პრემიერობისთვის რიგში არ ვიდექი, ამ სავარძლისთვის არ ვიბრძოდი და ყოველთვის ვცდილობდი, თავი ამერიდებინა მსგავსი სიტუაციებისთვის. მე გულწრფელად და სამართლიანად მივიღე ეს წინადადება, რადგან მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამისკენ გრძნობამ მიბიძგა და არა გონებამ. მე ვერ დავმარცხდები, რადგან სიკეთის კეთება მსურს...“

იუშჩენკოს ამბიციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი არა მარტო გადაჭარბებულად აფასებდა თავის შესაძლებლობებს, არამედ უნდოდა, მაქსიმალურად რეალიზებულიყო თავის მოღვაწეობაში. მისთვის ხელისუფლების სათავეში მოსვლა იყო პროცესი, რომელიც თავისთავად ღირებულია, ეს არ არის მისი მოთხოვნილებების რეალიზაციის კონტროლი, ეს არის „საკუთარი მეს“ მაღალი მნიშვნელობის შეგრძნება.

იუშჩენკო ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა მიზნის მისაღწევ საშუალებებს. მისთვის მთავარი იყო თეორია, მეთოდიკა, ერთი ნაბიჯითაც არ უქცევდა გვერდს წინასწარ შედგენილ სქემას და ცდილობდა, მაქსიმალურად ხისტად განეხორციელებინა ყოველივე. თუ რეალიზაციის პროცესში იღებდა ისეთ გამოცდილებას, რომელიც სქემასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ამ გამოცდილებას საბოლოოდ უკუაგდებდა.

ფსიქოლოგთა აზრით, **იუშჩენკოს განსაკუთრებულად ჰქონდა განვითარებული საკუთარი ემოციებისა და საქციელის კონტროლის მოთხოვნილება, რომლის რეალიზაციით ხშირად ახდენდა სუსტი ნერვული სისტემის შედეგად გამოვლენილი გადაჭარბებული მგრძნობელობისა და ემოციური არამდგრადობის კომპენსირებას.**

მისთვის ურთიერთობის მოდელი ოჯახი იყო, სადაც გადაწყვეტილებას იღებდა მამა — უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლო, დედა კი ფასეულობათა მცველი იყო. კარგი, ღირსეული და მოყვარული ვაჟი მამის მიმართ პატივისცემას უნდა ავლენდეს,

დედისაგან კი — ლოცვა-კურთხევას იღებდეს. ოჯახური მოდელი ქმნის იუშჩენკოს შინაგან ლოგიკას და პოლიტიკურ არენაზე მოქმედების სტრატეგიას. უკრაინა მას „ისე უყვარს, რომ მასზე ობიექტურად ლაპარაკი არ შეუძლია“.

მაგრამ რამ განაპირობა მისი ხელისუფლებაში მოსვლა? ნუთუ პატრიოტიზმმა და მაღალმა პროფესიონალიზმმა? საეჭვოა... უკრაინაში არიან ადამიანები, რომლებიც გაცილებით დიდი პატრიოტები და პროფესიონალები არიან. იუშჩენკოს არაერთხელ განუცხდებია, რომ მომდევნო არჩევნებშიც გაიმარჯვებს. საპრეზიდენტო არჩევნები 2010 წლის 17 იანვარს შედგა და ამ პოლიტიკური მოღვაწისაგან დაქანცულმა უკრაინელებმა არჩევანი გააკეთეს.

ვიქტორ იუშჩენკო უკრაინის ისტორიაში შევა არა მხოლოდ როგორც ადამიანი, რომელმაც პირადად დამარხა უკრაინა და უკრაინელობა, არამედ — როგორც პრეზიდენტი-მარიონეტი, ამერიკის მარიონეტი! იგი თავიდანვე ამერიკელი პოლიტიკოსი იყო და არა — უკრაინელი. ყველაფერი, რაც მან გააკეთა, ამერიკელებისთვის იყო გამიზნული და, მიუხედავად ამისა, აშშ-მა თითიც არ გაანძრია იუშჩენკოს მეორე ვადით პრეზიდენტად დასატოვებლად. საგარეო პოლიტიკის გატარებაში იუშჩენკო დამოუკიდებელი არ იყო და პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკის ნაციონალური ინტერესების დასაცავად მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ რგოლს წარმოადგენდა. თავისი არსით, იგი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომელი იყო. უკრაინის საგარეო პოლიტიკის სფეროში მისი ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილებების რეტრანსლაციას წარმოადგენდა. ამ საკითხში იგი თავისი ნათლიმამის — მიხეილ სააკაშვილის იდენტური გახლდათ. ისიც ამერიკის მარიონეტია, რომელიც თეთრი სახლის დავალებებს პირნათლად ასრულებს.

აქ მხოლოდ იმის დამატება შეიძლება, რომ ვიქტორ იუშჩენკოს რამდენიმეწლიანი მმართველობის შემდეგ ამერიკული ელიტის მმართველ წრეებში მისით ბევრი განიხიბლა. თუმცა განსაკუთრებულ აღფრთოვანებას არც მაშინ იწვევდა, როცა საგანგებო ღონისძიებების გზით ამერიკელებმა იგი თავისი გავლენის აგენტად აქციეს და ხელისუფლების სათავეში მისი მოყვანის სამზადისს შეუდგნენ.

საქმე ისაა, რომ ნეოკონსერვატორები ერთობ სკეპტიკურად ეკიდებოდნენ მის ლიდერულ თვისებებს და უნარს, ეფექტურად ემოქმედა უკრაინასა და მის ფარგლებს გარეთ. მისი სრული მართვადობა, რასაკვირველია, ახარებდათ, მაგრამ ამასთან ერთად, კარგი შემსრულებელიც უნდა ყოფილიყო, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკის ინტერესების გატარებას შეძლებდა. არადა, იუშჩენკოს სწორედ ამასთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემები. ვიქტორ ანდრეის ძე თავისი ბუნებით უფრო მეოცნებე და ფანტაზიორი იყო, ვიდრე საქმისა და სიტყვის კაცი.

ამის გამო უკვე 2007 წელს ამერიკელები სერიოზულად დაფიქრდნენ იმაზე, რომ მთავარი ფსონი იულია ტიმოშენკოზე გაეკეთებინათ. 2008 წლის შუა პერიოდში, რაკი მარტო ვერაფერს გახდა, იულია ვლადიმირის ასულმა კრემლში მოკავშირეების ძებნა დაიწყო. პასუხად, იუშჩენკო შეეცადა თავისი ამერიკელი მფარველების დარწმუნებას იმაში, რომ ტიმოშენკომ შეთანხმება დაარღვია და კრემლის წისქვილზე ასხამს წყალს. ვაშინგტონმაც, სადაც კარგად იცოდნენ იულია ვლადიმირის ასულის თავქარიანობის ამბავი, იუშჩენკოს ვერსია სარწმუნოდ სცნო და კარტ-ბლანშიც მისცა იმისათვის, რომ უკრაინასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამერიკის ეფექტური გარანტის სახით, საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოეხდინა.

აშშ-ისთვის განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნა უკრაინის პრეზიდენტის პოზიცია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს. **იუშჩენკომ თეთრი სახლის ყველა განკარგულება შეასრულა. რეგიონში ამერიკული ინტერესების აღმოსავლეთევროპელ მცველებთან ერთად ჩამოვიდა თბილისში, რათა „რუსული იმპერიალიზმი“ გაეკიცხა და მხარში ამოსდგომოდა „ქართულ დემოკრატიას“. ამ საქციელით უკრაინის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაამტკიცა თავისი ერთგულება ამერიკული იდეალებისადმი.**

იუშჩენკოს ერთ-ერთი ვიზიტი აშშ-ში, რომელიც არჩევნების წინ შედგა, მიეძღვნა საბოლოო შეთანხმებას, რომელიც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოშორებისა და პრეზიდენტის პოსტზე მისი კონსერვაციისთვის ერთობლივ მოქმედებას ითვალისწინებდა, რათა „მსოფლიო დემოკრატიის იდეალებს ეზეიმა“. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, „დემოკრატიული ძალე-

ბის“ დაფინანსების საკითხებიც განიხილეს. ასე რომ, **როდესაც პრეზიდენტის პოსტზე მყოფი იუშჩენკო უკრაინის პოლიტიკური ელიტის წინაშე გამოდიოდა, ფაქტობრივად, იგი აშშ-ის ერთადერთი წარმომადგენელი და ამერიკული ნაციონალური ინტერესების ერთგული დამცველი და გარანტი იყო უკრაინაში.**

აქვე უნდა დავძინოთ, რომ „დემოკრატიული ფასეულობების“ ზეიმის ყველაზე საიმედო ვარიანტს ამერიკელებისთვის პრეზიდენტის სავარძელში მათი კაცის დასმა წარმოადგენდა, ხოლო ყველაზე საიმედო გარანტიას — ამა თუ იმ ქვეყანაში პრეზიდენტად ამერიკელი მოქალაქის არჩევა (რეალიზებული იქნა ლიტვასა და ლატვიაში). თუ მსგავსი ვარიანტი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ განხორციელდება, მაშინ უცხო სახელმწიფოს პრეზიდენტად საგანგებოდ დამუშავებულ „აბორიგენს“ სვამენ და მეთვალყურედ უცხოელ მეუღლეს მიუჩენენ (რეალიზებულ იქნა საქართველოში).

ამერიკელები დიდ იმედებს ამყარებდნენ გაწვრთნილ პრეზიდენტზე და ამიტომ უკრაინისთვის დედოფლობაზე მეოცნებე პაიკის როლი დაიწერა, რომლის მეშვეობითაც თეთრი სახლი პოსტსაბჭოთა სივრცეში თავის ნაციონალურ ინტერესებს განახორციელებდა. ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ ყველა გადაწყვეტილება, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, თეთრ სახლთან იქნებოდა შეთანხმებული. რუსეთის ენერგორესურსებისგან მოწყვეტილ ეკონომიკას დამოუკიდებლად არსებობის საშუალება აღარ ექნებოდა. განხორციელდებოდა მიტაცების ჩვეულებრივი ამერიკული გეგმა — ჯერ გაღატაკება, შემდეგ — კაპიკებში შესყიდვა.

რაც შეეხება სამხედრო კონტროლს, სულ მცირე, სამი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომაა აუცილებელი აშშ-ისთვის უკრაინაში ყოფნა: პირველი — სამხედრო კონტროლი საუკეთესო გარანტიაა ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად; მეორე — პოლიტიკური თვალსაზრისით, უკრაინას ზედმიწევნით კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს; მესამე — აშშ-ის სამხედრო ბაზების არსებობა ხელს შეუწყობს რუსეთის პოლიტიკურ იზოლაციას. აშშ-ს არ შეუძლია უარის თქმა ექსპანსიურ პოლიტიკაზე, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს მის არსებობას თანამედროვე

მსოფლიოში. ამერიკის მთავრობა ზეწოლასა და აგრესიას იმიტომ კი არ მიმართავს, რომ სისხლისმსმელი მონსტრია, არამედ იმიტომ, რომ თავის ინტერესებს იცავს (სხვა საქმეა, რომ ეს მეთოდები მორალურ და სამართლებრივ ნორმებს ეწინააღმდეგება).

თეთრი სახლის ჩანაფიქრით, უკრაინა აშშ-ის გავლენის ქვეშ მოექცეოდა და იძულებული გახდებოდა თავისი ბუნებრივი და სამრეწველო რესურსები მათ განკარგულებაში გადაეცა. გარდა ამისა, უკრაინა აშშ-ის სხვა ქვეყნებთან და ცივილიზაციებთან (მაგ. ისლამურ სამყაროსთან) დაპირისპირების თანამონაწილე გახდებოდა. იუშჩენკომ თეთრი სახლის „ნდობა“ ვერ გაამართლა და ვაშინგტონის თვალში ნელ-ნელა ავტორიტეტიც დაკარგა. შედეგად, უკვე მეორე ტურში პრეზიდენტის სავარძელსაც გამოეთხოვა.

და რა ხდება ახლა? რით არის დაკავებული ყოფილი სახელმწიფო ხელმძღვანელი? „НУ-НС“-ის ლიდერი ისევ პოლიტიკითაა დაკავებული, მაგრამ ჯერჯერობით, ექს-პრეზიდენტს ყველაფერი რიგზე როდი აქვს. კიევისა და ვაშინგტონის წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ იუშჩენკოს მეუღლემ სოლო- კარიერა დაიწყო პოლიტიკაში. სხვათა შორის, კეტრინ-კლერი, უკვე დიდი ხანია, აშშ-ია. ყოველი შემთხვევისთვის, ქონება და აქტივები, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს დააგროვეს, უკვე ამერიკაშია გატანილი. **იუშჩენკომ ჯერ კიდევ პრეზიდენტად ყოფნის დროს, „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტის მდივნის“, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენისაგან გაიგო, როდესაც ეს უკანასკნელი მასთან ჩავიდა, რომ ობამას ადმინისტრაციამ მის პოლიტიკურ მომავალს წერტილი დაუსვა. სწორედ მაშინ, უკრაინის პრეზიდენტმა „ევაკუაციის“ გადაწყვეტილება მიიღო.** როდესაც იუშჩენკო გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გაემგზავრა აშშ-ში, ამერიკის ლიდერთან შეხვედრაც მოიწადინა, მაგრამ აუდიენცია არ შედგა. ობამამ გამარჯობის თქმის ღირსადაც კი არ ჩათვალა ყოფილი კოლეგა.

იუშჩენკო მიხვდა, რომ არანაირი პერსპექტივა აღარ ჰქონდა და რეალობა ადეკვატურად აღიქვა. რაკი ხელმეორედ პრეზიდენტობისთვის ბრძოლა უაზრობა იყო, ადგა და თამაშიდან გავიდა. იგი დაგროვებული ქონების, უფრო სწორად, პრეზიდენტობის პერიოდში ნაქურდალის გადარჩენაზე ფიქრობდა. სხვა-

კონდოლიზა რაისი და ვიქტორ იუშჩენკო

დასხვა წყაროს მონაცემებითა და პრეზიდენტის შემოსავლების დეკლარაციის მიხედვით, იუშჩენკოს ოჯახი უცხოეთში თავისი ქონების შესანახად გაცილებით მეტს ხარჯავდა, ვიდრე — უკრაინაში.

იუშჩენკო აშშ-ის მოქალაქის მეუღლეა და მას, ვაშინგტონის სხვა მეგობრების მსგავსად, ნებისმიერ დროს შეუძლია ამერიკის მოქალაქეობა მიიღოს და ნავსაყუდელი მოძებნოს რომელიმე თბილი ზღვის სანაპიროზე. ასეა თუ ისე, იუშჩენკო ისტორიას ჩაბარდა. უკრაინელი ხალხი და, საერთოდ, სლავები მოღალატეებს არ პატიობენ. არ არის გამორიცხული, გარკვეული დროის შემდეგ, ყოფილი პრეზიდენტი გაასამართლონ და დაადანაშაულონ იმაში, რომ პირადად უწევდა კოორდინაციას საქართველოში იარაღის არალეგალურად შეტანას; აგრეთვე, ბრალი დადონ სახალხო ქონების გაფლანგვასა და მითვისებაში.

იქნებ, უკეთესიც იყოს, იუშჩენკო საერთოდ წავიდეს დიდი პოლიტიკიდან და მშობლიურ ხორუჟივკაში დაბრუნდეს? იქ კარგად ახსოვთ „ხლოპჩიკ ვიტკა“... დაბრუნდეს სოფლის ბუღალტრად, საიდანაც პოლიტიკური კარიერა დაიწყო...

ტარას ბერეჟევოი

ედუარდ შევარდნაძე – მრავალსახოვანი ადამიანი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე მსოფლიოს პოლიტიკურ სცენაზე ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა, რომელსაც ბედმა მრავალი მოულოდნელი განსაცდელი განუმზადა. სსრკ-ის ნგრევის ეპოქაში მის აღმავალ პოპულარობას წინ უძღოდა მძიმე და რუტინული პარტიული მუშაობის წლები. გორბაჩოვისეული გარდაქმნის შემდეგ შევარდნაძეს თითქოს მიეცა პოლიტიკიდან წასვლის საშუალება, მაგრამ სწორედ მაშინ ახალგაზრდული შემართებით თქვა უარი მშვიდ ცხოვრებაზე და მისთვის ყველაზე სარისკო პოლიტიკური მოგზაურობა წამოიწყო...

დღეს ზოგი აღმერთებს საქართველოს ექს-პრეზიდენტს, ზოგსაც გულზე არ ეხატება და სძულს, მაგრამ გასაკვირი არც ისაა, რომ საქართველოში პრაქტიკულად არავინაა გულგრილი ამ პოლიტიკური მოღვაწის ბედის მიმართ, გადამდგარიც კი ბევრისთვის ცოცხალ გამოცანად რჩება. როგორია სინამდვილეში ედუარდ შევარდნაძე, კაცი კომუნისტური წარსულიდან? რა დამსახურებათა გამო აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად? რა გააკეთა თავისი ხალხისთვის?

ედუარდ ამბროსის ძე 1928 წლის 25 იანვარს დაიბადა გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. გასული საუკუნის გარიჟრაჟზე ამ მხარემ გლეხების აჯანყებით გაითქვა სახელი. ეგებ, ამის გამოც ჩაერთო ახალგაზრდა ედუარდი პოლიტიკაში და 30-იანი წლების რეპრესიების უნებლიე მოწმედაც იქცა. ერთხელ სახლიდან გაუჩინარდა შევარდნაძის მამაც, რომელიც წინასწარ გააფრთხილეს დაპატიმრების საფრთხის შესახებ. დედის ცრემლები და სრული გაუცხოება ოჯახს გარეთ მისი ბავშვობის პირველ მძიმე დარტყმად იქცა. მას, სკოლის პიონერული ორგანიზაციის ლიდერსა და ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს, სოფლის პიონერთა ბანაკში არდადეგების გატარებაზეც კი უარი უთხრეს. საბედნიეროდ, შევარდნაძის ოჯახი რეპრესიებს გადაურჩა — 1938 წელს ამბროსი გიორგის ძე შინ დაბრუნდა.

მშობლიური სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ედუარდმა სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა. ეს, სხვათა შორის, მისი პირადი არჩევანი არ ყოფილა. ჭაბუკი მშობლების ნებას დაჰყვა, რომლებიც გურიაში შვილის ექიმად მუშაობაზე ოცნებობდნენ. სამედიცინო ტექნიკუმში იგი პირველივე კურსზე კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. მართალია, კარგად სწავლობდა, მაგრამ ექიმობა არ აინტერესებდა. საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავებული მალე კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი გახდა. იმ, თითქმის ასკეტური ცხოვრების, პერიოდს შევარდნაძე მაინც ნათელ ხანად იხსენებს. **18 წლისა ტექნიკუმის დამთავრებისთანავე კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგე გახდა, ორი წლის შემდეგ კი კომუნისტურ პარტიაში შევიდა.** იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ახალგაზრდა კაცი აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისკენ ისწრაფვოდა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ პარტია და კომკავშირი „მისი პოლიტიკური თვითგამოხატვის ერთადერთ სფეროდ რჩებოდა“. ახალგაზრდა და ჯერ ნაკლებად ცნობილი პარტიული ფუნქციონერის პიროვნულ თავისებურებებზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი, რომელიც მის ცხოვრებაში ნანული ცაგარეიშვილის გამოჩენას უკავშირდება. იმ დროისათვის შევარდნაძე უკვე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. სწორედ იმხანად შესთავაზა დაქორწინება ნანულის, მაგრამ ქალიშვილმა, რადგან პოლ-

კოვნიკ ცაგარეიშვილის შვილი იყო, რომელიც, როგორც ხალხის მტერი, დახვრიტეს, თავდაპირველად უარით უპასუხა. ნანულის საყვარელი ადამიანის კომპრომეტირება არ უნდოდა. „კარიერაზე უნდა იფიქრო, — უთხრა ქალიშვილმა, — სანამ გვიან არაა, ჯობს დავშორდეთ. არ მეწყინება, გაგიგებ“. მაგრამ ედუარდმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და 1950 წელს ისინი დაქორწინდნენ. სხვათა შორის, მომავალი პოლიტიკოსის კარიერაზე ეს არ ასახულა. 1952 წელს შევარდნაძე ქუთაისის კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი, შემდეგ კი მეორე მდივანი გახდა.

28 წლის შევარდნაძე, საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივნად აირჩიეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ — საქართველოს კომკავშირის ლიდერად.

ყამირი და ნასვენი მიწების დამუშავების ომისშემდგომი რომანტიკული პერიოდი, საცხოვრებელი სახლებისა და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა, ახალგაზრდობის მობილიზაცია, შრომითი გმირობა და გამარჯვების პატაკები... — შევარდნაძემ ამით პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღება მიიქცია და ამით შემოიფარგლა...

იმ წლებში საქართველოს რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე იყო. სწორედ მისი მმართველობის ხანაში რესპუბლიკაში მექრთამეობა და კორუფცია აყვავდა. შევარდნაძეს, რომელიც იმხანად თავს არიდებდა საჩუქრებს და ხაზს უსვამდა თავის მოუსყიდველობას, კოლეგები, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ კაცად მიიჩნევდნენ. 1964 წელს დამწყები ფუნქციონერი, კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი თბილისის პირველი მაისის რაიონის რაიკომის მდივნად გადაიყვანეს, სულ მალე კი — რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილედ. ამ „პოსტზე“ ახალგაზრდა კომუნისტი, ალბათ, დიდხანს დარჩებოდა, მოულოდნელი სვლა რომ არ გაეკეთებინა. შსს-ში მუშაობის წლებში ედიკომ შს მინისტრ ოთარ ქავთარაძეზე კომპრომატების უხვად შეგროვება მოასწრო და ისინი სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს, ვლადიმირ სემიჩასტნის გადასცა. მოსკოვში, რასაკვირველია, იცოდნენ საქართველოში გამეფებული კორუფციის შესახებ, მაგრამ „დეტალებმა“ ყოველგვარ მოლო-

1990 წლის სამიტი.
სსრკ პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი,
აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში,
ედუარდ შევარდნაძე
და აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი

დინს გადააჭარბა. ქავთარაძე უმალ მოიშორეს, მისი ადგილი კი შევარდნაძემ 1965 წელს დაიკავა. ახალმა ხელმძღვანელმაც მაშინვე საქმეს მოჰკიდა ხელი. საქართველოში დღემდე იხსენებენ, თუ როგორ წმენდდა იგი სამართალდამცავ ორგანოებს „სამხრეებიანი მაქციებისაგან“ და რამდენი გამოემშვიდობა მუნდირს. ხმაც კი დაირხა, რომ ადგილობრივი მაფია ფულს აგროვებს შევარდნაძის კარიერული წინსვლის უზრუნველსაყოფად, რაც შეიძლება მალე, მოსკოვში მის გადასაყვანადო.

1972 წლის 29 სექტემბერს ენერგიული 44 წლის შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს. ამ პოსტზეც განაგრძო მან კორუფციასთან და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე მოსვლის შემდეგ, ყალბი მიწერების ბრალდებით, რაც გამოწ-

ვეული იყო სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისაღებად გეგმის გადაჭარბებით შესრულების სურვილით, მმართველი ქართველი ელიტის დიდი ნაწილი ციხეებში ჩასვა. ოპონენტები მიიჩნევენ, რომ მან ჯერ თავად შეუკვეთა „საქმოსნებს“ შაქარწყლიანი ღვინის დამზადება მარნებში, ამ ფაქტის გამომზეურების შემდეგ კი შემსრულებლები ციხეებში ჩაყარა — ეს რა გიქნიათო?! **საკადრო წმენდის პირველი წელიწად-ნახევრის განმავლობაში დაკავებული თანამდებობებიდან მან 20 მინისტრი, 44 რაიკომის მდივანი, 3 ქალაქკომის მდივანი, 10 რაიონული ხელისუფლების წარმომადგენელი გაათავისუფლა. გათავისუფლებულ პოსტებზე კი რესპუბლიკის ლიდერი კგბ-ს, შსს-ს თანამშრომლებსა და ახალგაზრდა ტექნოკრატებს ნიშნავდა.** ახალ პოსტზე მისი მოღვაწეობის პირველი ხუთწლეულის განმავლობაში დააპატიმრეს 30 ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან ნახევარი პარტიის წევრი იყო. თუმცა ასეთმა რადიკალურმა ზომებმაც კი სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ძველი კორუფციონერების ადგილი უფრო მეტად ხარბმა ახალგაზრდებმა დაიკავეს. ერთადერთ პატიოსან ჩინოვნიკად, რომელზეც საქართველოში ლეგენდები დადიოდა, უწინდებურად ედუარდ შევარდნაძე რჩებოდა. ბუნებრივია, რომ ამ შიდა პოლიტიკური დუელის გათვალისწინებით, ასეთ მაღალ პოსტს იგი დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა, ლეონიდ ბრეჟნევის მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა. ავი ენები ირწმუნებოდნენ, რომ ლეონიდ ილიას ძის გულისკენ მიმავალი გზა „თეთრმა მელამ“, როგორც შევარდნაძეს ქართველებმა შეარქვეს, ბრეჟნევის ქალიშვილ გალინასთან ნაცნობობით გაიკვალა, რომელიც გულგრილი როდი იყო ბრილიანტებისა და ფუფუნებისადმი. საქართველოს ლიდერმა „ოქროს გასაღები“ მოუძებნა სსრკ-ის შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრ ნიკოლაი შჩოლოკოვსაც, რომელსაც ასევე ხიბლავდა ძვირფასი ანტიკვარული „სუვენირები“.

აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე სახასიათო შტრიხი, რომლებიც ნათელს ჰფენს ედუარდ შევარდნაძის პიროვნებას. მის კარიერულ წინსვლაში სერიოზული წვლილი მიუძღვის ვასილ მჟავანაძეს, რომელიც ერთგვარი მამობრივი მზრუნველობითაც კი ელოლიავებოდა პროვინციელ პარტმუშაკს. გაინტერესებთ, რით გადაუხადა მას სამაგიერო ედუარდ შევარდნაძემ? თბილისის ქალაქკომში მნიშვნელოვანი პოსტის დაკავებისთა-

ედუარდ შევარდნაძე და
აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს გეიკერი

ნავე იგი იწყებს ინტრიგების ხლართვას მჟავანაძის წინააღმ-დეგ, რაც საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ მჟავანაძეს დაუმ-სახურებლად ექცევიან — „პენსიაზე უშვებენ“. მის პოსტს კი უკვე შინაგან საქმეთა მინისტრი შევარდნაძე იკავებს. ცნობის-თვის: **შევარდნაძე კარიერის ინტერესებს წირავს ყველაფერს. ცნობილი ფაქტია, რომ კარიერისთვის მან საკუთარი ძმა თა-ნამდებობიდან მოხსნა. შევარდნაძე უპრობლემოდ წირავს თა-ნამებრძოლებსაც. ამის ნათელი მაგალითია სოლიკო ხაბეიშ-ვილი, რომელიც 90-იან წლებში ქუჩაში დაცხრილეს. ასევე, სა-ყურადღებოა ახალგაზრდა პოლიტიკოსის — გია ჭანტურიას მკვლელობა და სხვა გახმაურებული საქმეები, რომ არაფერი ვთქვათ პრეზიდენტ გამსახურდიას ლიკვიდაციაზე, რაშიც ოპონენტები ღიად ადანაშაულებდნენ „თეთრ მელას“.** ასევე, საგულისხმოა, რომ შევარდნაძემ, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას, უმაღლეს ხარისხში აიყვანა კორუფცია და ქვეყანაში ყველა, მეტ-ნაკლებად სარფიანი, ბიზნესი საკუთა-რი ოჯახის წევრებზე გადაანაწილა.

ცნობისათვის: სააკაშვილი შევარდნაძის კარგი შეგირდი გა-მოდგა. მან ისევე უღალატა მამამარჩენალ შევარდნაძეს, რო-

გორც თავის დროზე ამბროსიევიჩმა — მჟავანაძეს. მანაც ისევე დაუქვემდებარა საკუთარ ოჯახს ყველა მნიშვნელოვანი ბიზნესი საქართველოში, როგორც შევარდნაძემ კავშირგაბმულობა „აჩუქა“ სიძეს, ნავთობის ბიზნესი კი — ძმისშვილს.

სააკაშვილზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მან „თეთრ მელას“ სხვა „ნოუ ჰაუებიც“ მოჰპარა... ასე, მაგალითად: წლების მანძილზე შევარდნაძის მარჯვენა ხელად მიჩნეული ნუგზარ საჯაია ერთ მშვენიერ დღეს საკუთარ კაბინეტში (პრეზიდენტის კანცელარიის საუკეთესოდ დაცულ შენობაში) მკვდარი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, მან თავი მოიკლა. იგივე დაემართა სააკაშვილის „მარჯვენა ხელს“ — ზურაბ ჟვანიას, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, გაზით გაიგუდა...

შევარდნაძის მითითებით, სასტიკად უსწორდებოდნენ მის პოლიტიკურ ოპონენტებს, 90-იან წლებში ზვიადისტების მიტინგებს ტყვიამფრქვევებით ცხრილავდნენ... იმავეს, და არა ნაკლები წარმატებით, სჩადის სააკაშვილიც. არადა, იყო დრო, როდესაც კორუფციასთან ბრძოლის მოტივით, შევარდნაძემ საქართველოში ქელეხების გამართვა აკრძალა, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისაღებად მეღვინეებსა და ასობით სხვა ადამიანს მასობრივი ფალსიფიკაციები ჩაადენინა, შემდეგ კი ამისთვის ციხეებში ამოალპო... სააკაშვილიც, შევარდნაძის მსგავსად, „შემჩნეულია“ ჩეჩენი ექსტრემისტებისა და ტერორისტებისადმი გულთბილ დამოკიდებულებაში; მეტიც, ორივე მათგანს არაერთხელ ოფიციალურად მიუთითებდნენ (მეტიც, ადანაშაულებდნენ), რომ ტერორიზმის ხელშეწყობა სახიფათო საქმეა.

იყო დრო, როდესაც კორუფციასთან მებრძოლი სააკაშვილი მეტროთი და ავტობუსით დადიოდა და შევარდნაძის გაქსუებული ჩინოვნიკების მდიდრული აგარაკების ფოტოებს აფრიალებდა, მაგრამ თვითონ 800 მილიონი დოლარი პრეზიდენტის სასახლის ასაშენებლად დახარჯა. შევარდნაძე, როგორც გითხარით, ქელეხის უძველეს ტრადიციას ებრძოდა, როგორც წარსულის მავნე გადმონაშთს; სააკაშვილი კი სტალინის ძეგლსა და დიდების მემორიალს ებრძვის, როგორც საბჭოური წარსულის მავნე გადმონაშთებს. სტალინის ძეგლი მან მალულად აიღო გორის ცენტრიდან, ხოლო ქუთაისში დიდების მემორია-

აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში,
ედუარდ შევარდნაძე
და აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს გეიკერი

ლის მისივე ინიციატივით აფეთქება უდანაშაულო მსხვერპლით დასრულდა. როგორც იტყვიან, კვიცი გვარზე ხტის...

...შევარდნაძე 57 წლისა შესრულდა, როცა მოსკოვში მიიწვიეს. იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ უერთგულესი „პრარაბი“ გახდა. გორბაჩოვის („გორბი“) შემდგომ ის მეორე იყო, ვისაც დასავლეთში კნინობითი მეტსახელი შეარქვეს — „შევი“. სამშობლოში კი ოკეანისგაღმელ პარტნიორებთან მლიქვნელური საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობის გამო ძალიან ბევრი დღემდე საყვედურობს.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მან საქმიანობა იმით დაიწყო, რომ პენსიაზე გაუშვა ძველი დიპლომატიური სკოლის წარმომადგენელი პროფესიონალი ელჩები. ედუარდ ამბროსის ძემ ცენტრალური აპარატი „გაწმინდა“ და საკვანძო პოსტებზე თავისი ხალხი დანიშნა. იმ წლებში მინისტრის პოსტზე მისი საქმიანობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრინციპების სრული კაპიტულაციით ხასიათდებოდა. ამაზე მეტყველებს, მაგალი-

თად, გერმანიიდან საბჭოთა ჯარების უპირობოდ გამოყვანა. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი საერთაშორისო ექსპერტი დღემდე ირწმუნება, სსრკ-ის ამ პოლიტიკური ჟესტით 100 მილიარდი დოლარის მიღება შეეძლო, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ყველა ვალის ჩამოწერის საშუალებას მისცემდა. მაგრამ შევარდნაძემ შეთანხმება გააფორმა, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირმა ეს პოლიტიკური ჟესტი სავსებით უსასყიდლოდ (ანუ მუქთად!) განახორციელა.

შევარდნაძის ხელგაშლილობა ქვეყნის ხარჯზე ზოგჯერ მართლაც ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მაგალითად, მან აშშ-ს უანგაროდ დაუთმო ბერინგის ზღვის 50 ათასი კვ. კილომეტრი ე. წ. ბეიკერ-შევარდნაძის შეთანხმებით. უნდა ითქვას, რომ ეს პაქტი დღემდე არაა რატიფიცირებული რუსეთის პარლამენტის მიერ, რაც აშშ-ს ხელს სულაც არ უშლის, ეს აკვატორია თავის საკუთრებად მიიჩნიოს, იქ თევზის რეწვა აწარმოოს და საყარაულო გემებით დაიცვას. „ჩვენ თავად არ გვესმოდა საბჭოთა ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკისა, — აღნიშნავდა მემუარებში აშშ-ის ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უფროსი, — შევარდნაძე არც კი შეგვვაჭრებია და ყველაფერზე წინაპირობების გარეშე დაგვყაბულდა, იმ საკითხებშიც კი, სადაც არაფრის იმედი არ გვქონდა. ეს ნამდვილი ღვთის წყალობა იყო“. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილის, პრეზიდენტ კლინტონის მმართველობის დროს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ს. ტელბოტის მოგონებებში აღწერილია ეპიზოდი, როცა მ. გორბაჩოვმა ე. პრიმაკოვი ახლო აღმოსავლეთში კონფიდენციალური მისიით გაგზავნა. შევარდნაძე ამ დროს ამერიკის სახელმწიფო მდივანს ურეკავს, გამგზავრების მიზანს აცნობებს და მოსკოვის გეგმას აკრიტიკებს. რა ჰქვია ამას?

ერთი სიტყვით, **მინისტრის სავარძელში ყოფნისას შევარდნაძემ საკმაოდ ბევრი ზარალი მიაყენა ქვეყანას, რომელსაც მუდამ თავის სამშობლოს უწოდებდა. ის აღარ დალოდებია „დანაელების“ გულუხვი საჩუქრებისთვის სავარაუდო საზღაურს და 1990 წელს თავად დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე, ვითომდა „მოსალოდნელი დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად“.** თუმცა ერთი წლის შემდეგ კვლავ მიხეილ გორბაჩოვის მიწვევით „შევი“ მეორედ ჩაუდგა სათავეში

საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელსაც იმ პერიოდში საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო ეწოდება. ხოლო 1991 წლის დეკემბერში შევარდნაძემ, სსრკ-ის ხელმძღვანელთა შორის ერთ-ერთმა პირველმა, აღიარა ბელოვეჟის შეთანხმება.

აღსანიშნავია, რომ **შევარდნაძის საგარეო-პოლიტიკურ კურსსა და მის პოლიტიკურ კარიერას ექსპერტები ოდნავ მოგვიანებით „ჭაღარა მელას“ სრულ კრახად შეაფასებენ. ჯერჯერობით კი, მოსკოვში საკვანძო პოსტის დატოვებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ შევარდნაძე ხელისუფლების დერეფანს სამშობლოში — თბილისში უბრუნდება.** უკვე იმ წლებში შევარდნაძეს იქ აღარ აქვს მყარი ნათესაური ან ოჯახური კავშირები, არ აქვს კონტაქტები ბავშვობის მეგობრებთან, ყოფილ თანაკურსელებსა და თანამშრომლებთანაც. მოარული ხმებით, შევარდნაძეს საერთოდ არ ჰყავს მეგობრები, მისთვის მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით მომგებიანი ან წამგებიანი ადამიანები არსებობენ. კაცი, რომელიც კარგად იცნობდა შევარდნაძის ოჯახს, აღნიშნავს, რომ თავად ედუარდ ამბროსის ძეს არასოდეს უცდია მივიწყებული მეგობრული კავშირების რეანიმირება და ძველი მეგობრებისთვის დახმარების გაწევა. მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როცა მისმა ერთ-ერთმა სტუდენტობისდროინდელმა ამხანაგმა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კრიმინალურ ისტორიასთან დაკავშირებით, შევარდნაძეს მიმართა (იმხანად სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრს) თხოვნით, საქმეში გულდასმით და მიუკერძოებლად გარკვეულიყო. ამ უკანასკნელის რეაქცია კი თავისებური აღმოჩნდა — მან ყოფილ ამხანაგზე სისხლის სამართლის დევნის სანქცია გასცა.

1992 წლის დასაწყისში შევარდნაძე ბევრისთვის მოულოდნელად სამხედრო გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი ხდება, რომლის შედეგადაც დაამხეს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. რესპუბლიკამ გამსახურდიას დროს სამოქალაქო ომი გადაიტანა და ხელმძღვანელად გაწონასწორებული, ბრძენი კაცი სურდა, ვინც მშვიდობას დაამყრებდა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე მის ავტორიტეტს გაამყარებდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1992 წელს შევარდნაძე არც მთლად ლეგიტიმური, მაგრამ ქვეყნის ერთობ გავლენიანი ორგანოს — რესპუბლიკის სახელმწიფო საბ-

ჭოს თავმჯდომარე ხდება. იმავე წელს ყოფილი ათეისტი შევარდნაძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძარში მოინათლება და საეკლესიო სახელი გიორგი დაერქმევა. 1992 წლიდან 1995 წლამდე შევარდნაძე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა. 1993 წლის შემოდგომაზე კი იქმნება შევარდნაძის მომხრეთა პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“(სმკ). მის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართა, მას თავმჯდომარედ ირჩევენ. ორი წლის შემდეგ, 1995 წლის ნოემბერში, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება, რომელზეც შევარდნაძე ამომრჩეველთა ხმების 72,9 პროცენტით იმარჯვებს. პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას შევარდნაძემ აფხაზეთთან ომი და თავდასხმა გადაიტანა. 1998 წლის 9 თებერვალს თბილისის ცენტრში მისი კორტეჟი ავტომატური იარაღითა და ყუმბარმტყორცნით დაცხრილეს. სიკვდილისგან იგი დაჯავშნულმა „მერსედესმა“ იხსნა.

პროცესების ინსპირირება, მერე კი შექმნილი ვითარების საათავისოდ გამოყენება, არამარტო ოპონენტების არამედ თანამზრახველების სასტიკი დევნა შევარდნაძის ხელწერისთვის დამახასიათებელი შტრიხია. გამსახურდიას დამხობით ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შევარდნაძემ, უპირველესად, ეროვნულ მოძრაობას შეუტია, რასაც მკრეხელურად „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდა. დაიწყო მანიფესტანტთა დარბევა ცეცხლსასროლი იარაღის, რეზინის ხელკეტების და გერმანული ნაგაზების გამოყენებით (არსებობს ამ ფაქტების ამსახველი ვიდეომასალა) ხოლო დასავლეთის თვალში კი ამ ყველაფრის ახსნას ადგილობრივი ექსტრემისტებისაგან დემოკრატიული ღირებულებების დაცვის აუცილებლობით ცდილობდა.

მანიფესტანტების დახვრეტის ფაქტთაგან განსაკუთრებით საგულისხმოა აღაიანში დატრიალებული სისხლისღვრა, როდესაც უმეტესად სამეგრელოს მკვიდრნი, რომლებიც მანიფესტაციიდან შინ ბრუნდებოდნენ, იკარუსებში დამიზნებით სროლით ჩაცხრილეს. შევარდნაძის ოპონენტები აღნიშნავენ, რომ მომიტინგეთა და მანიფესტანტთა დარბევის უამრავ ფაქტს შორის, რასაც მისი მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა სისხლიანი დარბევა მეტრო „დიდუბეს-

ჯორჯ ბუში, ბრენტ სკოუკროფტი,
ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ გორბაჩოვი

თან“, გმირთა მოედნის მისადგომებთან და მარჯანიშვილის მოედანზე.

ძალაუფლების აღებისთანავე, საკუთარი საყრდენის გაძლიერების მიზნით, შევარდნაძემ უზრუნველყო 3000-მდე კრიმინალური დამნაშავის ციხეებიდან გათავისუფლება და მათი გაერთიანება ბანდფორმირებებში, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის რეჟიმს. ეს ბანდები თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას არა მარტო ქუჩებში, არამედ იჭრებოდნენ ბინებშიც და ძარცვავდნენ ხალხს; წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი ადგილზევე ხვრეტდნენ ადამიანებს. დღისით, მზისით ისინი ძარცვავდნენ, აგრეთვე, წარმოება-დაწესებულებებს, თვით ქვეყნის დედაქალაქში ხსნიდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსების სპილენძის ელექტრო ხაზებს, ასევე, იპარავდნენ სხვა მატერიალურ დოვლათს, რისი გაყიდვაც შესაძლებელი იყო მეზობელ თურქეთში.

შევარდნაძის ოპონენტები არგუმენტირებულად ასაბუთებენ, რომ სწორედ მისი არაოფიციალური დავალებით ჯაბა იოსელიანის კრიმინალურმა ბანდებმა ხუთგზის დალაშქრეს და „სამაგალითოდ დასაჯეს“ სამეგრელოს მოსახლეობა გამსახურდიას ხელისუფლების მხარდაჭერისთვის.

„humanrights.ge“-ს ცნობით, 90-იან წლებში შევარდნაძის რეჟიმის მიერ გადამწვარი და დანგრეული, გაძარცვული და აოხრებული სახლები ზუგდიდის რაიონის სოფლებში დღესაც ისე-

ვე გამოიყურება, როგორც წლების წინათ. 1993 წლის 16 ნოემბერს „მხედრიონის“ შეიარაღებულმა ფორმირებამ სოფელ დარჩელში მხოლოდ ერთ ღამეს 27 საცხოვრებელი სახლი ერთბაშად გადაწვა. ყუმბარმტყორცნის ნაკვალევი ამ სახლებს დღესაც ამჩნევია. მაშინ „მხედრიონის“ სადამსჯელო ღონისძიების შედეგად 5 სოფელში 113 სახლი გადაიწვა (ესაა ოფიციალური მონაცემები, ანუ ისინი, ვინც შევარდნაძის ხელისუფლებამ წლების მანძილზე ჩივილის შემდეგ, მათ შორის საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, იძულების წესით, დაზარალებულად აღიარა, თუმცა არაოფიციალურად დაზარალებულთა რაოდენობა, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მონაცემებით, ათასამდეა).

შევარდნაძეს ასევე მიაწერენ ქართული ეკონომიკის ძირფესვიანად მოშლასა და გაპარტახებას. ოპონენტების მტკიცებით, სწორედ მან მოშალა მრეწველობა და მანამდე მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური სოფლის მეურნეობა. ამ გარემოებათა გამო საქართველოში შობადობა თითქმის შეწყდა, ხოლო მილიონზე მეტი კაცი, ძირითადად, მოსახლეობის ინტელექტუალურად, ფიზიკურად, სოციალურად აქტიური ნაწილი, იძულებული გახდა, უცხოეთში გახიზნულიყო.

აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყებას დღეს ყველა აფასებს როგორც წმინდა წყლის ავანტიურას და პროვოკაციას, რაც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. ამ დღეს მძიმე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ქართული შეიარაღებული ჯგუფები აფხაზეთში შეიჭრნენ ყოვლად აბსურდული მოტივით — ჯარს უნდა დაეცვა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ხაზი და ხიდები. უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, შევარდნაძემ განიზრახა, ეგზეკუცია მოეწყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც მას არალეგიტიმურ მმართველად აღიქვამდა. ამ მიზნის განსახორციელებლად მან იქ, ძირითადად, ბანდფორმირებებისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთები გაგზავნა. სამხედრო ოპერაციას კი საბაბად სარკინიგზო ტვირთებისა და აფხაზეთის მოსახლეობის დაცვა დაუდო. სინამდვილეში კი მთელი ოპერაცია მხარის ძარცვას ისახავდა მიზნად. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ აფხაზეთის ეთნიკურად ქართული მოსახლეობა მშვენივრად ხვდებოდა, რომ

ცენტრიდან გამოგზავნილი შეიარაღებული ბანდიტები სიკეთეს არ მოიტანდნენ. სწორედ ამიტომ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა ვერ ბედავდა ამ ბანდიტთა გვერდით დადგომას. აფხაზეთის 300-ათასიანი მოსახლეობიდან სულ მობილიზებულ იქნა ათასამდე მებრძოლი, იმდენად დაბალი იყო სურვილი ბანდიტებთან და მარადიორებთან გაიგივებულ ჯარში გაწევრებისა. ეს სამხედრო-ბანდიტური შენაერთები, აფხაზეთის პარალელურად, როგორც უკვე გითხარით, აჩანაგებდნენ და არბევდნენ სამეგრელოს, გაძარცვეს ათასობით ოჯახი, დახვრიტეს ასობით ადამიანი, ვინც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერაში იყო ეჭვმიტანილი. ჩვეულებრივ ამბად იქცა ადამიანების გატაცება და გაუპატიურება.

სამხედრო თვალსაზრისით, შევარდნაძეს ზურგს უმაგრებდა ბანდიტური გაერთიანება „მხედრიონი“, ყოფილი კანონიერი ქურდის — ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ ორგანიზაციას მიაწერენ მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტას მარჯანიშვილის მოედანთან და მეტრო „დიდუბესთან“.

შევარდნაძის მომხრეთა დიდ ნაწილშიც კი დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ საბოტაჟს აფხაზეთში თავად შევარდნაძის ხელისუფლების ემისრები აწყობდნენ, რათა, ამ ობიექტების დაცვის საბაბით, ჯარები შეეყვანათ აფხაზეთში.

საბოტაჟთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ედუარდ შევარდნაძემ ერთგვარ ტრადიციად აქცია „უშედეგო ტერაქტები“, რომლებიც ვითომცდა მის წინააღმდეგ ეწყობოდა. ამ „ტერაქტებზე“ დაყრდნობით, იგი, ერთის მხრივ, წამებულის იმიჯს იქმნიდა მსოფლიოს თვალში. მეორეს მხრივ კი, ამ „ტერაქტებზე“ დაყრდნობით, კანონიერ საფუძველს იქმნიდა, რათა სასტიკად გასწორებოდა პოლიტიკურ ოპონენტებს. ოპონენტები და ექსპერტები ასევე ეჭვობენ, რომ შევარდნაძის მიმართ არც ერთი ტერაქტი არ განხორციელებულა მისი ოპონენტების მიერ და ისინი ინსპირირებულ ხასიათს ატარებდა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში აქტიური მონაწილეობა, მშვიდობიანი მოქალაქეების დარბევა, რამდენიმე ასეული მომიტინგის დახვრეტა, მომიტინგეთა და მანიფესტანტთა წინააღმდეგ უხეში ძალის, სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების, ელექტროშოკის, ტოქსიკური საღებავების გამოყენება, მასობრივი დაპატიმრებები პოლიტიკური შეხედულე-

ბების გამო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების მეთოდების გამოყენება, მოქალაქეების ანაბრებზე რიცხული თანხისა და ე.წ. ვაუჩერიზაციის გზით ათეულობით მილიარდი დოლარის მოსახლეობის კუთვნილი ქონების მიტაცება — აი მცირედი ნუსხა იმ ბრალდებებისა, რასაც პირველივე შეკითხვისთანავე ჩამოგირაკრაკებთ ნებისმიერი ადამიანი საქართველოში, ვისაც კი შევარდნაძის შესახებ შეეკითხებით.

2000 წლის აპრილში შევარდნაძეს კვლავ ირჩევენ უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე — ამომრჩეველთა ხმების 82 %-ით (მაგრამ ოპონენტები და ექსპერტები აცხადებდნენ, რომ მან ამას არჩევნების შედეგების მასობრივი ფალსიფიცირებით მიაღწია). სამი წლის შემდეგ კი, 2003 წლის 2 ნოემბერს, ქვეყნაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციამ თავის მომხრეებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მასობრივი აქციების მოწყობისკენ მოუწოდა. 20 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც შევარდნაძის ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ დიდი უპირატესობით იმარჯვებდა. თუმცა ოპოზიციამ განაცხადა, რომ ეს ტოტალური ფალსიფიკაციის შედეგი იყო. სწორედ კენჭისყრის საეჭვო შედეგები იქცა 21-23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ მიზეზად. ოპოზიციამ გადადგომის მოთხოვნით შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა. 23 ნოემბრის საღამოს, ოპოზიციის მრავალდღიანი მიტინგების შემდეგ, პრეზიდენტი შევარდნაძე იძულებული გახდა, თავისი დამარცხება ეღიარებინა.

როგორც ჩანს, სწორედ საქართველოს ხელმძღვანელის პოსტზე „თეთრი მელა“ საბოლოოდ გათავისუფლდა იდეალიზმისაგან. ქართველებმა ათი წლის წინათ იმიტომ უხმეს, რომ შიდა და გარე პრობლემების მოგვარებაში დახმარებოდა. სამწუხაროდ, შევარდნაძემ ვერც ერთი შეძლო და ვერც — მეორე. მან, ისევე, როგორც გარდაქმნის ეპოქის ბევრმა პოლიტიკოსმა, პირადი მაგალითით ცხადყო, რომ მისი ტიპის ძველი ხელმძღვანელები კარგად მართავენ მხოლოდ მშვიდობიან და სტაბილურ ხანაში. მათ დანგრეული ქვეყნის აღორძინებისათვის საჭირო მკაცრი და თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოების უნარი არ შესწევთ.

მაშ, შეეძლო თუ არა „დაეკვეხა“ რაიმე წარმატებებით ედუარდ შევარდნაძეს? მისი თანამოაზრენიც კი თვლიან, რომ იგი, პრაქ-

ტიკულად, არასოდეს დაკავებულა რეალური ეკონომიკით და მისი ძალისხმევა მარტოდენ საგარეო „პიარისკენ“ იყო მიმართული, თანაც, უწინარეს ყოვლისა, ვაშინგტონისგან მოწონების დამსახურების მიზნით. **მისი მმართველობის წლებში საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სინამდვილეში აშშ-ის საელჩო იყო. ამერიკის ელჩის სიტყვები იმხანად საქართველოს პრეზიდენტის პირად განკარგულებად აღიქმებოდა. რაღაც ეტაპზე „შევის“ მიერ ქვეყნის მართვის სტილი აშშ-ის საელჩოს მაღალჩინოსნებსაც კი აღიზიანებდა. უპირველესად, იმის გამო, რომ ქვეყანაში ტოტალური კორუფცია სუფევდა და მასში პრეზიდენტის დიდი „ოჯახიც“ იყო ჩართული.** მისი ათწლიანი მმართველობის განმავლობაში დასავლეთმა რესპუბლიკაში, სხვადასხვა ინვესტიციის, გრანტისა და კრედიტის სახით, 3.5 მლრდ დოლარი დააბანდა. აშშ-ის კონგრესში საქართველოსთვის, უფრო სწორად კი, შევარდნაძის ოჯახისთვის, შემდგომი ფინანსური დახმარების მიზანშეწონილობის საკითხიც კი წამოჭრეს.

„შევის“ გარემოცვა ყველანაირად აბუქებდა მითს იმის შესახებ, რომ მისი წასვლისთანავე ქვეყანაში აუცილებლად ქაოსი დაიწყებოდა. **მრავალი მცდარი ნაბიჯი პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის პარალიზება, შევარდნაძის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს უკავშირდებოდა. მოსკოვში მინისტრის სავარძლის გათავისუფლების შემდეგ, რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოები მას განსაკუთრებით ვიწრო ეჩვენებოდა, ხოლო დიდების შარავანდედი — ზედმიწევნით მქრქალად.** ამ პროცესის შენელება მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლებოდა — რუსეთთან, მეზობელ ქვეყნებთან კონფლიქტის გაღვივებითა და ამაში დასავლეთის ჩათრევით. მოსკოვთან მისი კონფლიქტი დემონსტრატიული იყო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტებიც კი მოწმობს, რომ რუსეთთან ურთიერთობა შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის პერიფერიებზე იქნა გასროლილი.

პრიორიტეტული იყო კონტაქტები აშშ-თან, თურქეთთან, ნატოსა და ევროკავშირთან. **შევარდნაძეს საქართველოსგან თავისებური „კავკასიური ისრაელის“ შექმნა და, აშშ-ზე დაყრდნობით, მეზობლებთან ურთიერთობების მოგვარება ძალის პოზიციიდან სურდა. მაგრამ მის ოცნებას ახდენა არ ეწერა... სა-**

იდუმლო არაა, რომ შევარდნაძის ადმინისტრაციაში აქტიურად მუშაობდა ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, ამერიკის სპეცსამსახურების სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ ამ ჯგუფის მეშვეობით, ცრუ-ს თბილისის რეზიდენტურის მონაწილეობით ხორციელდებოდა შევარდნაძისა და აშშ-ის უმაღლესი ხელმძღვანელობის ურთიერთქმედებანი, პრეზიდენტ კლინტონსა და სახელმწიფო მდივან ოლბრაიტთან არაფორმალური კონტაქტების ჩათვლით. იმ წლების დიპლომატიურ დამკვირვებელთა შეფასებით, შევარდნაძე საქართველოს კავკასიაში ამერიკის ნაციონალური ინტერესების საყრდენად გადაქცევას ლამობდა. მათი მონაცემებით, არსებობს რეალური ფაქტები, რომლებიც ადასტურებს საქართველოს მზაობას, თავისი ტერიტორია აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ბაზების განსათავსებლად დაეთმო, კავკასიაში (ჰაერითა და ზღვით) ამერიკის სწრაფი რეაგირების ჯარების ექსტერნად გადასასროლი ინფრასტრუქტურის შექმნის ჩათვლით.

გარდა ამისა, ჩეჩნური კონფლიქტის ირგვლივ დაძაბულობის ზრდის შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო აშკარა ანტირუსულ პოზიციას იკავებდა. ის, ფაქტობრივად, აშშ-ისა და ნატოს ინტერესების მთავარ გამტარებლად იქცა კავკასიაში. საქართველოს ყოფილმა საბჭოთა პარტიულმა ლიდერმა არაერთხელ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაერთიანებისკენ ისწრაფვოდა. ნატოში საქართველოს გაწევრების უზრუნველყოფის საკითხი შევარდნაძის მმართველობის ხანაში ქვეყნის უმაღლესი ეროვნული ინტერესების რანგში იქნა აყვანილი. იგი ფსონს დებდა აშშ-თან ყოველმხრივ დაახლოებაზე იმისთვისაც, რომ მათი მხარდაჭერის გარანტია ჰქონოდა საკუთარი ამბიციური პოლიტიკური მიზნების რეალიზებაში — განემტკიცებინა პირადი ძალაუფლება, მოემზადებინა პირობები საქართველოს გადასაქცევად კავკასიის ერთიან პოლიტიკურ ცენტრად, რომლის მეშვეობითაც რეგიონის საკვანძო პრობლემებს გადაწყვეტდა თბილისისთვის მომგებიანი პოზიციებიდან.

ამ კაცის მთელი კარიერა მოწმობს, რომ მისი ცხოვრების აზრსა და მიზანს ძალაუფლებისთვის ბრძოლა წარმოადგენდა, რაც მან, ბოლოს და ბოლოს, წააგო.

დეკიდ რიჩარდსონი

მიხეილ სააკაშვილი — ქართველი ხალხის შავი ჭირი

ჩვენი მოთხრობის კიდევ ერთი „გმირი“, რომლის მოცილება, როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. იგი 1967 წლის 21 დეკემბერს თბილისში დაიბადა. ორი დღითა და ერთი წლით გვიან, 1968 წლის 23 დეკემბერს, დაიბადა მიშას მეუღლე — მომხიბლავი სანდრა ჰოლანდიიდან. მოსიყვარულე მეუღლეები დაბადების დღეს ერთად იხდიან. სააკაშვილმა უფროს, ანუ პირველ ვაჟს სიმამრის (მეორე ვერსიით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის — შევარდნაძის) სახელი დაარქვა, რაც თავისებური შურისძიებაა მამაზე, რომელმაც ოჯახი ვაჟის დაბადებამდე მიატოვა.

მიშა კარგ ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა. მამა — ნიკოლოზ სააკაშვილი ცნობილი თბილისელი ექიმია; დედა — გიული ალასანია — პროფესორი, ისტორიკოსი; ბაბუა — საქართველოს **НКВД/КГБ**-ს ოფიცერი; მამინაცვალი — ასევე, პროფესორი

ფიზიოლოგიის დარგში. ნათესავებს შორის გვერდს ვერ აუვლი თემურ ალასანიას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლენიან ჩინოვნიკს, შემდეგ კი გაეროს შტაბბინის თანამშრომელს ნიუ იორკში. სააკაშვილის გვარში აშკარად ჩანს სომხური წარმომავლობა. მკვლევართა მტკიცებით (მათ შორის იაკობ გოგებაშვილის მიხედვით), სააკაშვილები თავდაპირველად სააკიანები იყვნენ, მაგრამ მიშა კატეგორიულად უარყოფს მეზობელ სომხებთან ნათესაობას და გამუდმებით აცხადებს, რომ ის ქართველია.

ჩრდილოეთ ოსეთის გამოცემა „ოსეთის ახალგაზრდობის“ თანამშრომლებმა გამოქექეს ფაქტი, რომ სააკაშვილის მამის ძარღვებში დიდი წილი ოსური სისხლია. თავად მიშა საკუთარ თავს ჭეშმარიტ ქართველად მიიჩნევს, მაგრამ, რატომღაც, იგნორირებას უკეთებს მამის ხაზს და გამუდმებით უსვამს ხაზს დედის მეგრელობას. სააკაშვილის დედა საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის კარგ სპეციალისტად ითვლება. მან კარგად იცის თურქული და თავისი სამეცნიერო სახელი კეთილსინდისიერი შრომით, შუასაუკუნეების თურქული წყაროებიდან საქართველოსთან დაკავშირებული მასალების თარგმნით მოიპოვა.

დედის ლინგვისტური ნიჭი მის ვაჟსაც გამოჰყვა. მაშინ, როდესაც მიშას თანატოლები ფეხბურთს თამაშობდნენ და ხეებზე დაძვრებოდნენ, იგი რეპეტიტორებთან ფრანგულსა და ინგლისურს სწავლობდა. ფრანგულს მას ერთი ხნიერი ქალბატონი, თავადთა შთამომავალი ასწავლიდა, რომელიც ემიგრაციაში ყოფნის დროს პარიზში ცხოვრობდა. ის ასევე ასწავლიდა მიშას კარგ მანერებს — დანა-ჩანგლის, კოვზის სწორად ხმარებას და საერთოდ, ეტიკეტის ანაბანას, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მხრივ მოსწავლემ ისეთივე ნიჭიერება ვერ გამოავლინა, როგორც ენის შესწავლაში. დღეს საქართველოს პრეზიდენტმა საკმაოდ კარგად იცის ინგლისური, ფრანგული, რუსული, უკრაინული და ესპანური, რასაც ვერ ვიტყვით ეტიკეტის ანაბანაზე.

გარკვეული დროის გავლისას, მიშას მამასთან განქორწინების შემდეგ, დედა ხელმეორედ გათხოვდა — ისევ ინტელიგენტზე, პროფესორ-ფიზიოლოგზე. მამინაცვალთან ურთიერთობა მიშამ ვერ ააწყო. მამინაცვალი უჟმური კაცი აღმოჩნდა და მიშას მოუქნელი ცელქობაც კი ისე აღიზიანებდა, რომ არაერთხელ კეფაში წამოურტყამს მისთვის.

ისინი, ვისთანაც მიშას მყარი კავშირი ჰქონდა, იყვნენ მისი ნახევარძმები — დავით და გიორგი სააკაშვილები. სწორედ უმცროს ძმებთან ურთიერთობის დროს ავლენდა და ხვეწდა იგი „ლიდერობის“ სტილსა და ქცევებს; მბრძანებლობდა, შენიშვნებს აძლევდა, წამოარტყამდა. ძმები ემორჩილებოდნენ და სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ უფროსი ძმის მითითებებსა და ბრძანებებს.

გავა დრო და 2000 წელს მიშა დაეხმარება გიორგის და მოაწყობს სამუშაოდ ქერის ორმოში — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ერთ-ერთ ოპერატორ-კომპანიაში ადგილობრივი საკითხების ექსპერტად. „შენი“ კაცი ყველგან და ყოველთვის გჭირდება.

ამაზე — შემდგომ. მანამდე კი საბავშვო თამაშების „გენერალს“ მხოლოდ ორი ჯარისკაცი ჰყავს.

ნორჩ სააკაშვილს არ გაუმართლა. მშობლებისგან მიტოვებულმა თანატოლებთანაც ვერ გამონახა საერთო ენა, ნორმალური ურთიერთობების გარეშე დარჩენილი თავის თავში ჩაიკეტა და სწავლა-დაზუთხვას მოჰკიდა ხელი.

მაღალ კლასებში (იგი პრესტიჟულ №51 სკოლაში სწავლობდა), მიშამ გულჩათხრობილობა დაძლია და თანატოლებთან ურთიერთობები გარკვეულწილად დაარეგულირა კიდეც, რაშიც ხელი შეუწყო სკოლის თეატრმა. იგი ძალიან ჩქარა მოერგო ამ გარემოს და პირველი როლის, — მესამე მესაფლავე „ჰამლეტში“, — შემდეგ გაცილებით რთული და საპასუხისმგებლო როლები მისცეს. განსაკუთრებით მამაცი ყაჩაღებისა და გმირების როლები მოსწონდა. გარეგნული მონაცემებიც შესაბამისი ჰქონდა — წარმოსადეგი აღნაგობა, სიმაღლე და მჭექარე ხმა.

მიშას გარდასახვა მოსწონდა და როლში შესვლის შემდეგ, ხის ხმლით ხელში დიდხანს დარბოდა სკოლის შემოგარენში და ბავშვებს აქეთ-იქით ერეკებოდა.

თუმცა სკოლის „თეატრალური ჯგუფი“ ძალიან დიდი სკანდალითა და ბანალური მიზეზის გამო ერთ ღამეში დაიშალა. გონიერი მოზარდები მიხვდნენ, რომ კინოკამერა და ვიდეო შეიძლება იყოს არა მარტო ძვირადღირებული კარგი გასართობი, არამედ არცთუ ცუდი შემოსავლის წყაროც. მოიფიქრეს და გააკეთეს.

ერთ-ერთი კომპანიონის ბინაში, ვისი მშობლებიც მივლინებაში იყვნენ უცხოეთში, არაფორმალური მინი-კინოდარბაზი გა-

კეთდა. შეჰყავდათ 10-15 კაცი — თანაკლასელები, სკოლელები. 1 მანეთი სეანსი და ატრიალებდნენ მშობლების ნაყიდ „უჟასებს“, „ბოევიკებს“ და სხვ. მალე რეპერტუარი აღარ ეყოთ, მაგრამ კინოწარმოება არ შეაჩერეს, აპარატურა უქმად ხომ არ იდგებოდა?! დაიწყეს საშინაო ფილმების გადაღება თავიანთი თანატოლების მონაწილეობით და შემდეგ ჩვენება. განსაკუთრებით დაახლოებულ „კლიენტებზე“ კასეტების ასლებს ყიდდნენ. არცთუ ცუდი ბიზნესით ტკბილი ცხოვრებაც გრძელდებოდა, მაგრამ ფილმების მონაწილე ერთ-ერთი გოგონას მამას შემთხვევით კასეტა ჩაუვარდა ხელთ და თავისი ქალიშვილი ამოიცნო.

გოგონას მამა გავლენიანი კაცი იყო და დიდი სკანდალიც ატყდა. ამბობენ, ამისი მიზეზი ფილმის თემატიკა იყო. კასეტის გმირი 18 წლისაც არ იყო, მასთან ერთად სცენებში მისი მეგობარი გოგონებიც იყვნენ, რომელთაც პარტნიორობას კინოჯგუფის ბიჭები უწევდნენ. დაჭერით არავინ დაუჭერიათ, მაგრამ ტექნიკა ამოიღეს. საქმე ქართულად გაარჩიეს, შინაურულად, ოჯახურად. გოგონების მამებმა სასტიკად სცემეს მთელი კამპანია, მიშასაც მოხვდა, მაგრამ ნაკლებად, რადგან უშუალოდ კადრებში მისი სახე არ ჩანდა. მიშა სცენარზე და სალაროში მუშაობდა. რაოდენ უცნაურადაც უნდა ჩანდეს, სწორედ ეს შემთხვევა გახდა ბიძგის მიმცემი მიშას შემდგომი კარიერისათვის. სკოლის დამთავრების მომენტში (ოქროს მედალი), წარჩინებული მიშასათვის თბილისის ყველა წესიერი ოჯახის სახლის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ დედას კარგი კავშირები ჰქონდა, მან ვერ გაბედა, ვაჟიშვილი თბილისის უნივერსიტეტში მოეწყო. მიშა სადღაც სხვაგან უნდა გაეგზავნათ, სასურველი იქნებოდა — სხვა ქალაქში, იდეალური — თუ სხვა რესპუბლიკაში გაგზავნიდნენ.

ამ საქმის მოგვარებაში დიდი წვლილი მიუძღვის დედის ღვიძლ ძმას, თემურ ალასანიას, რომელიც იმ დროისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა გავლენიან პოსტზე. ბიძას ფართო და საჭირო კავშირები ჰქონდა უკრაინის ანალოგიურ უწყებაში. სწორედ ბიძის კავშირებით გახდა შესაძლებელი მიშას მიზანმიმართულად გაგზავნა კიევის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით მოხდა მიშას კანდიდატურის შეთანხმება რაიკომსა და ქალაქკომში.

სომხური წარმოშობის „ქართველი“ სააკაშვილი, რომელიც თავს მეგრელად ასაღებდა, უკრაინელი ნაციონალისტებისთვის შინაური კაცი იყო. ერთი რამ იყო მთავარი — იგი არ იყო „მოსკალი“. ფული ბლომად ჰქონდა მიშას, ბიძა უგზავნიდა. საერთო საცხოვრებელში მიშა არც კი გამოჩენილა, დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა კიევის ცენტრში. სტუდენტობის პერიოდში მის ბიოგრაფიაში ბნელი ლაქები გამოჩნდა. აი ცოტაოდენი არითმეტიკაც: ჩვენმა კინოპროდიუსერმა სკოლა 1984 წელს დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელშიც იმავე წელს ჩააბარა. საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი კი 1992 წელს დაამთავრა. სწავლის ვადა, მოგეხსენებათ, 5 წელია. საინტერესოა, სად „დაიკარგა“ 3 წელი?

მომავალ პრეზიდენტს წარსული „ცოდვები“ ამოუტივტივდა. პირველივე კურსზე, მეორე სესიის გამოცდების წინ, კომკავშირიდან გარიცხეს. თავად მიშა ირწმუნება, რომ პოლიტიკის გამო გარიცხეს, მაგრამ ამ თემაზე ძალიან ბუნდოვნად ლაპარაკობს... ამტკიცებს, რომ რაღაც „მოძრაობებში“ (არ ასახელებს რა მოძრაობა იყო) მონაწილეობდა და „დისიდენტურ“ ლიტერატურას ავრცელებდა (ისევ და ისევ არ აკონკრეტებს). სინამდვილეში კი ყველაფერი გაცილებით ბანალური და მარტივი იყო; პოლიტიკა რომ ყოფილიყო, მაშინ არა მარტო კომკავშირიდან, ინსტიტუტიდანაც გარიცხავდნენ. პოლიტიკა კი არა, თბილისური „ვიდეო-სკანდალის“ კვალი ამოტივტივდა. თავიდან ინსტიტუტში ანონიმური ბარათი შევიდა, შემდეგ კი — ოფიციალური წერილი ერთ-ერთი „დაზარალებულისაგან“, რომელიც ითხოვდა, გარკვეულიყვნენ სტუდენტ სააკაშვილის ბინძურ და ამორალურ წარსულში.

კომკავშირის ბიუროზე მიშა გამწარებული იცავდა თავს, დედას იფიცებდა, უარყოფდა ყველაფერს, რაშიც ადანაშაულებდნენ. მაგრამ ვერდიქტი მაინც მკაცრი იყო — მიშას კომკავშირის ბილეთი ჩამოართვეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის მომავალ კარიერას წერტილი დაესვა. კარგი დიპლომი და კარგ სამსახურში განაწილება გამორიცხული იყო, ვერც უცხოეთში შეძლებდა წასვლას და საერთოდ, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა — დაამთავრებდა თუ არა უმაღლეს სასწავლებელს. ამ რთულ სიტუაციაში ისევ ძია თემური დაეხმარა და უკარნახა, რაც უნდა გაეკეთებინა — სირცხვილი უნდა ჩამოირეცხო და დრო მოიგო, ჯარში უნდა იმსახუროო. სააკაშვილმა დაწერა განცხადება და

თავისი ინიციატივით წავიდა ჯარში. ყველა უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც უცხოეთში მომუშავე კადრებს ამზადებდა, КГБ-ს კონტროლქვეშ იყო. КГБ აკონტროლებდა კიევის „ИМО“-საც და სააკაშვილი პროფილით სასაზღვრო ჯარებში გადაიყვანეს.

დღეს საქართველოს პრეზიდენტი ამაყად ლაპარაკობს კომკავშირიდან გარიცხვის თაობაზე, მაგრამ სტუდენტობის წლებში, როგორც ჩანს, ტოტალიტარიზმის მსხვერპლის როლი ნაკლებად იზიდავდა და ჯარში სამსახურის დროს კომკავშირის ბილეთის დაბრუნებისთვის მცდელობას არ იშურებდა. გაუმართლა კიდეც, კომკავშირშიც აღადგინეს და ჯარშივე კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატიც გახდა. მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სსრკ-ის დანგრევის შემდეგ მიშამ საკანდიდატო მანდატი დახია.

როდესაც სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში მოექცა, მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე სამხედრო-საველე „კამუფლიაჟით“ მივიდა და ყველა მინისტრი „სტოიკაზე“ დააყენა. ვინც ჯარში არ იყო ნამსახურები, ბრძანა, რომ სასწრაფოდ გაევლოთ ერთთვიანი სამხედრო წვრთნა. ყველაფერი ეს, როგორც მას სჩვევია, ტელეკამერებისა და ფოტოობიექტივების წინაშე ხდებოდა.

სიმართლე უნდა ითქვას, ამჯერად მიშა გულწრფელი იყო. იგი ნამდვილად ატარებდა მწვანე ბერეტს და „პაგონებს“ ინიციალებით ПВ. სამხედრო სამსახური კანცელარიაში მწერლობით გაატარა ბორისპოლის აეროპორტში, უშვებდა კედლის გაზეთს და დემობილიზებულებს ალბომების გაკეთებაში ეხმარებოდა. კალიგრაფია ლამაზი ჰქონდა, დამახასიათებელი კეკლუცი მოყვანილობით. მიშამ აქაც მოინდომა თვითშემოქმედებითი წრის დაარსება და მას შემდეგ, რაც კომკავშირში აღადგინეს, საზოგადოებრივი კუთხით გააქტიურდა. იგი კომკავშირის კომიტეტის წევრი იყო, მიჰყავდა პოლიტინფორმაცია... და ამით დამთავრდა ჯარში სამსახურიც.

სსრ კავშირის ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ დაავუკაცებული, რეაბილიტირებული კომკავშირელი და აქტივისტი გულითადად მიიღო მმობლიურმა ინსტიტუტმა კიევში. სწავლა თავისი დინებით მიდიოდა, ეფრეიტორის ავტორიტეტი თანაკურსელებს შორის (მისი კურსელები ორი წლით მასზე უმცროსები იყვნენ, მისი კომკავშირიდან გარიცხვის მიზეზები და

მიხეილ სააკაშვილი და აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოში ამ უკანასკნელის სტუმრობისას

ისტორია არ იცოდნენ) შესამჩნევად იზრდებოდა. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ გოგონები ყურადღებით არ ანებივრებდნენ. მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი... ქვეყანა იცვლებოდა და „გლასტნოსტი“ მთელ საბჭოეთს მოედო, თავი წამოყვეს ნაციონალისტებმა, დაიწყო ეროვნული მოძრაობა და დიდი დისკუსიები ახალგაზრდებში. თავისუფლებას დანატრებული ახალგაზრდობა შფოთავდა, ღელავდა.

უკრაინელ ინტელიგენტთა წრეში (ძირითადად, მათი შვილები იყვნენ მიშას თანაკურსელები), დიდი ხანია, მწიფდებოდა დახავსებული ნაციონალიზმი. **მომავალ უკრაინელ დიპლომატებს შორის „ტუსოვკების“ დროს კარგ ტონად და ცხოვრებისეულ პოზიციად ითვლებოდა უშვერი გამოთქმები რუსების მისამართით — „კაცაპები“, „მოსკალები“.** მომავალი პრეზიდენტი ღრუბელივით ისრუტავდა 1980-იანი წლების მეორე ნახევრის უკრაინის ბომონდის ჰაერს. რა თქმა უნდა, ამ წრეში ურთიერთობამ და „ხარშვამ“ მიშას შესაბამისი პრინციპები და შეხედულებები ჩამოუყალიბა, პირველ რიგში — რუსეთისადმი სიძულვი-

ლი და გულუბრყვილო რწმენა, რომ დასავლეთი დაეხმარება.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ მიშა რამდენიმე თვე ისევ სსრ კავშირის ჯარში მსახურობდა, ამჯერად — ოფიცრის რანგში. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ზვიად გამსახურდიას ინიციატივით შექმნილ ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში იურისტ-კონსულტანტად დაიწყო მუშაობა.

იმ დროს საქართველოში მიტინგები და დიდი ვნებათაღელვა იყო. სააკაშვილმა თავისი ორატორული ნიჭი მოსინჯა, მაგრამ პირველი მცდელობა სავალალოდ დამთავრდა — ხალხმა სტვენა დაუწყო. მეორედაც მოსინჯა — ამჯერად უკვე მაგრად მიბეგვეს.

დასავლეთს გრანტების მისაცემად არ სჭირდება ჭკვიანი და ნიჭიერი სამართალდამცველები, მას ესაჭიროება მორჩილი და შემსრულებელი „მოსწავლეები“. მიშასთან მუშაობდნენ და მისგან ძერწავდნენ მათთვის საჭირო ქართველს, რომელიც დასავლეთის ფასეულობების მატარებელი იქნებოდა. სააკაშვილი, როგორც მაშველ რგოლს, ისე ჩამოეკიდა ძია თემურის წინადადებას — წასულიყო სტრასბურგის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ინსტიტუტში სასწავლებლად. 1992 წელს მან დატოვა სამოქალაქო ომში გახვეული თბილისი და საფრანგეთში გაემგზავრა.

მიშას შეუძლია შთაბეჭდილების მოხდენა. თუ საჭიროა, „მიაწვება“, თუ საჭიროა — მრავლისმეტყველად გაჩუმდება (თუმცა ამისთვის დიდი ძალისხმევა სჭირდება). სამაგიეროდ, შესანიშნავად გამოსდის ფართო ამერიკული „ღიმილი“. იგი ზრდილობიანი, ყურადღებიანი, ზომიერად მორცხვია და თანამოსაუბრისათვის სასურველ ემოციებს ავლენს. ოპონენტთან, შეიძლება ითქვას, ვირტუალურად იწყებს თამაშს; აღფრთოვანება, შეშფოთება, სიხარული, წყენა... განსაკუთრებით კარგად „ცივილიზებული“ ქართველის როლის შესრულება გამოსდიოდა. „ქართულ დემოკრატიაზე“ მჭევრმეტყველება კი მისი პრიმა ნომერი იყო და ამ ყველაფერში კარგ თანხასაც უხდიდნენ. რა თქმა უნდა, ინგლისურის კარგი ცოდნა ბევრ რამეს წყვეტდა. იგი საქართველოს ყველა საჭირბოროტო საკითხის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა.

1993 წელს, როგორც კი სააკაშვილმა სტრასბურგის ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი აიღო, აშშ-ის კონგრესმა სტიპენდია მისცა კოლუმბიის უნივერსიტეტში (ნიუ იორკი) სწავლის გასაგრძელებლად. ცნობილია, რომ კოლუმბიის უნივერ-

მიხეილ სააკაშვილი და ჯორჯ ბუში

სიტეტი გარკვეული მნიშვნელობით აშშ-ის ბაზაა სტუდენტთა გადასაბირებლად. 1994 წელს სააკაშვილი სამართლის მაგისტრის ხარისხს იღებს. 1995 წელს კი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში დაიცვა ხარისხი. შემდეგ ევროპული სამართლის განხრით სტაჟირება გაიარა ფლორენციასა და ჰააგის საერთაშორისო აკადემიებში.

დასავლეთის „პრესტიჟულ“ ინსტიტუტებში სწავლის დროს მიხეილ სააკაშვილი ენის ცოდნის პრაქტიკას გადიოდა და ქვეყანაში მოქმედ სამართალდამცავ კანონმდებლობას იზუთხავდა. თუ რამდენად შორს იყო ყოველივე ეს საქართველოში არსებული რეალობისაგან, ამის მტკიცება საჭირო არც კია. მეორე საკითხია, თავად მიშამ თუ მიიღო რაიმე სარგებელი? რა თქმა უნდა, თავისუფლად ლაპარაკობს უცხო ენაზე, შეიძინა საჭირო ნაცნობები და საერთოდაც, დასავლეთის სხვადასხვა საჭირო და სოლიდური დაწესებულებების ავ-კარგში გაერკვა. აგრეთვე, ფურშეტებსა და საქველმოქმედო ვახშმებზე თავის დაჭერაც ისწავლა — ერთი „ჩასტვენით“ სვლიპავდა ხამანწკებს, „კამბარის“ ყველს „ბრისაგან“ არჩევდა და ამაყად ატარებდა სმოკინგს ყელზე „პეპლით“.

„დასავლური ყოფის“ სხვა სიკეთეებთან ერთად, სააკაშვილმა სტრასბურგში ევროპელი მეუღლე — სანდრა რულოვსი (იგი ედუარდ რულოვსის ქალიშვილია) შეიძინა. ყველა ოფიციალურ ბიოგრაფიაში სააკაშვილის მეუღლეს ჰოლანდიელად თვლიან, მაგრამ ჰოლანდიური მას მხოლოდ საბაზო მოქალაქეობა აქვს. სანდრას მამა ებრაელია და ემიგრაციაში ჩეხეთიდან ნიდერლანდებში წავიდა. დედა, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, პოლონელი ებრაელია, მეორე წყაროთი კი — ადგილობრივი ჰოლანდიელი ებრაელი. სანდრა თავის მეუღლეს მოფერებით მიშიკოს ეძახის და ყველა ინტერვიუში მის ნიჭიერებასა და ტალანტზე ლაპარაკობს — არ ეწევა, ალკოჰოლურ სასმელს არ ეტანება, თავაზიანია, დიდ დროს ატარებს შვილებთან და ა.შ.

დასავლეთში „განსწავლული“ მიშა ჯერ ნორვეგიაში, ოსლოს ადამიანთა უფლებების ინსტიტუტში იწყებს მუშაობას, შემდეგ ძია თემურთან ახლოს, ნიუ იორკში მიდის და იურიდიული ფირმის — „Patterson, Belknap, Webb & Tyler“-ის შტატიანი კლერკი ხდება. სპეციალიზაციას გადის კომპანიების სამართალუზრუნველყოფის საკითხებში მსოფლიოს „რისკიან“ ზონებში. მოივლის მსოფლიოს და თბილისში ჩამოდის. მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს პრეზიდენტ შევარდნაძეს წარუდგენენ და, რა თქმა უნდა, შევარდნაძეს ძალიან ესაჭიროებოდა გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო დასავლეთთან. ეს მისია ზურაბ ჟვანიამ იკისრა და შეასრულა (მოგვიანებით, იგი ბინაში გაზით გაგუდული ნახეს). მანამდე კი სააკაშვილი დეპუტატი და პრეზიდენტის ფრაქციის ხელმძღვანელი ხდება. 2000 წელს იგი უკვე იუსტიციის მინისტრია, მაგრამ ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს კორუფციაში დაადანაშაულებს და პროტესტის ნიშნად თანამდებობას ტოვებს.

ამის შემდეგ მას პარლამენტის დეპუტატად ირჩევენ, ხოლო მომდევნო წელს საქართველოს დედაქალაქის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ხდება.

საგულისხმოა, რომ **სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრობისას უკვე გამოავლინა დაუძლეველი ლტოლვა ფულისადმი და დიქტატორული მისწრაფებები.** კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმებისას გაირკვა, რომ „დემოკრატი მინისტრი“ ბენზინში, სატელეფონო საუბრებში, “საქმიან სადილებში” თუ სხვადასხვა „ბროშურის გამოცემაში“ (ამ საქმეებით „ატკატის“ დამალვა იმხანად მიღებული ხერხი იყო) ფანტასტიკურ თანხებს ხარჯავდა.

„დემოკრატიის შუქურა“ და მისი „ნათლიმამა“

საინტერესოა, რომ მან გამინისტრებისთანავე სამინისტროს შესასვლელთან ორი ზოლებიანი ხის ყუთი დაადგმევინა და სპეცფორმიან დაცვის თანამშრომლებს აიძულებდა 24-საათიან საპატიო ყარაულში დგომას, ხელქვეითებს კი, არამარტო მკაცრად ექცეოდა, ხშირად თავშიც წაუთაქებდა ხოლმე.

ამის შემდეგ კი მისი „გავარსკვლავება“ იწყება; 2003 წელს მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ბლოკებიდან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად არის წარდგენილი. 2004 წლის 4 იანვარს, ხმების 95%-ით იგი საქართველოს პრეზიდენტი ხდება. ვინ იცნობდა მიხეილ სააკაშვილს 2000 ან 2001 წელს? ვინ წარმოიდგენდა, რომ 2003 წლიდან საქართველოს რუხ პოლიტიკურ ჰორიზონტზე პრეზიდენტის ახალი სახე გამოჩნდებოდა? ალბათ, თავად ისტორიამ ააჩქარა სვლა... ბოლო წლებში საქართველო ასოცირდებოდა „თეთრი მელას“ სევდიან და მწუხარე სახესთან, რომელიც პერმანენტულად ვიღაცაზე და ყველაზე ნაწყენი იყო. ყველას ეგონა, რომ შევარდნაძე მზად იყო, პრეზიდენტობის მძიმე ჯვარი წმიდა გიორგის მეორედ მოსვლამდე ეტარებინა, მაგრამ — არა...

ბანალური არეულობა, აბსოლუტურად უაზრო საბაბი — რიგით საპარლამენტო არჩევნებში ხმები გააყალბეს და დიდი ქაოსიც დაიწყო. მრავალდღიანი და მრავალათასიანი მიტინგები ქუჩაში, მშვიდობიანი, მაგრამ ხელისუფლებაზე სასტიკი ზეწოლით, „ხავერდოვანი რევოლუცია“, ანუ „ვარდების რევოლუცია“ იმარჯვებდა; გამოცდილი პოლიტიკოსი და პოლიტიკანი „თეთრი მელა“ ერთი გასროლის გარეშე გამოაძევეს პარლამენტიდან და პოლიტიკურ უფსკრულში მოისროლეს.

დღეს საქართველოში არსებობს სერიოზული, რეალური პრობლემები ადამიანის უფლებების მხრივ სასამართლო სისტემაში, მედიაში, დევნილთა უფლებებთან დაკავშირებით. ამ მხრივ ძალიან ბევრი კრიტიკული ანგარიში კეთდება თბილისის მისამართით. სულ ახლახან ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოსმენები გამართა, სადაც საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შენიშვნები გაკეთდა და ამ ქვეყანას 163 რეკომენდაცია მიეცა.

სიტყვის თავისუფლება, მედიასაშუალებები, სასამართლო სისტემის პოლიტიზირება, მძიმე მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევა — ეს არის საკითხები, რომელთა მიმართ, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეკომენდაციით, თბილისმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს.

ასეთი „ყურადღების“ გამოვლენა კი, რაზეც ესოდენ იმედოვნებენ გაეროს გულუბრყვილო ჩინოვნიკები, მოსალოდნელი სულაც არ არის; არ არის, რადგან ეს რეკომენდაციები ეხება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა დარღვევას. ეს უფლებები და თავისუფლებანი საქართველოს კონსტიტუციაშიც გაწერილია, მაგრამ სააკაშვილს კონსტიტუციასთან, უფრო სწორედ კი მისი მუხლების უხეშ დარღვევასთან და ქვეყნის ძირითადი კანონის საკუთარ თავზე მორგებასთან განსაკუთრებული „ურთიერთობა“ აკავშირებს. კერძოდ კი ის, რომ სააკაშვილის დიქტატორულმა მიდრეკილებებმა განსაკუთრებით თავი სწორედ საქართველოს კონსტიტუციის საკუთარ ტანზე მორგებაში იჩინა. მან ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, აბსოლუტურად მორჩილი პარლამენტის მეშვეობით, კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებები შეიტანა, ისე გაიძლიერა საკუთარი ძალაუფლება, რომ ამერიკელებიც კი გააოცა. ერთი შტრიხი — მიშიკომ უზომოდ გაიზარდა კონსტიტუციური უფლებები, მაგრამ პასუხისმგებლობა ნოლზე დაიყვანა. სააკაშვილს უფლებები უყვარს, პასუხისმგებლობა — არა. გაოცდნენ ამერიკელები, მაგრამ აპატიეს: ერთობა ბიჭი და მალე გაუვლისო. თუმცა მას შემდეგ მან კონსტიტუცია კიდევ არაერთგზის „მოიზომა“. უკანასკნელად საკონსტიტუციო ცვლილებებით პრემიერ-მინისტრობა გაინაღდა, რადგან პრეზიდენტად მესამედ კენჭს ვეღარ იყრის. დღეს ეს უკონტროლო კაცი

ყველაფერში ერევა — კომუნალური მეურნეობის საკითხებიდან დაწყებული მემარცვლეობით დამთავებული, „ძეგლებთან მებრძოლთა“ მეთაურიც არის და „შადრევნების გამავრცელებელი საზოგადოების“ ლიდერიც .

მისი ხელდასმით ქვეყანაში დამკვიდრებულია ფულის წაგლეჯის, „ბიზნესმენთა დარეკეტების“, ანუ სახელმწიფო რეკეტის პრაქტიკა. როგორც ლათინური ამერიკის ყველა დიქტატორს სჩვეოდა, მანაც შექმნა უზარმაზარი ოლიგარქიული პირამიდა, რომლის სათავეში თავად ზის. „კორუფციის დამამხობელმა“ პრეზიდენტმა თავად შექმნა გაცილებით უარესი სისტემა ელიტარული კორუფციისა, რომელმაც გააღატაკა ქართველი ხალხი და გაამდიდრა სააკაშვილის გვარი და მასთან დაახლოებული ელიტა.

სააკაშვილმა დიდი ზარზეიმით გამოაცხადა ახალი პროექტების ამოქმედება, რომელთაგან, პრაქტიკულად ყველა ჩაიშალა და დაივიწყა, გარდა ერთისა, რომელიც ახალი ციხეების აშენებას ითვალისწინებდა.

ამ ციხეებში ჰყავს გამომწყვდეული მისი რეჟიმის მოწინააღმდეგენი, ოპოზიციური პარტიების აქტიური წევრები. პოლიტპატიმრები სხვადასხვა მოგონილი ბრალდებებით, ამ ბრალდებებზე დაფუძნებული სასამართლო განაჩენებით იხდიან დღეს დაუმსახურებელ სასჯელს. სააკაშვილის რეჟიმმა სხვადასხვა აბსურდული ბრალდებითა და პროვოკაციის, შანტაჟის გამოყენებით დააპატიმრა და გაასამართლა 100-ზე მეტი ადვოკატი, რათა ჩანასახშივე მოესპო უკანონო პატიმრებისა და პოლიტიკური პატიმრების სრულფასოვანი სასამართლო დაცვა, ასევე შეეშინებინა ადვოკატები.

სააკაშვილის არაადეკვატურობა გამომჟღავნდა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებასა და კრახში: საქართველომ თავისი ტერიტორიების 20 პროცენტი უსახელოდ დაკარგა.

საქართველოში სიტყვის თავისუფლების მდგომარეობის ილუსტრირებისთვის ის ფაქტიც იკმარებს, თუ როგორ დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“ სპეციალური დანიშნულების რაზმის ნიღბიანმა წარმომადგენლებმა პირდაპირ ეთერში. ეს ფაქტი ყველა უფლებადაცვითი ორგანიზაციის ანგარიშში აისახა, ამიტომ მასზე დიდხანს არ გავჩერდები. უბრალოდ, შეძლებისდაგვარად მოკლედ ჩამოვთვლი იმ ფაქტებს, რაც ნათელს ხდის, რომ

მითი სააკაშვილის „დემოკრატიის შუქურად“ წარმოჩენაზე, სულ ცოტა, ცინიზმია საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

ახლა კი გადავხედოთ 2007 წლის ნოემბრის მოვლენების ქრონოლოგიას. შეგახსენებთ, რომ 7 ნოებერს სააკაშვილის რეჟიმმა სასტიკად დაარბია მრავალათასიანი მიტინგი რეზინის ტყვიების, ცრემლმდენი აირის, აკუსტიკური იარაღის, წყლის ჭავლისა და სხვა აკრძალულ საშუალებათა (მათ შორის, ხისა და რკინის კომბლების) გამოყენებით. მაშინვე მოხდა ოპოზიციური ტელეარხის — „იმედის“ ოფისში შეჭრა და მაუწყებლობის გათიშვა. საინტერესოა, როგორ აფასებდნენ ამ ფაქტებს და რით ხსნიდნენ ავტორიტარიზმის ღია გამოვლინებას სააკაშვილის ხელქვეითები.

მომიტინგეების ვანდალურ დარბევასთან და ტელეიმედის გათიშვასთან დაკავშირებით პირველი ბრიფინგი თბილისის მერმა გიგი უგულავამ ჩაატარა და სპეცრაზმელების ქმედება იმით ახსნა, რომ თბილისი 90-იან წლებს არ უნდა დაბრუნებოდა, რომ არ უნდა გამხდარიყო კარვების ქალაქი.

საინტერესოდ და ორიგინალურად დაასაბუთა მოშიმშილეთა დარბევის ფაქტი მაშინდელმა თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გრიგალაშვილმა. მან დარბევა, როგორც ასეთი, საერთოდ უარყო და განაცხადა, რომ რუსთაველის პროსპექტზე დასუფთავების სამსახურის მაქანების გამოჩენის შემდეგ მოშიმშილეებმა თვითონვე დატოვეს ტერიტორია, რათა დასუფთავების სამსახურისთვის ხელი არ შეეშალათ.

განათლების მაშინდელმა მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე პროცესები „სიცრუის ფაბრიკის სერიალად“ შეაფასა. „ყველამ უნდა იცოდეს, რომ თბილისი კარვებისა და ფარდულების ქალაქი აღარ იქნება“, — დასძინა ალექსანდრე ლომაიამ.

მაშინდელი პრემიერ-მინისტრის — ზურაბ ნოღაიდელის (რომელიც ამჟამად საკაშვილს ოპოზიციაში უდგას, მაგრამ ხალხი საფუძვლიანად ეჭვობს, რომ ფარულად ისევ ხელისუფლების სამსახურშია) განცხადებით კი, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ საქართველოში დემოკრატიული პრინციპები არსებობს: „ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის რუსთაველზე მოძრაობა მთლიანად უნდა აღდგეს. რაც შეეხება მთავრობის მთავარ ამოცანებს, ჩვენ



საქართველოს პრეზიდენტი უჰალსტუხოდ

კვლავ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე ვიქნებით ორიენტირებული. სწორედ ამას ემსახურებოდა წინა კვირას ევროპისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული ბიზნეს-ფორუმები“, — დასძინა ნოღაიდელმა.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმელებმა მომიტინგეების დასაშლელად, ხელკეტებისა და რეზინის ტყვიების გარდა, მხუთავი ცრემლმდენი გაზი აკუსტიკური „ზარბაზნები“ და წყლის ჭავლი გამოიყენეს.

მხუთავი და ცრემლმდენი გაზი რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე გაუშვეს, რის გამოც, მომიტინგეების გარდა, ჟურნალისტები და მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები მოქალაქეებიც მოიწამლნენ. დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებს ახლომდებარე საავადმყოფოებში გადაჰყავდა.

მხუთავი გაზი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტშიც გაუშვეს, დაზარალებული სტუდენტები რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი განცხადებით, მომიტინგეების დაშლის დროს გამოყენებული ცრემლსადენი გაზი ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო არ იყო.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი მაშინდელი ლიდერის, ამჟამად კი საქართველოს კულტურის მინისტრის — ნიკა რურუას შეფასებით, „მიტინგის დაშლა იმ მეთოდებით განხორციელდა, რომელთაც ყველა ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფო იყენებს“.

როგორც რურუამ ჟურნალისტებს განუცხადა, „კანონის აღსრულება, ხშირ შემთხვევაში, ლამაზი პროცესი არ არის“.

საპარლამენტო, უმრავლესობი კიდევ ერთმა მაშინდელმა ლიდერმა მაია ნადირაძემ განაცხადა, რომ „...მიტინგი ევროპულად დავშალეთ“.

პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ (რომელიც ამჟამად ასევე სააკაშვილის ოპოზიციაშია, მაგრამ რომლის მიმართაც საქართველოში ასევე აქვთ ეჭვი, რომ ფარულად ხელისუფლების მითითებებს ასრულებს) ვითარების კიდევ უფრო გამწვავების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას სახლებში დარჩენისკენ მოუწოდა. **„მოგვეცით საშუალება, ქვეყანაში შექმნილი საკმაოდ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი პოლიტიკოსებმა ვიპოვოთ“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და იმედი გამოთქვა, რომ „ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილი ხელისუფლებასთან დიალოგს დასთანხმდება“.**

განვითარებულ მოვლენებს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ტელეკომპანია „იმედი“ პირდაპირ ეთერში გადასცემდა, იმავე საღამოს სპეცრაზმელები ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრნენ და ეთერი გათიშეს. მაუწყებლობა შეწყვიტა რადიო „იმედმაც“. მაუწყებლობა შეწყვიტა ტელეკომპანია „კავკასიამაც“.

„იმედთან“ შეკრებილთა დასაშლელად სპეცრაზმმა ისევ რეზინის ხელკეტებს, რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენ გაზს მიმართა. დაშავებულთა შორის, სხვებთან ერთად, „იმედის“ ჟურნალისტებიც აღმოჩნდენ.

დღეს უფრო მეტი დასვლელი ექსპერტი და სპეციალისტი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში არ არსებობს ფუნქციონირებადი დემოკრატია, რასაც ამტკიცებს ათეულობით ათასი ქართველი, რომლებიც საპროტესტო აქციებში მონაწილეობენ ხელისუფლების წინააღმდეგ.

მათ არგუმენტებში განსაკუთრებით ხაზგასმულია შემდეგი ფაქტები: ქართულმა პოლიციამ იერიში მიიტანა და სასტიკად, ძალის გადამეტებული გამოყენებით, დაარბია მანიფესტანტები თბილისში, გამოიყენა რა ხელკეტები და რეზინის ტყვიები პოლიციის სამმართველოსთან პროტესტის გამოსახატავად მისული მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, რის გამოც ბევრი მათგანი საავადმყოფოებში აღმოჩნდა, მათ შორის — ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი და ჟურნალისტი... რამდენიმე ადამიანი სამუდამოდ დასახიჩრდა და დაინვალიდდა.

რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ხელჩართული შეტაკების დროს პოლიციელები საქართველოს ავტორიტარული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელს სკანდირებდნენ.

ინგლისურად მოლაპარაკე საქართველოს ავტორიტარი მმართველის წინააღმდეგ 2007 წლის ნოემბერში მოწყობილი მრავალათასიანი მიტინგების მიზანი იყო ნამდვილი დემოკრატიული ცვლილებები. სააკაშვილმა კი დემოკრატიული ცვლილებების მოთხოვნას ძალით უპასუხა, გაგზავნა რა თავისი სპეცდანიშნულების რაზმები დემონსტრანტების წინააღმდეგ, დახურა ინფორმაციის ოპოზიციური საშუალებები და შემოიღო სამხედრო მდგომარეობა, რასაც მთელ მსოფლიოში მისი გაკრიტიკება მოჰყვა.

უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოში მან კინაღამ მე-3 მსოფლიო ომი დაიწყო, წინდაუხედავად შეიჭრა რა სამხრეთ ოსეთში და მოახდინა რუსეთთან ომის პროვოცირება, რასაც მოჰყვა სამხედრო დანაშაულში მისი დადანაშაულება „ემნისტი ინტერნეიშენელისა“ და „ჰიუმან რაითს ვოთჩის“ მიერ. შვედი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით შექმნილმა საერთაშორისო კომისიამ საქართველო არაპროვოცირებული ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს საქართველოს ავტორიტარული რეჟიმისა და პირადად სააკაშვილის კრიტიკა. მიუხედავად ამ კრიტიკისა, ამერიკელები დღემდე ეფერებიან „დემოკრატიის შუქურას“ და ისიც, ამით წახალისებული, უფრო და უფრო იხრება ავტორიტარიზმისკენ. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკოსებს ან ციხეებში სვამენ, ან აიძულებენ, ემიგრაციაში წავიდნენ; ქართული პოლიტიკის გავლენიანი პირები, ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და უმსხვილე-

სი ოლიგარქის ჩათვლით, გარდაიცვალნენ საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში; სხვებმა (მათ შორის არაერთმა ყოფილმა თანაგუნდელმა, რომლებიც იზულებული გახდნენ საქართველო დაეტოვებინათ) ბრალი დასდეს საქართველოს ლიდერს პოლიტიკური ოპონენტების მკვლელობის ორგანიზების მცდელობაში და დიქტატურის შექმნაში პოლიციური სახელმწიფოს კლასიკური ტაქტიკის გამოყენებით.

ამ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო საქართველოში თანდათან ძლიერდება მასების უკმაყოფილება მიხეილ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დიდძალ ფულს ხარჯავს საკუთარ პიარში, რათა დასავლეთის თვალში „კარგი რაკურსით გამოჩნდეს". რეჟიმი ასევე აფინანსებს ათასგვარ გამოკითხვებსა და რეიტინგებს, რომლებშიც საქართველო ყოველთვის „ნარმატებულ სახელმწიფოდ" არის აღიარებული, თუმცა არსებობს რეალური რეიტინგებიც, რომელთა მიხედვით საქართველო ლიდერია არშემდგარ სახელმწიფოთა შორის, იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ღატაკია; სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით ერთ-ორ აფრიკულ ქვეყანას თუ უწევს კონკურენციას; საქართველოში 2010 წლისთვის ყოველ 100 ათას მოქალაქეზე 537 პატიმარი მოდიოდა და ამ მაჩვენებლით ეს ქვეყანა ევროპაში მეორე, მსოფლიოში კი მეექვსე ადგილზე იყო. ამ ქვეყანაში ყვავის ელიტური კორუფცია, აბსოლუტურად დაუცველია საკუთრების უფლება, არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო სტრუქტურა, უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, ციხეები გადაიქცა წამების ადგილად, სადაც ძალიან მაღალია ტუსაღების გარდაცვალების მაჩვენებელი. ეს არის ის რეალობა, რასაც გალამაზებული შეკვეთილი რეიტინგებით ფუთავს ინგლისურად მოლაპარაკე ავტორიტარი მმართველის ხელისუფლება.

ორგანიზაცია Freedom Houyse-მა ახლახან გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმადაც, პრესის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგში საქართველო უფრო ქვემოთაა, ვიდრე გადატრიალებებისგან განაწამები მავრიტანია და ეგვიპტე.

ირონიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკულ პრესაში გვერდიგვერდ იბეჭდება მასალები, რომლებშიც, ერთის მხრივ, ქართულ დემოკრატიას განადიდებენ; მეორეს მხრივ კი, იგივე „ვაშინგტონ პოსტი" აქვეყნებს მასალას, სადაც ავტორიტარუ-

კონდოლიზა რაისი და მიხეილ სააკაშვილი

ლობისთვის გაკრიტიკებულია ეგვიპტე და მისი ექსმმართველი ჰოსნი მუბარაქი.

თუმცა ამ შეუსაბამობას, ანუ ორმაგი სტანდარტის სამარცხვინო გამოვლინებას თავისი ძალიან მარტივი და ტრივიალური ახსნა აქვს. **ამასწინათ გამოქვეყნდა მასალები, რომელთა თანახმადაც, სააკაშვილის ხელისუფლება დიდძალ ფულს ხარჯავს ლობისტურ კომპანიებზე, გაცილებით მეტს, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნები, ერთად აღებული.** ასეთი დაფინანსებული პიარის შედეგად კი ვიღებთ სურათს, რომლის მიხედვით, მუბარაქი ავტორიტარია, სააკაშვილი კი — თურმე „დემოკრატიის შუქურა“.

ყოველკვირეულ გაზეთ „ჰილის“ ცნობით, რომელიც აშშ-ის კონგრესის საქმიანობას აშუქებს, სააკაშვილმა ხელი მოაწერა ასი ათასობით დოლარიან კონტრაქტს გავლენიან ლობისტურ ფირმა „ფაბლიქ სთრათეგიზ“-თან, რომელსაც აქვს კარგი კავშირები დემოკრატიულ პარტიასთან. კონტრაქტის მიზანია ამერიკულ პრესაში საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება. საქართველომ ასევე დაიქირავა „გლობეთ პარკ გრუპი“, კიდევ ერთი ლობისტური ფირმა სერიოზული კავშირით დემოკრატებთან, მათ შორის რიჩარდ გერჰარდტთან, გავლენიან ამერიკელ კონგრესმენთან დემოკრატიული პარტიისგან. ამ კომპანიას შესთავაზეს 500 000 დოლარი. გასულ წლამდე საქართველო უხდიდა

ლობისტურ ფირმას, რომელშიც მუშაობს ჯონ მაკეინის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში რენდი შუნემანი.

არ გასულა ორიოდე თვეც იმ მომენტიდან, რაც სააკაშვილმა ამერიკულ პრესაში საკუთარი იმიჯის გასაუმჯობესებლად "სპეცები" დაიქირავა და შედეგიც სახეზეა — ამერიკულ პრესაში აქტიურად აკრიტიკებენ ავტორიტარ ბენ ალის და მუბარაქს, მაგრამ მათზე გაცილებით "მძიმეწონიან" დიქტატორ სააკაშვილზე მიცვალებულივით ან კარგს ამბობენ, ან — არაფერს.

ყველასთვის გასაგებია, რა სარგებლობა მოაქვს ამას ლობისტური კომპანიებისთვის, მიხეილ სააკაშვილისთვის. მაგრამ გაუგებარია, რას მიიღებს აქედან ისეთი ავტორიტეტული გამოცემა, როგორიცაა „ვაშინგტონ პოსტი" და, რაც მთავარია, რა ხეირს მიიღებს აქედან ბარაკ ობამა და ამერიკელი ხალხი?

საქართველოში სასამართლო მთლიანად ექვემდებარება სააკაშვილის პერსონალურ კონტროლს, რომელსაც იგი პროკურატურის მეშვეობით ანხორციელებს. აბსოლუტური თავისუფლება აქვს მინიჭებული შსს-ს, რომელსაც „რუხი კარდინალი" — ვანო მერაბიშვილი უდგას სათავეში. ამ უწყებას უფლება აქვს მიცემული მოგონილი ეჭვის საფუძველზე განახორციელოს სადამსჯელო ოპერაციები მოქალაქეთა წინააღმდეგ, თუნდაც ქუჩაში ჩაუსაფრდეს და დახოცოს ახალგაზრდები. პასუხს არავის მოსთხოვენ.

ამიტომ არ წყდება სარჩელების ნაკადი საქართველოდან სტრასბურგის მიმართულებით.

ჰააგის სასამართლომ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილ არაერთ სარჩელზე გამოძიება უკვე დაიწყო. უამრავ სარჩელთა შორის, რაც სააკაშვილის წინააღმდეგ ამ სასამართლოშია შესული, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის, რაც აგვისტოს ომის პროვოცირებასა და დაწყებას ეხება, ასევე, — სვანეთში აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვას, გირგვლიანის მკლელობის გამოუძიებელ საქმეს, სულხან მოლაშვილის წამების ფაქტს, 7 ნოემბრის მოვლენებს, ტელეკომპანია „იმედის" დარბევასა და სხვა დანაშაულებს.

სააკაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში საქართველომ ის მცირე დამოუკიდებლობაც დაკარგა, რომელიც შევარდნაძის დროს ჰქონდა. **საქართველოს საგარეო პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად პრო-ამერიკული გახდა. სიმართლე რომ ითქვას, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკის მიმართულებას პრეზი-**

დენტი კი არ ქმნის, არამედ — უცხოელი კურატორები, რომ-ლებმაც სპონსორობა გაუწიეს „ვარდების რევოლუციას“ და სააკაშვილი მოიყვანეს სათავეში. უცხოურმა მედიამ ელვისუს-წრაფესად მხარი დაუჭირა სააკაშვილის სისხლიან ავანტიუ-რას 2008 წლის 8 აგვისტოს.

საგულისხმოა, რომ დასავლეთი თვალს ხუჭავს სააკაშვილის ისეთ „ცოდვებზე“, რომელთა მეათედის გამო მსოფლიოს სხვადას-ხვა კუთხეში არა ერთხელ დაუწყია საომარი მოქმედებებიც კი.

ასე მაგალითად, შევარდნაძის დროს უხეში მეთოდებით აპ-რობირებული არჩევნების გაყალბების სისტემა სააკაშვილმა უტიფარ, ცინიკურ პროცესად აქცია. იგი იმდენად თავდაჯერე-ბულად და „კვალის წაშლის“ გარეშე, აშკარად აყალბებს აგერ უკვე მერამდენე არჩევნებს, რომ ბევრ „ბანანის რესპუბლიკა-საც“ კი შეშურდება. ამერიკელები კი მას „დემოკრატიის შუქუ-რად“ მოიხსენიებენ.

სააკაშვილი არ მალავს თავის სიმპათიებს ჩეჩენი ექსტრემის-ტებისადმი. მან ერთ-ერთ გამოსვლაში დომოდედოვოს აერო-პორტში მომხდარი ამაზრზენი ტერაქტი ლამის „სამართლიან შურისძიებად“ მოიხსენია, მაგრამ ამის გამო ვაშინგტონისგან საყვედური არ მიუღია.

სააკაშვილმა მოახდინა ძალაუფლების უზურპაცია. დღეს პრეზიდენტიც, სასამართლოც, პარლამენტიც თვითონ არის. დასავლეთი ამაზე დუმს. დასავლეთი ასევე დუმს ზურაბ ჟვანი-ას სიკვდილზეც, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, უბედური შემთხვევა იყო. არადა, ასეთი ახსნა სასაცილოდ არავის ჰყოფ-ნის. დასავლეთი სააკაშვილს სხვა მკვლელობებსაც პატიობს, რომლებსაც შეკვეთის „სუნი ასდიოდა“; პატიობს პოლიტიკური ოპონენტებისადმი სასტიკ მოპყრობას, სიტყვის თავისუფლების, პროტესტის გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიის სხვა ფუძემდებლური პრინციპების ფეხქვეშ გათელვას.

საინტერესოა, რის სანაცვლოდ პატიობენ, როდემდე აპატიე-ბენ მიშას ამდენს?!

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველო შეზღუ-დული სუვერენიტეტის სახელმწიფოდ გადაიქცა და ამერიკუ-ლი ადმინისტრაცია მხოლოდ მანამდე დაუჭერს მხარს საქარ-თველოს, სანამ ეს მის გეოპოლიტიკურ ინტერესებში იქნება.

დადასტურებულად ცნობილია და ამის შესახებ არაერთხელ

დაიწერა პრესაშიც, რომ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან საა-კაშვილის ადმინისტრაციაში აქტიურად მუშაობს ძირითადად ამერიკელ სამხედრო და სპეცსამსახურების წარმომადგენელ-თაგან დაკომპლექტებული მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც აქ-ტიურ კონსულტირებას და ლობირებას უწევს საქართველოს ხე-ლისუფლებას როგორც საგარეო პოლიტიკურ, ისე საშინაო სა-კითხებში. ასევე, ცნობილია ამ ჯგუფის განსაკუთრებული აქ-ტივობის შესახებ 2008 წლის აგვისტოში. აშშ-ის საელჩოსთან ერთად ეს ჯგუფი, რიგი ექსპერტების მოსაზრებით, წარმოად-გენს საქართველოს ერთგვარ „პარალელურ მთავრობას“ და აქ-ტიურად ერევა ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღე-ბა-განხორციელებაში. ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ სა-ქართველოს სუვერენულობა ნომინალურიც აღარ არის და რე-ალურ პოლიტიკურ ამინდს ამ ქვეყანაში სულ სხვა ძალები ქმნი-ან. საგულიხმოა, რომ კონსულტანტთა ასეთი ჯგუფი, შედარე-ბით ნაკლები აქტივობითა და ჩართულობით, ფუნქციონირებ-და შევარდნაძის ადმინისტრაციაშიც. მაგრამ მაშინ ქვეყნის მართვის პროცესში მისი ჩართულობა არ იყო ისეთი ყოვლის-მომცველი, როგორც სააკაშვილის მმართველობის პერიოდშია.

რა ელოდება საქართველოს მომავალში? **თუ სააკაშვილი ხე-ლისუფლებას შეინარჩუნებს, მაშინ რეჟიმი კიდევ უფრო გამ-კაცრდება და სისასტიკეში გადავა; ამ რეჟიმს სხვა საშუალე-ბებით მართვა არ ძალუძს და ამიტომ რეპრესიული შიდა პო-ლიტიკის ფონი ნაციონალური შუღლი და ისტერია იქნება, კონფრონტაცია რუსეთთან პიკს მიაღწევს. აშშ ეძებს ახალ ღი-რსეულ შემცვლელს საჭირო დროს მიშიკოს შესაცვლელად.**

არ არის გამორიცხული, ახალი ლიდერებიც ძველ გზას დაა-დგნენ, დაიწყონ ხელისუფლების, ქონებისა და შემოსავლების გაყოფა.

ცნობისთვის: სახელმწიფო ქონების მიტაცების, აგრეთვე, კერძო სექტორში „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო“ ბიზნეს-მენების დატერორების, ყველა სარფიან საქმეში საკუთარი წი-ლის, უფრო მეტიც, „შინაური კომპანიების“ მონოპოლიის და-წესებით სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგა-ნიზებულმა ქონების საყოველთაო ნაციონალიზაციამ, ექსპერ-ტების მტკიცებით, თავისი მასშტაბით რამდენიმეჯერ გადაა-ჭარბა გასაბჭოებისა და კოლექტივიზაციის დროს მომხდარ

ქონების ნაციონალიზაციას. პრესაში ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ შევარდნაძის პერიოდში, რომელსაც სააკაშვილი წარამარა მოიხსენიებს „კორუმპირებულ რეჟიმად“, ქვეყნის პირველი პირის ოჯახისა და გარემოცვის ჩართულობა ბიზნესში და მონოპოლიებში გაცილებით ნაკლები იყო და რომ დღეს საქართველოში, სააკაშვილის ოჯახის ნებართვის გარეშე, ვერც ერთი სერიოზული ბიზნესსაქმიანობა ვერ განხორციელდება. რაც ყველაზე საგულისხმოა, თავისი პოლიტიკური ავანტიურები სააკაშვილმა ბიზნესად აქცია. 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული პროვოკაციის სანაცვლოდ მან 4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარება მიიღო. მადა ჭამაში მოუვიდა და ახლა პატარ-პატარა ანტირუსულ გამოხდომებში იღებს ხან 400 მილიონს მილენიუმის პროგრამიდან, ხანაც ნახევარ მილიარდს — ევრაზიის განვითარების ბანკიდან... მთელი ეს თანხები პირადად სააკაშვილისა და რეჟიმის სხვა დამქაშთა კეთილდღეობას ხმარდება, ხოლო ის, რომ ეს თანხები ქვეყანას საგარეო ვალად ედება და უამისოდაც გაღარიბებულ მოსახლეობას საბოლოოდ აკაბალებს, მიშას არ ადარდებს.

შეიძლება სააკაშვილმა და მისმა წამქეზებლებმა კვლავ აირჩიონ ამერიკაზე ცალმხრივი ორიენტაცია და კონფრონტაცია რუსეთთან. მაგრამ სააკაშვილის მოწინააღმდეგე ოპოზიციური ძალები თუ გააცნობიერებენ, რომ ძველი გზის გაგრძელება ქვეყნის თვითმკვლელობის ტოლფასია, მაშინ ხელისუფლებაში, შესაძლოა, გონიერი და პრაგმატული ადამიანები მოვიდნენ. ისინი ალბათ საქმიანად მიუდგებიან ქვეყნის მომავალს და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს გაითვალისწინებენ. ბოლოს და ბოლოს, ქართველ ხალხს შანსი გაუჩნდება, წერტილი დაუსვას იმ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მარაზმს, რომელშიც ერთმანეთის მონაცვლე ხელისუფალნი წლების მანძილზე ამყოფებდნენ.

ისტორია გვიჩვენებს, რომ სააკაშვილის დონის უპრინციპო ავანტიურისტები არც მათ სჭირდებათ, ვისაც უღალატა (ამ შემთხვევაში — საქართველოს) და არც მათ, ვის გამოც უღალატა (აშშ). რენეგატები არც ერთი მხრიდან არ სარგებლობდნენ პატივისცემით და არც — მეორე მხრიდან. თუ სააკაშვილი აშშ-ზე ძლიერ პატრონს იშოვის, მაშინვე მისკენ გადაიხრება. როგორც ჩანს, ამერიკელები ამას უკვე მიხვდნენ.

დეივიდ რიჩარდსონი

სარჩევი:

წინასიტყვაობა 5

რაფაელ ტრუხილიო – მოწოდებით ჯალათი 9

ანასტასიო სომოსა –
თეთრი სახლის „ძუკნისშვილი“ 18

ანვარ სადათი – ეგვიპტის „ფარაონი“ 30

პინოჩეტი – მოღალატე თუ ნაციის მხსნელი? 53

ფერნანდო მარკოსი –
ყველაზე კორუმპირებული ფილიპინელი 69

ზია ულ-ჰაკმა თავისი საქმე გააკეთა,
მაგრამ წასვლა არ ისურვა 79

სორხე რაფაელ ვიდელა და მისი ბინაური ომი 92

„ფერადი“ გენერალი –
პარაგვაის უკანასკნელი ფიურერი 98

რუბენ ფულხენსიო ბატისტა-ი-სალდივარი 104

სადამ ჰუსეინი – მოთამაშე,
რომელსაც ბედი დიდხანს სწყალობდა 112

ვიქტორ იუშჩენკო – ხორუჟივკელი ბიჭი 127

ედუარდ შევარდნაძე –
მრავალსახოვანი ადამიანი 144

მიხეილ სააკაშვილი –
ქართველი ხალხის შავი ჭირი 161